N15 (514) 15/IV-21/IV-2010 ფასი 1 ლარი

გზა

ქართული პროზის საგანძური

ტომი №7
რეზო ჭეიშვილი

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

აკაკი წერეთელი

„არ ვაპირებ მე ჯერ არსად წასვლას“...

ნიკო გომელაურის უკანასკნელი ლექსები

თინათინ ჯაფარიძე: „სოფო ნიჭარაძემ ჩემი სიმღერა „გააფუჭა“

სელინ დიონისა და შერის პროდიუსერი ქართველმა მომღერალმა მოხიბლა

ყველაზე საზარელი და მკაცრად გასაიდუმლოებული დანაშაული

მაიკო გველესიანი: დედა მუსლიმანი იყო, ახლა ქრისტიანად მოინათლა“..

ISSN 1987 - 5029

რით სჯობია ქართველი მოდელი უკრაინელს

NESCAFÉ

NESCAFÉ გეპატიჟებათ
დაბადების დღის აღსანიშნავად
ამა წლის 14 აპრილიდან 18 აპრილის
ჩათვლით გუდვილში.

აღნიშნე დღე განსაკუთრებულად
NESCAFÉ-სთან ერთად! NESCAFÉ
72 წლისაა! მობრძანდით და
დააგემოვნეთ
საუკეთესო ყავა,
მიიღეთ საჩუქრები და
ნახეთ NESTLÉ-ს
ისტორიული არქივებიდან
მოძიებული უნიკალური
სარეკლამო პოსტერები.

მსოფლიოში პირველი
ხსნადი ყავა კომპანია
NESTLÉ-მ 1938 წელს
შექმნა და NESCAFÉ-ს სახელით წარადგინა ბაზარზე.

დღესდღეობით ყავა ყველაზე პოპულარული სასმელი,
ხოლო NESCAFÉ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ყავის
ბრენდია. მსოფლიოში დღეში 400 მილიონზე მეტი
ფინჯანი NESCAFÉ ისმევა!

გუდვილი დიღომში:

ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი 16.00-21.00 სთ.,
შაბათი, კვირა 10.00-22.00 სთ.

„კვირის პალიტრა“ 15 წლისაა!

სიურპრიზი იუბილარისაგან!

ქართული პოეზიის მარგალიტები:

„63 ლექსი“

ხალხური, გალაკტიონი, ვაჟა, აკაკი, ილია, ფიქრანი,
ლადო, ფერიცვალი...

კითხულობს: გოგი სანაბაძე



მხოლოდ 19 აპრილის
„კვირის პალიტრასთან“
ერთად!

63 ლექსი **2** დისკზე
განსაკუთრებულ ფასად! **5** ლარად.

(პოეზიის ეს კრებული მაღაზიებში 20 ლარამდე ღირს)

დამზადებულია
„სანო სტუდიაში“

№15 (514)
15 - 21 აპრილი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ **მინიატიურები** 5
„ნე პოლოჟენო!“ ანუ კიდევ ერთი „ამბავი ჩვენი გოიმობისა“

■ **პროექტი** 6
„დროთა ცვლა ბზარს ვერ გაუჩენს“

■ **ტკივილი** 8

■ **პოლიტიკა** 10
ავიაკატასტროფა თუ 70 წლის წინანდელი პოლიტიკის „მოდერნიზებული“ გაგრძელება?..

■ **ტრაგედია** 12
„კატინის საქმე“ — საზარელი დანაშაული პოლონელი ხალხის წინააღმდეგ

■ **თემიდა** 14
განაჩენი, რომელიც გასაჩივრებას ექვემდებარება

■ **ოჯახი** 16
ქალბატონი, რომელმაც ზაზა ფაჩულიას კარიერაში გადამწყვეტი როლი ითამაშა

■ **იუბილე** 19
„დაუვარცხნელი“ სანახაობა და ობლად დარჩენილი ანსამბლი „75“

■ **მხატვარი** 21
„რაც გამიკეთებია, იმაზე ასჯერ მეტი მომცა უფალმა“

■ **სცენა** 23
ორაზროვნად პოლიტიკური სიმღერა...

■ **ეკრანს მიღმა** 25
...ქართული მისტიკური ტრილერი ეროტიკული სცენებით

■ **ვარსკვლავები** 27

■ **სიტუაცია** 28
არჩევანი — არადანი ანუ „ჩამოვიარე მე შენს ქუჩაზე“

■ **სამართალი** 30
შეთითხნილი ბრალდება და უდანაშაულო „დამნაშავე“

■ **თქვენთვის, ქალბატონებო!“** 32
სიცოცხლეზე ხელჩაქნეული ქალი და სხვაზე ზრუნვით გამართლებული ცხოვრება

ქვეყანა



განაჩენი, რომელიც გასაჩივრებას ექვემდებარება

„ტელევიზიიდან ამოღებულ კადრებში ჩანს, როგორ წაიყვანეს პოლიციის განყოფილებიდან საავადმყოფოში ცოტნე და მუქი ლურჯი სპორტული აცვია. ამას ადასტურებს გოგიაშვილის ჩვენებაც და მისი უკანონო ფარული ჩანაწერიც.“

10

სახე

ობლად დარჩენილი ანსამბლი „75“

„თაყვანისმცემლები ნამდვილად არ გვაკლდა, მაგრამ განსაკუთრებული პოპულარობით ბესო კალანდაძე სარგებლობდა: ქუჩაში გოგონები რომ დაინახავდნენ, ტირილს იწყებდნენ!“

16

ცხოვრება

საუკეთესო მეგობრის ქორწილი

მადლობა ღმერთს, მთელი ქალაქი საცობების გარეშე გავიარე და დასავლეთისკენ მიმავალ გზას დავადექი. ცოტა კი მეწყინა, გოჩა ჩემთან ერთად რომ არ წამოვიდა. საერთოდ, ამ ბოლო დროს ძალიან შეიცვალა. ალბათ გადაიღალა, რადგან დიდი ხანია, არ დაუსვენია. 1 კვირის წინ კი დაიწუწუნა, ნეტავ დამასვენაო და ვაიძულე, ცოტა ხნით ქალაქიდან გასულიყო.

28



სიზარმაცის გამო გაფუჭებული საქმე

„ცხოვრებაში ერთადერთი დაუფიქრებელი ნაბიჯი მაქვს გადადგმული და ამ ნაბიჯის გამოსწორებას ერთი წელი შევწირე. მოკლედ, ჩემს უბნელს შევუყვარდი. უფრო სწორად, ბავშვობიდან ვუყვარდი და მოგვიანებით გამიმხილა. მეც, არ ვიცი, რა დამემართა და ვუთხარი, მეც მიყვარხარ-მეთქი. თავიდან არასერიოზულად ვიყავი მის მიმართ განწყობილი, მაგრამ მივხვდი, რომ მაგრად ვუყვარდი.“

76

■ მინირომანი 33
■ მოდა 36
რომანტიკული კოლექციით მოხიბლული ფრანგები
■ ავტო 38
■ ეს სამყარო 39
■ ისტორიული ლაბირინთები 41
პოლონეთის ქართული მხედრობა
■ საკითხავი ქალებისათვის 44
■ ანტიდეპრესანტი 46
■ შეუცნობელი 46
ზღვა, რომელიც „დაილია“
■ ჯანმრთელობა 48
რა იწვევს ინსულტსა და დამბლას
■ ტაძარი 49
...კონსტანტინოპოლის დაცემით შენარჩუნებული მართლმადიდებლური სარწმუნოება
■ მაღლი 53
„ჩვენს „მზეს“ სიკვდილს არ დავანებებთ!“
■ ემიგრანტი 55
ქართული სული აშდოდის თეატრის სცენაზე და „ჩატეხილი ხიდი“
■ თინეიჯერული პონტები 57
მეგობრობა და სიყვარული ანუ გრძნობა, რომელსაც მალვა უნდა
■ ნვეთი პოეზია 60
■ ავტოპორტრეტი 61
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)
■ ქართული დეტექტივი 65
აკაკი წერეთელი. ეშმაკები
■ რომანი 69
სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი ქალი (გაგრძელება)
■ რეალური 73
ULTRIX (გაგრძელება)
■ გზავნილები 76
სიზარმაცის გამო გაფუჭებული საქმე
■ ყველა ერთისათვის 80
■ მობილი-ზაცია 82
■ მოზაიკა 86
■ მუნდიალი 87
■ ერუდიტი 90
„კახური“ კითხვები, ნამდვილი ამბავი და წიგნის გამო გადახდილი ჯარიმა
■ გასართობი 94
■ ასტროლოგია 96
■ სკანვორდი 97
■ საფირმო კროსვორდი 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com

რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



ყველაზე დაუნდობელი ცხოველი

ის მუდამ მშიერია და ამიტომაც ყლაპავს ყველაფერს, რაც გზად შეხვდება. მაგალითად, მის მუცელში არაერთხელ აღმოუჩენიათ ოქროს ტომრები, ადამიანის კიდურები, ცხოველების ძვლებით სავსე გალიები და ასაფეთქებლებიც კი.

36

ადამიანი



„ჩვენს „მზეს“ სიკვდილს არ დავანებებთ!“

„სწორედ საფრანგეთში შევიტყვე, რომ ფილტვებში მეტასტაზები ანუ მცირე ზომის ძვლოვანი წამონაზარდები მქონდა, რომელსაც ქიმიოთერაპია ვერ ანადგურებს.“

52

ბიბლუსი

მამაჩემი სულ უფრო და უფრო მიახლოვდებოდა და თითქოს ქვეცნობიერად თალესს ეპაექრებოდა. პირველი შვილიშვილის, სანდროს აღზრდაში თალესის დიდ წვლილს პატარა გიორგიზე სრულად ანაზღაურებდა და ყოველ დილას ჩემთან პროდუქტებითა და სათამაშოებით ხელდამშვენებული მოდიოდა.

60

ტაიმ-აუტი

ჯადოსნური ქვა

ძველად მიაჩნდათ, რომ ფირუზის მატარებელი ადამიანი ავი სულებისგან დაცული იყო, ეს ქვა პატრონს გამდიდრებასა და სიყვარულის მოპოვებაში ეხმარებოდა. შუა საუკუნის ვაჭრები ფირუზს ატარებდნენ, რათა საქონელი ქურდობისგან დაეცვათ და ილბალი მიეზიდათ. ფირუზისგან სამკაულების დამზადება უძველესი დროიდან დაიწყეს.

86

„ნე პოლოჟენო!"

ანუ კიდევ ერთი „ამბავი ჩვენი გიიმობისა"

შესავლის ნაცვლად „გზის" წინა ნომერში გასული „პროვოკაციის" შემდეგ კარგი არაფერი მომხდარა, ცუდი — უამრავი... და იქნებ უადგილოც იყოს, ასეთ დროს და ასეთ თემებთან დაკავშირებით ენაკვიმატობა, მაგრამ რა ვქნა, როდესაც ჩვენს გოიმობასა და პროვინციელობას, ბარათაშვილისა არ იყოს, „არ აქვს სამძღვარი"?!

პოლონეთის პრეზიდენტისა და პოლიტელიტის დაღუპვა მეც ისევე განვიცადე, როგორც უამრავმა ნორმალურმა ქართველმა და სავსებით დავეთანხმე კიდეც (ამასაც მოვესწარი) სააკაშვილს, როდესაც მას ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა და 11 აპრილი გლოვის დღედ გამოაცხადა.

ჰოდა, სწორედ მაშინ გამოჩნდა კიდევ ერთხელ, ზემოთ ხსენებული გოიმობა და სნობიზმი...

სერიოზულად ვრისკავ, რომ საბოლოოდ გადავიმტერო ჩემი ტელეკოლეგები და საქართველოს ე.წ. შოუბიზნესის ე.წ. ანტრეპრენიორ-მენეჯერები, მაგრამ რა ვქნა — ბავშვობიდანვე ჯორდანო ბრუნო იყო ჩემი კერპი და როცა „ბრუნავს", უნდა ვთქვა, რომ „ბრუნავს"!

რა შუაშია ბრუნო და ბრუნვა გოიმობასთან და, „იმ შუაშია" — რომ გითხრეს, ქვეყანაში გლოვის დღეაო, იცით, რას ნიშნავს?! არა, ლოყების „ჩამოხოკვა" არ არის აუცილებელი, მაგრამ ასეთ დღეს ყველა ტელეარხზე უქმდება გასართობ-სატინგიცო გადაცემები და სერიალები, ასევე ქვეყანაში დაგეგმილი ყველა კონცერტი და შოუ.

თქვენ კი როგორ „იგლოვეთ"? არც ერთ არხს არ გადაუდვია არც ერთი იუმორისტული გადაცემა თუ ტელეთამაში და იმ მომღერლების გვარებს უბრალოდ, არ დავასახელებ (ტელეარხებსაც ხომ არ ვასახელებ!..), რომელთა კონცერტებმაც ანშლაგებით ჩაიარა.

ერთი სიტყვით, პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესრულება მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებზე დროშების დაშვებითა და ეთერში საინფორმაციო გამოშვებების „ქუდების" უმუსიკოდ გასვლით გამოიხატა!

ზემოთ ბარათაშვილი ხომ გავიხსენე და აჰა, კიდევ ერთი ცნობილი ციტატა კლასიკიდან: „შენც, ბრუტუს?!" — თანაც, ბრუტუსის მაგივრად შეგიძლიათ — არ გაგიკვირდეთ და, არც მეტი, არც ნაკლები, — ხათუნა გოგორიშვილი იგულისხმოთ! აბა, სხვისგან რა უნდა გაგიკვირდეს, როდესაც თვით პრეზიდენტის მთავარი „საარჩევნო კარუსელის" თეორეტიკოსი არ ემორჩილება შეფის გადაწყვეტილებას?! თანაც — „გაგანია" წინასაარჩევნო პერიოდში!.. არა, მესმის, რომ ის გადაცემა ადრე იქნებოდა ჩაწერილი, მაგრამ ჭკვიანი რომ ხარ და კანონმდებელი და შენი პოლიტპარტიის ერთ-ერთი „მოზგი", ხომ უნდა მიხვდე, რომ ესენი ვერ მოიფიქრებენ?! დარეკე და მოითხოვე, გადადონ ეთერი და „ურჩიე", სხვებსაც გადასცენ.

თუმცა შემთხვევით არაფერი ხდება (მეზარება, თორემ ამ აქსიომასთან დაკავშირებითაც გავიხსენებდი რომელიმე კლასიკოსის ციტატას) და მეც ამ კონკრეტული ფაქტის ჩემეული ახსნა მაქვს: აგერ არჩევნები კარს მოგვადგა; ხელისუფლებაში ბოლო დროს, ძველი თანამებრძოლების „მოსრიალების" მოდა შემოვიდა; ისე ჩანს, რომ „ნაციონალები" ყოველგვარი „კარუსელური თეორიების" გარეშეც, მხოლოდ ნამამაძაღლარი კანონის წყალობითაც მოახერხებენ გამარჯვებას და შესაძლოა, „ბებერი ძუ ლომი" აღარავის დასჭირდეს (არ გეწყინოთ, ქნო ხათუნა, „ბებერი" აქ ფიგურალურად ვიხმარე, როგორც ზემოთ „მოსრიალება" — განა ვერ ვხვდები, რომ პირდაპირი მნიშვნელობით ამის გამკეთებელი „ნაცებში", ერთი-ორი კუნთმაგარი ოლიმპიური ჩემპიონის გარდა, არავინაა...) და გადაწყვიტა, ასეთი ორიგინალური ფორმით შეეხსენებინა თავი მტერ-მოყვრისათვის: არც მეტი, არც ნაკლები — საქართველოს „სეზონის საუკეთესო მაფიოზის" წოდება, შესაბამისი პრიზი და 2.000 ლარი მიიღო „ტელეიმედისგან" (მერე რა, რომ თამაში იყო, თანაც — გლოვის დღეს?! ესენი ასე თამაშობენ, ამდენი „გლოვის წელია")! თან, გამარჯვებულის სეფესიტყვაში თქვა: „მოგება-წაგება არ არის მთავარი..." — ალბათ იგულისხმა, რომ მთავარია არა მოგება-წაგება, არამედ გაგება, თორემ ჯინსი ნოღაიდელსაც აცვია ხოლმე...

P.S. რუსეთმაც გამოაცხადა გლოვის დღე, ოღონდ — 12-ში. ვინც არ დაიზარა და რუსულ ინტერნეტფორუმებს გაეცნო, დარწმუნდებოდა, რომ რუსების 80% ზეიმობს(!) — ჩვენი მთავარი მტერი აღარ არისო! მაგრამ არც ერთ რუსულ ტელეარხზე „პოლე ჩუდეს" და „უგადაი მელოდიუ" არ ყოფილა... მართლა ასე ხომ არ სჯობია ნეტავ: ვერ ხვდები? ბრიყვი ხარ? მოვა „ნაჩალნიკი" და გეტყვის: „ნე პოლოჟენო!" — და გაიგებ...

P.P.S. **ვანოს ინტერვიუც იყო ამ კვირაში და მიშასა და მედვედევის გვერდიგვერდ დგომაც ობამასთან სტუმრობისას, მაგრამ ამაზე მომავალ „პროვოკაციაში" ვიცინოთ...**

პროვოკატორი

„დროთა ცვლა ბზარს ვერ გაუჩენს“

გამომცემლობა „პალიტრა L“-ისა და ჟურნალ „გზის“ პროექტი — „ქართული პროზის საგანძური“ გრძელდება. ერთ კვირაში უკვე მერვე ტომს მიიღებს ქართველი მკითხველი. სხვათა შორის, მიუხედავად არცთუ დიდი ჰონორარისა, მწერალთა და მათ შთამომავალთა უმრავლესობა დიდი გულისხმიერებით შეხვდა ჩვენს პროექტს და თანადგომაც აღგვითქვა. მათ უმნიშვნელოვანესად მიიჩნიეს ასე ხელმისაწვდომ ფასად ქართველ მწერალთა ნაწარმოებების გამოცემა, რადგან ასე ხომ ბევრი ადამიანი შეძლებს ჩვენი წიგნების ყიდვას და შესაბამისად, წაკითხვასაც.

ირმა ხარშილაძე

სამწუხაროა, რომ რამდენიმე, ჩვენთვის საყვარელი მწერალი შეიძლება, ვერც მოხვდეს „ქართული პროზის საგანძურში“ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათთვის და მათი შთამომავლებისთვის მიულებელია 3 ლარად წიგნის გაყიდვა და შედარებით მცირე ჰონორარის მიღება. სხვათა შორის, დიდი მწერლისა და მგოსნის, აკაკი წერეთლის „ნაკვესებში“ („საგანძურის“ მერვე ტომი სწორედ აკაკი წერეთლის ნაწარმოებებს ეთმობა) ერთ პატარა ამბავს წავაწყდი. ბევრისთვის ეს ამბავი, ალბათ ნაცნობიცაა, ბევრი კი პირველად მოისმენს. ამბავს „ჰონორარი“ ჰქვია:

„აკაკი თავის ნაწერებს ხშირად აწოდებდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციას. ჟურნალიც, რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით ბეჭდავდა საამაყო მგოსნის თხზულებებს. ერთხელ, ხელმოკლეობის გამო, ჟურნალის რედაქტორმა ჰონორარის გაცემა ვერ მოუხერხა აკაკის. მან გადაწყვიტა, თავი შეეკავებინა პოეტის ნაწერების ბეჭდვისგან, რადგან ფიქრობდა: სხვაგან გამოაქვეყნებს და ჰონორარს მაინც მისცემენო. სწორედ იმ ხანებში, აკაკი საჩხერიდან თბილისში დაბრუნდა, „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია მოინახულა.

„— რატომ აღარაფერს მიბეჭდავ, იქნებ აღარ მოგწონს ჩემი ნაწერები, ჰა, იოსებ? — მიმართა მან ღიმილით, ჟურნალის რედაქტორს.

— აბა, რას ბრძანებთ, ჩემო ბატონო! — უპასუხა შეწუხებულმა იოსებ იმედაშვილმა. — თქვენს თხზულებას წუნს როგორ დავდებ, მაგრამ ჩემი საქმე რომ იცოდეთ... — და მან უამბო აკაკის თავისი გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ.

აკაკიმ დაუყვავა: — არა, ფულისათვის ნუ შეწუხდები. შენ იმიტომ გაძლევ ნაწერებს, რომ ამ ერთადერთ ჟურნალს ხალხი ძალიან ეტანება და მინდა ხალხმა იკითხოს. ჰონორარისთვის ნუ მომერიდები, არაფერი მინდა შენგან!..“

დღეს აკაკის „ნაკვესებიდან“ კიდევ რამდენიმეს გაგახსენებთ. მათი წაკითხვით ბევრი რამ გენიშნებათ, დღევანდელობასაც დაუკავშირებთ და გახალისდებით კიდეც — დიდი მწერლის იუმორი და კვიმატი ენა ხომ ყველასათვის ცნობილია. ასე რომ...

„სამეგრელოში აკაკის ჩაი მიართვეს. შაქარი დავიწყებოდათ, თუ როგორღაც იყო, აკაკიმ ზედიზედ ერთისა და იმავე ჭიქისთვის სამჯერ მოითხოვა შაქარი. — რამდენი შაქარიც უნდა ჩააგდო, რაკი შენი ენა მოხვდება, გამწარდებაო, — უთხრა პოეტს მასპინძლის ახალგაზრდა ქალმა. — ჯერ თქვენ უნდა დააწოთ შაქარს ენა, რომ აღარ გამწარდესო! — მიუგო პოეტმა“...

„ერთი ნაცნობი შეეკითხა აკაკის: როგორ მოვიქცე, რომ არც მწვადი დავწვა და არც შამფურიო? — ეგ ქუთაისის ბანკს უნდა ჰკითხოთ, რომელიც ამდენი ხანია კიდეც მაძლევს ვითომ პენსიას და არც მაძლევსო!“...

„ერთხელ თემობაში აკაკის ჯიბგირი მიეპარა და ჩუმად ხელი ჩაუყო ჯიბეში, სადაც ნაწერი ქაღალდების მეტი არა იყო რა. პოლიციელმა თურმე შენიშნა და წაავლო ხელი ჯიბგირს. მწერალმა რომ დამფრთხალი და შეშინებული ახალგაზრდა ქურდი დაინახა, შეეცოდა, მიუბრუნდა და სიცილით უთხრა: შე კაცო, აკი ერთხელაც გითხარი, მაგას ნუ შვები-მეთქი! რათ იცი ხოლმე ჩემს ჯიბეში ხელის ჩაყოფა? ხელნაწერი რომ არ წაიკითხო, არ იქნება? როცა დაიბეჭდება, მაშინაც მოესწრები სხვებთან ერთად წაკითხვასო! ეს რომ პოლიციელმა გაიგონა, იფიქრა, ალბად ვინმე შეხუმრებული ნაცნობი ყოფილაო. ბოდიში მოიხადა და გაუშვა ჯიბგირი. რამდენიმე წლის შემდეგ მწერალს ბარათი მოუვიდა: დიდი ხანია, რაც კი რამ დაბეჭდილა თქვენი და იბეჭდება, ყველას ვკითხულობ. თქვენ რომ პირველად გნახეთ, იმ დღიდანვე მე ხელი ავიღე ჩემ პირვანდელ ხელობაზე, შევისწავლე წიგნების კინძვა, მეყდე გახლავარ და თუ ინებებთ, წიგნებს ნახევარ ფასად შეგიკინძავთო...“

„ერთი ვინმე სადილად კარგ გუნებაზე იყო, სულ „მიმინო მყავდას“ მღეროდა. იმდენი იმღერა ეს „მიმინო მყავდა-მიყვარდა“, რომ ყველას თავი მოაბეზრა და განსაკუთრებით — აკაკის. — არ გეტყობა, რომ მიმინო გყოლოდეს, მაშინ მაგდენი მწყერი აღარ გეყოლებოდაო, — შენიშნა მომღერალს აკაკიმ...“

„საბანკო არჩევნების დროს ზოგიერთი კენჭოსანი ყვიროდა: კენჭი მოგვეცით, კენჭი! კენჭმა უნდა გაგვასწოროსო! — ნეტავი თქვენ გასწორდებოდეთ და ვინ ოხერი, ან ლოდს დაიშურებს თქვენთვისო, — მიაძახა აკაკიმ...“

„ქუთაისში აკაკის მონაწილეობით საღამო გაიმართა. საღამოში მონაწილენი მეორე თუ მესამე დღეს სურათის გადასაღებად ბაღში შეიკრიბნენ. აკაკის აქ ერთი ახალგაზრდა შეეკითხა: რა აზრის ხართ, პატივცემულო აკაკი, ახალგაზრდა მგოსნებზეო? — რა გითხრათ, — მიუგო აკაკიმ, — სტუდენტობის დროს ერთი პროფესორი გვყავდა: დიდი განათლებული კაციაო, ამბობდნენ, მაგრამ ჩვენ, სტუდენტები, მისი წაკითხულიდან ვერასა ვგებულობდით. ეგევე ითქმის ჩვენს ზოგიერთ ახალგაზრდა მგოსანზე: შესაძლებელია, ძალიან კარგებიც იყვნენ, მაგრამ ერთი ნაკლი აქვთ: როგორც მე, აგრეთვე ხალხს არა გაეგება რა მათი...“

„ერთმა ახალგაზრდამ მიახარა აკაკის: საყმაწვილო წიგნი მინდა გამოვსცეო. — საყმაწვილო წიგნი განა ბავშმა უნდა გამოსცესო? — დაეკითხა პოეტი...“

„ერთმა ახალგაზრდა ქართველმა ინჟინერმა ხუმრობით ჰკითხა ნაავადმყოფარ აკაკის: — ასე მალე როგორ დაბრუნდით საიქიოდანო? — შენი გაკეთებული გზა რომ ყოფილიყო, დღესაც იქ ვიქნებოდიო, — მიუგო აკაკიმ...“

„ერთი უცხოელი მოხელე ჩიოდა: მე რომ თქვენთან ვარ, თქვენთვის ვწვალობ, თქვენთვის ვიტანჯები და თქვენ კი არ მაფასებთო. — როგორ არაო, — მიუგო აკაკიმ, — მეტი არა შეგვიძლიან რა და ღმერთს კი ყოველ დღე ამას ვეხვეწებით: ყოვლად შემძლებელო, ნუ სტანჯავ ამ კაცს უბრალოდ ჩვენთან, შენ მოუმართე ხელი და, საიდანაც მოსულა, იქ წაიყვანეო!“

და ბოლოს, ეპილოგის მაგიერ:

„აი, რა თქვა ერთხელ მოხუცმა ანიკო აბდუშელიშვილმა, აკაკის სახლის ძველმა მოამაგემ სხვიტორში: „ჩემო ბატონო, ამ სახლს ბალავარი არა აქვს, პირდაპირ კლდეზეა ამოშენებული. მიწისძვრის დროს ამ სოფელში ხის სახლებიც დაირღვა, აკაკის სახლს კი ერთი ბზარიც არ გასჩენია!“

აკაკიც თავის სახლს ჰგავს. მისი შემოქმედება პირდაპირ ხალხის გულიდანაა აღმოცენებული. დროთა ცვლა ბზარს ვერ გაუჩენს.

P.S. დიდი მგოსნის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, მეტადრე პოეტური, თუმცა პროზაულიც, ქართველთა უმრავლესობამ ბავშვობიდანვე იცის. და მაინც, არსებობს ცალკეული ნაწარმოებები, რომლებიც შესაძლოა, ბევრის ყურადღების მიღმა დარჩენილა; მათ შორისაა მოთხრობა „ეშმაკები“, რომელიც გარკვეულწილად „ამოვარდნილია“ ჩვეული, აკაკისეული სამყაროდან და ვინც პირველად წაიკითხავს, უთუოდ გააოცებს დეტექტიურ-მისტიკური შინაარსით. სწორედ ამ გარემოებამ გადაგვაწყვეტინა, „საგანძურის“ მე-8 ტომს „დავსესხებოდით“ და მის გამოსვლამდე, „გზის“ მკითხველისთვის, „ბიბლუსის“ ბლოკში (გვ.65) შეგვეთავაზებინა. ■

„ქართული ბნოგრის სიგანეშია"

თქვენთვის

და თქვენი შეფასებისთვის!



ყოველ ხელმძღვანელს, ყველაზე „ბოსისთან" ერთად

შეიძლება ეწოდოს ქართველი მწერლების ათეული ტომის

ქართული ენციკლოპედია და თანამედროვე პროზის ოქროული ნიგნები

ტომი №7-ისთვის ფიქრობილი

Ყოველის ყოსი **3!** ფასი, სამი ფასით!

ეს ფასი, შეწყვეტა ტიპოგრაფიის,

ძველებმა მხოლოდ

15 - დან - 22 აპრილამდე!

ინფორმაცია ☎ 993 ან სიგელებში ფასი ტომის ფოტოზე ნიგნებისა „ბოსისთან" ფასი 36 ლარი, 36 ლარი

სასურველია პირველი სერიოზული

„ქართული პროზის სიგელების" IV ტომი — ბუნების ფერფლიანები, ბიბილეთ ფალავანდიშვილი, ფოლიანტ ფოლიანტი, ოფლის ტალანტალი და ბუნების ანგელოზებიანი — უკვე ზეციერი ზეციერი ენების ბიბლიოფილნი.

დრო გაჩერდა...

„...არ ვაპირებ მე ჯერ არსად წასვლას...“

ნიკო გომელაურის ამ ქვეყნიდან წასვლა თავზარდამცემი იყო... თუმცა ეს სიტყვები არაფერია იმ ტკივილთან შედარებით, რომელსაც დღეს ათასობით ადამიანი განიცდის. ამ დღეებში უამრავი ცრემლი დაიღვრება, იმ ადამიანის დაკარგვის გამო, რომელიც ხელოვნებასთან, არაორდინარულ შემოქმედთან შეხვედრის უდიდეს ბედნიერებას გვაზიარებდა... ისევ თავად ნიკოს მივცემთ სიტყვას: მასზე უკეთ მის შესახებ ვერავინ მოგვიყვება, თუნდაც — რამდენიმე სტროფითა და „გზის“ ფურცლებზე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ინტერვიუებიდან ამოკრებილი ნაწყვეტებით შემოვიფარგლოთ...

„არ ჩერდებაო დრო,
ვიღაცა ბრძენმა ბრძანა...
და ეთანხმება ბრბო,
ასე არ არის განა?!

— როცა მოცარტი ნოტებს არჩევდა,
დროებით შერცხვა დროს
და გაჩერდა...“

ნიკო გომელაური:

„— ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ქვეყანაზე ბოროტებისთვის კი არა, სიყვარულისთვის ვართ გაჩენილები. ნამდვილი გრძნობით ნათქვამი „მიყვარხარ“ არასოდეს გაუფასურდება... მთავარი ისევ და ისევ, სიყვარულია. ეს გრძნობა ყველაფრის დასაბამი უნდა იყოს“ (2010 წლის მარტი).

„ჩემი ლექსები დღეს
შენ გეძღვნება,
თუმცა მცირეა, ვიცი, ეს ძღვენი.
მაგრამ თუ გინდა,
ფრენის შეგრძნება,
მოდი, მომენდე, მოდი,
მიგრძენი...“

„— ნიკო, ბოლო დროს ძალიან პოპულარული ხარ და ამაზე გუშინდელი დღეც მეტყველებს — „ბიბლუსში“ ახალგაზრდების ტევა არ იყო.

— კარგია, თუ მოზარდები ბევრ წიგნს წაიკითხავენ, წიგნთან ურთიერთობის კულტურა ექნებათ. ეს შეხვედრა ლამის, პოეზიის საღამოდ იქცა. ახალგაზრდებს ჩემი ბევრი გამოუქვეყნებელი ლექსიც გავაცანი, ისინი კი ინტერესით მისმენდნენ.

— ერთ-ერთმა მწერალმა ინტერვიუში თქვა, — არა მგონია, ჩემი მუზა დიდი პატიოსანი ვინმე იყოსო. შენი მუზა როგორია?

— (*იცინის*) არც შეიძლება, მუზა პატიოსანი იყოს. ჩემს მუზას როგორ დავახასიათებ? (*პაუზის შემდეგ*) თავხედია, ძალიან თავხედი.

— როდის მოდის ხოლმე?

— როცა თავად უნდა, მაშინ მოდის და თავხედი სწორედ ამიტომაა. ის ხშირად ცელქობს კიდეც, თავისუფალია. სიმართლე გითხრა, არ ვზივარ და არ ვუხმობ, მაგრამ დიდი ხნით მაინც არ მტოვებს.

— თავად რას კითხულობ?

— ბოლო დროს პუბლიცისტიკას და ბიოგრაფიულ ლიტერატურას ვკითხულობ. ქართველი პოეტებიდან გალაკტიონი, მუხრან მაჭავარიანი და ვაჟა-ფშაველა მიყვარს.

— პროზაიკოსებიდან ვის გამოარჩევ?

— ...უცხოელი ავტორებიდან პუშკინი, დოსტოევსკი, შექსპირი, დიუმა მომწონს. თავის დროზე, ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ანტონ ჩეხოვის შემოქმედებამაც; კიდევ, სახარება მიყვარს ძალიან. ერთხელ ჩემს მეგობარ ბულგარელ გოგონას სახარება ვაჩუქე. ის ათეისტი იყო და ვიფიქრე, — ეგებ, მოექცესმეთქი. მის სახლში რომ მივედი, შევამჩნიე, ჩემი ნაჩუქარი წიგნი უდიერად ეგდო. მოვიპარე და უკან წამოვიღე“ *(2009 წლის დეკემბერი).*

„— საკუთარ გემოვნებაზე არასდროს დავფიქრებულვარ. არა მგონია, რომ უგემოვნო ვიყო... არ მიყვარს ისე ჩაცმა, რომ ხალხისგან გამოვირჩეოდე და ყურადღების ცენტრში ვიყო. სასაცილოა, როცა უგემოვნო ადამიანები ხშირად საკუთარ გემოვნებას აქებენ. ისიც არ მესმის, როცა ამბობენ, რომ გემოვნებაზე არ დაობენო. არადა, ყველაზე ხშირად სწორედ გემოვნებაზე იწყება დავა.

— როგორ ფიქრობ, ადამიანის გემოვნება ან უგემოვნობა რაში ვლინდება?

— ყველაფერში, დაწყებული ჩაცმულობით, საახლობლო წრის შერჩევით დამთავრებული; თუნდაც ლაპარაკის მანერასა და ანეკდოტების მოყოლაში — ეს ყველაფერი გემოვნებაა. მაგრამ არ ვიცი, ის როგორ უყალიბდება ადამიანს. გენეტიკურია თუ, ყველაფერი იმ გარემოზეა დამოკიდებული, რომელშიც იზრდება?!

— თუ გახსოვს, პირველად რომელმა წიგნმა ან მელოდიამ იმოქმედა შენზე ისე, რომ გემოვნება რადიკალურად შეგეცვალა?

— არ ვარ მიმბაძველი ადამიანი. არავისთვის არაფერში მიმიბაძავს. ვფიქრობ, რომ გემოვნება თავისთავად ჩამომიყალიბდა... მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად დახვეწილია ის“ *(2008 წლის დეკემბერი).*

„დაუქოქავი საათი,
ვითხოვ ღირსეულ წრეს.
დროსთან გავმართე კამათი,
დრო არ ჩერდება, წვეთს...

წლები წინდაწინ იწევენ,
ითხოვენ თავის წილს.
ანგარიშს არც კი მიწევენ.
ცოტა არ იყოს, მწყინს.

წვეთენ წამები, წუთები.
დრო სისხლს და სახსრებს მწოვს.
დროს ხომ ვერ გაებუტები?
ხათრი არა აქვს დროს...“

„— რას განიცდით, როდესაც მღერით „ტანგოს“ („მწვანე ტანგო“ — კლიპი სიმღერაზე, რომელიც ნიკო გომელაურის ტექსტზე საგანგებოდ ნიკოსთვის, კომპოზიტორმა კოტე მალანიამ დაწერა. — რედ.)?

— „ტანგო“ საერთოდ საოცარ ვნებას აღძრავს ადამიანში (*იცინის*)... კლიპში ბევრი ადამიანი მონაწილეებს, მათი უმრავლესობა „თავისუფალი თეატრის“ მსახიობია, პარტნიორობას კი ახალგაზრდა მსახიობი — ეკა აფშილავა მიწევს. სპეციალურად გავექეცით იმას, რომ ცნობილი სახეები გადაგვეღო, კლიპში არ გვინდოდა გაცვეთილი, ეგრეთ წოდებული „ფეისები“. თუმცა ის მსახიობები, რომლებიც ამ ვიდეორგოლში მონაწილეობენ, თეატრალური საზოგადოებისთვის საკმაოდ ცნობილები არიან.

— ბატონო ნიკო, როგორც აღნიშნეთ, „ტანგო“ ვნებასთან ასოცირდება. ამბობენ, ვნება „წითელი ფერის“ არისო. თქვენ კი „ტანგოს“ მწვანე შეფერილობა მიეცით. რატომ?

— მე ვნება მწვანე ფერის მგონია, ეს არის და ეს (*იცინის*). მას „ტანგოს“ გემო და ბანანის სურნელი აქვს. რა ვქნა, თუ ასეთია ნიკო გომელაურის ვნების კოქტეილი?..“ *(2009 წლის მარტი)*

„მე რომ წავალ,
ალბათ იტყვის დედა,
ეს რა კარგი გამიზრდია შვილი,
და ინატრებს, ის დღე მისცა ნეტავ.
პირველად რომ დამიკერა ღილი.
როცა წავალ, გაიხსენებს მამა,
პირველად რომ მნახა უკვე დიდი,
კარგია, რომ არ გამათამამა,
კარგია, რომ ასე კარგად მსჯიდი.
წავალ, მჯერა, მერე იტყვის ქალი,
შესაძლოა, დაიღვაროს ცრემლად,
ეცოცხლაო, ყოფილიყო მთვრალი,
მთავარია, ვიქნებოდით ერთად.
მე არ ვიცი, რას იფიქრებს შვილი,
ალბათ ცუდს და ალბათ ცოტა კარგსაც.
თვითონ ვიცი, მოვაკელი ხილი
და ვაკლებდი ნაყინსაც და მარწყვსაც.
რას იტყვიან ძმები, წავალ როცა,
ალბათ იქაც შემფიცებენ ძმობას.

ჩემ გარეშე დაიცლება ბოცა,
ჩემ გარეშე აჰყვებიან გრძნობას
იქ კი ვიცი, ვინც დამხვდება, იტყვის,
მუდამ სცდიდა თავის ბედს და წერას,
კარგი არ უკეთებია თითქმის,
თუ არ ჩავთვლით რაღაც ლექსის წერას.
მე მინდა, რომ ვუპასუხო ყველას —
ქალებს, შვილებს, ჩემიანებს, მასას,
მოერიდონ უსაფუძვლო ღელვას
არ ვაპირებ
მე ჯერ არსად წასვლას...“

■

ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

OXFORD HOUSE

გთავაზობთ უცხო ენების შესწავლას უმოკლეს ვადაში:
- ზოგადი ინგლისური
- ბიზნესინგლისური
- პოლიტიკური ტერმინოლოგია
- საბავშვო პროგრამები.

სწავლება მიმდინარეობს უახლესი სახელმძღვანელოებითა და მეთოდებით. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საუბარს, მოსმენას, გრამატიკას, წერისა და კითხვის უნარების გაუმჯობესებას.

ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲙᲐᲢᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲛᲝᲘᲒᲔᲗ ᲓᲠᲝ! ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲗᲐᲜ!

ᲛᲘᲡ.: ᲠᲔᲖᲝ ᲗᲐᲑᲐᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ Ქ. №1 (ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲗᲐᲜ)
ᲢᲔᲚ.: 99-56-76; 890 115-115

ქვეყანა

ავიაკატასტროფა თუ 70 წლის წინანდელი პოლიტიკის „მოდერნიზებული“ გაგრძელება?

რუსეთის გავლენის სფერო ფართოვდება

პოსტსაბჭოთა სივრცეში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით შეშფოთებული ქართველი პოლიტიკური ექსპერტები ახალი საფრთხეების შესახებ საუბრობენ. რგოლი ადამიანებისთვისაც კი ცხადი ხდება, რომ რეგიონში მომხდარი ყველა მოვლენა მოსკოვის წისქვილზე ასხამს წყალს. ერთ დღეში ნადგურდება პოლონეთის პოლიტელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი და პრეზიდენტი, რომელიც რუსეთის მიმართ განსაკუთრებულად კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა; ყირგიზეთში ხდება გადატრიალება და დროებითი მთავრობის ხელმძღვანელად გვევლინება ალმაზბეკ ატამბაევი, რომელიც რუსეთის ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერით სარგებლობს; უკრაინის პრეზიდენტი ოფიციალურად ამბობს უარს ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაციაზე... ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ რუსეთი ყირგიზეთს ფინანსურ მხარდაჭერას უცხადებს, უკრაინას კი 5-6 მლრდ დოლარის ოდენობის კრედიტს აძლევს. რა ხდება რეალურად პოსტსაბჭოთა სივრცეში? იბრუნებს თუ არა რუსეთი ძველი გავლენის სფეროებს და არსებობს თუ არა იმის საფრთხე, რომ „ყირგიზული მოდელი“ საქართველოშიც განხორციელდეს? ამ საკითხებთან დაკავშირებით პოლიტიკური ექსპერტები — სოსო ცისკარიშვილი და რამაზ საყვარელიძე გვესაუბრებიან.

ᲡᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔ

— ევროპელი და რუსი ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ყირგიზეთის რევოლუციაში გარკვეული წვლილი რუსეთის ხელისუფლებას მიუძღვის, კულუარებში სმოლენსკის ტრაგედიაში პუტინის წვლილზეც აქტიურად საუბრობენ. თქვენ თუ ხედავთ რაიმე კავშირს ამ ორ მოვლენას შორის?

სოსო ცისკარიშვილი:

— სმოლენსკის ტრაგედია ანუ „ტუ-154“-ის კატასტროფა და პოლონეთის ხელისუფლების ამ პლანეტიდან აორთქლება ნამდვილად შედიოდა რუსეთის ინტერესებში. ეს არ იყო მხოლოდ რუსული პოლიტიკური ელიტის ახდენილი ოცნება — მე ვნახე, რას წერენ ამ ფაქტთან დაკავშირებით ინტერნეტ-საიტებზე რიგითი, რუსი მოქალაქეები: ისინი აშკარა, დაუფარავ სიხარულს გამოხატავენ პოლონეთის პრეზიდენტის დაღუპვის გამო.

რამაზ საყვარელიძე:

— მე სმოლენსკის ტრაგედიაში რუსული კვალის არსებობა სწორედ იმიტომ მეეჭვება, რომ ყველაზე მეტად, პოლონეთის ხელისუფლების პლანეტიდან აორთქლება რუსეთს აძლევდა ხელს. დამაჯერებლად არ მიმაჩნია ვერსია იმის შესახებ, რომ კაჩინსკის აფეთქების მიზეზს მისი გადაწყვეტილება (გაეკრიტიკებინა რუსეთი კატინის ტრაგედიის გამო) წარმოადგენდა.

სოსო ცისკარიშვილი:

— ამ ტრაგედიაში პუტინის მონაწილეობის დამტკიცება დოკუმენტურად, მართლაც შეუძლებელი იქნება, მაგრამ საზოგადოებაში არსებობს ძალიან ლოგიკური კითხვები, მაგალითად: რატომ არავინ ხვდებოდა აეროპორტში ასეთი მაღალი რანგის სტუმრებს? ნუთუ რუსეთის ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე აპირებდა პოლონეთის პრეზიდენტი კატინის მსხვერპლთა პატივსაცემი ღონისძიების გამართვას?! ცნობილი გახდა, რომ თვითმფრინავი ვარდნის დროს ხის ტოტებს წამოედო; საინტერესოა, რა მოხდა, რა დამატებითი ზიანი მიადგა „ტუ-154“-ს ისეთი, რომ ერთი კაცი მაინც ვერ გადარჩა ცოცხალი?

რამაზ საყვარელიძე:

— ლოგიკური კითხვები ნამდვილად არსებობს და ეჭვის საფუძველიც გვაქვს, მაგრამ სწორედ ამ ლოგიკიდან გამომდინარე არ გადადგამდა რუსეთი ასეთ ნაბიჯს. დაუჯერებელია, პუტინს არ სცოდნოდა, რომ ამ ტრაგედიაში ყველა, რუსული კვალის ძიებას დაიწყებდა. თუმცა უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი...

— თქვენ აზრით, კაჩინსკის დაღუპვა პოლონეთის პოლიტიკური კურსის შეცვლას გამოიწვევს?

რამაზ საყვარელიძე:

— არა მგონია, იმიტომ, რომ ბოლო დროს პოლონეთის რუსეთისადმი მკაცრი დამოკიდებულება ისედაც შერბილებული იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ქვეყნის პოლიტიკურ კურსს პრორუსული ორიენტაციის პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავდა. გარდა ამისა, ლაპარაკია იმაზეც, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად კაჩინსკის ძმის კანდიდატურას დაასახელებენ, რომელიც ადრინდელი პოლიტიკური კურსის შენარჩუნებას ყველანაირად შეეცდება.

სოსო ცისკარიშვილი:

— ჩემი აზრით, რუსეთი ახლა უკვე აშკარად შეეცდება, პოლონეთის დღევანდელი პრემიერ-მინისიტრის გაპრეზიდენტებას შეუწყოს ხელი, მაგრამ თავზარდაცემული და შეურაცხყოფილი პოლონელი ხალხის უმრავლესობა ამას არ დაუშვებს. უახლოეს მომავალში პოლონეთის რუსიფიკაცია გამორიცხულია. პოლონურ პრესაში წერენ იმის შესახებ, რომ გრძელდება პოლონეთის შეურაცხყოფა, როდესაც „ტუ-154“-ის კატასტროფა ძალზე გამოცდილ პილოტს ჰბრალდება. ზოგიერთი პოლონელი პოლიტიკოსი უკვე დაუფარავად აცხადებს, რომ ამ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება.

— სმოლენსკის ტრაგედია ერთადერთი არ არის, სადაც რუსული კვალი ნათლად ჩანს. რუსული კვალი ჩანს ყირგიზეთსა და უკრაინაში განვითარებულ მოვლენებშიც. როგორ ფიქრობთ — მოახერხებს რუსეთი თავისი გავლენის სფეროების დაბრუნებას?

— ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაჰყვება დანარჩენი მსოფლიო რუსეთის სურვილის — გახდეს ჰეგემონი. მე თუ მკითხავთ, რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვის“ სურვილი ემყარება ამერიკულ-ევროპულ მიამიტურ ხედვას იმის თაობაზე, რომ რუსეთის იმპერიული ამბიციები მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცით შეიძლება შემოიფარგლოს.

— ეი. ამერიკა და რუსეთი გავლენის სფეროებს თავიდან ინაწილებენ?

რამაზ საყვარელიძე:

— როგორც ამერიკულმა მხარემ განაცხადა, ბაკიევს თავშესაფრის ძებნაში ხელს არ შეუწყობს. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ვაშინგტონი ყირგიზეთში მომხდარ მოვლენებში მის საწინააღმდეგოდ გადადგმულ ნაბიჯებს ვერ ხედავს. ბაკიევის პოლიტიკით ვაშინგტონი ნამდვილად არ იყო მოხიბლული: ის ჯერ დათანხმდა, რომ თავის ტერიტორიაზე ამერიკული ბაზა განთავსებინა, შემდეგ ამაზე უარი თქვა, ბოლოს კი პირობის შესრულების სანაცვლოდ, ფული მოითხოვა. შესაძლოა, ყირგიზეთთან დაკავშირებით, ამერიკა და რუსეთი რაღაც-რაღაცებზე შეთანხმდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში მომხდარი რევოლუცია რუსეთის მიერ იყო დაგეგმილი. მოსკოვის ხელით რაღაც პროცესები ნამდვილად იმართება, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ პროცესებს თავისი ბუნებრივი ტემპიც აქვს. უკრაინასა და ყირგიზეთში ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ გარე ფაქტორებით არ იყო გამოწვეული. როდესაც ამა თუ იმ ქვეყანას საშინაო პრობლემა უხვად აქვს, ამას დაინტერესებული მხარე უეჭველად გამოიყენებს.



სოსო ცისკარიშვილი:

— რეგიონში რუსეთის სასარგებლოდ მოვლენების განვითარება იმას არ ნიშნავს, რომ მოსკოვი თავად მართავს ამ პროცესებს. როდესაც უკრაინაში მილიონობით ადამიანი ხმას აძლევს პრო-რუსული ორიენტაციის პრეზიდენტობის კანდიდატს, ეს მხოლოდ რუსეთის გავლენის კი არა, არამედ უკრაინაში დაშვებული შეცდომების შედეგიცაა. იმავეს თქმა შეიძლება ყირგიზეთზეც. ამ ქვეყნის გაგდებული და არგადამდგარი პრეზიდენტი საგარეო პოლიტიკაში ორი კურდღლის დაჭერას ცდილობდა, მაგრამ საბოლოოდ, ერთიც ვერ დაიჭირა.

— საშინაო პრობლემა საქართველოსაც უხვად აქვს. მგონი, ქართველი პოლიტიკოსებიც ცდილობენ ორი კურდღლის დაჭერას — ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი (მაგალითად, ვანო მერაბიშვილი) უკვე ღიად აკრიტიკებს ევროპას. რუსეთს თავისი პოლიტიკური ზრახვების განხორციელების შანსს ჩვენც ხომ არ ვაძლევთ?

რამაზ საყვარელიძე:

— ეს შიში უსაფუძვლო არ არის. ადვილი შესაძლებელია, რომ „იმიტირებული „ქრონიკის“ მსგავსმა გადაცემებმა და მაღალჩინოსანი პოლიტიკოსების მიერ დასავლეთის კრიტიკამ რუსეთი წააქეზოს, მაგრამ როგორც რუსი ანალიტიკოსები ამბობენ, რუსეთმა საქართველოსთან მიმართებით საკუთარ მიზანს უკვე მიაღწია და აქ ყირგიზეთის მსგავსი მოვლენების განვითარება უბრალოდ, აღარ სჭირდება.

— რას გულისხმობთ?

— რუსეთს საქართველოში აქვს სამხედრო ბაზა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ანკლავი მის განკარგულებაშია... რაც შეეხება ხელისუფლების შეცვლას, ეს შეიძლება, სულაც არ შედის რუსეთის ინტერესებში, იმიტომ, რომ დღეს ჩვენ გვყავს ომში დამარცხებული მთავრობა, რომელსაც უამრავი პრობლემა აქვს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

— ეი. პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაფერი ისეა, როგორც რუსეთს სურს... ამერიკამ საბოლოოდ დათმო თავისი პოზიციები ამ რეგიონში?

სოსო ცისკარიშვილი:

— ის ფაქტი, რომ 3 შემთხვევაში სცენარი რუსეთისთვის სასარგებლოდ განვითარდა, იმას არ ნიშნავს, რომ მომავალშიც ასევე გაგრძელდება... პოსტსაბჭოთა სივრცეში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების საპასუხოდ, ამერიკას ჯერ ნაბიჯიც არ გადაუდგამს...

— რა ნაბიჯებს შეიძლება ველოდეთ ამერიკისგან?

— ამერიკას ექნება სამი, განსხვავებული მიდგომა — ყაზახეთის, უკრაინის და პოლონეთის მიმართ. ყველაფერი ამ ქვეყნების პოტენციალსა და საზოგადოების სურვილზეა დამოკიდებული. პოლონეთის მოსახლეობას არჩევანი უკვე გაკეთებული აქვს და ვერც ერთი რუსი ხელისუფალი ვერაფერს შეცვლის. ევროკავშირი და ნატო საბავშვო ბაღი არ არის, რომ იქ დილით ბავშვი მიაბარო და საღამოს იქიდან გამოიყვანო. თუ ქვეყნის შიგნით არ არის პრობლემები, ვერანაირი გარე ფაქტორი მასზე გავლენას ვერ მოახდენს.

— ამ კუთხით, საქართველო რა პოზიციაშია?

— იმედი მაქვს, ჯერ კიდევ ყველაფერი არ გვაქვს დაკარგული. უკვე ცხადია, რომ ჩვენ გვაქვს მარტოდ დარჩენისა და შემდეგ ახალი პატრონის პოვნის ნიჭი; ახლა თანამშრომლობის ნიჭსაც თუ გამოვამჟღავნებთ, რაღაც მაინც გვეშველება. არავითარ შემთხვევაში, აზრადაც არ უნდა გავიგლოთ იმ პოლიტიკური სტრატეგიის შეცვლა, რომელიც არჩეული გვაქვს, — დასავლეთის ცივილიზაციაში ინტეგრაციას ვგულისხმობ. ეს ორიენტირი მუდმივი უნდა იყოს და ხელისუფლებას ევროპული ღირებულებების დისკრედიტაციის საშუალება არ უნდა მივცეთ.

P.S. ბუნებრივია, რომ სმოლენსკის მახლობლად მომხდარმა ტრაგედიამ მთელ მსოფლიოს გაახსენა 70 წლის წინანდელი დანაშაული, რომელიც დღევანდელი რუსეთის „პირდაპირი შთამომავლის“ — საბჭოთა კავშირის დიქტატორულმა რეჟიმმა ჩაიდინა. „კატინის საქმე“ ბევრისთვის დღესაც ბურუსითაა მოცული, ამიტომ აქვე გთავაზობთ წერილს, რომელშიც მოთხრობილია, თუ რა მოხდა II მსოფლიო ომის დროს სმოლენსკის მახლობლად მდებარე დაბა კატინში. ■



ლაბორატორია „დნმ-დიაგნოსტიკა“
პჯრ (PCR) — მეთოდი

1. გენომური დაქტილოსკოპია (სადავო მამობის დადგენა);
2. მემკვიდრული დაავადებების დიაგნოსტიკა;
3. ონკოლოგიური და გენეტიკური დაავადებებისადმი მიდრეკილების განსაზღვრა;
4. სქესობრივი გზით გადამდები ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების დიაგნოსტიკა:
   - ორივე სქესის პაციენტთა გამოკვლევა ქორწინებამდე;
   - ორსულობის შეწყვეტისა (თვითნებური აბორტი) და ნაყოფის სიმახინჯეების გამომწვევი მიზეზების დიაგნოსტიკა;
   - საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების გამომწვევი ყველა მაღალი ონკოგენური ტიპების პაპილომავირუსის გამოვლენა;
   - B, D და C ჰეპატიტების დიაგნოსტიკა;
   - C — ჰეპატიტის გენოტიპირება.

კონსულტაცია უფასოა

ქ. თბილისი, ა.ყაზბეგის გამზ. 14ბ, ტელ: (995 32) 18-37-84; (899) 55 61 97; (877) 94 94 13; dna_diagnostics@hotmail.com

„კატინის საქმე“ — საზარელი დანაშაული პოლონელი ხალხის წინააღმდეგ

1940 წლის მარტის თვეში რუსეთში, სმოლენსკის ოლქის პატარა სოფელ კატინის მახლობლად, უსიერ ტყეში „ენკავედეს“ (საბჭოთა კავშირის შინსახკომის) მესვეურებმა 22 ათასამდე პოლონელი სამხედრო ტყვე დახვრიტეს. ეს კომუნისტური რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე საზარელი და მკაცრად გასაიდუმლოებული დანაშაული იყო, რომლის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მხოლოდ 2004 წლიდან გახდა ცნობილი — მაშინ პოლონეთის სახალხო ხსოვნის ინსტიტუტის სპეციალურმა კომისიამ დეტალურად გამოიძია კატინის საქმე და სხვათა შორის, მთელი პასუხისმგებლობა რუსეთს დააკისრა...

მიხეილ ლაბაძე

1939 წლის 1-ელ სექტემბერს ფაშისტურმა გერმანიამ ომის გამოუცხადებლად გადალახა პოლონეთის საზღვარი და ქვეყნის დედაქალაქ ვარშავის მიმართულებით შეტევა წამოიწყო. სულ რაღაც ორიოდე კვირის შემდეგ — 17 სექტემბერს, პოლონეთის აღმოსავლეთ რაიონებში წითელი არმია შეიჭრა. გერმანიისა და საბჭოთა კავშირის არმიები ერთმანეთს ე.წ. „კერზონის ხაზზე“ — დღევანდელი ქალაქ ბრესტის მახლობლად 27 სექტემბერს შეხვდნენ. ამგვარად, ჰიტლერმა და სტალინმა პოლონეთი, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის თანახმად, შუაზე გაიყვეს.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთისათვის ოფიციალურად, ომი არც საბჭოთა კავშირს გამოუცხადებია — მოსკოვმა შემდგომში არაერთხელ განაცხადა, რომ წითელმა არმიამ პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილი იმისთვის დაიკავა, რომ იქ მცხოვრები უკრაინელები და ბელორუსები ჰიტლერული აგრესიისაგან დაეცვა. იმ დროისათვის პოლონეთის აღმოსავლეთში 1 მლნ ბელორუსი და 2 მლნ უკრაინელი მართლაც ცხოვრობდა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი უკვე კარგა ხნის ინტეგრირებული იყო პოლონურ სამყაროსთან, სეპარატისტული მისწრაფებები კი მხოლოდ ერთეულებს თუ ჰქონდათ. პოლონეთის უკრაინულ-ბელორუსულ მოსახლეობაში ანტიპოლონური განწყობილების გაღვივებას ტრადიციულად, სწორედ გერმანია და რუსეთი უწყობდნენ ხელს.

აღმოსავლეთ ევროპაში მაშინ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საქმე დასწრებაზე იყო: თუ სტალინი არ იჩქარებდა, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი შეიძლებოდა, ფარატინა ქაღალდად ქცეულიყო და ამიტომაც, წითელმა არმიამ ფორსირებული შეტევით ჯერ პოლონეთის აღმოსავლეთი რაიონები დაიკავა, ხოლო 1940 წლის პირველ ნახევარში — ბალტიისპირეთის სახელმწიფოებიც დაიპყრო.

წითელი არმიის მიერ დატყვევებული პოლონელი ოფიცრები

საბჭოთა ჯარის შემოჭრის დროისათვის, პოლონეთის აღმოსავლეთ რაიონებში მასობრივი პანიკა სუფევდა — ვარშავაზე ფაშისტური გერმანიის შემოტევას პოლონურმა ჯარმა ვერ გაუძლო და პანიკურად უკან დახევა დაიწყო. ამგვარად, წითელ არმიას დეზორგანიზებული პოლონელების დამარცხება დიდად არ გასჭირვებია — მით უმეტეს, რომ პოლონეთის არმიის სარდალმა რიდე-სმიგლიმ 17 სექტემბერსვე რადიოთი სპეციალური განცხადება გააკეთა, მოსახლეობას წითელი არმიის შემოჭრის შესახებ ამცნო და ჯარს მოუწოდა, რუმინეთისა ან უნგრეთისათვის შეეფარებინა თავი, ვიდრე საფრანგეთი და ინგლისი (პოლონეთთან 1939 წლის 25 აგვისტოს დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულების თანახმად) ომში არ ჩაებმებოდნენ.

პოლონელთა საუბედუროდ, ამ ორი სახელმწიფოს მესვეურებმა ომში ჩაბმისაგან თავი იმ მოტივით შეიკავეს, რომ ხელშეკრულებაში მხოლოდ გერმანიის მხრიდან აგრესია იყო ნახსენები. ასე რომ, ლონდონმა და პარიზმა თავიანთი მოკავშირე საბოლოოდ გაწირეს, როცა საბჭოთა აგრესიას ჩუმად შეხვდნენ.

ამრიგად, პოლონეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ევროპის რუკიდან გაქრა — საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის 17-21 სექტემბრის მოლაპარაკების თანახმად, ამ ქვეყნის დასავლეთი ნაწილი გერმანიის, ხოლო აღმოსავლეთი — საბჭოთა კავშირის სამფლობელოდ იქცა. ჰიტლერმაც და სტალინმაც ერთდროულად — 22 სექტემბერს გამოსცეს საგანგებო ბრძანებები პოლონეთის მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ. ამ დროისათვის საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ მყოფ აღმოსავლეთ პოლონეთში 2 მილიონამდე პოლონელი ცხოვრობდა, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოლონურ პასპორტში ეროვნება არ იწერებოდა და ამდენად, ოკუპირებული ტერიტორიების ეროვნული შემადგენლობის თაობაზე ზუსტი ცნობები არც არსებობდა. აქედან გამომდინარე, აღმოსავლეთ რაიონებში ევაკუაციას პირველ რიგში, სამხედრო პირები, პოლიციის პირადი შემადგენლობა და ოფიციალური დაწესებულებების მუშაკები დაექვემდებარნენ, მშვიდობიან მოქალაქეთაგან კი აიყვანეს კათოლიკე სასულიერო პირები და ინტელიგენციის წარმომადგენლები — ისინი, ვინც თავს პოლონელად მიიჩნევდა. ასე რომ, ოკუპირებულ ტერ-

იტორიაზე მხოლოდ გლეხობაღა დარჩა.

ევაკუაციის შესახებ ბრძანების ასრულება, როგორც წესი, „ენკავედეს“ დაევალა — „ჩეკისტებმა“ პოლონელებს განუცხადეს, რომ მათ საცხოვრებლად სხვა ადგილები ჰქონდათ განსაზღვრული და თითოეულის პიროვნების დადგენის შემდეგ, ყველას ახალ საცხოვრის ტერიტორიაზე გადაიყვანდნენ. შესაბამისად, ევაკუირებულთაგან ცალკე გამოყვეს სამხედრო პირები, პოლიციელები და ხელისუფლების წარმომადგენლები; მათ განუცხადეს, რომ გარკვეული ინფორმაციის დასადგენად, „მცირე ხნით“ საგანგებო საკონცენტრაციო ბანაკში დააკავებდნენ. სწორედ ეს ხალხი — სულ 21768 კაცამდე — გადაიყვანეს კატინის, სტარობელსკისა და ოსტაშკოვის გასაიდუმლოებულ საკონცენტრაციო ბანაკებში. ყველაზე მეტი ტუსაღი — 12 ათას კაცამდე — კატინის ბანაკში მოათავსეს...

გერმანელთა მიერ ექსჰუმირებული ტუსაღთა გვამები კატინის ტყეში

2004 წელს, პოლონეთის სახალხო ხსოვნის ინსტიტუტის სპეციალურმა კომისიამ დაადგინა, რომ კატინში გადაყვანილ პოლონელთაგან 7 ათასამდე კაცი წითელი არმიის მიერ დატყვევებული სამხედრო პირი იყო, 200 — კაპელანი (სამხედრო ნაწილის მოძღვარი), დანარჩენები კი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქცეული სავოევოდოების (ოლქების) ხელისუფლების, ჟანდარმერიისა და პოლიციის წარმომადგენლები იყვნენ.

კატინის საკონცენტრაციო ბანაკის ტუსაღთა მასობრივი დახვრეტა დაიწყო 1940 წლის 5 მარტიდან, როცა პოლიტბიურომ საიდუმლო ბრძანება გამოსცა — „ენკავედეს“ ჯალათებს ყველაფერი „უმაღლეს დონეზე“ ჰქონდათ გადაწყვეტილი: ოცეულებად დაწყობილ პოლონელებს ჯერ საერთო საფლავს ათხრევინებდნენ, მერე კი — ხვრეტდნენ; მეორე ოცეულს დახვრეტილებისადმი მიწის მიყრა და მორიგი საფლავის ამოთხრა ევალებოდა, რის შემდეგაც მათაც ხვრეტდნენ და მორიგ ოცეულს იძახებდნენ. ამგვარად, „ჩეკისტებმა“ ყველა ტუსაღი დახვრიტეს და მათ საფლავებზე ეკალბარდები დარგეს(!)... ადგილი, სადაც მასობრივი დახვრეტები განხორციელდა, უსიერ ტყეში მდებარეობს. იქ, სოფელ კატინის ადგილობრივი მოსახლეობა ოდითგან დაიარებოდა შეშის შესაგროვებლად, მაგრამ ჯერ კიდევ 1940 წლის თებერვალში — დახვრეტების დაწყებამდე — „ჩეკისტებმა“ ადგილობრივებს სასტიკად აუკრძალეს ტყეში შესვლა. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ თვით კატინში, რუსებთან ერთად, ცხოვრობდნენ ბელორუსებიც, რომლებიც იქ საკონცენტრაციო ბანაკის გახსნამდე, ციმბირში გადაასახლეს: „ენკავედეს“ მესვეურებს ეშინოდათ, რომ ბელორუსებს ბანაკის პოლონელ ტუსაღებთან ახლო ურთიერთობა არ დაემყარებინათ.

კატინის პარალელურად, მასობრივი დახვრეტები განხორციელდა სტარობელსკის (ხარკოვის მახლობლად) და ოსტაშკოვის (კალინინის ოლქი) ბანაკებშიც. აქვე დავძენთ იმასაც, რომ შემდგომში, საგანგებო ბრძანების მიხედვით, დახვრიტეს ყველა ის „ჩეკისტი“, რომელიც პოლონელთა დახვრეტებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ან ჯალათის მოვალეობას ასრულებდა — 1941 წლისათვის, როცა გერმანია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შემოიჭრა, „კატინის საქმეში“ გარეულთაგან მხოლოდ იოსებ სტალინი, ლავრენტი ბერია და უშიშროების მინისტრი ვსევოლოდ მერკულოვიღა იყვნენ ცოცხლები.

აღსანიშნავია, რომ „კატინის საქმის“ შესახებ პირველად გერმანელთა წყალობით გახდა ცნობილი: 1942-1943 წლებში, როცა მათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიების (მათ შორის



პოლიტბიუროს 1940 წლის 5 მარტის საგანგებო მიმართვა სტალინისადმი, პოლონელ ტყვეთა დახვრეტის შესახებ, ლავრენტი ბერიას ხელმოწერით

სმოლენსკის ოლქის) ოკუპაცია მოახდინეს, ადგილობრივი მოსახლეობისაგან პოლონელი ოფიცრების მასობრივი დახვრეტების შესახებაც შეიტყვეს. ეს საკითხი საგანგებოდ, თავად ჰიტლერმა განიხილა და გადაწყდა, რომ სასწრაფოდ, დახვრეტილთა გვამების ექსჰუმაცია მოეხდინათ. გერმანელებმა საფლავების ზუსტი ადგილმდებარეობა დაადგინეს და საექსჰუმაციო სამუშაოებიც დაიწყეს. 1942 წლის 18 თებერვლიდან 16 მარტამდე მათ 12 ათასამდე გვამი აღმოაჩინეს, რის შესახებაც გერმანიის რადიოთი მაშინვე სპეციალური განცხადებები გაკეთდა. ჰიტლერმა მომხდარში ბრალი სტალინს ოფიციალურად დასდო და კატინში ექსჰუმირებული საფლავების სანახავად, საერთაშორისო წითელი ჯვარიც კი მიიწვია.

საპასუხოდ, ოფიციალურმა მოსკოვმა საერთაშორისო საზოგადოებას განუცხადა, რომ კატინში „ენკავედეს“ არავითარი დახვრეტა არ განუხორციელებია და ყველაფერი „ჰიტლერული პროპაგანდის ნაყოფი“ იყო. მიუხედავად ამისა, იმხანად ლონდონში მყოფმა, პოლონეთის ემიგრანტულმა მთავრობამ სტალინს უგზო-უკვლოდ დაკარგული პოლონელი ოფიცრების სია გაუგზავნა და საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით მოსთხოვა, რომ თუ ეს პირები საბჭოთა ციხეებში, ბანაკებსა ან გადასახლებაში იმყოფებოდნენ, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ და დიდ ბრიტანეთში გადაეყვანათ. კრემლში ამ მოთხოვნას არ გამოხმაურებიან.

1944 წელს, როცა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მეორე ფრონტი გაიხსნა და საბჭოთა კავშირმა საერთაშორისო არენაზე პოზიციები გაიმყარა, „კატინის საქმეზე“ ხმამაღალი საუბარი შეწყდა. ერთი წლის შემდეგ, გერმანიის უპირობო კაპიტულაციისა და ფაშიზმის შედეგების შეფასების ფონზე, იოსებ სტალინმა უკვე „გაწითლებულ“ პოლონეთს რევერანსი გაუკეთა — ამ ქვეყანას, გერმანიის მიერ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ოკუპირებული ისტორიული მიწები დაუბრუნა, რათა ვარშავა აღარასოდეს დაჰბრუნებოდა საბჭოთა კავშირის მიერ 1939 წელს ჩადენილ „ზურგში დარტყმისა“ და კატინის თემებს. სოციალისტურ პოლონეთში „კატინის საქმით“ უბრალო დაინტერესებაც კი აკრძალული გახლდათ. პოლონელები ამაზე კარგა ხანს ვერც საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ საუბრობდნენ. 2004 წელს პოლონეთის სახალხო ხსოვნის ინსტიტუტის სპეციალურმა კომისიამ, დიდი ხნის მუშაობის შემდეგ, დეტალურად გამოიძია „კატინის საქმე“ და მთელი პასუხისმგებლობა რუსეთს დააკისრა. ■

განაჩენი, რომელიც გასაჩივრებას ექვემდებარება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „გზა“, №13-14

თბილისის საქალაქო სასამართლომ ცოტნე გამსახურდიას საქმის განხილვა დაასრულა და მას 8 წლითა და 6 თვით ალუკვეთა თავისუფლება. სხდომის დარბაზი ჩვეულებისამებრ, სავსე იყო გულშემატკივრებით. განაჩენის გამოცხადებას საზოგადოების მძაფრი რეაქცია მოჰყვა. საპროტესტო აქცია სასამართლოს შესასვლელთანაც გაგრძელდა.

თეა ხურცილავა

ცოტნე გამსახურდია წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს. მან თავის ჩვენებაში დეტალურად ისაუბრა დაკავების დღეს მომხდარ ფაქტებზე. დაადასტურა, რომ 27 ოქტომბერს „პროფილაქტიკის“ ეზოში დავით ბაჯელიძეს შეხვდა, მაგრამ კატეგორიულად უარყო მასთან საუბარი. მოგვიანებით, დღისით, კიდევ ერთხელ ნახა მთვრალი დავით ბაჯელიძე, რომელმაც დასალევად დაპატიჟა, მაგრამ არ გაჰყვა. შემდეგ სოფლიდან ჩამოსულ გლეხებს გაესაუბრა, რომლებიც იქვე ახლოს, მაღაზიასთან ნახა და სოფლის არყის გასინჯვა სთხოვეს; თქვა, რომ მათთან 100-200 გრამი არაყი დალია, მაგრამ არ მოეწონა... ამის შემდეგ, საღამო ხანს მომხდარი ფაქტი გაიხსენა: *„შებინდებისას, როცა სახლში ვბრუნდებოდი, უცებ უკნიდან ვიღაცამ თავში ჩამარტყა; მიმაჩნია, რომ ესეც სპეციალურად იყო მოწყობილი. არ ვიცი, თავს ვინ დამესხა. სისხლი მდიოდა და „პროფილაქტიკის“ ეზოში შევედი, სახე ჩამოვიბანე და ცოტა ხანი იქვე ჩამოვჯექი, რადგან ცუდად ვიყავი. როცა სახლთან მივედი, ხალხის ჩოჩქოლი იყო, მანქანებიც ირეოდა. ვიკითხე, რა ხდებოდა, ამ დროს დამაკავეს“*, — აცხადებს ცოტნე გამსახურდია. დეტალურად ისაუბრა, თუ როგორ აღმოჩნდა ვერის სასაფლაოზე, როგორ ითხოვდნენ მისგან დაჭრის ფაქტის აღიარებას და როგორ ემუქრებოდნენ. გამსახურდიას მტკიცებით, მისი დაკავება იქვე, გალის ქუჩაზე მოხდა და საპატრულო პოლიციის ოთხმა თანამშრომელმა განყოფილებაში წაიყვანა. კატეგორიულად უარყო სასამართლოზე დაკითხულ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან კავშირი და დაკავებაში მათი მონაწილეობა. იშვიათია პროცესზე ასეთი მომზადებული განსასჯელი. ცოტნე გამსახურდია ადვოკატების დაუხმარებლად ცდილობდა თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას. ხელში ეჭირა გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, უთითებდა კონკრეტულ მუხლებს და ასაბუთებდა, თუ რა ნაწილში დაირღვა მისი უფლებები.

გამსახურდია მის დაკავებას პოლიტიკას უკავშირებს. მისი განცხადებით, 2006 წელს, როცა საქართველოში დაბრუნდა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორობა შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა: *„ბევრი რამ ჩემმა დამცველებმაც არ იციან, გუბერნატორობის სანაცვლოდ, ჩემთან პოლიტიკური ვაჭრობა დაიწყო, 2 მილიონ დოლარს მთავაზობდნენ „ვაჭრობის“ პროცესში; ძალიან უნდოდათ ჩემი სახელის გამოყენება, მაგრამ ამაზე წამსვლელი არ ვიყავი... როდესაც მამაჩემი ჩამოვასვენე, მაშინაც მოდიოდნენ ადამიანები წინადადებებით, უნდოდათ, ესეც პიარ-აქციებისთვის გამოეყენებინათ, მაგრამ უარი ვთქვი და ამიტომაც დამატყდა*

გაგრძელება იხ. გვ. 89

"ავერსი" მისთვისთან გაბრავლებას!

[illegible]

"ავერსი" მისთვისთან ჯანმრთელობას და სრულიად სიმშვიდეს!

[illegible]

WWW.AVERSI.GE

სახე

ქალბატონი, რომელმაც ზაზა ფაჩულიას კარიერაში გადამწყვეტი როლი ითამაშა

ჩემი რესპონდენტი მიზანდასახული, შრომისმოყვარე და საკმაოდ აქტიური ადამიანია. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებამ არაერთი განსაცდელი მოუვლინა, დღეს თავს უბედნიერეს ქალბატონად მიიჩნევს. ამბობს, რომ იუმორის გრძნობამ იხსნა და გადაარჩინა. ეს გრძნობა მართლაც, არ ღალატობს — ამაში მასთან საუბრისას მეც დავრწმუნდი...

„თუნდაც იმისთვის ღირდა ცხოვრება, რომ ზაზა გამეჩინა"

ლალი ფაცია

ჩემი თანამოსაუბრე ანაკლიაში დაიბადა და სენაკში, პედაგოგების ოჯახში გაიზარდა. დამთავრებული აქვს სამკურნალო ფიზკულტურის ფაკულტეტი... იმის გამო, რომ მაღალი (182 სმ) იყო, ერთი პერიოდი, კალათბურთს თბილისის „დინამოშიც" თამაშობდა. მაგრამ ახლა ამბობს, რომ დიდი კალათბურთელი არასდროს ყოფილა. „შეიძლება ითქვას, რომ კალათბურთისთვის ცოტა ნაზიც გახლდით, რადგანაც ფიზიკურად ძლიერი არ ვყოფილვარ. ბიჭს არ ექნება სხეულზე იმდენი ნაიარევი, რამდენიც მე მაქვს, სულ მოედანზე „ვეგდე..." — ამბობს ქალბატონი ***მარინა კოდუა****, რომელიც დღეს უკვე წარმატებული კალათბურთელის — ზაზა ფაჩულიას დედაა. „ზაზა რაღაცებში მგავს. ბავშვობაში ისიც ხშირად ეცემოდა... ახლაც, მოედანზე რამდენჯერაც დაეცემა, ვიტყვი, — დედას ჰგავს-მეთქი, რადგანაც მამა ფიზიკურად ძალიან ძლიერი ჰყავდა, ისიც სპორტსმენი იყო.*



რასაც არ მინდოდა, რომ ზაზა გაჰყოლოდა, ეს კალათბურთი გახლდათ

— მამაც მაღალი იყო?

— კი, მაგრამ ზაზამ ყველას გვაჯობა — სიმაღლეში 210 სმ-ია. რასაც არ მინდოდა, რომ ზაზა გაჰყოლოდა, ეს კალათბურთი გახლდათ. ბავშვობაში, კალათბურთის გარდა, სპორტის თითქმის ყველა სახეობაზე დამყავდა. ამასთან, ფორტეპიანოზე, გიტარაზე, უცხო ენებზე, ცეკვაზეც ვატარებდი, მაგრამ ცეკვიდან გამოგვიშვეს — ისეთი მაღალი იყო, რომ შესაფერისი მეწყვილე ვერ უშოვეს (*იღიმება*). საბოლოოდ კი იძულებული გავხდი, მაინც კალათბურთზე შემეყვანა...

— საკმაოდ ახალგაზრდა ქალბატონი ბრძანდებით და როგორც ჩანს, ზაზა ადრეულ ასაკში შეგეძინათ, არა?

— 22 წლის ვიყავი, დედა რომ გავხდი; სხვათა შორის, ზაზა ათთვიანი დაიბადა — „გადამწიფებული" და „ბებერი" იყო (*იცინის*)... არ მიყვარს, შვილებს რომ აქებენ, მაგრამ მართლა ძალიან ჭკვიანი ბავშვი გახლდათ, ამავე დროს, კარგი აღსაზრდელიც...

— როდის მიხვდით, რომ ის პროფესიონალი კალათბურთელი გამოვიდოდა?

— თავიდანვე ვიცოდი, რომ კალათბურთს გაჰყვებოდა, რადგანაც კარგად სწავლობდა: კალათბურთი რომ ითამაშო, ჭკუაა საჭირო, თუ ჭკვიანი არ ხარ და სწორად არ აზროვნებ, ვერ ითამაშებ. ეს კარგად ვიცოდი, რადგანაც თავად კალათბურთელი გახლდით და საკალათბურთო „სამზარეულო" ჩემთვის ნაცნობი იყო. მიუხედავად იმისა, რომ არ ვიყავი დიდი სპორტსმენი, კარგად ვაზროვნებდი — მოედანსაც ვხედავდი და ვხედავდი ჩემს შვილშიც იმას — თუ კალათბურთზე შევიყვანდი, აუცილებლად კარგი მოთამაშე გამოვიდოდა, რისთვისაც ზაზა მენანებოდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ პროფესიონ-

ალური სპორტი ჯანმრთელობისთვის სახარბიელო არ არის. სპორტსმენები უზარმაზარ ენერგიას ხარჯავენ... ღმერთო, კარგად მიმყოფე შვილი, მაგრამ რასაც ახლა იღებს, ალბათ მომავალში იმ თანხის ნახევარი მის მკურნალობას მაინც დასჭირდება!.. ჯერ 26 წლისაა და უკვე 3 კბილი აკლია. მოედანზე თამაშის დროს იდაყვი მიარტყეს და კბილები ამიტომ დაკარგა. არაერთი ტრავმა აქვს მიღებული, დასვენება მისთვის არ არის და გართობა. სპორტის გამო უამრავი შეზღუდვა აქვს. ხუმრობა ხომ არ არის ამხელა დატვირთვა?! თან, ფერადკანიანებთან „ჭიდაობა“ არ არის ადვილი. ისინი ძალიან ძლიერები არიან, ფიზიკური მონაცემებიც განსხვავებული აქვთ, შეიძლება ითქვას, რომ სპორტისთვის არიან გაჩენილები. თეთრკანიანებს მათთან შედარებით, ყოველთვის უჭირთ. ევროპული კალათბურთი სრულიად სხვა რამ არის, მასში ტვინი უფრო მეტად არის ჩართული, ხოლო ფიზიკური ძალა მეორეხარისხოვანია. ფერადკანიანებთან კი — პირიქითაა. საოცარი ენერგია სჭირდება ადამიანს, რომ მათ გაუთანაბრდეს და შეეჭიდოს. ის კი არა, კუნთების წყობაც კი სხვანაირი აქვთ. სეზონის წინ, დიდხანს არ ვარჯიშობენ, ფორმაში მოსასვლელად, ერთი კვირაც ჰყოფნით... ზაზა ვარჯიშს 2 თვით ადრე იწყებს, რომ ფორმაში ჩადგეს.

— როგორც აღნიშნეთ, ზაზა ძალიან ადვილი აღსაზრდელი იყო...

— კი, მაგრამ ძალზე თავისებური ბავშვი იყო. ერთხელ, ბაღში, ჩიტი დახატა, რომელსაც ოთხი ფეხი მიუხატა. მასწავლებელი, მე, მამამისი — ყველანი ვუხსნიდით, რომ ჩიტს ოთხი ფეხი არა აქვს, ის კი დაჟინებით ამბობდა, — ეს ამერიკული ჩიტიაო! — ასეთი წარმოდგენა ჰქონდა, ვერაფრით გადავათქმევინეთ... ყოველთვის თავისებური ხედვა ჰქონდა. ბავშვობიდან მიზანდასახული იყო... საერთოდ, მატერიალურად ძლიერი ოჯახიდან ვიყავი და ამის წყალობით, არაფერი გვაკლდა, მაგრამ 90-იან წლებში საქართველოში ისეთი რთული ცხოვრება დაიწყო, როგორც ყველას, ჩვენც გაგვიჭირდა. ყველაფერი გავყიდე იმისთვის, რომ ზაზას დემირელის კოლეჯში ესწავლა. გადასარევად სწავლობდა, ყველა ტურში (მათემატიკაში, ფიზიკაში...) იმარჯვებდა და სიგელებს იღებდა. დამოუკიდებელი ბავშვი იყო, ყველაფერს თვითონ აკეთებდა. ერთხელ შევნიშნე, რომ რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა. რას ლაპარაკობ-მეთქი? — ვკითხე. — იცი, რა?.. მე კარგად უნდა ვიცხოვროო, — მითხრა. — როგორ-მეთქი? — ვკითხე. — ბევრი უნდა ვიშრომო და ვისწავლოო. — რას ნიშნავს კარგად ცხოვრება-მეთქი? — უნდა მქონდეს დიდი სახლიო, — და წარმოსახვაში თავისებური გეგმა ჰქონდა. მეორე დღესვე კალათბურთზე შევიყვანე. თუკი ზაზა მომავალში დაძაბულ შრომას აპირებს, სხვა რა გზა მაქვს-მეთქი?! თან, ვატყობდი, რომ მოზღვავებული ენერგიაც ჰქონდა. იმ დროისათვის მეუღლე ავად მყავდა და ოჯახში მხოლოდ მე ვმუშაობდი.

— მეუღლე როდის გარდაგეცვალათ?

— ზაზა 12 წლის იყო, მამა რომ გარდაეცვალა... 11 წლის ასაკში კი კალათბურთზე, ზურა სამხარაძესთან მივიყვანე... ვერ ვიტყვი, რომ ზაზა ნაცემი არ მყავს, ერთხელ ტყუილის გამო ისე ვცემე, რომ დედა-შვილი 2 კვირა საწოლში ვიწექით, სიცხე გვქონდა. მას მერე დასჯის ასეთი მკაცრი მეთოდი მის მიმართ აღარ გამომიყენებია; მხოლოდ ასე ვსჯიდი ხოლმე — ვეუბნებოდი, — თუ კოლეჯში დაბალ ნიშანს მიიღებ, ვარჯიშზე არ წახვალ-მეთქი. მართლაც, მის მიერ მიღებული დაბალი ნიშანი არ მახსოვს... ახლა რომ ამბობენ, ბავშვებისთვის სავარჯიშო პირობები არ არისო, ვერ დავეთანხმები. პირობები, როცა ზაზამ დაიწყო ვარჯიში, არც მაშინ იყო. დარბაზში ისეთი გამყინვარება იყო, ბავშვები ხელთათმანებით ვარჯიშობდნენ. დიდუბის დარბაზს მინები არ ჰქონდა და მათ ორპირ ქარში უწევდათ ვარჯიში. ახლა მინები მაინც ხომ არის?! მოკლედ, თუ გინდა, გაჭირვებაშიც მიაღწევ შენსას და ყველანაირ წინააღმდეგობას დასძლევ.

ზაზა ვარჯიშს 2 თვით ადრე იწყებს, რომ ფორმაში ჩადგეს

— დემირელის კოლეჯის შემდეგ სწავლა სად განაგრძო?

— თურქეთში წავედით, სადაც „სეიმ პარსის“ კოლეჯში სწავლობდა. იქ მათემატიკის გაძლიერებულ ჯგუფში გადაიყვანეს და სპორტის პარალელურად, იმ დატვირთვას ველარ გაუძლო, რადგანაც 15 წლისა უკვე ევროპის ტურნირებში მონაწილეობდა, ევროპის ჩემპიონატზეც თამაშობდა და სულ უცხოეთში უწევდა ყოფნა. ამის გამო ბევრი გაცდენა ჰქონდა. ჩვენს უნივერსიტეტში, ტურიზმის ფაკულტეტზეც კი ჩაბარა, მაგრამ ვერც აქ შეძლო სწავლის გაგრძელება. ლექციებს ვერ ესწრებოდა.

— ნიჭიერი იყო, კარგად სწავლობდაო... როგორ გგონიათ — სხვა სფეროს რომ გაჰყოლოდა, მიაღწევდა ისეთ წარმატებას, როგორსაც კალათბურთში მიაღწია?

— მისი ცხოვრების მატერიალური მხარისთვის, რასაკვირველია, ისე ჯობდა, როგორც მოხდა, მაგრამ ზაზას ახლაც სულ იმას ვუჩიჩინებ, რომ რამენაირად სწავლასაც მოჰკიდოს ხელი. გულს არ მტკენს და ამისთვის დრო როგორც კი გამოუჩნდება, სწავლობს, ძირითადად — იტერნეტით; რაღაც სერტიფიკატებს იღებს, დადის რაღაც კლასებში, მაგრამ ბოლომდე ჯერჯერობით ვერც ერთი ვერ მიიყვანა. ფლობს: რუსულს, ინგლისურს, თურქულს, ცოტა იტალიურსა და ესპანურს. ბოლო დროს ბიზნესითაა დაინტერესებული და ამ სფეროში დედა-შვილს ერთგვარი შეჯიბრებაც გვაქვს გამოცხადებული: მე ხომ აქ მის ბიზნესს ვმართავ — „ვამუშავებ“ სასტუმროს, რომელსაც „ზიფი“ — ჩემი შვილის სახელისა და გვარის ინიციალები დავარქვი.

— თავად თუ გაქვთ ბიზნესში განათლება მიღებული?

— არა, მაგრამ დამიჯერეთ, ყველაფრის სწავლა შეიძლება. სხვათა შორის, თურქეთში რომ წავედით, იქ თურქული ვისწავლე, ამერიკაში — ინგლისური. მაგრამ ზაზას თანდასწრებით ინგლისურად ვერ

დაუსვით
www.mkurnali.ge
კითხვა ექიმს

არ მეგონა, თუ ზაზა ასეთი კარგი ქმარი იქნებოდა

ვსაუბრობ: ის ჩემს ინგლისურზე კი არ იცინის, არამედ ხარხარებს... დამცინის. არადა, ამერიკელებს ყველაფერს გადასარევად ვაგებინებ...

— ესე იგი, ეს სასტუმრო, სადაც ახლა ვიმყოფებით, ზაზას ეკუთვნის?

— დიახ. აქ ყველა სირთულეს თავი გავართვი. გამიმართლა კიდეც — ძალიან კარგი კოლექტივი შევიკრიბეთ. სულ 14-ნი ვართ. ერთმანეთისთვის კარგი თანამშრომლები ვართ... ჩემი თავიც რომ ჩავთვალე, ეს მომეწონა (*იცინის*)... მთელი დღე აქ ვარ და სახლში დასაძინებლად მივდივარ. მოკლედ, მე ბიზნესს თავი ასე გავართვი და ვნახოთ, ზაზა ამ სფეროში რას იზამს. მაიამიში ახლა რესტორანი აქვს ნაქირავები და ბევრ რამეს ამ სფეროში იმ რესტორნის მაგალითზე სწავლობს.

— ზაზა 2 წლის წინ დაოჯახდა. რას გვეტყვით ამაზე?

— ამ ფაქტით უბედნიერესი ადამიანი ვარ. საოცარი ცოლ-შვილი ჰყავს. ჩემს რძალზე ბევრი ლაპარაკი მერიდება, მაგრამ მაინც ვიტყვი: ის მე არ გამიჩენია და გამიზრდია, მაგრამ მადლობა მის მშობლებს, რომ ასეთი გამიზარდეს! მე და ჩემი თიკა (ალავიძე) დაქალებივით ვართ. ზაზას წამოსცდება ხოლმე, — ვერ გავიგე, თიკაა შენი შვილი თუ — მეო. მაგრამ როგორ შეიძლება, არ მიყვარდეს რძალი, რომელმაც ორი არაჩვეულებრივი შვილიშვილი — დავითი და საბა მაჩუქა, ჩემს შვილს უვლის?!. ისე, არ მეგონა, თუ ზაზა ასეთი კარგი ქმარი იქნებოდა. მაგრამ ეტყობა, თიკაა ძალიან კარგი...

— ხშირად ხართ ამერიკაში?

— ორ თვეში ერთხელ. ახლა ერთი თვეა, რაც ჩამოვედი და უკვე წუწუნებენ, როდის ჩამოხვალო? მოკლედ, ან ამერიკაში ვარ, ან სენაკში — სულ გზაში ვარ (*იცინის*).

— თქვენი რძალი „სუხიშვილების“ მოცეკვავე იყო, ხომ?

— კი. ვეუბნებოდი, — რა გინდა, შვილო, ჯერ იცეკვე, ფაჩულია სად გაგექცევა-მეთქი?!.

— როგორ ფიქრობთ — რაში მდგომარეობს ზაზას წარმატების საიდუმლო?

— მასზე უკეთესი ფიზიკური მონაცემები ბევრს აქვს, მაგრამ მისნაირი შრომისმოყვარე ცოტა თუ მეგულება. ამასთან, აქვს ჭკუა...

— და კიდევ — არის მეგრელი, ხომ?

— (*იცინის*) მას მეგრული ლავირების უნარი რომ ჰქონდეს ანუ მეგრული დიპლომატია, მწვრთნელთან უკეთესი ურთიერთობა ექნებოდა. მაგრამ ეტყობა, მასში მეგრული სიფიცხე უფრო ჭარბობს და მწვრთნელთან სულ კონფლიქტში შედის. ამიტომ მწვრთნელს ზაზა მაინცდამაინც არ უყვარს...

— თუ ეუბნებით ამაზე რამეს?

— როგორ არა?! თითოეულ თამაშს ერთად ვარჩევთ. რასაკვირველია, მე ყოველთვის მას ვამტყუნებ... გასულ კვირას მისი ერთი პასი მთელი კვირა საუკეთესოდ იყო მიჩნეული...

— ადრე ზაზა იყო „მარინას შვილი“, ახლა თქვენ გახდით „ზაზას დედა“. როგორი გრძნობაა ეს?

— არაჩვეულებრივი. სწორედ ამით ვარ ამაყი და ბედნიერი, რომ ზაზას დედა ვარ. დედისთვის ამაზე ძვირფასი არაფერია! თუნდაც იმისთვის ღირდა ცხოვრება, რომ ზაზა გამეჩინა! რასაკვირველია, ღვთისა და ნიჭიერების წყალობით მიაღწია ამხელა წარმატებას, მაგრამ (არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი) ძალიან დიდი შრომა მაქვს ჩადებული ამ ყველაფერში. ზაზასთან ერთად, მეც იმ ცივ დარბაზში ვიჯექი და ვიყინებოდი ხოლმე, რომ მენახა, რა შეცდომას დაუშვებდა და შემდეგ, სახლში გამერჩია მისთვის თამაში... ჩემთვის ძალიან ძნელი იყო, იმ ტრაგედიების შემდეგ, რაც თავს გადამხდა, ზაზასთან ერთად, თურქეთში გამგზავრება. ენა არ ვიცოდი, არავის ვიცნობდი; ზაზა კვირაობით წასული იყო; რომ დაბრუნდებოდა, გადართული ვიყავი მის მოვლაზე: წვენი დროზე დამეწურა, ცხელი სადილი მიმეწოდებინა... და ვიყავით უცხო ქვეყანაში დედა-შვილი მარტო...

— მაინც თუ იფიქრებდით, რომ ასეთ გუნდში ითამაშებდა და ამერიკაში ასეთი წარმატებული ქართველი იქნებოდა?

— კი, ამის იმედით ვიყავი. ზაზა ისეთი ტიპია, ყველაფერს გადაგატანინებს... სტამბოლში, ჩემს დაბადების დღეს, სრულიად მარტო შევხვდი. კარზე მოულოდნელად ზარი გაისმა. გამიკვირდა, რადგანაც არავის ველოდი, ნაცნობი, ამხანაგი და მეზობელი იქ არ მყავდა. ვიფიქრე, ვიღაცას შეეშალა-მეთქი და კარი არ გავაღე. ზარი არ გაჩერდა. მივედი კართან და ვხედავ უზარმაზარ თაიგულს, რომელიც ხელში ვიღაც პატარა თურქ მამაკაცს უჭირავს: თურმე ის ყვავილები ჩემთვის ზაზას გამოუგზავნია... ამ ამბის გამო ერთი კვირა ცუდად ვიყავი; რომ ვიხსენებ, ახლაც მეტირება: ბავშვმა პირველად აიღო ხელფასი და ასეთი საჩუქარი მომიძღვნა. იმ თაიგულს მაშინ სურათი გადავუღე, რომ სამახსოვროდ დამრჩენოდა.

— მაიამიში როგორ ცხოვრობს ზაზა?

— სულ შრომაშია. ყოველ მეორე დღეს გადაფრენა აქვს. სახლში იშვიათად უწევს ყოფნა. ამიტომ, სულ მენატრება. დილას ვარჯიში აქვს. თუ თამაში აქვს, იმ დღეს, საღამოსთვის კარგად უნდა გამოიძინოს. შვილები ტელევიზორით უფრო ცნობენ (*იცინის*)... მაგრამ როგორც კი თავისუფალი დრო აქვს, მაშინვე ცოლ-შვილთან გამორბის.

— ტრაგედიები მაქვს გადატანილიო, — ბრძანეთ, რას გულისხმობდით?

— ცხოვრებაში ბევრ მძიმე დღეს შევსწრებივარ. იმ არეულობის წლებში სენაკში ძმა დამიხვრიტეს, ექიმი გახლდათ და ერთი თვის დაოჯახებული იყო მაშინ. მის სიკვდილს მამაჩემი გადაჰყვა. სულ მალე ქმარი დამეღუპა. ერთდროულად ოჯახიდან 3 მთასავით ვაჟკაცი, უძვირფასესი ადამიანი დავკარგე!.. მაგრამ ვცდილობდი, ეს ტკივილი ჩემს შვილს არ ეგრძნო და მას არ შეხებოდა. არადა, ძნელია ბიჭის აღზრდა მარტო ქალისთვის; თან, ამხელა ბიჭისა, რომელსაც უზარმაზარი ენერგია აქვს. მაგრამ ყველაფრისგან იუმორმა მიხსნა და გადამარჩინა, ამიტომ ყველას ვურჩევ, რომ ხშირად გაიღიმონ. სხვათა შორის, ზაზას მატერიალურად რომ არ უჭირს, დღეს ესეც დიდი ტვირთია ჩემთვის, რადგანაც ირგვლივ უამრავი გაჭირვებულია. ყველას ვუსურვებ, კარგად იყვნენ, რომ მეც კარგად ვიყო; მათი შემხედვარე, ცუდად ვხდები. ყველას ხომ ვერ დაეხმარები და გასწვდები. თვეში ერთხელ, 400 მოხუცს ვეხმარები — ვაჭმევ... კიდევ არის რაღაც წვრილ-წვრილი ქველმოქმედება, მაგრამ ძნელია, რომ ყველას ვერ ვეხმარები და ამას ძალიან განვიცდი... ■

„დაუვარცხნელი“ სანახაობა და ობლად დარჩენილი ანსამბლი „75“

წლების წინ, საბჭოთა კავშირში პოპულარული ქართული ანსამბლის — „ორერას“ ხელმძღვანელი — რობერტ ბარძიმაშვილი ანსამბლიდან წავიდა და ახალი მუსიკალური ჯგუფის შეკრება გადაწყვიტა... 1975 წელს მან „ორერა 75“ შექმნა, მაგრამ რადგან 2 „ორერას“ არსებობა შეუძლებელი იყო, ახალი ჯგუფის სახელწოდებაში მხოლოდ „75“ დარჩა. ანსამბლი „75“ საზოგადოებამ მალე შეიყვარა და პოპულარული გახდა; წელს კი მისი ჩამოყალიბებიდან 35 წელი შესრულდა... სავარაუდოდ, „75“ მალე აღდგება, ოღონდ — რამდენიმე დღით...

ავთო ყორღანაშვილი

ნუგზარ ერგემლიძე:

— ანსამბლი „75“ პირველად 1975 წლის ზაფხულში, ბათუმში ვიხილე: ჩემს მეგობართან — სოსო შატბერაშვილთან ერთად, გემზე ავედი, სადაც ანსამბლს რეპეტიცია ჰქონდა. არასოდეს დამავიწყდება აჩიკო სიმონიშვილის ყვითელი „დატსუნი“ და რობერტ ბარძიმაშვილის „ფორდ-მუსტანგი“, რომლებიც პორტთან იდგა. მაშინ უცხოური მანქანები ისეთივე დიდი იშვიათობა იყო, როგორიც — ჯაზ-როკი... მათი გაცნობის შემდეგ ანსამბლში მოღვაწეობა ძალიან მომინდა!

— და „75“-ის წევრი როგორ გახდით?

— ჯერ ხელმძღვანელი — რობერტ ბარძიმაშვილი გავიცანი. ის მაშინ კომპოზიტორ — სოსო ბარდანაშვილთან და რობერტ სტურუასთან ერთად, პირველ ქართულ როკოპერაზე მუშაობდა. სოსომ რობერტ ბარძიმაშვილს ჩემი თავი როგორც პოეტი, ისე წარუდგინა. მოკლედ, ჯგუფში მოღვაწეობა ასე დავიწყე — რობერტი სხვადასხვა პროექტისთვის ტექსტებს მაწერინებდა, შემდეგ კი ჩემი მუსიკით, სიმღერებით დაინტერესდა და პროგრამაში „რეტრო“ უკვე ჩემი სიმღერებიც აუღერდა...

— ბატონო ნუგზარ, ქართველი მაყურებელი ქართულ როკოპერას როგორ შეხვდა?

— 15-20 კონცერტი ანშლაგით ჩატარდა, მაგრამ მაშინ ამას დიდ წარმატებად არ მივიჩნევდით. სამაგიეროდ, მუსიკოსებს ძალიან მოსწონდათ, რადგან ის „მსუბუქი“ მუსიკა არ გახლდათ — რაღაც ორიგინალური იყო! როკოპერა განსაკუთრებით, უცხოელებს მოსწონდათ. ისე, ამ პროექტს კარგი ბედი არ ხვდა წილად: რობერტს მისი ამერიკაში წაღება სურდა. უნდოდა, რომ მოსკოვში, საელჩოში ამერიკელებისთვის ეჩვენებინა, მაგრამ ამის გამო, ერთი ამბავი ატყდა! საბოლოოდ, ანსამბლი დაისაჯა.

— როგორ?

— დიდი ხნის განმავლობაში საზღვარგარეთ არ გაუშვეს. სამაგიეროდ, სამტრედიაში გაემგზავრებოდა და კონცერტებს იქ ჩაატარებდა *(იცინის)*. სამტრედიას შეურაცხყოფას არ ვაყენებ — იქაც კარგი იყო!

— საქართველოს რეგიონებში როგორ გხვდებოდნენ?

— ქართველი ხალხი ყველგან კარგად გვხვდებოდა. მაგალითად, ქუთაისში კონცერტს დღეში 4-ჯერ ვატარებდით. მერე



ჭორიც გაგვივრცელეს, — ფონოგრამაზე მღეროდნენო. დღეში 4-ჯერ კონცერტის გამართვა მართლა დაუჯერებელი რამ გახლდათ — კინოსეანსი ხომ არ იყო *(იცინის)*?! ყველაზე დიდი დატვირთვა ბესო კალანდაძეს ჰქონდა: გარდა იმისა, რომ ბას-გიტარაზე უკრავდა, მღეროდა კიდეც. ეს ნამდვილად რთულია!.. კონცერტის გასამართავად რობერტი პირველად ბათუმს სტუმრობდა — ჩემთვის ეს ქალაქი იღბლიანიაო. „75“-ის პირველი კონცერტიც სწორედ ბათუმში ჩატარდა. რობერტს დიდი პროდიუსერული ნიჭი ჰქონდა და შორსმჭვრეტელობა ახასიათებდა. კონცერტს ჯანსუღ კახიძის სიმღერით — „მაღლა, ცაში ავფრინდებით“ — ხსნიდა, რომლის მისამღერიც ასეთი იყო: „ო რერა, რირა, ორერა...“ მოგეხსენებათ, რობერტი იმ პერიოდის ცნობილი ანსამბლიდან — „ორერა“ წამოვიდა, ეს ფაქტი კი მთელ საბჭოეთში თავისებურ ინტრიგას ქმნიდა: „ორერას“ ხელმძღვანელი ანსამბლიდან წავიდა და აბა, რას იზამსო?! ასეთ „ნოტაზე“ შეიქმნა „75“, რომლის წევრებმაც გავამართლეთ — ხალხს ჩვენი მუსიკალური დონე მოეწონა.

— „ორერადან“ რობერტ ბარძიმაშვილის წასვლის მიზეზი რა გახდა?

— ეს ფაქტი მართლა დიდი სკანდალი იყო! ნანი ბრეგვაძე, ვახტანგ კიკაბიძე, გენო ნადირაშვილი, თემურ დავითაია და ცხონებული ზურა იაშვილი — ყველა აღნიშნავდა რობერტის დიდ ღვაწლს „ორერას“ ჩამოყალიბებასა და რეპერტუარის შექმნაში... რობერტს მუსიკალური თეატრის შექმნა სურდა, რომელშიც ძველი თაობის წარმომადგენლები იმუშავებდნენ. პარალელურად, ახალი ჯგუფის ჩამოყალიბების სურვილიც ჰქონდა, რომლის სახელწოდებაც „ორერა“ იქნებოდა. როცა „ორერა“ მნიშვნელოვან კონცერტებს გამართავდა, მასში მონაწილეობას ძველი თაობის წარმომადგენლებიც მიიღებდნენ... მოგვიანებით, როცა რობერტმა პროექტი — „რეტრო“ ფილარმონიის სცენაზე დადგა, დაახლოებით 90-ე კონცერტზე ანსამბლი „ორერაც“ მიიწვია. „ორერასთან“ ერთად, კვარტეტში დგებოდა და მღეროდა. ამას ისეთი ეფექტი ჰქონდა, რომ ხალხი ტიროდა! 90-იან წლებში რობერტ ბარძიმაშვილი ანსამბლ „ორერას“ ისევ მიუბრუნდა, გიორგი ცაბაძის საღამოზე გამოვიდა, მაგრამ თითქოს. „გატეხილი გული“ აღარ გამთელდა. რობერტი საოცარი ადამიანი იყო! მისი ყველაზე ძლიერი მხარე რეპერტუარის შექმნა გახლდათ. ახალ-ახალ პროექტებს, სიმღერებს იგონებდა — იდეების „გენერატორი“ იყო! მან ძალიან ბევრი ცნობილი კომპოზიტორი გამოავლინა: მაგალითად, ვაჟა დურგლიშვილთან ჯერ კიდევ „ორერაში“ ყოფნისას თანამშრომლობდა და მისი რამდენიმე სიმღერა ჰიტად აქცია. „75“-ის სიმღერის — „გულმართალი კაცი მიყვარს“ — ავ-

ის მაშინ კომპოზიტორ — სოსო ბარდანაშვილთან და რობერტ სტურუასთან ერთად, პირველ ქართულ როკოპერაზე მუშაობდა

ტორი ვაჟაა. რობერტმა გამომავლინა მეც, სოსო ბარდანაშვილიც, ზურა მანაგაძეც, ავთო შარვაძეც, რომა რცხილაძეც... მაშინ არაპროფესიონალი კომპოზიტორის ნამუშევრის ესტრადაზე აუღერება არ შეი-



რობერტს დიდი პროდიუსერული ნიჭი ჰქონდა და შორსმჭვრეტელობა ახასიათებდა

ძლებოდა, რობერტმა კი პირველივე კონცერტზე თემურ რცხილაძის სიმღერა — „ფერია“ (რცხილაძე ასრულებდა; შემდეგ ანსამბლის ხელმძღვანელს ედავებოდნენ, —

დამახასიათებელ მოწესრიგებულ, „დავარცხნილ“ სანახაობას არ წარმოადგენდა.

— **ანსამბლი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, უამრავი თაყვანისმცელი ჰყავდა. იქნებ, რაიმე „75“-ის გულშემატკივრებთან დაკავშირებითაც გაიხსენოთ... მაგალითად, აღტაცებას როგორ გამოხატავდნენ?**

— თაყვანისმცემლები ნამდვილად არ გვაკლდა, მაგრამ განსაკუთრებული პოპულარობით ბესო კალანდაძე სარგებლობდა: ქუჩაში გოგონები რომ დაინახავდნენ, ტირილს იწყებდნენ! ერთხელაც საქართველოს კულტურის დღეებზე სარატოვში ვიყავით. კონცერტებზე ფოტოგრაფი მოდიოდა და სურათებს ანსამბლის ყველა წევრს გვიღებდა. შემდეგ მათ ბეჭდავდა და მეორე დღესვე ყიდდა, რომელთაც რუსი გოგონები ყიდულობდნენ. ფოტოებით მეც დავინტერესდი. მივედი და ვნახე: ბესო კალანდაძის სურათი მანეთი ღირდა, ჩემი კი — 50 კაპიკი! გული დამწყდა *(იცინის)*... ბესო ლამაზიც იყო და კარგი ხმაც ჰქონდა. გოგონებსაც მეტი რა უნდოდათ?!

— **„75“ წარმატების ზენიტში როდის მოექცა?**

— ყველაზე წარმატებული მაინც პროექტი „რეტრო“ იყო, რომლითაც მთელი საქართველო და საბჭოთა კავშირი მოვიარეთ: სადაც ბევრი ქართველი გვხვდებოდა, სულ ტაშის გრიალი ისმოდა, რუსები კი უფრო უცხოურ სიმღერებს ელოდებოდნენ, — როკი გამოუშვით, როკიო! ჩემი სიმღერაც — „ბაკურიანი“ რეტროსტილში „გავაკეთეთ“. ერთ-ერთ რუსულ ტელეარხზე, ყველაზე პოპულარულ მუსიკალურ გადაცემაში — „დილის ფოსტა“ — „ბაკურიანი“ კლიპის სახით გადიოდა, ოღონდ მათ მიერ გადაღებულ „ბაკურიანში“ არ თოვდა: რატომღაც, კლიპი კახეთში გადაიღეს — ურემი მიდიოდა და უკან ბიჭები მისდევდნენ. იქ არავითარი „კუკუშკა“ არ ჩანდა *(იცინის)*.

— **„75“-ის შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა?**

— კი, რა თქმა უნდა. ჯგუფში 10 კაცამდე ვიყავით ხოლმე: თამაზ სიჭინავა, კობა ბეჟიტაშვილი, ირაკლი მენთეშაშვილი, ირაკლი კალანდაძე, ბესო კალანდაძე, ვალერი კონდახჩიანი... ანსამბლის ერთ-ერთი წევრი — ენვერ ხმიროვი რობერტს თილისმასავით ჰყავდა. ენვერი ჯერ ფილმში — „მე, ბებია ილიკო და ილარიონი“ ვნახე — ხელში საყვირი უჭირავს, შემდეგ — პირველ „ორერაში“... 80-იან წლებში ენვერ ხმიროვს ვუთხარი: — „მუხამბაზში“ წავიდეთ-მეთქი. — რა დროს ჩემი „მუხამბაზია“, მუხათგვერდში უნდა მივდიოდეო, — მიპასუხა *(იცინის)*. სხვათა შორის, ახლაც აქტიურად მუშაობს, ორკესტრში უკრავს, გივი გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით... ანსამბლ „75“-ის „რეტროს“ შემდეგაც წარმატებული პროექტები ჰქონდა. ბოლოს 10 წლის იუბილე აღვნიშნეთ. 1985 წელს ანსამბლის მოღვაწეობა დასრულდა.

— **რატომ?**

— ალბათ, ჯგუფი „ამოიწურა“. რობერტი ამბობდა, — ჯგუფი 10 წელზე მეტხანს ვერ ძლებსო. დროთა განმავლობაში პრობლემები ჩნდება, პოპულარობაც — გბეზრდება... „75“-ის წევრებიდან ზოგი სად წავიდა, ზოგი — სად. რობერტმა ბავშვთა ანსამბლი „ლახტი“ შექმნა, რომელშიც ლევან ლაზარიშვილი, ნიკა დოლიძე, დათო ხუჯაძე იყვნენ... ისე მოხდა, რომ „75“-ის შექმნიდან 10 წელიწადში ჯაზ-როკი მოდაში აღარ იყო — უკვე ელექტრონული მუსიკა შემოვიდა... ასე ხდება ხოლმე.

— **ანსამბლის წევრები დღეს-დღეობით თუ იკრიბებით?**

— კი, როგორ არა. კობა ბეჟიტაშვილი, ბესო კალანდაძე ჩემს კონცერტებზე ყოველთვის გამომყავს. თუ არ ვცდები, ახლა „75“-ის ეგიდით, ქუთაისში გვიწვევენ, შემდეგ კი კონცერტის გამართვა თბილისშიც გვინდა.

— **ანუ ანსამბლი „75“ რამდენიმე დღით აღდგება?**

— ვნახოთ. კარგი პროდიუსერების პირობებში, 5-6 კონცერტის ჩატარება შეიძლება.

— **რამდენი წევრის შეკრებას მოახერხებთ?**

— ყველას შეკრებას შევძლებთ! ბესომ ანსამბლ „სპილოსთან“ (რომა რცხილაძის ხელმძღვანელობით) იმუშავა და მთელი თავისი რეპერტუარი ააჟღერა. „სპილოს“ ბიჭებს გვერდში თუ ჩვენც დავუდგებით, მშვენიერი კონცერტი გამოგვივა!

■

2 ქართული მუსიკალური ტელეარხი გვაქვს, მაგრამ ჩვენი ანსამბლის სიმღერები არც ერთ მათგანზე არ „ტრიალებს“...

ხრინწიანი ხმით რატომ მღერისო? — მაგრამ რობერტს მაინც თავისი გაჰქონდა) ააჟღერა.. ვფიქრობ, რომ ბარძიმაშვილის ღვაწლი სათანადოდ არ დაფასდა: სანამ ცოცხალი იყო, ვარსკვლავიც არ გაუხსნეს და არც ახლა ფიქრობს ვინმე „75“-ზე. რატომღაც პატრონი ყველას გამოუჩნდა, „75“ კი ობლად დარჩა! 2 ქართული მუსიკალური ტელეარხი გვაქვს, მაგრამ ჩვენი ანსამბლის სიმღერები არც ერთ მათგანზე არ „ტრიალებს“...

— **„75“-ის კიდევ რომელ პროექტს გაიხსენებთ?**

— „დისკოთეკა“ სკანდალური პროექტი გახლდათ, რომელმაც სპორტის სასახლე „გადატენა“. რობერტმა დარბაზის შუაში ერთგვარი რინგი მოაწყო, რომელზეც „75“ იდგა, ხალხი კი ცეკვავდა! კონცერტზე დისკებსაც ისროდნენ — ვინც დაიჭერდა, მას მოტოციკლი ერგებოდა... „დისკოთეკას“ თავისი ლოზუნგებიც ჰქონდა, მაგალითად: „დისკოთეკა უფრო სასარგებლოა, ვიდრე — ფინური საუნა“... მეოთხე დღეს პროექტი შეაჩერეს, რადგან ის საბჭოთა კავშირისთვის

რობერტმა ბავშვთა ანსამბლი „ლახტი“ შექმნა, რომელშიც ლევან ლაზარიშვილიც მღეროდა

„რაც გამიკეთებია, იმაზე ასჯერ მეტი მომცა უფალმა“



ბევრისგან გამორჩეულ და აქტიურ მხატვარს — ზალიკო სულაკაურს საკმაოდ სახარბიელო ოჯახური წრე აქვს. ის ერთ-ერთი დიდი მწერლის — არჩილ სულაკაურის ძმისშვილია; მამა — ვალერიან სულაკაური დრამატურგია; იგი სცენარისტია ფილმებისა — „თუში მეცხვარე“, „ცაბუნია“ და „ბილიკები ცაში“. შეიძლება, ბევრმა არ იცის, რომ ზალიკოს, ბაკურ სულაკაურის გარდა, კიდევ ერთი ძმა, ნაკლებად ცნობილი ტყუპისცალი — ზურა ჰყავს... ისინი გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. კარიკატურისტი ზალიკო ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ და ტელეეთერში მის გამოჩენას ბევრი პატარა სიამოვნებით ელოდება.

თამთა დადეშელი

— ჩემი ტყუპისცალი — ზურა და მე ძალიან პატარები ვიყავით, ხატვა რომ დავიწყეთ. როგორც წესი, 2-3 წლის ბავშვები მზეს, სახლს, ყვავილს ხატავენ, ჩვენ კი ადამიანთა ურთიერთობებზე (ომებზე, ქეიფებზე) ვხატავდით. თურმე, ჩვენი ბაღის მასწავლებელი ამბობდა — ეს ბავშვები აუცილებლად მხატვრები გამოვლენო... მართალია, მე და ზურა სტუდიაში ერთად ვმუშაობთ, მაგრამ ხალხი მას არ იცნობს...

— ტყუპს სახელები ვინ შეგირჩიათ?

— ჩვენი დაბადება, როგორც ყველა ქართულ ოჯახში ხდება ხოლმე, დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა. თან, ყოველდღე ხომ არ იბადება ტყუპი ბიჭი *(იცინის)*. დიდი სუფრა გაუშლიათ და რაც ყველაზე საამაყოა, იმ სუფრის თამადა ნოდარ დუმბაძე ყოფილა. როცა უკითხავთ, — აბა, ბიჭებს რა დავარქვათო? — ედიშერ ყიფიანს უთქვამს, — მოდი, ზააალი და ზურაბი დავარქვათო...

— როგორი ურთიერთობა გაქვთ ძმებს?

— გადასარევი... მე ცაცია ვარ და ბავშვობაში, ხანდახან ერთმანეთს ვეხმარებოდით, ერთობლივ ნახატებს ვაკეთებდით ხოლმე, გვერდიგვერდ დავსხდებოდით და ერთი, ფურცლის ერთ მხარეს ამუშავებდა, მეორე — მეორეს. ერთხელ ბიძაჩემს ჩემზე უთქვამს: — ნახეთ, ნახეთ, მეორე ლეონარდო იზრდებაო *(იცინის)*. მთლად ლეონარდომდე ვერ ვარ, მაგრამ... სახალხო მხატვრის „პონტში“ გავდივარ... მე და ზურას ძალიან კარგი ძმობა გვაქვს; ბავშვობაშიც არასდროს ვჩხუბობდით. ჩვენ ხომ უფროსი ძმაც გვყავს — ბაკური, მასზე 3 წლით უმცროსი კი ლელაა, ჩვენი და. 3 წლის შემდეგ კი ჩვენ გავჩნდით. მოკლედ, ბაკური და ლელა ცალკე „დვიჟენიობდნენ“, ჩვენ — ცალკე... ლელა გმირი დედაა — 7 შვილი ჰყავს, მისი მეუღლე — ლევანი კი ბესო ხარანაულის ვაჟია; ისიც მხატვარია და მათი ორი შვილიც სამხატვრო აკადემიაში სწავლობს.

— როგორ ფიქრობთ — თქვენს პოპულარობაზე თქვენმა გვარმა თუ იქონია გავლენა?

— არა მგონია. მერე რა, რომ არჩილის ძმისშვილი ვარ? ამას მნიშვნელობა რომ ჰქონოდა, „ნიკოლაძეში“ ორიანს ხომ არ დამიწერდნენ?! არც სამხატვრო აკადემია მაქვს დამთავრებული, მხოლოდ თოიძის სამხატვრო სასწავლებელი დავამთავრე. ახლა უკან რომ დამაბრუნა, აღარც „თოიძეში“ ჩავაბარებდი და აღარც — სამხატვრო აკადემიაში... ცუდია, როცა არ იციან, როგორ მიუდგნენ ახალგაზრდას, რომელიც ხატავს და ამ სფეროში პირველ ნაბიჯებს დგამს. თუ პედაგოგი ხარ, ყველა ბავშვს ფაქიზად უნდა მიუდგე. მოკლედ, 16 წლის ვიყავი, როცა „ნიკოლაძეში“ მისაღებ გამოცდაზე ორიანი დამიწერეს და გამომაგდეს. ამან ჩემს თავმოყვარეობაზე საშინლად იმოქმედა — ხომ ვგრძნობდი, რომ ასეთი დაბალი ნიშანი ნამდვილად არ მეკუთვნოდა...

ზურა და ზალიკო

— რატომ დაგიწერეს ორიანი?

— იმიტომ, რომ ადგილები „გაყიდული“ იყო; ისეთი ადამიანები მოეწყვნენ, რომლებიც ხატვის გაგებაში არ იყვნენ. მოდი და, გული ნუ დაგწყდება და ნურც ნერვები მოგეშლება...

— თუ „ნიკოლაძეში“ ასეთი „ჩაწყობა“ იყო, ოჯახიდან თქვენც დაგხმარებოდათ ვინმე...

— მამაჩემი კარგად იცნობდა მას, ვინც ორიანი დამიწერა — ადრე თურმე ერთად მუშაობდნენ: მამა სცენარის ავტორი იყო, ის კი — ფილმის მხატვარი. აი, ასეთმა ადამიანმა გამწირა. მამაჩემმა მას თავი დაუხარა და დიდი მადლობა გადაუხადა... თუ მაღალი ნიშანი არა, რეალურად, რაც მეკუთვნოდა, ის მაინც დაეწერა?!

— როგორც ჩანს, ეს ამბავი ძალიან მწარედ დაგამახსოვრდათ...

— სამწუხაროდ. ამის შემდეგ „თოიძეში“ წავედი და ორივე გამოცდაში ხუთიანი მივიღე.

— ესე იგი, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პედაგოგის როლს მოსწავლის ცხოვრებაში, არა?

— დიახ. სტუდიაში ბევრი მოსწავლე მყავს, შემიძლია, გამოვარჩიო მათგან უფრო კარგები და საჩუქრითაც დავაჯილდოო, მაგრამ მათ გვერდით სხვა არ უნდა დავჩაგრო. ის დღეს შეიძლება, კარგი მხატვარი ვერ იყოს, მაგრამ მომავალში მისგან მართლაც კარგი ხელოვანი დადგეს. ბავშვში მხატვარი არ უნდა ჩაკლა. ვფიქრობ — რაც ქართველებს ღუპავს, ეს ჩაწყობაა და ეს დაუშვებელია! ჩემთანაც მოსულან და უთქვამთ — ჩემიანია და მიიღეო, მაგრამ არ მაინტერესებს! გამორიცხულია, სტუდიაში უცოდინარი გავაჭაჭანო! გინდ პედაგოგი იყოს და გინდ — სხვა ვინმე. ჩემს სტუდიაში ზურიკო-



ვგრძნობდი, რომ ჩემი კარიკატურებით ბევრ ადამიანს სიხარულს ვანიჭებდი. ჰოდა, მეც კარიკატურისტობა გადავწყვიტე (ცნობილი ამერიკელი მსახიობის ალან რიკმანის თბილისში სტუმრობისას)

საც კი არ მოვიყვანდი, რომ არ ვიცოდე, როგორი „ცეცხლია“...

— ბავშვობაში ალბათ გყავდათ ხატვის პედაგოგი... ვინ იქონია თქვენზე ყველაზე დიდი გავლენა?

— მაშინდელ პიონერთა სასახლეში მე და ზურიკოს ციალა კანდელაკი გვასწავლიდა. ეს ქალბატონი დღესაც იქ მუშაობს; მან ბევრი მხატვარი გამოზარდა, მათ შორის, გია ბუღაძე... სწორედ ერთ-ერთი პედაგოგის არასწორი მიდგომის გამო, ზურიკომ ერთი პერიოდი, ხატვას თავი საერთოდ დაანება და ფარიკაობის სექციაზე შევიდა. მე რომ არ ვყოლოდი, ზურა დღეს მხატვარი არ იქნებოდა. მე მუდმივად ვხატავდი და ჩემმა შემხედვარემ, ფანქარს ნელ-ნელა ისევ მოჰკიდა ხელი... ბავშვთან ჩხუბი არ შეიძლება; ზოგს მოფერება სჭირდება, ზოგს — „წათაქება“... მთავარია, მათ ბუნებას იცნობდე, რომ სწორად მიუდგე. როცა მასწავლებელი არ მოგწონს, მის საგანს ვერ ისწავლი. ძალიან მიყვარს ავთო კობიაშვილი, ის მოსამზადებელ პერიოდში ჩემი პედაგოგი იყო, ასევე — აკაკი თევზაძე. ვაღიარებ, რომ მან ბევრი რამ მასწავლა. აღარაფერს ვამბობ დიდ მხატვრებზე — რემბრანდტზე, ლეონარდო და ვინჩიზე, მიქელანჯელოზე...

— პირველი გამოფენა თუ გახსოვთ?

— პირველი სერიოზული გამოფენა უნივერსიტეტში მქონდა. ერთხელაც, იქ თანამშრომლების შვილების გამოფენა მოეწყო (დედა იქ მუშაობდა). მოკლედ, ჩემი და ზურიკოს ნამუშევრები ისე მოეწონათ, რომ პერსონალური გამოფენა მოგვიწყვეს. სხვათა შორის, ჩვენი პირველი ინტერვიუ უნივერსიტეტის გაზეთში დაიბეჭდა. ჩვენთან პირველი სატელევიზიო ინტერვიუ გოგი გვახარიამ ჩაწერა, მაშინ 10 წლისები ვიყავით. იმის შემდეგ დაიწყო და დაიწყო...

— მამა დრამატურგი გყავთ. თქვენ არ გიღებდათ ფილმებში?

— კი, მე და ზურიკო მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმში — „ჩირიკი და ჩიკოტელა“ ვართ გადაღებულები. მაშინ 3 წლისანი ვიყავით... გარემოცვა, რომელშიც მე და ზურიკო ვიზრდებოდით, ბუმბერაზი ადამიანებისგან შედგებოდა... ბიძაჩემი — კარლო სულაკაური, ქართული თოჯინური მულტიპლიკაციის მამამთავარი იყო, 80% ფილმებისა მისი გადაღებულია. მამაჩემს ხშირად დავყავდით სამსახურში, მეორე სართულზე თვითონ მუშაობდა, მესამეზე — კარლო და დღემდე კარგად მახსოვს ის პერიოდი — როგორი ბედნიერები ვიყავით. თოჯინებს, რომლებიც მულტფილმებში მინახავს, „რეალში“ ვხედავდით, ამას ბავშვებზე სულ სხვა ეფექტი ჰქონდა. ვუყურებდით, როგორ ხატავდნენ მულტფილმებს. 90-იანი წლებიდან მე და ზურიკომ იქ მუშაობა მუშებად დავიწყეთ, მაშინ 20 წლისები ვიყავით. შემდეგ „კოლორისტებად“ დაგვაწინაურეს, მულტფილმისთვის საღებავებს ვაკეთებდით. ძია კარლომ რომ ნახა, თავდაუზოგავად ვმუშაობდით, — ფილმი თქვენც უნდა გადაგაღებინოთო, — გვითხრა და ზუსტად იმ პერიოდში დაინგრა ქვეყანა, ომი დაიწყო და ვიღას ემულტფილმებოდა? ახლა ოცნებად მაქვს, ისევ ავაყვავოთ ეს სფერო...

— კარიკატურების ხატვა როდიდან დაიწყეთ?

— ცოტ-ცოტას სკოლაშიც ვხატავდი, მასწავლებლებსა და კლასელებს ვეხუმრებოდი. 1995 წლიდან პრესაში დავიწყე ხატვა, მაგრამ ამ საქმეს სერიოზულად არასდროს ვუყურებდი, ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასე ჩამითრევდა... ჟურნალ „ნიანგის“ არც ერთ ნომერს არ ვტოვებდი, სხვა კარიკატურისტების ნამუშევრებიც მომწონდა, მაგრამ განსაკუთრებით გიგლა ფირცხალავას „ფანი“ ვიყავი და მეც ვერთობოდი, ვხატავდი. შემდეგ ვგრძნობდი, რომ ჩემი კარიკატურებით ბევრ ადამიანს სიხარულს ვანიჭებდი. ჰოდა, მეც კარიკატურისტობა გადავწყვიტე. თან, პრესამაც „მომწამლა“. 2001 წელს ბეჭდური პრესის ფესტივალი მოეწყო, სადაც საუკეთესო კარიკატურისტად დამასახელეს და ასე დაიწყო ჩემი აღმასვლა.

— ჩვენს პრეზიდენტს თუ აქვს თქვენ მიერ დახატული კარიკატურა?

— კი და ასევე ბევრ პოლიტიკოსს, ცნობილ ქართველ ადამიანს აქვს ჩემი დახატული კარიკატურები. ამასთან, ცნობილ უცხოელებსაც — ელ ჯეროს და ბობი მაქ ფერელს. ჩემმა საქმიანობამ ბევრ წარმატებულ ადამიანთან დამაკავშირა. მაგალითად, გურამ დოჩანაშვილი, ჩემთვის ვაჟა-ფშაველასავით არის. ჰოდა, მოდი და, ნუ იქნები ბედნიერი, როცა გურამი მეუბნება, შენ ჩემი პატარა ძმა ხარო...

— საზღვარგარეთ თუ გაქვთ კავშირი კარიკატურისტებთან? ან შემოთავაზება თუ გაქვთ გამოფენის მოწყობის თაობაზე?

— გერმანიიდან მოწვევა გვაქვს, მე და ზურიკომ საქართველო უნდა წარვადგინოთ; რუმინეთში კონკურსია, მსოფლიო კარიკატურისტები რუმინელ ცნობილ ადამიანებს ხატავენ; ერთ-ერთი რუმინელი დავხატე და 10000 კარიკატურიდან 42-ში, რომელიც ალბომში დაბეჭდეს, ჩემიც მოხვდა. მინდა აღვნიშნო, რომ უბედნიერესი ადამიანი ვარ, საყვარელ საქმეს რომ ვაკეთებ და ამით ვშოულობ ფულს. მოკლედ, ჩემს სათქმელს ვამბობ. ხალხს ვუყვარვარ და ამაზე მეტი ბედნიერება რა არის?! ბავშვებს კი ჩემი განსაკუთრებული სიყვარული აქვთ; პატარებს გულწრფელი სიყვარული შეუძლიათ. მათთან მეც ყოველთვის თბილი ვარ... მოკლედ, რაც გამიკეთებია, იმაზე ასჯერ მეტი მომცა უფალმა...

■

„გერმანიიდან მოწვევა გვაქვს, მე და ზურიკომ საქართველო უნდა წარვადგინოთ“

ორაზროვნად პოლიტიკური სიმღერა, ფართო აუდიტორიისთვის გაუგზავნელი „მესიჯი“ და განწყობადაკარგული „არ დანებდე“

ამჟამად ამერიკაში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა და კომპოზიტორმა — თინათინმა იგივე თინა ჯაფარიძემ სიმღერების წერა 18 წლის ასაკში დაიწყო. ამ საქმეს ისე მოეკიდა, როგორც პატარა ექსპერიმენტს. ექსპერიმენტმა გაამართლა და თინათინმა ჯონ ლენონის სახელობის კონკურსზე, როგორც წლის საუკეთესო სიმღერის კომპოზიტორმა, ჯილდო მიიღო. ამ წარმატების შემდეგ, სიმღერების წერა ცნობილი შემსრულებლებისთვისაც დაიწყო... წელს „ევროვიზიის“ ქართველ კონკურსანტს — სოფო ნიჟარაძესაც სიმღერა — „არ დანებდე“ დაუწერა, რომელმაც შიდა შესარჩევ კონკურსზე ვერ გაიმარჯვა. გარკვეული მიზეზის გამო, ამ ფაქტმა თინათინს გული არ დასწყვიტა: სოფოს მიერ ცოცხლად შესრულებული სიმღერა მისთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო...



ეთო ყორღანაშვილი

— დავიბადე თბილისში. დედაჩემი — ქეთი ჩიჩუა მუსიკოსი (კონცერტმაისტერი) გახლავთ, მამა — გივი ჯაფარიძე კი ცნობილი არქიტექტორ-მხატვარი. ხელოვნებამ ბავშვობიდანვე გამიტაცა — ხატვა ძალიან ადრე დავიწყე, მუსიკისადმი განსაკუთრებული ინტერესი და სიყვარული კი მშობლებმა პირველად 7 თვის ასაკში შემატყვეს.

— 7 თვის ასაკში — როგორ? ალბათ, ღიღინებდით, ხომ?

— მამას სურდა, სიმღერა ადრეულ ასაკშივე დამეწყო და ხშირად მიმღეროდა. თურმე, პირველად ხმა 7 თვის ასაკში ამოვიღე, მაგრამ ისე „უსმენოდ“ ვღიღინებდი, რომ ცოტა არ იყოს, მშობლებს შეეშინდათ, — ალბათ, ძალიან „უსმენო“ შვილი გვეზრდებაო (*იცინის*). მამამ ხელი მაინც არ ჩაიქნია! დაახლოებით, 1 კვირის შემდეგ, მის მიერ ნასწავლი პირველი სიმღერა — „უუუუნა წვიმა“ საკმაოდ ზუსტად გავიმეორე (*იცინის*). 2 წლის ასაკში, USA for Africa-ს We Are the World მოვისმინე. ალბათ, სწორედ ამ სიმღერამ განაპირობა ის, რომ ამერიკული მუსიკა თავიდანვე საოცრად შემიყვარდა. ამერიკაში ცხოვრება ოცნებად მექცა! იმ პერიოდში, საბჭოთა მოქალაქეებისთვის ამ სურვილის განხორციელება ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო...

— საქართველოდან როდის გაემგზავრეთ?

— 1993 წელს (ომის პერიოდში) მამა მოსკოვში მიიწვიეს... სამშობლოში დაბრუნებას მალე ვვარაუდობდით, მაგრამ ჩემს ოჯახს საქმეები ისე აეწყო, რომ რუსეთში დავრჩით და სწავლა ამერიკულ სკოლაში გავაგრძელე. ყველას (მათ შორის — მეც) ეგონა, რომ საოპერო ხელოვნების გზას დავადგებოდი: 12 და 14 წლის ასაკში, მილანში — La Scala-ს აკადემიაში მოსმენა მქონდა... 1998 წელს კანის ფესტივალის ორგანიზატორებმა მიმიწვიეს. ამ ვიზიტის და არაერთი რეცენზიის შემდეგ, საფრანგეთში კიდევ ერთხელ მიმიწვიეს. კლასიკურმა პოპმა — ბარბრა სტრეიზანდის, სელინ დიონის, ბრაიან ადამსის შემოქმედებამ სწორედ იმ პერიოდში „ჩამითრია“.

— ამერიკაში თქვენი დებიუტი როდის შედგა?

— ეს მოხდა ჩემი კერპის — ბარბრა სტრეიზანდის ლირიკოსების — ალან და მერლინ ბერგმანების გალა-კონცერტზე, სადაც თავად ბერგმანებმა მიმიწვიეს (მაშინ 16 წლის ვიყავი). მართალია, ნიუ-იორკში ჩემმა ვიზიტმა ძალიან დიდი წარმატებით ჩაიარა, მაგრამ მაინც დავიბენი. 3 არჩევანი მქონდა: ლონდონი, ნიუ-იორკი ან მილანი. იმ პერიოდში, ლონდონში კრისტოფერ ნილმა (სელინ დიონის, როდ სტიუარტის და შერის პროდიუსერმა) მომისმინა, ჩემი ჩანაწერებით დაინტერესდა, ჩემთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. ბავშვობიდან მასთან მუშაობაზე ვოცნებობდი. დღეს კრის ნილი ჩემი ექსკლუზიური პროდიუსერი და თანაავტორია.

— მოკლედ, იმ პერიოდში ლონდონი არჩიეთ...

— მოსკოვის უნივერსიტეტიდან სწავლა ლონდონის Rijent Akademia-ში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე განვაგრძე. პარალელურად, სტუდიაში ვმუშაობდი — სიმღერების წერა დავიწყე. მუსიკაში მაქსიმალურად „ჩაფლული“ გახლდით: აღარ ვიცოდი, მეწერა თუ მემღერა, 2004 წელს Sancturary Music-მა პირველი კონტრაქტი შემომთავაზა. პარალელურად, შემოთავაზება ნიუ-იორკის მუსიკალური გამომცემლობისგანაც მივიღე. სერიოზული გადაწყვეტილების მიღება კიდევ ერთხელ მომიხდა. უკვე პროფესიულად და ფსიქოლოგიურად „მომწიფებული“ გახლდით და მზად ვიყავი შემოქმედებითი მოღვაწეობის შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად. ასე რომ, ნიუ-იორკზე არჩევანის შეჩერება ჩემთვის იდეალური ვარიანტი იყო!

— თქვენს პირველ წარმატებულ ნაბიჯად რას მიიჩნევთ?

— 2007 წელს ჩემი პირველი სინგლი — We the Peoples — გამოვიდა, რომელიც გაეროს ქარტიის თემაზე შევქმენი. ამ პროექტით ამერიკული პრესა ძალიან დაინტერესდა, რადგან გაერო შოუბიზნესის წარმომადგენლებთან ძალიან იშვიათად თანამშრომლობს. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ შოუბიზნესის სფერო სახიფათოა და დიპლომატიისგან შორს დგას. სიმღერის რეკლამირებაში თავად გაეროს რადიოც აქტიურად ჩაერთო. ერთხელ რესპონდენტის ამპლუაშიც მიმიწვიეს. ინტერვიუს დასრულებისთანავე, რადიოს პირდაპირ ეთერში პოლიტიკური გადაცემის წამყვანობა შემომთავაზეს. რა თქმა უნდა, პოლიტიკაში გარევის ძალიან შემეშინდა, მაგრამ გავრისკე: 4 წლის განმავლობაში, გაეროს რადიოგადაცემის — United Nations Uncovered — წამყვანი და პროდიუსერი გახლდით. ამ სფეროში მოღვაწეობა ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო — დიდი გამოცდილება შევიძინე, მაგრამ რამდენიმე თვის წინ,

ჩემი მუსიკალური კარიერის მაქსიმალური კონცენტრაციით გაგრძელება მომიხდა. ეს „ევროვიზიის“ შარშანდელმა კონკურსმა განაპირობა, სადაც ისლანდიელმა Yohanna-მ — ჩემი სიმღერით — Is It True მეორე ადგილი დაიკავა. აღნიშნული კომპოზიცია „ევროვიზიის“ ბოლო 50 წლის საუკეთესო ნამუშევრად აღიარეს და ჯილდო — ESC Award — მივიღე. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემს სიმღერას მსოფლიოს 5 ქვეყანაში სხვადასხვა მომღერალი ჩაწერდა. სიმღერა ფრანგულად Lara Fabiani-ს ექსკლუზიურ პროდიუსერთან — Rich Allison-თან ერთად დავწერე. ალბათ, პირველი ჰიტი ყველა მომღერალს და კომპოზიტორს განსაკუთრებით ტკბილად ახსოვს. დარწმუნებული ვარ, ეს სიმღერა — Is It True — ჩემთვის დაუვიწყარი იქნება.

— წელს საქართველოში ჩატარებული „ევროვიზიის“ შიდა შესარჩევი ტურისთვის თქვენი სიმღერა — Never Give In — **როგორ შეიქმნა?**

— საქართველოს „საზოგადოებრივმა

„ევროვიზიაზე“ ჩემმა სიმღერამ დიდ წარმატებას მიაღწია

მაუწყებელმა“ ეროვნული შესარჩევი ტურისთვის სიმღერის დაწერა თავად შემომთავაზა. რამდენიმე თვით ადრე, ანალოგიური წინადადება შვედეთიდანაც მივიღე, მაგრამ რადგან შარშანდელ „ევროვიზიაზე“ ჩემმა სიმღერამ დიდ წარმატებას მიაღწია, იმავე კონკურსში მონაწილეობა საჭიროდ არ მივიჩნიე, საქართველოს შემთხვევაში გამონაკლისი დავუშვი.

— წლევანდელი „ევროვიზიის“ ქართველ კონკურსანტს — სოფო ნიჟარაძეს პირადად თუ იცნობთ?

— არა, მას მხოლოდ ელექტრონული

თინათინი ამერიკელ მწერლებთან ერთად

ფოსტის მეშვეობით ვიცნობ.

— მის მიერ შესრულებული თქვენი სიმღერა მოგეწონათ?

— სოფომ ამ სიმღერის Demo-ვერსია ჩაწერა, რომელიც მე და სიმღერის თანაავტორებმა მოვისმინეთ — ძალიან მოგვეწონა. Live-ვერსიას რაც შეეხება (რომელიც სოფო ნიჟარაძემ შიდა შესარჩევ კონკურსზე შემოგვთავაზა), რადიკალურად განსხვავებული და ჩემთვის მიუღებელი იყო. საზოგადოებრივი მაუწყებლის შეკვეთით, სიმღერა პატრიოტული, ორაზროვნად პოლიტიკური და დიპლომატიური უნდა ყოფილიყო, მაგრამ კონცერტზე შესრულებულ Never Give In-ს იმ „მესიჯთან“ კავშირი არ ჰქონდა, რომელიც წესით, შემსრულებელს ფართო აუდიტორიისთვის უნდა გადაეცა. ეს ნამდვილად გულდასაწყვეტია. მიმაჩნია, რომ ჩემი სიმღერის ასეთი სახით წარდგენას, კონკურსზე სხვა ნამუშევრის გატანა ნამდვილად სჯობია!

— „ორაზროვნად პოლიტიკური“ ახსენეთ. იქნებ, სიმღერამ ცვლილება მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით განიცადა?

— თავად „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ მთხოვა, რომ ტექსტი აუცილებლად პოლიტიკური ან მინიმუმ, პოლიტიკურ-დიპლომატიური უნდა ყოფილიყო. „ევროვიზიისთვის“ შარშან შერჩეული სიმღერის — We don't Wanna Putin — მერე, კონკურსზე პოლიტიკურ თემაზე „მსჯელობა“ ნამვილად არ მინდოდა. მხოლოდ კომპრომისის სახით გადავწყვიტეთ, რომ ორაზროვნად, სასიყვარულო სიმღერის საშუალებით, დიპლომატიური თემაც გაგვემხილა. საბოლოოდ, ტექსტში ცვლილება არ ყოფილა, მაგრამ ვოკალურ შესრულებას და სცენურ დადგმას იმ კონტექსტთან საერთო არაფერი ჰქონდა, რომელიც ორივე მხარეს (საქართველოს და ჩემს შემთხვევაში, ამერიკა-ინგლისს) ჰქონდა ჩაფიქრებული. ცოცხალი ინტერპრეტაციის დროს მთელი აზრი და განწყობილება დაიკარგა...

— ამერიკაში ვისთან ერთად ცხოვრობთ? დაძაბული სამუშაო გრაფიკი გაქვთ?

— ძირითადად, ამერიკაში ცხოვრება მარტოს მიწევს, რადგან ამჟამად მშობლები მოსკოვში იმყოფებიან (მამაჩემი Moscow City-ს პროექტის მთავარი არქიტექტორი გახლავთ). მარტო ცხოვრება რთულია. ამიტომ მშობლები ცდილობენ, ნიუ-იორკში ხშირად გამოემგზავრონ. ნამდვილად დაძაბული სამუშაო გრაფიკი მაქვს. დილიდან ღამემდე სტუდიაში ვარ. გარდა ამისა, შეხვედრები, თათბირები, რეპეტიციები... ზოგჯერ ეს ყველაფერი დამღლელია, მაგრამ ამ „სამყაროს“ არაფერში გავცვლი — ორომტრიალი და ქაოსი ჩემი ცხოვრების იდილიაა.

— იქნებ, სამომავლო გეგმების შესახებაც გვიამბო...

— ჩემი პირველი სოლო კონცერტი (რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იგეგმებოდა) 3 იანვარს, ნიუ-იორკის ცნობილ ჯაზ-კლუბში — metropolitan room — შედგა. სოლო პროგრამის წარდგენა ყოველთვის რთული და სახიფათოა, მაგრამ ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა. ამჟამად, ნიუ-იორკში „ბროდვეი შოუ“ მზადდება, რომელშიც სიმღერებს შევასრულებ. სპექტაკლის სცენარიც ჩემი წიგნის (რომელზეც დღე და ღამე აქტიურად ვმუშაობ) მიხედვით შეიქმნა. პარალელურად, ახალ სოლო პროგრამას ვქმნი, რომელსაც ალბათ, „ბროდვეი შოუს“ პრემიერამდე ჩემს ბენდთან ერთად წარვადგენ.

— საქართველოს ხშირად სტუმრობთ?

— სამწუხაროდ — იშვიათად. ამის გამო, გული მწყდება, რადგან მთელი ოჯახი (მშობლების გარდა) დღესაც თბილისში იმყოფება. ახლობლები ძალიან მენატრებიან. რაც დრო გადის, ჩემს „ფესვებს“ უფრო მეტად ვაფასებ და მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად, ამერიკაში ვმოღვაწეობ, ჩემი ქართველობით ვამაყობ. იმედია, მალე სოლო კონცერტს ჩემს სამშობლოშიც გავმართავ. მე და ჩემი ჯგუფი საქართველოში წარსადგენ პროგრამას უკვე ვამუშავებთ. თბილისში დაბრუნებას მოუთმენლად ველი!

თანამედროვეობაში „გადმოთამაშებული“ ლეგენდა და პირველი ქართული მისტიკური ტრილერი ეროტიკული სცენებით

მალე ქართველი მაყურებელი პირველ ქართულ მისტიკურ ტრილერს — Spam — იხილავს: საგვარეულო წყევლა, ჯოჯოხეთიდან გამოცხადებული ბავშვის მოჩვენება, ურმის ანთებული ბორბალი, დასისხლიანებული ადამიანები... როგორც რეჟისორი — რამაზ ჩაჩანიძე აღნიშნავს, ფილმის სიუჟეტი რეალურ ამბავს ეფუძნება...

ეთო ყორღანაშვილი

რამაზ ჩაჩანიძე, *რეჟისორი:*

— სიუჟეტი ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არ მქონდა, როცა ასეთი ჟანრის ფილმის გადაღების იდეა გამიჩნდა. ერთ მშვენიერ დღეს კი ჩემი მეუღლის ბებიამ გვიამბო: საქართველოს ერთ-ერთ სოფელში, ურმის მკვლელი ბორბალი „დადიოდა“ და ხალხს გაურკვეველ ვითარებაში ხოცავდა. სოფლის გლეხებმა ბორბალი დაიჭირეს და ხეზე მიაბეს, მეორე დღეს კი ბორბლის ნაცვლად, ხეზე მიბმული ადამიანი დახვდათო... ფილმში საკმაოდ დამთრგუნველი სურათი ვაჩვენეთ — დასისხლიანებული ადამიანი პირიდან გადმოსული თოკით... წარმომიდგენია, რეალური სურათი როგორი იქნებოდა!

— როგორც მითხარით, ფილმს რეალური ამბავი უდევს საფუძვლად. ამბის მოწმეები არსებობენ?

— არა, ეს დიდი ხნის წინ მოხდა. ჩემი მეუღლის ბებიას მგონი, დედამისმა უამბო. ამბავი ლეგენდის სახით არსებობს, რაც ჩემი ფილმის საფუძველი გახდა.

— ალბათ, რეალურ ცხოვრებაში ამ მოვლენის საიდუმლო ვერ ამოხსნეს. თქვენს ფილმში თუ ახსენით?

— არა, ფილმში „კარტებს“ ბოლომდე არ ვხსნი. უბრალოდ, ძველი ლეგენდა თანამედროვეობაში „გადმოვათამაშე“ — ფილმში მთავარი გმირის საგვარეულო წყევლასთან გვაქვს საქმე. მთავარი პერსონაჟი რჩეულია და ამიტომაც გადარჩა, სხვები იხოცებიან...

— მთავარი როლის შემსრულებელი როგორ შეარჩიეთ?

— დავით ქაცარავა პროფესიონალი მსახიობი არაა. მას ქართველი მაყურებელი სხვადასხვა სარეკლამო რგოლიდან იცნობს. დავითი ჯომარდის ფედერაციის პრეზიდენტია, ის არაჩვეულებრივი სპორსტმენია — ჯომარდშიც, კალათბურთშიც, ჩოგბურთში, თოვლის რაგბიშიც... იმ დღეს ვეუბნებოდი, — როგორ შეიძლება, რომ სპორტის ყველა სახეობაში ერთნაირად ძლიერი იყომეთქი?

— სამსახიობო ხელოვნებაშიც მაგარია?

— კი. ძმაკაცები ვართ და მის ხასიათს კარგად ვიცნობ. სწორედ მისნაირი ტიპაჟი მჭირდებოდა. როლზე კასტინგის გარეშე, ყველაზე ბოლოს დავამტკიცე. ვუთხარი: ყველაფერში ლიდერი ხარ, ხალხი ყოველთვის შენ გისმენს, გადასაღებ მოედანზე კი მე მომისმინე და არ ითამაშო — ისეთი იყავი, როგორიც სინამდვილეში ხარ-მეთქი. შეიძლება ითქვას, რომ ფილმში დათო საკუთარ თავს თამაშობს, ოღონდ მთავარი გმირისგან განსხვავებით, რეალურ ცხოვრებაში რეჟისორი არაა.

— დათო დამჯერი მსახიობი აღმოჩნდა?

— კი, მისი მუშაობით ძალიან კმაყოფილი ვარ, ნამდვილი პროფესიონალივით იქცეოდა, მაგრამ მაინც სულ ვეჩხუბებოდი. მთელ შემოქმედებით ჯგუფში ჩემთვის ყველაზე ახლობელი ეგ იყო და სხვებს ხომ უნდა ეფიქრათ — ახლობელს როგორ ექცევა და სხვებს რას უზამსო (*იცინის*)!

— აღნიშნეთ, მთავარ როლზე მსახიობი ყველაზე გვიან დავამტკიცეთ. დიდხანს ფიქრობდით, ეს როლი ვის უნდა შეესრულებინა?

— კი, ერთი წლის განმავლობაში ფილმი ჩემს ტვინში „იხარშებოდა“. თავდაპირველად, მთავარ როლში იმედა არაბულის გადაღებას ვფიქრობდი, მაგრამ შემდეგ იმედა „რუსთავი 2“-ის სახე გახდა, სცენარმაც ცვლილებები განიცადა, რომლის მიხედვითაც მთავარი პერსონაჟი დავით ქაცარავას ტიპის ადამიანი უნდა ყოფილიყო.

— სცენარსაც თქვენ წერდით?

— ჩემი იდეაა: ბებოს მონათხრობის მიხედვით, „ღერძი“ ავაგეთ, სასიყვარულო თემა შემოვიტანეთ, ბანალური ჰოლივუდური მიმართულება მივეცით... საბოლოო ჯამში, სცენარი ეკა ჭკადუამ და დათო აბულაძემ დაწერეს.

— Spam — ფილმს ასეთი სახელწოდება რატომ აქვს?

— Spam-ს ბევრი მნიშვნელობა აქვს. დათო ქაცარავას პერსონაჟი „სპამში“ (ელექტრონული წერილის გაგზავნის ფორმა) წერილს იღებს: შაბათ-კვირის ქალაქგარეთ გატარებას სთავაზობენ. მეგობრები დროის გასატარებლად მიდიან, მაგრამ Spam-ის ქსელში აღმოჩნდებიან: იწყება ადამიანის გაორება, პატარა გოგოს მოჩვენება...

— ფილმში „მკვლელი“ ურმის ბორბალიც გამოყენებული გაქვთ?

— ფილმის დასაწყისში ლეგენდას ვაცოცხლებთ: ამბავს მთავარი გმირი ინტერნეტში კითხულობს.

— ურმის ბორბალი სხვა სცენებში არ ჩნდება?

— სახლში როცა ურმის ბორბალი ინთება, ვიღაც კვდება!

— ფილმისთვის ურმის ბორბლის შოვნა ხომ არ გაგიჭირდათ?

— პრინციპში — არა. მშრალი ხიდი გვიცოცხლოს ღმერთმა (*იცინის*). ჩვეულებრივი, ძველი ურმის ბორბლები გამოვიყენეთ. პრემიერაც ბორბლებით იქნება „შელამაზებული“.

— ფილმში მონაწილე სხვა მსახიობებზე რას მეტყვით?

— საბედნიეროდ, ბევრი მსახიობი არ გვყავდა.

— საბედნიეროდ — რატომ?

— დამწყები რეჟისორი ვარ და ბევრ მსახიობთან მუშაობა გამიჭირდებოდა. ვფიქრობ, რომ ჩემი, როგორც რეჟისორის დებიუტი ამ ფილმით შედგა — ნამუშევრით კმაყოფილი ვარ. ფილმში მონაწილეობენ მსახიობები: ირაკლი სანაია, სოფია მაიერი, მიკი ჯეჯელავა, სოფო სებისკვერაძე... ძირითად ეპიზოდურ როლებში ნინო თარხან-მოურავი და ლაშა ოყრეშიძე არიან. მინდოდა, სერიოზულ მსახიობებს დამწყებებისთვის „ზურგი გაემაგრებინათ“. ჩემს ამ სურვილს ნინო სიხარულით დაეთანხმა.

— თქვენს მისტიკურ ტრილერში პატარა მოჩვენების როლის შემსრულებელი — სალომე თათარაშვილი როგორ მოხვდა?

— გოგონას ფილმში მონაწილეობა ძალიან უნდოდა. მას არაჩვეულებრივი

მშობლები ჰყავს, რომლებსაც სჯერათ: შვილისთვის კარგი რომ გააკეთო, უპირველეს ყოვლისა, მას უნდა მოუსმინო. დარწმუნებული ვარ, რომ სხვა-


კადრი ფილმიდან

დასხვა ცრურწმენის გამო, ბევრი მშობელი საკუთარ შვილს მოჩვენების, ჯოჯოხეთიდან გამოცხადებული ბავშვის როლს არ ათამაშებს. ფილმში სალომემ საქმეს თავი ძალიან კარგად გაართვა — ამას შემოქმედებითი ჯგუფის ყველა წევრი აღნიშნავს. გოგონას დიდი მომავალი აქვს.

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ მაინცდამაინც, მისტიკური ტრილერი გადაგელოთ? ამ ჟანრის ფილმები მომგებიანია?

— კი. პატარა კვლევა ჩავატარე, რომლის შედეგიც ასეთი გახლავთ: ქართველ მაყურებელს მელოდრამა ძალიან უყვარს. ამ მხრივ, მეორე ადგილზე სიაში მისტიკური ფილმებია. კომერციულ გათვლასთან ერთად, Spam-ი საქართველოში პირველი მისტიკური ტრილერია. ვფიქრობ, ფილმი გაამართლებს, თუმცა კინორეჟისურაში ჩემი დებიუტი რომ შედგა, ჩემთვის ესეც დიდი გამარჯვებაა! მთელ შემოქმედებით ჯგუფს, ტექნიკურ პერსონალს დიდ მადლობას ვუხდი!

სალომე თათარაშვილი, *8 წლის, მსახიობი:*

— კასტინგზე რომ მივედი, 6 წლის ვიყავი. გამესაუბრნენ და შემდეგ რეჟისორმა მკითხა: ფილმის გადაღებისას, რაღაც რომ არ მომეწონება და გაგიბრაზდები, რას იზამ — თავზე თმა რომ არა მაქვს, როგორ მომქაჩავო? ვუპასუხე: სამაგიეროდ, დიდი ყურები გაქვსმეთქი (*იცინის*)! ხუმრობამ გაამართლა და რეჟისორმა თქვა: არავის აზრი არ მაინტერესებს, ეს ბავშვი როლისთვის არჩეული მყავსო!

— როგორც შევიტყვე, მშობლები შენს არჩევანს დიდ პატივს სცემენ.

— კი. კასტინგზე ჩემმა ახლობელმა — თაკომ წამიყვანა. მშობლებმა რომ გაიგეს, ფილმში მიღებდნენ, ძალიან გაუხარდათ. ბებია ამბობს, — ვერ წარმომიდგენია, „წითელ ხალიჩაზე“ როგორ გაივლიო (*იცინის*).

— საშიში ფილმები მოგწონს?

— კი. მათი ყურება მსიამოვნებს. ძალიან პატარა ვიყავი, როცა „მუმიის“ პირველ სერიას ვუყურე. მაშინ დედამ ამიხსნა, რომ მისტიკური მოვლენები სინამდვილეში არ ხდება. ამიტომ არ შემშინებია.

— გადასაღებ მოედანზე „დასისხლიანებულ“ ადამიანებს რომ ხედავდი, მაშინაც არ გეშინოდა ცოტათი მაინც?..

— არა, მეც საშინელი გრიმი მქონდა: ბებიამ საინფორმაციო გამოშვებაში რომ მნახა, 1 კვირის განმავლობაში თავის ოთახში არ მიშვებდა, — შენი მეშინიაო (*იცინის*)!

— მიუხედავად იმისა, რომ ფილმი ჯერ არ გამოსულა, გავიგე, სკოლაში უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობ.

— ჩემს კლასელებს, მასწავლებელს გაუხარდათ, რომ ფილმში ვმონაწილეობ. დედაჩემის ახლობლები უკვე ავტოგრაფებს მთხოვენ...

სოფო სებისკვერაძე, *მსახიობი:*

— ვერ გეტყვი, რომ მისტიკური ტრილერი ჩემი საყვარელი ჟანრია, მაგრამ ფილმზე მუშაობა მართლა ძალიან საინტერესო იყო! განათლებული, საყვარელი, დაბნეული გოგონას — ლენკას როლს ვასრულებ. ჩემი გმირი მისტიკურ მოვლენებს რაღაც ამბებს უკავშირებს და მეგობრებს ხშირად აფრთხილებს. ცოტა არ იყოს, გარკვეული კადრების ხილვა ჩემთვის დამთრგუნველი იყო: მაგალითად, ერთ-ერთ სცენაში ლენკას საკუთარი თავი სარკიდან ეშმაკის სახით ევლინება. ის ემოცია გამომყვა და ფილმის გადაღების პერიოდში, ძალიან ცუდ სიზმრებს ვნახულობდი: მესიზმრებოდა მკვდარი ბავშვები, დამარხული ადამიანები... გადაღებები კოჯორსა და თბილისში მიმდინარეობდა.

— მისტიკური მოვლენების გჯერა?

— მჯერა და რაღაც მინიშნებები ჩემს ცხოვრებაშიც არის ხოლმე, თუნდაც — სიზმრის სახით...

— ამ ფილმში მონაწილეობამდე, სამსახიობო გამოცდილება თუ გქონდა?

— თეატრალურ უნივერსიტეტში, სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, კიევში ვცხოვრობდი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თეატრისა და კინოს სფეროში არ ვმუშაობდი. 2 წელია, რაც საქართველოში დავბრუნდი. შარშან სერიალ „მესამე თაობაში“ ვმონაწილეობდი, სპექტაკლებშიც ვთამაშობ, სარეკლამო რგოლებშიც მიღებენ...

ირაკლი სანაია, *მსახიობი:*

— სატელევიზიო პროექტის — „დასის“ გამარჯვებული და ამჟამად, რუსთაველის თეატრის მსახიობი გახლავართ. ვფიქრობ, რომ ფილმში მონაწილეობა წარმატებას მომიტანს, რადგან ერთ-ერთ მთავარ როლს ვასრულებ. გადასაღებად დიდი დრო არ გვქონდა. ცოტა არ იყოს, უკმარისობის გრძნობა დამრჩა, ჩემი როლის შესრულებისას. Spam მისტიკური ტრილერია — „უჟასებზეა“, მაგრამ ამ ყველაფერს ჩემი პერსონაჟი ანეიტრალებს. მას იუმორის „ხაზი“ მიჰყავს. ფილმში მონაწილეობა ჩემთვის ძალიან რთული იყო: 7 დეკემბერს დედა გარდამეცვალა. მისი დასაფლავებიდან მეორე დღეს, უკვე გადასაღებ მოედანზე გავედი. მთელ შემოქმედებით ჯგუფს დიდ მადლობას ვუხდი, რომ დედის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, მწუხარება გამინეიტრალა.

მირიან ჯეჯელავა, *მსახიობი:*

— კინოში ჩემი დებიუტი შედგა. მანამდე რამდენიმე სპექტაკლში მითამაშია. ფილმში მონაწილეობის სურვილი ყოველთვის მქონდა. Spam-ზე მუშაობა ორმაგად საინტერესო იყო, რადგან მისტიკური ტრილერი საქართველოში პირველად გადაიღეს. ამ ჟანრის ფილმები ბავშვობიდან ძალიან მომწონს!

— როგორც შევიტყვე, „სექსსიმბოლოს“ იმიჯით სარგებლობთ, თუმცა ჯერჯერობით — მხოლოდ გადამღები ჯგუფის წევრებს შორის.

— ჩემი გმირი ერთ გოგონაზე (რომლის როლსაც სოფია მაიერი ასრულებს) უზომოდ შეყვარებულია, მის ცოლად შერთვას აპირებს. ფილმში ეროტიკულ სცენებში ვმონაწილეობ. არ მინდა, რომ ამის გამო, „ბრჭყალებში“ მოვექცე — მსურს, ბევრი სხვადასხვა როლი შევასრულო!

გვანცა კორშია, *მსახიობი:*

— სრულმეტრაჟიან ფილმში პირველად ვითამაშე. ძალიან კომფორტულ გარემოში აღმოვჩნდი — გადასაღებ მოედანზე მეგობრული სიტუაცია უცებ შეიქმნა. როლის მორგება ცოტათი გამიჭირდა, რადგან ჩემი პერსონაჟი ჩვეულებრივი ახალგაზრდა ქალი არაა — ის ტრაგიკული პიროვნებაა. ცოტათი შეშლილია, თავის სამყაროში ცხოვრობს. მისი შვილი ყველას მკვდარი ჰგონია, მაგრამ რადგან დედას ბავშვის ცხედარი არ უნახავს, მიაჩნია, რომ შვილი ცოცხალია.

— საშინელებათა ჟანრის ფილმები მოგწონს?

— ასეთ ფილმებს ვერ ვუყურებ, რადგან მეშინია (*იღიმის*). მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟანრის ბევრი ფილმი არ მინახავს და შედარებას ვერ მოვახდენ, მაინც მგონია, რომ Spam კარგი გამოვა!

პირველ ქართულ მისტიკურ ტრილერს ქართველი მაყურებელი 5 მაისიდან იხილავს, რეჟისორი კი ახალი ფილმის, ამჯერად — მელოდრამის გადაღებას აპირებს. ეს ქართულ-უკრაინული პროექტი იქნება, რომელშიც საქართველოს და უკრაინის ულამაზესი ადგილები წარმოჩნდება.

■

ჯორჯ კლუნი ლამაზად ბერდება

კვლავაც განვაგრძობთ თემას — თუ რა ადგილი უკავია პლასტიკურ ქირურგიას ვარსკვლავების ცხოვრებაში... ვინ თქვა, რომ მამაკაცისთვის სილამაზე არ არის მთავარი? ამ საეჭვო დებულების ავტორი ალბათ არასდროს ყოფილა ჰოლივუდში. იქ მსახიობები გარეგნულ მიმზიდველობაში ერთმანეთს თავგამოდებით ეჯიბრებიან, რადგან პროფესიული წარმატებისა და მაყურებლის სიყვარულის მოსაპოვებლად გამართულ ბრძოლაში, გარეგნობა სერიოზული იარაღია! იმისათვის, რომ სუპერვარსკვლავი გახდე, მხოლოდ ლამაზი სახე არ კმარა, მაგრამ ვარსკვლავურ ოლიმპზე დასამკვიდრებლად, მსახიობები გარეგნობის გარეშე ვერას გააწყობენ. სამწუხაროდ, დრო არავის ინდობს, მაგრამ მილიონთა კერპების სახეებს ზედმეტი ნაოჭი მაინც არ „ამშვენებს“, ამიტომ ისინი დროის შეჩერებას ცდილობენ და პლასტიკურ ქირურგებს უყოყმანოდ ნებდებიან. გამონაკლისი არც „ოცნებათა ფაბრიკის“ ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ მამაკაცად აღიარებული მსახიობი — ჯორჯ კლუნი აღმოჩნდა, რომელმაც იმიჯის შესანარჩუნებლად, გარეგნობის ოდნავი კორექტირება გადაწყვიტა. კლუნიმ კარგად იცის, რომ ბერდება და მიუხედავად იმისა, რომ თაყვანისმცემელთა ყურადღება არც ახლა აკლია, პლასტიკურ ქირურგებთან ვიზიტს მაინც მოუხშირა. მსახიობი ასაკს ხშირად უჩივის, არ მალავს, რომ დილაობით მუხლები სტკივა... ეშმაკური ღიმილით ნათქვამი სიმართლე და გულწრფელობა მსახიობს კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას მატებს. კოლეგებისგან განსხვავებით, კლუნი არც იმას მალავს, რომ თვალის ქუთუთოებზე პლასტიკური ოპერაცია (ბლეფაროპლასტიკა) გაიკეთა, მით უმეტეს, რომ ოპერაციის შემდეგ 50 წელს მიღწეული გამოუსწორებელი ბერბიჭა ძველებურად ახალგაზრდულად და მიმზიდველად გამოიყურება.

■

პატრისია კაასი პოპულარობის დაბრუნებას ჩინოპლასტიკის მემკვიდრეობით ცდილობს

ნებისმიერი მსახიობის უმთავრესი საგანძურის — მაყურებლის სიყვარულის მოპოვებისა და რაც მთავარია, — შენარჩუნებისთვის, ვარსკვლავებს უამრავი მსხვერპლის გაღება უწევთ და ამ სიაში პლასტიკურ ოპერაციებს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია! როდესაც პოპულარობა ოდნავ კლებულობს, მაშინვე ეჩვენებათ, რომ მაყურებლის სიყვარული ცხვირის, ყურების, ნიკაპის ფორმის, ნაოჭების, პატარა მკერდის გამო მოაკლდათ (ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება)! და რა გასაკვირია, რომ „პოპულარობის საიდუმლო რეცეპტის“ მოსაპოვებლად, პლასტიკურ ქირურგებთან სირბილი ახალგაზრდა, დამწყები მსახიობების გარდა, მსოფლიო ესტრადის ლეგენდარულ ვარსკვლავებსაც ახასიათებთ! მაგალითად, ცოტა ხნის წინ ცნობილმა ფრანგმა მომღერალმა — პატრისია კაასმა ცხვირის ფორმის კორექცია (რინოპლასტიკა) ჩაიტარა. როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ამის მიზეზი ვარსკვლავის პოპულარობის კლებაა. მომღერალი ძველებურად ახალგაზრდა აღარ არის. ორმოც წელს გადაცილებულ ვარსკვლავს დაბერება არ სურს და სასწაულის იმედი აქვს. ლეგენდარული მომღერალი მისი შემოქმედების გაფურჩქნის პერიოდში გარეგნულ ნაკლს ყურადღებას თითქმის არ აქცევდა და პლასტიკურ ქირურგებს დახმარებისთვის არ აკითხავდა. მაგრამ ახლა გარეგნული ნაკლისთვის ყურადღების მიქცევა მხოლოდ ბოლო ხანებში პოპულარობის კლებით გამოწვეული პირობითობა უნდა იყოს... მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ოპერაცია მეტად წარმატებული აღმოჩნდა და ახლა პატრისიას ბევრად ლამაზი, ნატიფი და ქალური ცხვირი აქვს. მით უმეტეს, რომ მომღერალმა სხეულის ახალგაზრდული სინატიფე და მომხიბვლელობა შეინარჩუნა და სუნამოს მწარმოებელი ცნობილი კომპანიის სახეც კი გახდა. შესაძლოა, პრობლემა გარეგნობაში კი არა, მართლაც პატრისია კაასის შემოქმედებაშია, რადგან გარეგნულად თუ მორალურად მანკიერი მრავალი მსახიობი, მომღერალი თუ უბრალოდ, ცნობილი ადამიანი ინარჩუნებს პოპულარობას. ესთეტიკური მედიცინა კი მხოლოდ გარეგნული იერის გაკეთილშობილების შესაძლებლობაა და სხვა არაფერი...

■

ბრიტნი სპირსის მეტამორფოზა

ცხოვრება

არჩევანი — არადანი ანუ „ჩამოვიარე მე შენს ქუჩაზე“...

მარი ჯაფარიძე

გასულ ხუთშაბათს, დილით გამოძინება მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ნუუურას უკაცრავად, ეს მთავრობა რამეს დაგაცდის? მთავრობა რა შუაშიაო, იკითხავთ. მთავრობა ხომ არ მოგადგა კარს, შენთვის ძილი რომ დაეფრთხოო და მართალიც იქნებით, მაგრამ ახლავე დაგიმტკიცებთ, რომ ხუთშაბათს დილით ჩემი იდილიის დარღვევა სწორედ მათი ბრალი გახლდათ.

მოკლედ, კარზე კაკუნმა გამაღვიძა. კარგა ხანს მოვიმძინარე თავი და გულში მტკიცედ გადავწყვიტე, ადგილიდან კი არა და საწოლიდანაც არ მომეცვალა ფეხი, მაგრამ დაუპატიჟებელი სტუმარი არა და არ ეშვებოდა ჩემს კარს... „ოტ ულიბკი სტანეტ ვსემ ტეპლეიიიი“, — მღეროდა კარზე დაყენებული ზარი.

— სახლში არავინაა? — ყოველი შემთხვევისთვის დავიძახე.

არადა, ვიცოდი, რომ მარტო ვიყავი. ცოტა ხანში მობილურმა დარეკა — „ახლა მალე გათენდება, ადექ, მუშავ, შეეენ, ნუ გძინაავს შეენ, ნუ გღვიძაავს შეენ“... უცხო ნომერი იყო და გადავწყვიტე, არ მეპასუხა. საბანი თავზე წავიფარე და დაძინება ვცადე... „მესიჯი მოვედი, მესიჯი მოვედი“, — „მაუწყა“ მესიჯმა. სამი მხრიდან მიტევდა „მტერი“... ვიდრე მეოთხე ცეცხლსაც გახსნიდა და სახლის ტელეფონიც აწკრიალდებოდა, ჯერ მესიჯი წავიკითხე: „მარი, კარი გაგვიღე, ჩვენ ვართ, ვიცი, სახლში ხარ, მანქანა ეზოში დგას“... თურმე ნაცნობი მიმტვრევს კარს, მაგრამ „ჩვენ ვართ“ ვინაა, ეგ კი ვერ გავიგე, რადგან ნომერი არ მეცნო. იძულებული გავხდი, კარი გამეღო. თვალები მოვიფშვნიტე, რადგან თავი სიზმარში მეგონა. კართან კარგა ხნის უნახავი ნაცნობი იდგა და მიღიმოდა. მას კიდევ ერთი, ჩემთვის უცნობი, ახალგაზრდა ქალბატონი ახლდა.

რაღა თქმა უნდა, შინ შემოვიპატიჟე და მცირეოდენი მოკითხვის შემდეგ მოსვლის მიზეზი ვკითხე.

— მარი, შენი დახმარება გვჭირდება (აბა, შენს დასახმარებლად მოვედიო, ვინ მეტყვის?), ცნობილი ჟურნალისტი ხარ (შორს გავარდნილა ჩემი „ცნობილი ჟურნალისტობის“ ამბავი. ქალაქის მეორე ბოლომდე მიუღწევია) და უნდა დაგვეხმარო.

— რაშია საქმე, ხომ მშვიდობაა? — შევშფოთდი.

— ახლა არჩევნები მოდის, — ძალიან სერიოზული სახით მითხრა.

— კაი, კაცო, — გავიკვირვე მე.

— ჰოდა, ჩვენ დავალებული გვაქვს, მოსახლეობა აღვწეროთ და ზუსტი სიები შევადგინოთ საარჩევნოდ.

— რომელი პარტიიდან ხართ?

— არც ერთი პარტიიდან არ ვართ. უბრალოდ, სიები უნდა შევადგინოთ, თანაც, შეძლებისდაგვარად, 1-2 სიტყვით აგიტაციაც გავწიოთ.

— აჰა, გასაგებია, მმართველი პარტიიდან ყოფილხართ და ჩემი დახმარება რაში გჭირდებათ? — ირონია გავურიე ნათქვამში.

— 1-2 სიტყვა რომ შეგვაშველო, ურიგო არ იქნება (სულ 1-2 სიტყვა ჰქონიათ სათქმელი და ისიც მე უნდა ვთქვა, როგორც ჩანს).

მართალია, ჟურნალისტი ობიექტური და „უპარტიო“ უნდა იყოს, მაგრამ არა — უიდეო. ამიტომ, შემოთავაზებულმა წინადადებამ, მოსახლეობაში მათთან ერთად ჩამომევლო და საარჩევნო სიების შედგენაში მონაწილეობა მიმეღო, მაშინვე დამაინტერესა. სასწრაფოდ გამოვეწყვე, „რკინის ქალამნები“ ჩავიცვი, ხელში „რკინის ჯოხი“ დავიჭირე და „დიდი საქმის“ საკეთებლად და თავგადასავლების საძებნელად გავწიე.

რამდენიმე ოჯახი დაუბრკოლებლად „გადავლახეთ“ და საარჩევნო სიას ათიოდე ადამიანი შევმატეთ.

ამასობაში ერთ ხის კარს მივადექით და ზარი დავრეკეთ.

— ვინ ხარ? — შიგნიდან ჩახრინწული ხმით გვკითხა ვიღაცამ. სავარაუდოდ, ამ ხმის პატრონი მოხუცი ქალბატონი უნდა ყოფილიყო.

— ჩვენ, — უპასუხა ჩემმა ერთ-ერთმა თანამგზავრმა.

— ვინ შენ?

— საარჩევნო სიებს ვადგენთ, ქალბატონო, თუ შეიძლება, კარი გაგვიღეთ.

— ვერ გავალებ, დამიმტკიცეთ, რომ სიებს ადგენთ და გავაღებ, — შეუვალი იყო მოხუცი.

— „გლაზოკში“ გამოიხედეთ და დაგიმტკიცებთ.

— ვერ ვწვდები „გლაზოკს“, — რაღაცნაირად, გულდაწყვეტით თქვა ქალმა.

— სკამი მიიდგით და ისე გამოიხედეთ, — ალტერნატიული ვარიანტი შევთავაზეთ.

ცოტა ხნის შემდეგ ფეხის ხმა გავიგონეთ, რომელიც კარს თანდათან შორდებოდა... შემდეგ ისევ მოისმა ფაჩუნი, სკამის დადგმის ხმაც გავიგონეთ.

— გვხედავთ, ქალბატონო? — საარჩევნო სია „გლაზოკთან“ მიიტანა ლიამ.

უეცრად, სკამის დავარდნის, შემდეგ რაღაც სხეულის დაცემის ყრუ ხმა გავიგონეთ...

— ისევ მანდ ხართ? — მოგვესმა ხმა ქვევიდან. თითქოს ვიღაც ქვევრიდან გველაპარაკებოდა.

— დიახ, — სამივემ ერთხმად ვუპასუხეთ.

— „სასწრაფო“ გამოიძახეთ! — განწირული ხმით დაიძახა.

ვიდრე „სასწრაფო“ მოვიდოდა, ჩვენ კარს აკრულები ვიდექით და მოხუცს გარედან ვამხნევებდით. უეცრად, ახალგაზრდა მამაკაცი მოგვიახლოვდა და ეჭვის თვალით დაგვიწყო ყურება. გზა დავუთმეთ. კარს, რომელზეც რამდენიმე წამის წინ ყური გვქონდა მიდებული, გასაღები მოარგო და შინ „უკუსვლით“ შევიდა. თან თვალს არ გვაშორებდა, რადგან ფაქტობრივად, ფეხდაფეხ მივყვებოდით. უეცრად, რაღაცას ფეხი წამოჰკრა და ძირს გაიშხლართა. მივხვდით, რომ ეს „რაღაც“ კი არა, მისი ბებია იყო, რომელიც წეღან სკამიდან გადმოვარდა. ჯერ მამაკაცი წამოვაყენეთ, შემდეგ მივეხმარეთ და ბებია საწოლზე დავაწვინეთ. ამასობაში „სასწრაფოც“ მოვიდა და მოხუცს მიხედა. საბედნიეროდ, არაფერი ჰქონდა მოტეხილი. მხოლოდ შეშინებული გახლდათ და მალევე გუნებაც გამოუკეთდა... ყავაც შემოგვთავაზა, რაზეც თავაზიანი უარი ვუთხარით. ლიამ ფურცელი და კალამი მოიმარჯვა და ვი-

ნაიდან მამაკაცი სადღაც გაუჩინარდა, ჯერ ბებიას საპასპორტო მონაცემებით დაინტერესდა.

— ბებო, სახელი და გვარი გვითხარი.

ბებიამ თვალები მოჭუტა, შუბლი შეიჭმუხნა, შემდეგ ხელით მოისრისა...

— ძალიან გეჩქარებათ? — გვკითხა შემდეგ, როდესაც დარწმუნდა, რომ სახელსა და გვარს ვერ იხსენებდა.

ერთმანეთს გადავხედეთ და სიცილი აგვიტყდა. როგორც იქნა, მისი შვილიშვილი დაბრუნდა, მისი წყალობით, სია 2 ადამიანით შევავსეთ და იქაურობას გავეცალეთ.

ამის შემდეგ კიდევ ათიოდე ბინას ვესტუმრეთ ყოველგვარი ექსცესის გარეშე და მივადექით IX სართულზე მცხოვრებ ოჯახს. კარი შუა ხნის, ტანსრულმა მამაკაცმა გააღო.

— გამარჯობა, საარჩევნო...

— რაო? საარჩევნოო? — მამაკაცმა ლიას სიტყვა გააწყვეტინა და დოინჯი შემოირტყა. — აბა, ახლა მოძუძგეთ აქედან, მინამ (დიახ, სწორედ ეს სიტყვა გამოიყენა) ლამაზები ხართ, — დაიხარა და იქვე, კართან დადებულ ცოცხს წამოავლო ხელი, — მოძუძგეთ-მეთქი, არ გესმით თქვენა? — ცოცხი ასწია და ისეთი პოზა მიიღო, ეჭვი არ შეგეპარებოდა, რომ დარტყმას გვიპირებდა. ლიამ და ნანამ „მოძუძგეს“, კიბეზე ერთმანეთს ასწრებდნენ, მე კი გაოცებული ვუყურებდი უცნაურ მასპინძელს და თვალსაც არ ვახამხამებდი. არც ვაპირებდი იქიდან ისე წამოსვლას, რომ საჭირო ინფორმაცია არ მიმეღო.

ჩემმა მზერამ მამაკაცს ხელი ასე ჰაერში გაუშეშა.

— შენ რატომ არ გარბიხარ? — მკითხა და შუბლი კიდევ უფრო შეკრა.

— რატომ უნდა გავიქცე, დავაშავე რამე?

— აბა ვინ დააშავა, მეე?

— ვინც დააშავა, გაიქცნენ კიდეც, მე კი ჟურნალისტი ვარ და დაკვირვებას ვახდენ. მინდა გავიგო, ადამიანებს როგორი აზრი აქვთ არჩევნებთან დაკავშირებით, — ჩემი პროფესია მაინც ვახსენე, ყოველი შემთხვევისთვის და ჩემს თავს ზემოთ აღმართული ცოცხისკენ გავაპარე თვალი.

— რომელი ტელევიზიიდან ხარ? — მკითხა და კიბეს გახედა. როგორც ჩანს, თანმხლებ ოპერატორს ეძებდა.

— ჟურნალი „გზა“ გაგიგონიათ? „გზიდან“ ვარ.

მამაკაცს სახე გაეხსნა, ღიმილი გადაეფინა, ცოცხი დაუშვა და იქვე მიაგდო, ხელები ერთმანეთზე გაუსვ-გამოუსვა.

— მობრძანდი, გენაცვალე, მობრძანდი, ყველაფერს მოგიყვები, — შინ შემიპატიჟა.

გაბედულად შევდგი ფეხი და საკმაოდ მყუდრო ბინაში აღმოვჩნდი. მისაღებ ოთახში დივანი გაეშალათ, სუფთა, გაკრიალებულ თეთრეულში ვიღაც იწვა.

— ნინაჩკა, ნახე, ვინ მოგიყვანე, — უთხრა მწოლიარეს.

— ქალმა თავი წამოსწია და შემომხედა. თუმცა, ნაცნობი რომ არ აღმოვჩნდი, ისევ მიწვა.

— ეს ჩემი მეუღლეა, ავადაა, 2 წელია, არ ამდგარა ფეხზე.

თავი უხერხულად ვიგრძენი, რადგან არ ვიცოდი, რა მეთქვა და რით მენუგეშებინა ეს ადამიანები.

— ნინაჩკა, ეს გოგონა ჟურნალ „გზის“ წარმომადგენელია, — მამაკაცმა ტუმბოზე დალაგებული უამრავი ჟურნალებიდან ერთ-ერთი, იმ დღეს გამოსული ნომერი აიღო, — შენ ხომ გიყვარს ამ ჟურნალის კითხვა.

— მართლა? თქვენ გაიხარეთ, რომ ამ გაუსაძლის ყოფაში იმედს მაძლევთ. ისე ვერთობი ხოლმე თქვენი ჟურნალით, ერთი სული მაქვს, ხუთშაბათი როდის მოვა.

— სასიამოვნოა, ქალბატონო, თუ მოგწონთ ჩვენი ჟურნალი.

— ყველაზე მეტად „პროვოკატორი“ მომწონს, კითხვას მისი სტატიით ვიწყებ ხოლმე. შემდეგ პოლიტიკურ ბლოკს ვეცნობი, შემდეგ „გზავნილებს“ და „ბიბლუსის“ ნაწილს. თამუნა კვინიკაძე კარგი გოგონაა, იცნობთ ალბათ.

— დიახ, რა თქმა უნდა.

— კარგად წერს. მარი ჯაფარიძესაც იცნობთ? ვგიჟდები მაგ გოგოზე.

— ჰმმ, დიახ... — უხერხულად ჩავახველე და საჭიროდ არ მივიჩნიე, მეთქვა, რომ მე ვარ.

— თქვენ რა გვარი ხართ? შორიდან ყველას გიცნობთ.

— ჯაფარიძე, — იძულებული გავხდი, მეთქვა.

— ძალიან გამახარე, მარი, ჩემთან რომ მოხვედი. დიდი მადლობა გადაეცი თქვენს მთავარ რედაქტორს, რომ ასეთი კარგი კოლექტივი შეკრა. ყველა კარგები ხართ და გუნდურად მუშაობთ. ახლა „ქართული პროზის საგანძურსაც“ ვყიდულობთ და კმაყოფილი ვარ, რომ იაფად ასეთი კარგი წიგნების შეძენის საშუალებას გვაძლევთ.

— გმადლობთ, ქალბატონო, თბილი სიტყვებისთვის... რატომ ხართ ასე აგრესიული არჩევნების მიმართ? — ვკითხე მამაკაცს.

— ჩემო კარგო, ნუთუ არსებობს ადამიანი, ვისაც კარგი დამოკიდებულება აქვს? ყველაფერი რომ წესრიგიანად ტარდებოდეს, ხმას ვინ ამოიღებს? რა ჯობია, როცა სასურველ კანდიდატს შემოხაზავ და იცი, რომ ღირსეული გაიმარჯვებს? დადიან ახლა და წინასაარჩევნოდ დაპირებებს იძლევიან, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ალბათ არ ღირს, ეს ისევე ძველია, როგორც სამყარო და ყველამ ვიცით, როგორ „სამართლიანად“, „გამჭვირვალედ“ და „ობიექტურად“ ჩაივლის ყველაფერი. აგერ, 2 წელია, ნინა ლოგინადაა ჩავარდნილი. შევაწუხე თხოვნითა და ვედრებით ქალაქის მმართველობა, რომ დამხმარებოდნენ და მისთვის ხერხემალზე ოპერაცია გამეკეთებინა, მაგრამ აქამდე ყური არავის დაუგდია. ახლა კი საარჩევნოდ დახმარებას შემპირდნენ, მაგრამ პროცესს წელავენ. დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ... ამასობაში არჩევნები ჩაივლის და ისევ „დაყრუდებიან“. საბჭოთა წყობილების დროს ხელისუფლება თვითონ აფუჭებდა ადამიანებს ახლა უკვე „მომზადებული კადრები“ მოდიან ხელისუფლებაში. არჩევნების წინ სამშობლოსაც ისე შეიყვარებენ ხოლმე, ასე მგონია, ჯგუფურ ძალადობას სჩადიან კანდიდატები. ახალი ანეკდოტი იცით? — უცებ შეცვალა საუბრის თემა.

— ალბათ პოლიტიკურ ანეკდოტს გულისხმობთ.

— დიახ. სააკაშვილი ზის და თავისთვის ბურტყუნებს: ბიჭი? თუ გოგო? ბიჭი? თუ გოგო?

— ბატონო მიხეილ, ხომ არ ჯობია, ექოსკოპიაზე დაგედგინათ ბავშვის სქესი?

— ბავშვის სქესზე კი არა, საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე ვინ დავნიშნო, იმაზე ვიმტვრევ თავს.

ასეა, გენაცვალე, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არჩევითია, ძალიან ცდება. პრეზიდენტი ვისაც დაგვინიშნავს, ის იქნება მმართველიც, მერიც, ჩვენი „მამა და მარჩენალიც“ და „პოლიხრონიონისაც“ ვუმღერებთ.

მასპინძლებს დავემშვიდობე, ვინაიდან ლიამ ტელეფონი „ამიფეთქა“, ჩამოდი და ჩამოდი, გელოდებითო.

„ხელცარიელი“, რა თქმა უნდა, არ ჩავსულვარ. მასპინძლების საპასპორტო მონაცემები გადავეცი და პირობა, რომ არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებენ.

განვაგრძეთ სართულების ჩამოვლა. ერთ-ერთ სადარბაზოში კიბეზე ახალგაზრდა მამაკაცი შეგვხვდა.

— თქვენ აქ ცხოვრობთ? — სიაში შეყვანის კანდიდატი „ჰაერში ააგდო“ ლიამ.

— დიახ.

— სახელი და გვარი მითხარით, — ფურცელი მოიმარჯვა, — საარჩევნო სიას ვადგენთ.

მამაკაცმა ყველა მონაცემი უკარნახა, რაც ლიამ მოსთხოვა.

— იცით, რა მინდა გკითხოთ? ამ წინასაარჩევნოდ უცნაური სიზმარი ვნახე და იქნებ ამიხსნათ, რას ნიშნავს? ჩვენი კანდიდატი მოსულიყო ეზოში და მიწას თხრიდა, რათა ბავშვებისთვის სათამაშო

მოედანი გაეკეთებინა. სადაც კი ბარს დაჰკრავდა, ყველგან განავალი ამოდიოდა...

— ფული იცის ასეთმა სიზმარმა, — გახარებული სახით აუწყა ლიამ.

— მართლა? ნწუ... ნწუ... ნწუ... — დანანებით გააქნია თავი. — წარმომიდგენია, ბილ გეიტსი ყოველ ღამე როგორ სიზმრებს ხედავს, — მამაკაცმა თავის ქნევით განაგრძო გზა.

„ოპოზიცია თვითონ ვერ გარკვეულა, „ვინ“, „როდის“ და „როგორ“ და ჩვენ რა უნდა გვირჩიონ?“

„რაც მთავრობა გვყავს, ისაა ოპოზიციაც“,

„ახალი ვირუსია გავრცელებული — „ოპოზიც-ვიჩი“ და დროა, ნიღბებით ვიაროთ, რათა წინასაარჩევნოდ კანდიდატებთან „კოცნაობამ“ არ მოგვიწიოს“,

„საშინელი ხალხი ხართ, არც გრცხვენიათ, დადიხართ, დაწანწალებთ, ხალხს აწუხებთ, არჩევნებიც თქვენი იყოს, კანდიდატებიც და არჩეულებიც მშვიდობაში მოგახმაროთ ღმერთმა“;

„ვაი, თქვენს პატრონს!“

„რა ნამუსით მოდიხართ და კარზე რა ნამუსით გვიკაკუნებთ, არ გრცხვენიათ?“

„მიშაზე ვგიჟდები, ჩვენნაირი პრეზიდენტი არავის ჰყავს“;

„მითხარით, ვინაა თქვენი კანდიდატი და ბარემ შემოვხაზავ, მაინც მაგან უნდა გაიმარჯვოს და“...

„როდისაა არჩევნები, უკაცრავად?“

„საპრეზიდენტო არჩევნები გვაქვს?“

„მე მიშას ვაძლევ“;

„არჩევნებზე არ წავალ, ბოიკოტს ვუცხადებ“;

„შარშან 10 წლის წინ გარდაცვლილ ჩემს დედამთილსაც დაუძახეს არჩევნებზე და წელს აღარ მოუვა „მოსაწვევი“ ნეტავ?“

სხვადასხვა ოჯახში გაგონილი ეს ფრაზები საგანგებოდ თქვენთვის ჩავინიშნე...

საკმაოდ გვიან დავიშალეთ იმ დღეს. ბევრი საინტერესო რამ მოხდა კიდევ, მაგრამ ყველაფერს ვერც დავტევ და ვერც დავწერ. ოდესმე „კურიოზებში“ მოგიყვებით. ჩემს თანამგზავრებს დავემშვიდობე და მაღაზიაში შევედი. უკვე კეტავდნენ და ძლივს მივუსწარი.

— ქათამი არ გაქვთ? — ცარიელ დახლ-მაცივარს დანანებით დავხედე.

გამყიდველმა მაცივრიდან გაყინული ქათამი გამოიღო და სასწორზე დადო. აშკარად დავინახე, რომ ეს ერთადერთი ქათამი იდო მაცივარში.

— 1 კილო და 400 გრამია.

— უფრო მოზრდილი მინდოდა, — დანანებით ჩავილაპარაკე და საფულე ამოვიღე.

— მოითმინეთ, — გამყიდველმა ქათამი მაცივარში დააბრუნა, კარგა ხანს აფათურა ხელი, ისევ ის ქათამი ამოიღო, სასწორზე დადო და თითიც „მიაწონა“, — 1 კილო და 800 გრამია. ეს გაწყობთ?

— დიახ, ორივეს ავიღებ, დამიანგარიშეთ, თუ შეიძლება...

ჰოდა, იმ გამყიდველის გაოგნებული სახეც ამ მთავრობის ბრალია ნეტავ? ■

შეთითხნილი ბრალდება და უდანაშაულო „დამნაშავე“

ვინ აგებს პასუხს 23 წლის ბიჭის უკანონო პატიმრობაზე?

ცოტა ხნის წინ თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე ლია ორკოდაშვილი) 23 წლის გიორგი ცოფურაშვილის ბრალდების საქმე განიხილა. ახალგაზრდა ბიჭს ძარცვაში ადანაშაულებდნენ. ბრალის მიხედვით, 2009 წლის 11 მაისს გიორგი აღმაშენებლის გამზირზე იმყოფებოდა, როცა სხვისი ნივთის დაუფლება გადაწყვიტა. საცობში ნელა მოძრავ „ოპელის“ მარკის ავტომანქანას მიუახლოვდა, რომელშიც სამი ქალი იჯდა, მანქანის ფანჯარაში ხელი შეჰყო, მძღოლ ჯალილოვას ოქროს ყელსაბამი ჩამოჰგლიჯა და მიიმალა. დაზარალებულის ზიანი 670 ლარით განისაზღვრა. ცოფურაშვილი დააპატიმრეს, ის თავს დამნაშავედ არ ცნობდა, მაგრამ მოწმე ამხელდა. მოგვიანებით საქმეში დაკავებულის აღიარებითი ჩვენებაც გაჩნდა. ამბობდა: დანაშაული გაჭირვებამ ჩამადენინა და მომხდარს ძალიან ვნანობო. უფრო მეტიც, უთითებდა — ნაძარცვი ვაგზალზე 70 ლარად გავყიდეო.

თეა ხურცილავა

განსასჯელის დამცველად საქმეში ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი სასამართლო განხილვისას ჩაერთო. ბატონი ზურაბი იხსენებს, ცოფურაშვილმა შეხვედრისთანავე მითხრა, სრულიად უდანაშაულო რომ იყო და აღიარებითი ჩვენება მხოლოდ საპროცესო გარიგების გაფორმების იმედით მისცა. ამის შემდეგ ადვოკატმა მისი უდანაშაულობისთვის ბრძოლა დაიწყო.

სასამართლო გამოძიება სრულყოფილად ჩატარდა და განაჩენში ვკითხულობთ, რომ ახალგაზრდა ბიჭის უდანაშაულობა დადასტურდა. გაირკვა, რომ შემთხვევის ადგილზე იმ დროს საერთოდ არ იმყოფებოდა. მოსამართლემ გიორგი ცოფურაშვილი დარბაზიდან გაათავისუფლა, მიიჩნია, რომ ის უკანონო პატიმარი იყო. ასეთი განაჩენებით საზოგადოება განებივრებული ნამდვილად არაა, ადვოკატი როსტიაშვილი ფაქტს მიესალმება და დიდ მიღწევად მიიჩნევს.

სასამართლო ამ სკანდალურ განაჩენამდე საქმის განხილვის შემდეგ მივიდა. დაზარალებულმა და მოწმემ პროცესზე განაცხადეს, რომ მძარცველის სახე არ დაუნახავთ, ოქროს ჯაჭვი ააგლიჯა, გაიქცა და მხოლოდ ზურგიდან დაინახეს. მათი მტკიცებით, მძარცველის სიმაღლე 170 სმ იყო. მოწმე აცხადებდა, მძარცველი ჩემზე ორი თავით მაღალი იყოო. ადვოკატმა ბევრი კითხვა დაუსვა მას და მოწმის სიმაღლითაც დაინტერესდა. მან განმარტა, რომ 154 სმ-ის სიმაღლის იყო. არც ამ გათვლებით ემთხვეოდა ცოფურაშვილისა და დამნაშავის აღნაგობა.

ერთადერთი მოწმე, რომელიც აცხადებდა, რომ მძარცველის სახე დაინახა, მძღოლის ქალიშვილი, მეხტიევა იყო. ჯერ კიდევ წინასწარ გამოძიებაში ამბობდა, რომ შეეძლო მძარცველის ამოცნობა და ამხილა კიდეც. ამ პოზიციაზე დარჩა სასამართლოზეც და განსასჯელს ხელი დაადო. „განსასჯელი ამოვიცანი, იმავე ქურთუკით მოიყვანეს ამოცნობაზე და ვიზუალურად, სახეზეც ვიცანი, ამან ჩამოგლიჯა დედას „ცეპი“, — აცხადებდა იგი.

სახელმწიფო ბრალმდებელი განსასჯელის ბრალეულობის დამტკიცებას ცდილობდა და ამისთვის ყველა ღონეს ხმარობდა. ეს სასამართლოს განაჩენშიცაა ასახული: *„მოწმემ კატეგორიულად განაცხადა, მისი სახე მხოლოდ მანქანასთან დაინახა, ამის შემდეგ პროკურორი შეეცადა მისთვის მისახვედრებელი შეკითხვა დაესვა, რაზეც მოწმემ განაცხადა იმ პირმა დადეევნების დროსაც გამოიხედაო. თუმცა ასეთი რამ წინასწარ გამოძიებაში ნათქვამი არ ჰქონდა და არც მისახვედრებელი კითხვის დასმამდე უთქვამს“*, — ვკითხულობთ განაჩენში. ფაქტია, მოსამართლემ ამ სიტყვებში ეჭვი შეიტანა.

განსასჯელის ადვოკატმაც ბევრი დამაბნეველი კითხვა დაუსვა ბრალდების მთავარ მოწმეს. მან ისიც თქვა, ახლოს არ იყო განსასჯელი დადევნებისას, თორემ დავიჭერდიო.

განსასჯელმა წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების პროცესზე გამოქვეყნებაზე უარი თქვა, ასეთ დროს მის ადრინდელ ჩვენებას მტკიცებულებად ვერ გამოიყენებდნენ.

გიორგი ცოფურაშვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი უდანაშაულოდ ცნო და აღიარებით ჩვენებაზე შემდეგი განმარტება გააკეთა: *„არ ვაღიარებდი, მაგრამ ჩემი ადვოკატი მიმტკიცებდა, გამამართლებელ განაჩენს არავინ გამოიტანს, სჯობია დანაშაული აღიარო და საპროცესო შეთანხმებას მაინც გაგიფორმებენო. მეც დავეთანხმე... რაც შეეხება ამოცნობას, ესეც კანონის დარღვევით მოხდა, ამოცნობისას ჩემზე ასაკით გაცილებით უფროსი მამაკაცები მოიყვანეს და ისე ამომიცნო მოწმემ“.* — აცხადებდა იგი.

სასამართლოზე განსასჯელის ადვოკატმა შუამდგომლობა დააყენა და „ჯეოსელიდან“ ბრალდებულის სატელეფონო საუბრების ამოღება მოითხოვა, ამით დადგინდებოდა იმ დროს რეალურად სად იმყოფებოდა დაკავებული და საერთოდ იყო თუ არა აღმაშენებლის გამზირზე.

მოსამართლემ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა, ასევე დაიკითხნენ განსასჯელის მეუღლე და სიდედრი, ისინი ირწმუნებოდნენ, რომ გიორგი იმ დროს სიდედრის ბინაში, ფონიჭალის ტერიტორიაზე იყო. ამ მოწმეების ჩვენება ამოღებულმა სატელეფონო საუბრის სქემამ და „ჯეოსელის“ თანამშრომლის ჩვენებამ გაამყარა. ანძების მითითებით ნუსხა გაიშიფრა და გაირკვა, რომ დანაშაულის ტერიტორიაზე განსასჯელი საერთოდ არ იმყოფებოდა.

სასამართლომ საბოლოოდ მიიჩნია, რომ მხოლოდ ერთი მტკიცებულება დარჩა საქმეში და ეს მოწმე მესტიევას ჩვენება იყო, რომელმაც რამდენიმე წამით დაინახა დამნაშავე. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოწმე შესაძლოა კეთილსინდისიერად ცდებოდა.

ასეთი ვითარების მიუხედავად, პროკურორმა გიორგი ცოფურაშვილისთვის ხუთწლიანი პატიმრობის შეფარდება მოითხოვა, მაგრამ საბოლოოდ ახალგაზრდა კაცი ციხეს გადაურჩა, რადგან მოსამართლემ უკანონო პატიმრად მიიჩნია. ამასთან პატიმარს ისიც განუმარტეს, რომ რეაბილიტაციისა და უკანონო პატიმრობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც აქვს. ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილის თქმით, ის პირები უნდა დაისაჯონ, ვინც ახალგაზრდა ციხეში უდანაშაულოდ გამოკეტა. ადვოკატი არც იმას მალავს, რომ განსასჯელი ყოფილმა ადვოკატმაც შეიყვანა შეცდომაში, როცა აღიარებინა ის, რაც არ ჩაუდენია. ამ ფონზე, მართლა ადვილი არ იყო ბიჭის უდანაშაულობის დამტკიცება, საბედნიეროდ, მოსამართლე ამაში დარწმუნდა.

ადვოკატი **ზურაბ როსტიაშვილი:**

— საქმეში სასამართლო ეტაპზე ჩავერთე. წინასწარ გამოძიებაში მას სხვა ადვოკატი ჰყავდა, ყოფილი პროკურორი. როცა გიორგის შეეხვდი, თქვა სრულიად უდანაშაულო ვარო, მაგრამ აღიარებითი ჩვენება ჰქონდა მიცემული. ამიხსნა, — ადვოკატმა დამარწმუნა, სხვა საშველი არ არის აღიარების გარდაო, მის ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ. თურმე ხელკავი გაუკეთებია გამომძიებლისთვის და უთქვამს: წამო, ახლა უნდა ვაღიარებინოო. გამომძიებელს უკითხავს, როგორ უნდა აღიარებინო? მოდი, მოდი, ასეთი საქმე მქონდა, ვერ გავამართლე პირი და ყველაზე კარგი გამოსავალი ბრალის აღიარებაა. ყველამ ვიცით, ვარდების რევოლუციის შემდეგ პროკურატურა ძალადობაზეა გადასული და კანონი საერთოდ იგნორირებულია. ეს ხალხის ბრალიცაა, არ შეიძლება უდანაშაულობაზე თვალის დახუჭვა. სასამართლოზე ზემოქმედება რომ ხდება, ესეც ფაქტია. მოსამართლემ ზეწოლას უნდა გაუძლოს. ადვოკატი ამ შემთხვევაში ყველაზე მაგარი პროკურორი, გამომძიებელი, პოლიციელი გამოვიდა და აღიარებინა ის, რაც არ ჩაუდენია, მაგრამ არც საპროცესო გაუფორმეს. გიორგი ამბობდა, უდანაშაულო ვარ, მაგრამ თავი დამანებეთ, მზად ვარ 3.000 ლარი საპროცესო შეთანხმებაში

ადვოკატი
ზურაბ როსტიაშვილი

გადავიხადოო. 9 თვე პატიმრობაში გაატარებინეს უდანაშაულო ბიჭს. ნათქვამია: ჯობია, ასი დამნაშავე ქუჩაში დადიოდეს, ვიდრე ერთი უდანაშაულო ციხეში იჯდესო. ცოფურაშვილს ვუთხარი, რაც არ ჩაგიდენია, არ აღიარო, თუნდაც 4 წელი ციხეში ყოფნამ მოგიწიოს-მეთქი. საქმე პროცესზე მართლა „წელში გადატყდა“ და გამამართლებელი განაჩენი დადგა.

— **როგორც ირკვევა, მთავარი მოწმის სიცრუეც გამოაშკარავეთ.**

— დაკითხვის ჩემეული სტილი საყოველთაოდ ცნობილია. ცოფურაშვილი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. ასეთი მეთოდი აქვთ: როცა დაზარალებული განცხადებას შეიტანს და აღწერს დამნაშავეს, იქმნება ფოტორობოტი, იმ რაიონში მცხოვრებ საეჭვო პირების ფოტოებს გადაამოწმებენ და ვისაც მიამგვანებენ, იმას თავს ციხეში უკრავენ. ძიებაში ეწერა, რომ მძარცველი მუქი პირისახის იყო, სინამდვილეში ცოფურაშვილი ღია ფერისაა. ეწერა, რომ ხუჭუჭა თმა ჰქონდა, ცოფურაშვილს კი სწორი თმა აქვს. მოწმე დეტალებში დაიკითხა, ამბობდა, ავტომანქანა ნელა მიდიოდა, ააგლიჯეს „ცეპი“, შემდეგ მძღოლი მარჯვნივ გადავიდა და გააჩერაო. ამას 1 წუთამდე დრო ხომ სჭირდებოდა, ამასობაში მძარცველი მინიმუმ 300-400 მეტრზე გაიქცეოდა, ხომ არ დაელოდებოდა მსხვერპლს. როცა აღიარებინეს დაკავებულს, მეორედაც დაჰკითხეს და ისიც ათქმევინეს, თითქოს სადგურზე პირველივე შემხვედრს ოქროს სამკაული 70 ლარად მიჰყიდა. ცოფურაშვილის სატელეფონო საუბრებიც დაგვეხმარა მისი უდანაშაულობის დამტკიცებაში. შემთხვევის ადგილიდან 20 კილომეტრის დაშორებით — ფონიჭალაში იმყოფებოდა. სამწუხაროდ, ასეთი სამართლიანი განაჩენებით განებივრებულები არ ვართ. იმედია, კანონიერ განაჩენებს გამოიტანენ მოსამართლეები. ვფიქრობ, მოწმის, ქალბატონი ნაირა მეხტიევას პასუხისმგებლობა აუცილებლად უნდა დადგეს ცრუჩვენების გამო. 9 თვე უკანონოდ იჯდა ადამიანი ციხეში, ამისთვის უნდა აგონ პასუხი იმ პოლიციელებმაც, ვინც ეს უკანონობა ჩაიდინა და დააკავა. პროკურორი ბატონი დავით მესტვირიშვილი 5 წელს უდანაშაულო ადამიანისთვის ითხოვდა. ცოფურაშვილის რეაბილიტაციას და მიყენებული ზიანისთვის თანხასაც მოვითხოვთ. ამის პრეცედენტი უნდა შეიქმნას. ის პოლიციელები უნდა დაისაჯონ 5-5-წლიანი პატიმრობით, სხვებმა უდანაშაულო ადამიანების ციხეში გამოკეტვა რომ ვერ გაბედონ. ■

სიცოცხლეზე ხელჩაქნეული ქალი და სხვაზე ზრუნვით გამართლებული ცხოვრება

მაიას კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, გარეგნობითაც მშვენიერი გოგონა იყო და კარგადაც სწავლობდა, მაგრამ ნაადრევად გათხოვებამ ძირფესვიანად შეცვალა მისი ცხოვრება („ნინიკომ ამ ქვეყნისკენ მომაბრუნა და ახლა მისთვის ვცოცხლობ“ — „კვირის პალიტრა“, 2007 წ. 25 ივნისი).

მარინა გაბუნაშვილი

ამბავი პირველი
ბედისწერა

მაიასთვის ბედნიერება „უცხო ხილი“ აღმოჩნდა. 16 წლის იყო, როცა დიტომ მოიტაცა. ვაჟს ძალიან უყვარდა, მაგრამ მაიამ მაინც ვერ შეძლო შეყვარება. ორი შვილი შეეძინათ, — ირმა და გიორგი. ბავშვები ცოტა რომ წამოიზარდნენ, მაიამ სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა, რაზედაც დიტომ სასტიკი უარი განუცხადა. ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდა. შეუღლებიდან 5 წლის შემდეგ მაია და დიტო დაშორდნენ.

მაიას უფროსი ძმა რუსეთში ცხოვრობდა და მუშაობდა. სამშენებლო ბიზნესში იყო ჩართული და ფულსაც კარგად შოულობდა. დის ოჯახის დანგრევა არ ესიამოვნა, მაგრამ იცოდა, მაია ტყუილუბრალოდ, ორი ბავშვით არ დაუბრუნდებოდა მშობლებს, ამიტომაც და დაამშვიდა, — არა უშავს, სანამ მე გყავარ, არაფერს გაგიჭირვებო. მართლაც, სანამ მაია სამედიცინო ინსტიტუტში (ფარმაცევტულზე) სწავლობდა, ძმა ყოველთვე სოლიდურ თანხას უგზავნიდა, მაგრამ მალე უბედურება დაატყდათ თავს — რუსეთიდან საშინელი ცნობა მოვიდა — ძმა მოკლეს. უზომოდ განიცადა ძმისა და მარჩენლის სიკვდილი, მაგრამ უსაზღვრო დარდითა და გლოვით გარდაცვლილს რაღა ეშველებოდა? ძალებს მოუხმო მაიამ, რათა ცხოვრება ჩვეულ რიტმში გაეგრძელებინა. კიდევ კარგი, რუსეთში ერთგული მეგობრები დარჩა მის ძმას (ორი ქართველი მუშაობდა მასთან ერთად) და ყოველთვე გარკვეულ თანხას უგზავნიდნენ დაზარალებულ და მგლოვიარე ოჯახს.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა მაიას ცხოვრებაში ნიკა. მას მაია გულწრფელად შეუყვარდა. მისი ცოლად შერთვაც უნდოდა, მაგრამ მაიამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — ორი შვილის პატრონი, მეორედ ვეღარ გავთხოვდებიო. ალბათ, შინაგანად გრძნობდა, საკუთარი შვილი, გიორგი წინ აღუდგებოდა დედის არჩევანს. მაია მალავდა, მაგრამ მათი ფარული ურთიერთობა მაინც გამოაშკარავდა, რასაც გიორგის მძაფრი რეაქცია მოჰყვა. დედას უთხრა, — აირჩიე: ან მე, ან ის კაციო და მაიამაც უყოყმანოდ აირჩია შვილი. ნიკას საშინლად დაწყვიტა გული მაიას გადაწყვეტილებამ, მაგრამ რას იზამდა? პატარა ბიჭი აღარ იყო, ქალისთვის კუდში ედევნა...

სამაგიეროდ, დიტო გააქტიურდა. თუკი წლების განმავლობაში შვილებს არც კითხულობდა, ახლა კვირა არ გავიდოდა, არ მოეკითხა და სადმე არ წაეყვანა. მაია არ უშლიდა შვილებს შეხვედრებს. ერთ



დღესაც, შაბათს, დილით ადრე გამოუარა შვილებს და ატენის ხეობაში დაპატიჟა — სამსახურიდან მივდივართ ორი მიკროავტობუსით და მინდა, თქვენც ნახოთ ატენის სიონიო. სიამოვნებით წაყვნენ ირმა და გიორგი. იქიდან წამოსულებს კი, გორის გზაზე ავარია მოუხდათ. მათ მიკროავტობუსს დიდი ტრაილერი დაეჯახა. სამივე ადგილზე დაიღუპა. იქ მსხდომთაგან მხოლოდ ორი გადარჩა... მაია შვილების პანაშვიდზე ცოცხალ-მკვდარი იჯდა. ტირილსაც ვერ ახერხებდა, ისე იყო ელდისგან გაქვავებული.

რამდენჯერმე სცადა თვითმკვლელობა, მაგრამ ახლობლები ფხიზლად იყვნენ, გვერდიდან არ სცილდებოდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ კი ყურად იღო მეგობრების რჩევა და შვილად პატარა ნინიკო აიყვანა.

ამბავი მეორე
ნუგეში

მაია: ყველას, თავისი პრობლემა და საწუხარი ჰგონია უსაშველოდ მძიმე და აუტანელი, მაგრამ შვილის სიკვდილზე უარესი არაფერია. მე ორი მყავდა და ორივე ერთად დავკარგე.

დიტო ჩემთვის ბედისწერა აღმოჩნდა. მასთან შეხვედრაც ბედისწერა იყო... იმდენი თაყვანისმცემელი მყავდა, რაღა მაინცდამაინც მას დავთანხმდი შეხვედრას? რა იცის 16 წლის გოგომ სიყვარულის? მისი გრძნობა გატაცებაა და ჰგონია, რომ თუ ბიჭი კარგი გარეგნობისაა, კარგად მღერის, ცეკვავს და ხუმრობს, ეს საკმარისია იმისთვის, რომ მასთან ოჯახი შექმნა. დიტოსთან განშორების შემდეგ ნიკა გამოჩნდა — ჩემი დიდი სიყვარული. ის მართლაც ღირსეული ადამიანი გახლდათ, მაგრამ როცა არჩევანის წინაშე დავდექი, უყოყმანოდ ავირჩიე შვილი. ვნანობ, რომ ისეთ ღირსეულ კაცს, როგორიც ნიკა იყო, უარი ვუთხარი. ახლა მას ცოლი და შვილები ჰყავს და ბედნიერებას ვუსურვებ.

დიტოს კი, ჩვენი გაშორების შემდეგ შვილებისთვის 10 წელი თავი არ შეუწუხებია. მერე დაუმეგობრდა და შვილებმაც მიიღეს. იმ კატეგორიას არ ვეკუთვნოდი, შვილებისთვის მეთქვა, — ახლა გაახსენდით, აქამდე სად იყო, არაა ღირსი, მასთან კონტაქტობდეთ-მეთქი. ის ჩემზე ბედნიერია, შვილებთან ერთად წავიდა იმქვეყნად, მე კი აქ დავრჩი გაუბედურებული. კარგა ხანს ვფიქრობდი, რომ უაზრობა იყო ჩემი სიცოცხლე, ამიტომაც ორჯერ ვცადე თვითმკვლელობა... გადამარჩინეს. მერე, მეგობრის ქმარმა თავის ძმა გამაცნო, იგი პატარა სამების მამაო გახლავთ. იმდენი მელაპარაკა, ამქვეყნისკენ შემომაბრუნა. მან დამარწმუნა, რომ თვითმკვლელობა უმძიმესი ცოდვა იყო და ჩემი ამქვეყნიური ცხოვრება სხვაზე ზრუნვით იქნებოდა გამართლებული. მანვე მირჩია ბავშვის შვილად აყვანა. ნინიკო 3 თვის იყო, როცა ვიშვილე. ახლა იგი 14 წლისაა და ყველაფერი იცის ჩემი წარსულის შესახებ. საოცრად თბილი და მოსიყვარულე გოგოა, ის მაცოცხლებს და მასულდგმულებს. 12 წლამდე არაფერს ვეუბნებოდი, შემდეგ გავუმხილე სიმართლე. იჯდა და მისმენდა თავისი ლამაზი, გაოცებული თვალებით. ერთადერთი რაც თქვა ბოლოს, — მე არავინ არ მინდა შენს მეტი, მაგრამ მიკვირს, როგორ დამტოვა დედაჩემმაო. ხომ ამბობენ, ნაშვილები ბავშვები თავიანთ გამზრდელებს ემსგავსებიანო; ნინიკო კი საოცრად ჰგავს ირმას და გიორგის. ამას მე კი არა, ბევრი აღიარებს. მადლობა ღმერთს, რომ სანუგეშოდ და ჩემს მფარველად ნინიკო გამომიგზავნა. ■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

საუკეთესო მეგობრის ქორწილი

მარი ჯაფარიძე

მადლობა ღმერთს, მთელი ქალაქი საცობების გარეშე გავიარე და დასავლეთისკენ მიმავალ გზას დავადექი. ცოტა კი მეწყინა, გოჩა ჩემთან ერთად რომ არ წამოვიდა. საერთოდ, ამ ბოლო დროს ძალიან შეიცვალა. ალბათ გადაიღალა, რადგან დიდი ხანია, არ დაუსვენია. 1 კვირის წინ კი დაიწუწუნა, ნეტავ დამასვენაო და ვაიძულე, ცოტა ხნით ქალაქიდან გასულიყო.

გული იმაზე მწყდება, რომ თამროს ისევ ვერ გაიცნობს. უკვე 15 წელია, ერთად ვცხოვრობთ და მათი შეხვედრა ვერა და ვერ მოხერხდა. მეც ძალიან დიდი ხანია, თამროსთან აგარაკზე არ ვყოფილვარ.

მანქანა გზისპირზე გადავიყვანე და გავჩერდი.

— დედა, გზა ხომ არ აგერია? — შეშინებულმა მკითხა ჩემმა გოგონამ.

— არა, უბრალოდ, 2 წუთით სუფთა ჰაერს ჩავყლაპავ, — ვუპასუხე და არ ვაგრძნობინე, რომ სული მეხუთებოდა და იმიტომ გავჩერდი.

ნინიკო მანქანიდან გადავიდა და იქვე, ჯიხურში ნაყინი იყიდა.

— დარწმუნებული ხარ, რომ ამდენი ნაყინის ჭამით ყელი არ აგკტივდება? — ვკითხე და შუბლი შევიკარი, რადგან ქალაქიდან სულ 15 წუთის გამოსული ვიყავით და ის უკვე მეოთხე ნაყინს მიირთმევდა.

— არა, პირიქით, უფრო კარგად გავხდები, — გაიღიმა ნინიკომ და ესკიმო მადიანად ჩაკბიჩა.

— ისე, იცოდე, რომ ბალერინებს ნაყინი ასუქებს, — ჭკუა დავარიგე.

ნაყინი მაშინვე გზისპირა ბუჩქებისკენ „გაფრინდა“. მანქანის საბარგულს ხელით დავეყრდენი და ჰაერი ღრმად შევისუნთქე. კარგა ხანი დამჭირდა, ვიდრე გონზე მოვიდოდი. შემდეგ გზა განვაგრძეთ. ცოტა ხანში გადავუხვიე და რამდენიმე წუთის შემდეგ მივხვდი, რომ გზა ამებნა. ეს კი ახლა არაფრით არ შეიძლებოდა, რადგან ჩემი მანქანის უკანა სავარძელზე უზარმაზარი ტორტი იდო და თუ დროზე არ მივაღწევდი ადგილამდე, აუცილებლად დადნებოდა. ტორტი შეკვეთით გავაკეთებინე. კონდიტერი ახალგაზრდა მამაკაცი იყო, ცოტა გამეპრანჭა კიდეც და ფაფუკი კრემითა და ბეზეთი ისეთი ტორტი გამომიცხო, მის დანახვაზე აუცილებლად ნდომით ამოიოხრებდი და ტუჩებს მოილოკავდი.

მზე უკვე ზენიტში იყო და მთელი ძალით აცხუნებდა. მისი მწველი სხივები კი პირდაპირ ტორტს ეცემოდა.

მაისის ბოლო იყო, მაგრამ უკვე უზომოდ ცხელოდა. ვარდების თაიგულმაც „მოიწყინა“. იძულებული გავხდი, კონდიციონერი ბოლო სიმძლავრეზე ჩამერთო, რათა ეს სილამაზე არ გაფუჭებულიყო. უხერხულიც კია იმაზე ლაპარაკი, რამდენი გადავიხადე ამ ყველაფერში. იმიტომ კი არა, რომ შესაძლებლობა არ მაქვს. უბრალოდ, შესაძლოა, ზოგიერთმა იფიქროს, რომ სიმდიდრისგან გავცოფდი და გავგიჟდი.

საკუთარი ფირმა მაქვს, რომელიც ლანდშაფტის დიზაინითაა დაკავებული. ჩვენი მომსახურება კი ისეთი ძვირია, რომ მხოლოდ შესძლებული ადამიანი თუ შესწვდება.

საკუთარი თავით ვამაყობ იმის გამო, რომ იმ წლებში, როცა ქვეყანაში შოკის მომგვრელი რეფორმები მიმდინარეობდა და ხალხს ვერ გაეგო, რა საქმისთვის მოეკიდა ხელი, ჩემი მშობლები ვაიძულე, თითქმის დანგრეული აგარაკი და ძველი „მოსკვიჩი“ გაეყიდათ. იმ ფულით ინგლისში გავემგზავრე (მაშინ ეს სამყოფი თანხა იყო), ლანდშაფტის დიზაინი შევისწავლე და „გეპეის“ არქიტექტურის ფაკულტეტზე მიღებული ცოდნა გავიღრმავე.

დედამ ცოტა წაუტირა აგარაკის გაყიდვის გამო, მაგრამ ახლა ქალაქგარეთ კეთილმოწყობილ, 2-სართულიან სახლში ცხოვრობს და დილაობით საკუთარ აუზში ბანაობს. მამა კი ინფარქტის შემდეგ მუშაობას ვეღარ ახერხებს და მთელ დღეებს ბაღში ატარებს. კმაყოფილების გრძნობა მეუფლება, როცა ვფიქრობ, რომ ჩემს მშობლებს უზრუნველი სიბერე აქვთ. უფრო მეტად კი ამაყი ვარ იმის გამო, რომ ეს ყველაფერი საკუთარი შრომით, ჭკუითა და ხელებით შევქმენი. გულის წასვლამდე ვსწავლობდი და ვმუშაობდი.

* * *

ახლა შვილთან ერთად მეგობართან, თამროსთან მივდივარ. მას ქორწილი აქვს. ისე მოხდა, რომ მის პირველ ქორწილში არ ვიყავი და საამისოდ საპატიო მიზეზი მქონდა — მამას ინფარქტი ჰქონდა და საავადმყოფოში იწვა.

მიუხედავად იმისა, რომ პალატაში მამასთან არ ვრჩებოდი, მაშინ ჩემი ქალაქში გადაადგილების მარშრუტი მინიმუმამდე დავიდა: სამსახური — სახლი — საავადმყოფო. ჩემი პირველი მანქანა, ძველი „შკოდა“ მაშინ დავანგრიე და უკვე გადასაგდებიც გახდა.

* * *

გული უზომოდ დამწყდა, თამროს ქორწილში რომ ვერ მივდიოდი, რადგან მეჯვარე უნდა ვყოფილიყავი და მინდოდა, პატარძლის მიერ ნასროლი თაიგულიც მე დამეჭირა. თან მინდოდა, ყველასთვის წარმედგინა ჩემი მეგობარი და ბიზნესპარტნიორი, რომელიც შემდეგ ჩემი შვილის მამა გახდა, მაგრამ დღემდე ვერა და ვერ დავქორწინდით. მაშინაც საყვარლები ვიყავით, მაგრამ ურთიერთობას საგულდაგულოდ ვმალავდით.

მე კი ძალიან მინდოდა, თეთრი კაბა ჩამეცვა, ლამაზი ქორწილი მქონოდა, საკუთარი ქორწილის ტორტი გამესინჯა და სიძეს ლიმუზინით წავეყვანე ქორწინების სახლში. დიდი ხანი იყო, რაც მე და გოჩა ქორწინებას ვგეგმავდით, მაგრამ სულ რაღაც გვიშლიდა ხელს.

ხანდახან მეჩვენებოდა კიდეც, რომ ჩემს ოცნებას ასრულება არ ეწერა. თუმცა, არც იმის მიზეზი მქონდა, გოჩასთვის არ დამეჯერებინა.

ახლა ჩვენი შვილი უკვე 6 წლისაა, სამივე ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ, მაგრამ ოფიციალურად ჯერაც არ დავქორწინებულვართ.

თამროს პირველი ოჯახი ერთ წელიწადში დაენგრა, ახლა კი გადაწყვიტა, ხელახლა ეცადა ბედი. რაც მეგობრის ახალი ქმრის შესახებ ვიცოდი, ის გახლდათ, რომ წარმატებული ბიზნესმენი იყო, ცოლს მუშაობა აუკრძალა და შინ დასვა. მის მოვალეობაში მხოლოდ შვილების გაჩენა, აღზრდა და

ქმრის მოვლა შედიოდა. თავად სამშენებლო ბიზნესით იყო დაკავებული და მდიდარ ქართველებს უცხოეთში სახლებს უშენებდა. ასე რომ, შინ იშვიათად უწევდა ყოფნა.

თამრო მენატრებოდა კიდეც, რადგან შეხვედრას თითქმის ვერ ვახერხებდით. მასთან ძირითადად ტელეფონით ვკონტაქტობდი. როდესაც თამრო წელიწადში ერთხელ თბილისში ჩამოსვლას ახერხებდა, ერთმანეთს კაფეში ვხვდებოდით და ენებს ლაპარაკით ვიქავებდით. ერთი-ორჯერ მეც ვიყავი თამროსთან ჩასული, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო. დღეს კი ალბათ მეღირსებოდა მისი ნახვა, ბედნიერებით

წამოვჯექი და შვილი გულში ჩავიკარი. უეცრად გამახსენდა, სად მქონდა ნანახი ის კაბა, რომელშიც თამრო იყო გამოწყობილი

გაბრწყინებულ თვალებში ჩახედვა და ინტერესით ვკვდებოდი, როდის გავიცნობდი მის ახალ ქმარს.

* * *

მანქანიდან გადმოვედი და გზას გავხედე. არა, ეს გზა არ შემეშლებოდა... ამ მონაკვეთს კარგად ვიცნობდი და საამისო მიზეზიც მქონდა.

16 წლის წინ სწორედ აქ გავიცანი ჩემი პირველი და ერთადერთი სიყვარული — გოჩა. მე თამროს აგარაკისკენ მიმავალ ტრანსპორტს ველოდი და სწორედ ამ დროს გამოიარა თავისი დაფეხვილი მანქანით...

დავივიწყე დედას მკაცრი შეგონებები იმის შესახებ, რომ უცხო მამაკაცს მანქანაში არ უნდა ჩავჯდომოდი და მის გვერდით მოვკალათდი.

წვიმას აპირებდა, შორიდან ჭექა-ქუხილის ხმაც ისმოდა, თან მოსაღამოებულიც იყო და არ მინდოდა, დავსველებულიყავი. თანაც შესაძლოა, „მარშრუტკას“ აღარც გამოევლო.

ადგილიდან რომ დავიძარით, საქარე მინაზე წვიმის წვეთებიც აწკაპუნდა. ჯერ ნელა, აქა-იქ, შემდეგ კი ისეთი თავსხმა დაიწყო, მეგონა, წარღვნა დაიწყო. ამის გამო გოჩა იძულებული გახდა, მანქანა გაეჩერებინა და ცოტა ხანი დაგვეცადა. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს მე და გოჩა ერთმანეთს დიდი ხანია, ვიცნობდით, ერთმანეთი გვენატრებოდა და ძლივს მოვახერხეთ შეხვედრა.

მოგვიანებით მითხრა, რომ მასაც ასეთივე შეგრძნება ჰქონია, თითქოს მთელი ცხოვრება მიცნობდა. ტელეფონის ნომრები გავცვალეთ, რათა ხელახლა არ დავკარგვოდით ერთმანეთს...

წვიმა არ ჩერდებოდა, უფრო და უფრო უმატებდა, ჩვენ კი თავს კარგად და მყუდროდ ვგრძნობდით. ორივე მივხვდით, რომ ერთმანეთისთვის ვიყავით გაჩენილი და აქ, ამ ოღროჩოღრო გზაზე ერთმანეთი ვიპოვეთ. ასეთი რამ ცხოვრებაში იშვიათად ხდება, ჩვენ კი გაგვიმართლა.

ერთმანეთს ვკოცნიდით და ამის გამო უხერხულობას არ ვგრძნობდი. იქნებ ეს სხვა ცხოვრებაში მოხდა? ან იქნებ დამესიზმრა...

წვიმამ რომ გადაიღო, ფანჯარა ჩამოვწიე. საოცარი სურნელი შემოვარდა სალონში. ბუნება თითქოს გახალისდა... ჰაერი მიწიდან ადენილმა სასიამოვნო ოხშივარმა გაავსო.

გოჩამ რადიო ჩართო და მუსიკის საოცარი ჰანგები დაიღვარა. ნაცნობი სიმღერა იყო. ამის შემდეგ ის „ჩვენს სიმღერად“ გადაიქცა. მაშინ მომეჩვენა, თითქოს ჯადოსნურ ტყეში აღმოვჩნდი და მეგონა, კეთილი ჯადოქარი გამოჩნდებოდა, რომელიც მეტყოდა, რომ პრინცესა ვარ და გლეხის გოგოდ მხოლოდ იმიტომ გადავიქეცი, რათა აქ, სოფლის ტალახიან გზაზე ჩემი დიდი სიყვარული მეპოვა.

გოჩამ თამროს სახლამდე მიმიყვანა და დამემშვიდობა...

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო...

* * *

როგორც აღმოჩნდა, ნამდვილად არ შევმცდარვარ. გზიდან სწორედ იქ გადავუხვიე, სადაც საჭირო იყო...

კიდევ ერთხელ გამახსენდა ჩემი გოჩა და კიდევ ერთხელ დამწყდა გული, რომ დასასვენებლად სწორედ ახლა წავიდა, მაგრამ ისიც გავიფიქრე, რომ მისთვის ქორწილში წასვლაზე მნიშვნელოვანი დასვენება იყო, რადგან 1 კვირაში დამკვეთისთვის ახალი ობიექტი ჰქონდა ჩასაბარებელი.

მას შემდეგ კი, რაც მისი ფირმა ობიექტს ჩააბარებდა, ჩემი სამუშაო იწყებოდა. ჩვენ პარტნიორი ფირმები ვართ. ჩემს საქმეში ყველაზე მთავარია, დამკვეთი დავარწმუნო, სად რა მცენარეს დავრგავ, სად მოშიშვლებულ ადგილს დავტოვებ და რომ ამას საფუძვლად მყარი არგუმენტი უდევს. საამისოდ ჩემს ფირმაში საგანგებოდ, ფსიქოლოგიც მუშაობს. ხშირად ისე ხდება, რომ ჩემი და ჩემი თანამშრომლების საუბარსა და შეგონებას აზრი არ აქვს, ამ დროს ფსიქოლოგი გვერთვება და კლიენტს „დაამუშავებს“.

გოჩა დიდი ხნის განმავლობაში მარწმუნებდა, რომ კარგი იქნებოდა, თუ საკუთარ სამშენებლო ფირმას დავაარსებდი, მაგრამ ამ საქმეს ვერა და ვერ მოვაბი თავი. თუმცა ეს სულ სხვა საუბრის თემაა.

როგორც იქნა, თამროს სახლამდე მივედი და მანქანა ჭიშკართან გავაჩერე. ნინიკო უკანა სავარძელზე იჯდა და აღფრთოვანებას ვერ ფარავდა იმ სილამაზის გამო, რაც მის თვალწინ გადაიშალა.

ჭიშკარი მთლიანად მცოცავ ვარდს დაეფარა, რომელიც საოცრად ლამაზად ჰყვაოდა. ახლა კი მასზე ფერადი ბუშტები და ამურის ქანდაკებებიც დაემაგრებინათ.

ჭიშკართან ზეიმის ორგანიზატორი შემეგება და მანქანის დასაყენებელ ადგილზე მიმითითა.

ყვავილები ლარნაკში ჩააწყვეს, ტორტი კი მაცივარში შეინახეს.

თამრო ძალიან ლამაზად, ჰაეროვნად გამოიყურებოდა. მოკრემისფრო, გრძელი კაბა ეცვა და მომეჩვენა, რომ ეს კაბა უკვე სადღაც მქონდა ნანახი. შესაძლოა, რომელიმე ცნობილი ბრენდის კატალოგში, საიდანაც ტანისამოსს ვიწერ ხოლმე. თამრო არავითარ შემთხვევაში არ ჩაიცვამს იმ კაბას, რომელიც შესაძლოა, სხვასაც ეცვას. უამრავი ნაცნობი სახე შევნიშნე სტუმრებს შორის — ძველი მეგობრები იყვნენ თავმოყრილი. მათ შვილებს ჩემი გოგონა გავაცანი და ნინიკო მათთან ერთად გაუჩინარდა.

— ჩემი ქმარი აგვიანებს, სადაცაა მოვა და შინ შევალთ, არ მოიწყინო, — თამრომ რამდენიმე სიტყვა მესროლა და ეზოს სხვა კუთხისკენ გაემართა.

— არ მოვიწყენ, ნუ გეშინია, — მივაძახე, მაგრამ ჩემი ნათქვამი არც გაუგონია. ხელი დამიქნია და ნაბიჯს აუჩქარა. მიმტანმა სასმელი შემომთავაზა და თმის ლაქით გადაპრიალებული თავი დამიხარა, რითაც მაგრძნობინა, რომ მზად იყო, ჩემი ნებისმიერი სურვილი შეესრულებინა.

სტუმრები საუბრით იყვნენ გართული. რადგან გოჩა ჩემ გვერდით არ იყო, მათთან გართობის სურვილი არ მქონდა. გადავწყვიტე, ეზო შემომევლო. ჩემი იასამნისფერი, გრძელი, ბრჭყვიალა კაბა ხელში ავიკეცე და სახლს უკანა მხრიდან შემოვუარე.

უყურე შენ, თამროს ჩემნაირი საქანელა ჰქონია... აუზთან კი ისეთივე ფაიფურის ბაყაყი ზის, როგორიც ჩემთან. გოჩამ მოიტანა საიდანღაც. მაშინ თქვა, რომ მხოლოდ 2 ცალი იყო მაღაზიაში. ერთი, როგორც ჩანს, თამროს უყიდია. ბილიკზე დავხეტიალებდი და ვფიქრობდი, რომ მალე მე და გოჩას ერთად ყოფნის 15 წელი შეგვისრულდებოდა და ძალიან მომინდა, დიდი წვეულება

გამემართა. ასე იშვიათად ხდება, რომ პირველი სიყვარული ცხოვრების ბოლომდე გასტანს. ღმერთო, რა ბედნიერი ვარ! ჩემ გვერდით საიმედო მამაკაცია, რომელიც უზომოდ მიყვარს! თბილისში დავბრუნდები თუ არა, მაშინვე სტუმრების სიას შევადგენ და ზაფხულის ბოლოს წვეულებას გავმართავ... ყველა თანაკლასელს, საერთო მეგობარსა და ახლობელს დავპატიჟებ. ყველამ გაიგოს, რომ ასეთი ბედნიერი ვარ...

ისე გავერთე ფიქრში, რომ ვერც კი შევნიშნე, როდის ატყდა ფაციფუცი. ალბათ სიძე მოვიდა. დროა, მეც შევუერთდე დანარჩენებს. ყველა შინ შესულიყო. უზარმაზარი, ყვავილებითა და ბუშტებით მორთული დარბაზი ხალხით იყო სავსე. აღარც თამრო ჩანდა. ალბათ ქმართან ერთად გამოგვეცხადებოდა. დარბაზის თავში, თაღის ქვეშ, ამაღლებულ ადგილზე ლამაზი ფარდები იყო ჩამოშვებული. სიძე-პატარძალი სწორედ იქ გამოჩნდებოდა. ნინიკო მოვძებნე და ხელი ჩავჭიდე. ისე მოხდა, რომ წინა რიგში აღმოვჩნდი. ნინიკო ტაშს უკრავდა და ცქმუტავდა. ათასგვარ შეკითხვას სვამდა.

როგორც იქნა, ნეფე-დედოფალი გამოჩნდა.

თამროს ბედნიერი ღიმილი ეფინა სახეზე. ქმრისთვის ხელკავი გაეკეთებინა და ნელი ნაბიჯით წინ მოიწევდა.

მუხლი მომეკვეთა და თავბრუ დამეხვა... ძლივს შევიკავე თავი, რომ არ დავცემულიყავი. ვიგრძენი, ნინიკომ ხელი როგორ მომიჭირა. ძალა მოვიკრიბე და დანარჩენებთან ერთად ტაში მეც დავუკარი...

ამ დროს გავიგონე ნინიკოს ხმა:

— მამა!

თვალთ დამიბნელდა და გულის რევის შეგრძნება დამეუფლა...

გონს ნიშადურის სპირტის მძაფრმა სუნმა მომიყვანა. ნინიკო თავთან მეჯდა და ტიროდა.

წამოვჯექი და შვილი გულში ჩავიკარი. უეცრად გამახსენდა, სად მქონდა ნანახი ის კაბა, რომელშიც თამრო იყო გამოწყობილი: ჩემი ქმრის მანქანის უკანა სავარძელზე, ცელოფანის პარკში იდო და ზედ ამ კაბაში გამოწყობილი ქალის სურათი ჰქონდა მიმაგრებული. მაშინ გოჩამ მითხრა, რომ მის მეგობარს დარჩა მანქანაში ცოლისთვის ნაყიდი კაბა. სასწრაფოდ უნდა დაერეკა მისთვის და მიეტანა, რათა კაბა არ დაკარგულიყო.

როგორც იქნა, ხალხს თავი დავაღწიე. ხელჩაკიდებულ ნინიკოს თან მივათრევდი და მანქანისკენ მივდიოდი. ჩემ წინ ის მიმტანი აისვეტა, რომელმაც მისვლისთანავე სასმელი შემომთავაზა. მანქანამდე მიმაცილა და კეთილი მგზავრობა მისურვა.

ნინიკო უკანა სავარძელზე მოთავსდა, პლედი გადაიფარა და მიყუჩდა.

ძალზე ნელა დავიძარი ადგილიდან. არადა, საერთოდ, ისეთი სიჩქარით მიყვარს სიარული, რომ პატრულის თანამშრომლებს შოკში ვაგდებ ხოლმე.

სოფლის გზას გავცდი და ცენტრალურ ტრასაზე გავედი. აქ კიდევ უფრო შევანელე სიჩქარე.

გაწვიმდა... ჩემ წინ, ცაზე ელვა გაიკლაკნა... ქუხილის ხმა კი მოგვიანებით გაისმა. მანქანა გზისპირზე შევაჩერე და უკან მივიხედე, ნინიკოს ჩასძინებოდა.

გადმოვედი და მანქანის წინა, მარცხენა ბორბალთან პირდაპირ მიწაზე დავჯექი. თავი ბორბალს მივადე და გავირინდე... წვიმის წვეთები სახეზე მეცემოდა და ცრემლს ერეოდა.

არ მახსოვს, რამდენი ხანი ვიჯექი ასე... უეცრად, თითქოს ცა გაიხსნა, განათდა და კინოეკრანს დაემსგავსა...

ეკრანზე 25-ოდე წლის გოგონა გამოჩნდა, რომელიც გზაზე იდგა და სოფლისკენ მიმავალ „მარშრუტკას“ ელოდა. ცაზე ღრუბელი შეყრილიყო, წვიმას იწყებდა... გოგონას წინ ძველი, დაფეხვილი მანქანა გაჩერდა და ახალგაზრდა მამაკაცმა წაყვანა შესთავაზა, მაგრამ გოგონას დედის შეგონება გაახსენდა, რომ უცხო მამაკაცს მანქანაში არ უნდა ჩასჯდომოდა და მძღოლს უარი უთხრა... მამაკაცმა რამდენჯერმე გაუმეორა თხოვნა, მაგრამ გოგონამ ზედაც არ შეხედა. მანქანა ადგილიდან დიდი სიჩქარით მოწყდა და გზაზე გაუჩინარდა. მალე „მარშრუტკა“ გამოჩნდა, რომელიც თავიდან ფეხებამდე დასველებული გოგონას წინ გაჩერდა...

„ფილმი“ აქ შეწყდა, მაგრამ იმის გამო, რომ ის გოგონა სწორედ „მარშრუტკის“ მგზავრი გახდა, მთელ ტანზე სიამოვნებისგან დამბურძგლა. სულში სითბო ჩამელვარა, რადგან გავიფიქრე, რომ სწორედ ესაა ბედნიერება და ამ გოგონას წლების შემდეგ გულის ტკენა არ ელოდა...

■





სამყარო

რომანტიკული კოლექციით მოხიბლული ფრანგები

ცოტა ხნის წინ, ქართველ დიზაინერებს მიეცათ საშუალება, საკუთარი ნამუშევრები მოდის სფეროში ღრმად ჩახედული უცხოელებისთვის წარედგინათ. თბილისში პირველად გამართულ Georgian Fashion Week-ზე ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი ბათუმელი დიზაინერის — გოგა ნიჟარაძის რომანტიკული კოლექციის ჩვენებამ ფრანგი სტუმრების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა; სტუმრებმა გოგა „მოდის კვირეულის“ ფავორიტად აღიარეს. არაა გამორიცხული, რომ მალე, ქართველი დიზაინერის მიერ შექმნილი ტანისამოსი მსოფლიო დონის ვარსკვლავებმაც მოირგონ.

რით სჯობნის ქართველი მოდელი უკრაინელს

ეთო ყორღანაშვილი

— Georgian Fashion Week-ის ორგანიზატორები დამიკავშირდნენ და მკითხეს, — ჩვენს პროექტში მონაწილეობის სურვილი თუ გაქვსო? საქართველოში მსოფლიო დონის „მოდის კვირეული“ ტარდებოდა (თანაც — პირველად), სტუმრად ჩამოდიოდნენ უცხოელი ბაერები, ჟურნალისტები, მოდის კრიტიკოსები, ჰოდა, ასეთ შემოთავაზებაზე უარს როგორ ვიტყოდი?! 4 თვით ადრე გამაფრთხილეს, რომ შემოდგომა-ზამთრის კოლექცია (ყოველდღიური ტანსაცმლის ხაზი) უნდა შემექმნა. ეს რთული არ იყო, რადგან ყოველდღიური ტანსაცმელი მანქანით იკერება და არა — ხელით. ჩემი კოლექცია დევიდ კოსმოს სიმღერის — „შემოდგომა გვტოვებს“ — ფონზე მზადდებოდა.

— ჩვენებაზე რამდენი კოსტიუმი წარადგინეთ?

— 25 კოსტიუმზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, მე კი 30 წარვადგინე. კოლექციაში 3 განყოფილება იყო: პალტო, ჟილეტი, კაბა... კოლექცია პასტელურ ფერებში გადავწყვიტე, რაც მას „სვეტსკურ“ იერს აძლევდა.

— „კვირეულზე“ თქვენმა ჩვენებამ როგორ ჩაიარა?

— მიუხედავად იმისა, რომ ხელის შემშლელი ფაქტორები იყო, კარგად ჩაიარა. მერწმუნეთ, საერთოდ არ ვღელავდი — „ხედვა“ მეც მაქვს და ვიცოდი, რომ კარგი კოლექცია წარვადგინე. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემ მიერ შექმნილი სამოსი მოწონებას დაიმსახურებდა, მაგრამ ასეთ აღიარებას ნამდვილად არ ველოდი — „კვირეულის“ ფავორიტად მაღიარეს. ფრანგებს ძალიან მოეწონათ კოსტიუმები, ფერები, მუსიკა, მოდელი გოგონების გამოსვლის თანამიმდევრობა. მოდის კრიტიკოსებმა, ჟურნალისტებმა ისეთი რაღაცები დაინახეს, რასაც მეგონა, — ვერავინ შენიშნავდა.

— საინტერესოა, ხელის შემშლელ ფაქტორებში რა იგულისხმეთ?

— დისკი, რომელზეც ჩვენებისთვის საჭირო მუსიკა იყო ჩაწერილი, ჩვენების დაწყებამდე 10 წუთით ადრე „გაქრა“. და კიდევ, აღმოჩნდა, რომ სტუმრების ნაწილი „შემოვლაზე“ ჰყავდათ წაყვანილი (*იცინის*).

— სად?

— ავთო ცქვიტინიძესთან, მაღაზიაში. მოგვიანებით ამისათვის ბოდიში მომიხადეს. სტუმრებმა რისი ნახვაც მოახერხეს, ყველაფერი მოეწონათ და მითხრეს, — ვიდეოჩანაწერს აუცილებლად ვნახავთო!

— სტუმრებმა თქვენი ჩვენების დაწყების დრო არ იცოდნენ?

— კი, მაგრამ ტყუილის თქმას რა უნდა? მაგალითად, იტყვი, რომ ჩვენება ნახევარი საათით გადაიდო და სტუმრებიც არ აჩქარდებიან. თან, თბილისი დიდი ქალაქია, გზებზე „საცობებია“ და ა.შ. (*იცინის*).

— მითხარით, დისკი „გაქრაო“. სიტუაციას თავი როგორ დააღწიეთ?

— როცა დისკი ვერ ვიპოვეთ, სასწრაფოდ, შინ წავედი და კომპიუტერიდან მუსიკა ახალ დისკზე გადმოვწერე — მუსიკალური ფონის გარეშე ჩვენებას ეფექტი არ ექნებოდა.

— ეს ის მუსიკა იყო, რომელიც თქვენი კოლექციის შთაგონების წყარო გახდა?

— დიახ, სიმღერის სხვადასხვა ვერსია ერთ რიტმზე „დავდეთ“.

— „მოდის კვირეულში“ უცხოელი მოდელებიც მონაწილეობდნენ. მათთან მუშაობას როგორ შეაფასებთ?

— ჩემს ჯგუფში 4 უკრაინელი მოდ-

ელი იყო, მაგრამ ქართველებს მეტი დატვირთვა ჰქონდათ — მაინც „ჩემები“ არიან, მათ დიდ პატივს ვცემ და თანაც, უკრაინელებზე ნაკლებეფექტურები არ იყვნენ.

— **ქართველებთან და უკრაინელებთან მუშაობისას რაიმე განსხვავება თუ იგრძნობოდა?**

— ისეთი არაფერი. უბრალოდ, ქართველი გოგონები უფრო „თბილები“ იყვნენ, უკრაინელები — თავშეკავებულები. სხვათა შორის, თავიდან ქართველ დიზაინერებს ცოტა „აგდებულად“ გვიყურებდნენ, მაგრამ „კვირეულის“ პირველივე დღეს მიხვდნენ, რომ ბევრი კარგი დიზაინერის კოლექციასთან ჰქონდათ საქმე და „მოჯდნენ“ (*იცინის*).

— **მათი მხრიდან „აგდებული“ დამოკიდებულება რაში გამოიხატებოდა?**

— იმპროვიზაციებს მიმართავდნენ და დიზაინერებს ურჩევდნენ, — იქნებ ჯობს, ეს ასე კი არა, ისე გავაკეთოთო?! ვფიქრობ, ეს ყველაფერი მოდელის დაბალ დონეზე მიუთითებს — თუ მოდელი ხარ, პოდიუმზე ისეთი ქალი უნდა იყო, როგორსაც დიზაინერი „გხედავს“. ძალიან კატეგორიულები არ ყოფილან, მაგრამ მათ დამოკიდებულებაში „აგდებული“ ტონი იგრძნობოდა.

— **როგორ ფიქრობთ, — „კვირეულზე“ ქართველმა დიზაინერებმა თქვენი სათქმელი ბოლომდე თქვით?**

— მგონი — კი. ამ პროექტის შესახებ ინფორმაცია ბევრ უცხოურ საიტზე იყო განთავსებული და სულ მალე, იქ უცხოელი ჟურნალისტების სტატიების ელექტრონული ვერსიებიც გამოქვეყნდება. ვნახოთ, როგორ შეგვაფასებენ.

— **რამდენი ხანია, რაც ამ სფეროში საქმიანობთ?**

— უკვე 10 წელია. სხვათა შორის, 14 წლის ვიყავი, პირველი ჩვენება რომ მოვაწყვე. კაბები ჩემს პედაგოგებს (თეატრალურ სტუდიაში დავდიოდი), მეგობრებს ანუ ყველაზე ლამაზ გოგონებს ჩავაცვი. მათ შორის სოფო ხალვაშიც იყო (*იღიმის*). მოგვიანებით, მე და ლიკა ქავჟარაძემ ბათუმში, ერთობლივი პროექტი განვახორციელეთ, ამას სხვა ჩვენებებიც მოჰყვა... აღსანიშნავია ჩემი და ეკა კვალიაშვილის პროექტი: ეკა მღეროდა, მისი სიმღერების პარალელურად კი თემატიკის შესაბამისი ჩვენება ეწყობოდა. მე და ეკამ მეგობრული დუეტიც ჩავწერეთ, რომელიც ხსენებულ შოუზე შევასრულეთ.

— Georgian Fashion Week **პირველი მასშტაბური პროექტია, რომელშიც მონაწილეობდით?**

— გასულ წელს გორში, სამოდელო სააგენტო „ნატალის“ ორგანიზატორობით გამართულ ჩვენებაში, ლოზუნგით — „მშვიდობის მესიჯი მსოფლიოს“ ვმონაწილეობდი. ამ „პაკაზზე“ ყველა დიზაინერს ერთი თეთრი კაბა უნდა წარედგინა. სხვათა შორის, ძალიან ლამაზი სანახაობა იყო და ჩვენებას უამრავი ადამიანი ესწრებოდა... „მის საქართველოს“ კონკურსანტების ჩაცმულობაზეც მიზრუნია.

— **საერთოდ, დიზაინერობით რატომ დაინტერესდით?**

— ბებო აჭარაში პირველი მკერავი იყო, თავისი „ბუტიკი“ ჰქონდა. ბავშვობაში ისეთ მოდელს ვხატავდი, რომელსაც 4 ხელი ჰქონდა. იცი, რატომ? — ბევრი რომ არ მეხატა. ოთხხელიანი გოგონას სამოსს სხვადასხვანაირ სახელოს ვუკეთებდი (*იცინის*); შემდეგ ბათუმში, თეატრალურ სტუდიაში დავდიოდი, მუსიკალურ კონკურსებზე გამოვდიოდი. გარდატეხის ასაკში „მუტაცია“ დამეწყო და ჩემი ხმა სადღაც „წავიდა“... ბათუმის უნივერსიტეტთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში (ტანსაცმლის მოდელირების ფაკულტეტი) ვსწავლობდი. დიზაინის სფეროში თავს კომფორტულად ვგრძნობ — ეს საქმე ნამდვილად, „ჩემია“! ჩემს მაღაზიაში მზა ტანსაცმელიც იყიდება და ინდივიდუალურ შეკვეთებსაც ვიღებთ — ქალებისთვისაც და მამაკაცებისთვისაც. ბათუმში სამოდელო სააგენტოც მაქვს.

— **საქართველოში დიზაინერებს შორის ჯანსაღი კონკურენციაა?**

— ამ სფეროში რაც მეტი ნიჭიერი ადამიანი იქნება, მით უფრო ამაყი ვიქნები. ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ შურიანობა არ მახასიათებს; იმდენი პროექტი და იდეა მაქვს, არავისგან არაფრის „გადაღება“ არ მჭირდება — ეს ჩემმა დიზაინერმა მეგობრებმაც კარგად იციან.

— **„მოდის კვირეულზე“ დიზაინერებს შორის დაძაბული ურთიერთობა ხომ არ იყო?**

— პირადად მე, არ დავძაბულვარ და სხვისი რა მოგახსენო (*იცინის*)...

— **რადგან „კვირეულზე“ ფავორიტად გაღიარეს, ალბათ, საინტერესო პერსპექტივებიც გაგიჩნდებოდათ.**

— ბაერებმა ჩემი საინფორმაციო ბუკლეტი წაიღეს, სავიზიტო ბარათები გავცვალეთ და ახლა, მათ შეტყობინებას ველოდები. იმედია, მომავალ ჩვენებას პარიზში გავმართავ.

— **მანამდე რა გეგმები გაქვთ?**

— ჩვენების შემდეგ, თბილისში მაღაზიის გახსნა შემომთავაზეს და ვნახოთ... ტურისტული სეზონის პიკი რომ იქნება, ჩვენებას ბათუმშიც მოვაწყობ. ■

Ferrari 599 GTB Fiorino-ს

ყველაზე მძლავრი მოდელი

ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე სუპერკარის — Ferrari 599 GTB Fiorino — ყველაზე მძლავრი მოდიფიკაციის არაოფიციალური ფოტოები გამოქვეყნდა. ამ სურათების მიხედვით, ავტომობილს სატრეკო Ferrari 599XX-ზე გამოყენებული აეროდინამიკური ელემენტები აქვს. კერძოდ: ანალოგიური ჰაერშემაკავებლები უკანა და წინა ფრთებზე, დამატებითი სავენტილაციო ჭრილები კაპოტზე, უკანა დიფუზორი და ახალი უკანა სპოილერი. წინასწარი მონაცემებით, სუპერავტოს — Ferrari 599 GTO მასა 1500 კგ-მდე შემცირდება. ავტომობილი 6-ლიტრიანი, 620 ცხ.ძ-დან 650-670 ცხ.ძ. სიმძლავრემდე გაზრდილი, V12 ბენზინის ძრავათი აღიჭურვება. გარდა ამისა, სიახლე უფრო მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმებით, ბორბლების შეცვლილი დისკებითა და შავი სახურავით გამოირჩევა. სავარაუდოდ, ყველაზე მძლავრი Ferrari 599 GTB Fiorino 100 კმ/სთ სიჩქარეს 3,2 წამში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 335 კმ/სთ-ს მიაღწევს (სხვა ინფორმაციით, ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე საათში 15 კმ-ით მეტი იქნება). ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სულ 500 ეგზემპლარის გამოშვებაა დაგეგმილი. Ferrari 599 GTB-ის ფასი 400 დოლარიდან დაიწყება. ■

„ფორდის“ ახალი არასაგზაო

ბრიტანული ჟურნალის — Car — განკარგულებაში მომდევნო თაობის არასაგზაოს — Ford Explorer — არაოფიციალური ფოტოები დაიბეჭდა. სავარაუდოდ, ამ ავტომობილის მსოფლიო პრემიერა ერთ-ერთ საერთაშორისო მოტორშოუზე, მომავალ ზაფხულს შედგება, ხოლო გაყიდვა აშშ-ში, შემოდგომაზე დაიწყება. სიახლე აწყობილია ახალ პლატფორმაზე — D4 — რომელიც Ford Flex-სა და Lincoln MKT-ზეა გამოყენებული. მომავალი თაობის არასაგზაო EcoBoost-ის სერიის, 230 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ტურბოძრავათი და ატმოსფერული, 6-ცილინდრიანი, 3,5-ლიტრიანი, 285 ცხ.ძ. სიმძლავრის აგრეგატით აღიჭურვება. მანქანას სავარძლების სამი რიგი ექნება; ამასთან, უკანა სავარძლებზე უსაფრთხოების გასაბერი სალტეები დამონტაჟდება, რომლის მეშვეობითაც, ძლიერი შეჯახებისას, მგზავრები გულმკერდის არეში მძიმე ტრავმებს აირიდებენ. სტატისტიკის თანახმად, ამ მომენტისთვის, უკანა სალტეებით ამერიკელთა მხოლოდ 60% სარგებლობს. ახალი ავტომობილი ჩიკაგოში მდებარე „ფორდის“ ქარხანაში აიწყობა. ■

Bentley Continental GT

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია განახლებული კუპეს — Bentley Continental GT — შესახებ, რომლის მსოფლიო პრემიერა სავარაუდოდ, მიმდინარე წლის სექტემბერში, პარიზის მოტორშოუზე შედგება. სურათების მიხედვით, რესტაილირებული ავტომობილის გარეგნობა მხოლოდ კოსმეტიკურად შეიცვლება. ძარას წინა ნაწილში თვალში საცემია ფლაგმან სედანის — Mulsanne — სტილის ფარები, დიოდების მრგვალი სექციებით; აგრეთვე, წინა ბამპერი, რომელსაც გვერდითი ჰაერშემაკავებლის ფორმა შეეცვლება. ოდნავ განსხვავებული იქნება უკანა ხედვის სარკის ფორმა და წინა ფრთები, ხოლო რადიატორის ცხაური მცირეოდენით გაიზრდება. სავარაუდოდ, ძრავათა გამა მოდერნიზებას არ განიცდის. ამ დროისთვის, Bentley-ს ავტომობილთა გამაში წარმოდგენილია კუპესა და კაბრიოლეტის ძარას მქონე მანქანები, Speed-ის მძლავრი მოდიფიკაცია და ბიოსაწვავიანი Supersports, რომელსაც კომპანიის წარმომადგენლები ბრენდის ისტორიაში ყველაზე მძლავრ და სწრაფ ავტომობილად მოიხსენიებენ. იგი 6-ცილინდრიანი, W12, 630 ცხ.ძ. სიმძლავრის მოტორითა და 6-საფეხურიანი „ავტომატითაა“ აღჭურვილი. Supersports 100 კმ/სთ სიჩქარეს 3,9 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 325 კმ/სთ-ია. ■

„ფორდის“ მომდევნო კონცეპტ-ავტო

პეკინის მოტორშოუზე, რომელიც 21 აპრილს გაიხსნება, კომპანია „ფორდი“ სრულიად ახალ კონცეპტ-ავტოს წარადგენს. ავტომობილის შექმნის იდეა Ford-ის ამერიკულ განყოფილებაში გაჩნდა, ხოლო მისი წარმოებით კომპანიის ჩინეთში მდებარე ქვეგანყოფილება დაკავდა. სიახლის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ ვრცელდება, თუმცა ვარაუდობენ, რომ პროტოტიპი იმ სერიული მანქანის წინამორბედია, რომელიც ძირითადად, აზიურ ბაზარზე გასაღდება, მაგრამ მთელ მსოფლიოში ცნობილი, Ford-ის მოდელებზე გამოყენებული აგრეგატებით დაკომპლექტდება. ამ კონცეპტ-ავტოს გარდა, პეკინის მოტორშოუზე მომავალი თაობის Focus-ის მანქანების, კროსოვერ Edge-სა და EcoBoost-ის მოტორების ხაზის პრეზენტაციაც შედგება. შეგახსენებთ, „ფორდის“ ბოლო სიახლის დებიუტი ჟენევის მოტორშოუზე, მარტის დასაწყისში შედგა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხუთკარიანი ჰეჩბეკის ძარას მქონე მანქანები — სედანი და უნივერსალი, რომლებიც ავტომწარმოებლის მიერ C-კლასის მანქანებზე გამოყენებულ, განახლებულ პლატფორმებზეა შექმნილი. გარეგნობის გარდა, „ფოკუსებს“ საჭის მართვის წყობაც შეეცვალა; გამოჩნდა ახალი დეტალებიც, მათ შორის, EcoBoost-ის 1,6-ლიტრიანი ბენზინის აგრეგატი და ბორბლებს შორის დიფერენციალის ელექტრონული იმიტაცია. აღსანიშნავია, რომ ასეთი მანქანები PowerShift-ის სიჩქარის გადაცემათა სელექტიური კოლოფით დაკომპლექტდება. ■

ყველაზე დაუნდობელი ცხოველი

ზვიგენი სამყაროს ყველაზე დაუნდობელ ცხოველად მიიჩნევა. ის მუდამ მშიერია და ამიტომაც ყლაპავს ყველაფერს, რაც გზად შეხვდება. მაგალითად, მის მუცელში არაერთხელ აღმოუჩენიათ ოქროს ტომრები, ადამიანის კიდურები, ცხოველების ძვლებით სავსე გალიები და ასაფეთქებლებიც კი. 1959 წელს კენიაში, მეთევზეების თვალწინ საზარელი სანახაობა გაიმართა: ზღვაში გასაგრილებლად შესული სპილო თეთრმა ზვიგენებმა ნაფლეთებად აქციეს.

წყლის ბინადრებს შორის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ცხოველად ასახელებენ ვეშაპსაც, რომელსაც მეტსახელად „მკვლელს“ ეძახიან.

ზვიგენსა და „მკვლელ-ვეშაპზე“ საშიში არსება შხამიანი მედუზა ფიზალიაა. ამიტომაც, დამწყებმა მყვინთავებმა უნდა დაიმახსოვრონ, რომ ზღვის ბინადრებთან შეხება არ შეიძლება, რადგანაც ყველაზე ლამაზი არსება შესაძლოა, ყველაზე შხამიანი აღმოჩნდეს. მაგალითად, ავსტრალიის წყლებში ბინადარი ერთი მედუზის შხამს 60 ადამიანის მოკვლა შეუძლია.

ხმელეთზე ყველაზე საშიშ ცხოველთა სამეული ასე გამოიყურება: ლომი, ხარი და სპილო, მაგრამ მათ სისასტიკით არც ლეოპარდი ჩამორჩება. მაგალითად, ინდოეთის ჯუნგლებში ბინადარმა ლეოპარდმა 8 წლის განმავლობაში 125 ადამიანი იმსხვერპლა. იგი 1926 წელს მოკლეს.

სპილო იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია, ხორთუმის ერთი მოქნევით მოკლას ნიანგი, ლომი და ადამიანიც კი. ინდოეთის ერთ-ერთ ქალაქში დიდი უბედურება დატრიალდა: სპილოები ბრინჯის ლუდით დათვრნენ და ასამდე ადამიანი იმსხვერპლეს.

საშიში ცხოველების სიაში მაიმუნებიც მოხვდნენ. შიმპანზეს, პავიანსა და მაკაკას შეუძლია, ადამიანს დაესხას თავს, მოჰპაროს ფული, დოკუმენტები და უკბინოს კიდეც.

ბევრისთვის ყველაზე საშიში არსება ნიანგია. აფრიკაში, წელიწადში 30-40 ადამიანი ნიანგის მსხვერპლი ხდება. ერთხელ, აფრიკის ერთ-ერთ სოფელში მონადირეებმა ყველა ნიანგი ამოწყვიტეს, შედეგად კი მომრავლდნენ ის მტაცებელი თევზები, რომლითაც ნიანგები იკვებებოდნენ. თავის მხრივ, მტაცებლებმა ყველა ის „წვრილი“ თევზი შეჭამეს, რითაც სოფლის მოსახლეობა იკვებებოდა და ხალხი შიმშლით დაიღუპა. სხვათა შორის, ადამიანზე ნიანგის თავდასხმა ყოველთვის ტრაგიკულად როდი სრულდება. ნიანგი საკმაოდ მოუხერხებელი ცხოველია და ამიტომაც, ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ვერაფერს უხერხებს; მხოლოდ მოცურავეს ან მწოლიარეს ესხმის თავს, მას ფსკერისკენ მიათრევს და ელოდება, როდის დაიხრჩობა მსხვერპლი, შემდეგ კი მას ანაწევრებს და ჭამს.

კანადასა და ფინეთში ყველაზე საშიშ ცხოველად დათვს (მას თათის ერთი მოქნევით შეუძლია, ადამიანს თავი წააწყვიტოს), ირემსა და ხარირემს მიიჩნევენ.

მწერებში ყველაზე საშიშად მალარიის ციებ-ცხელების გადამტანი კოღო და „მკვლელი ფუტკრები“ მიიჩნევა — თითოეული წელიწადში 2-3 მლნ ადამიანს კლავს. ■

გოთების იდუმალი სამყარო

გოთები XX საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოჩნდნენ. პირველად ტერმინი — „გოთური“ ინგლისურ პრესაში გაჩნდა, როცა მუსიკალურმა კრიტიკოსებმა ჯგუფი Joy Division გოთებად აღიარეს. 80-იან წლებში ლონდონში ღამის კლუბი — „დათკეივი“ გაიხსნა, სადაც მთელი ინგლისის გოთები იყრიდნენ თავს. ჩამოყალიბდა ახალი მუსიკალური მიმდინარეობები: გოთიკ-როკი, გოთიკ-მეტალი. მუსიკოსი გოთები ყოველწლიურად ლაიფციგში (ქალაქი გერმანიაში), მუსიკალურ ფესტივალზე იკრიბებიან.

გოთებს იმიჯიც თავისებური აქვთ: მათ ტანისამოსში შავი ფერი ჭარბობს. ზოგიერთი ვიქტორიანული ეპოქისთვის დამახასიათებელ ატრიბუტებს — მაქმანს, ხელთათმანს (ქალები გრძელ კაბას, მამაკაცები — ფრაკსა და ცილინდრს) იყენებს. ყურადღებას იქცევს რკინის სამკაულები და მკვეთრი მაკიაჟი, რომელსაც მამაკაცებიც იკეთებენ. გრძელ თმას შავად ან წითლად იღებავენ და უცნაურ ვარცხნილობას ატარებენ.

მათ ცხოვრების თავისებური ფილოსოფია, მუსიკა და მსოფლმხედველობა აქვთ. გოთური სტილი გავრცელებულია ლიტერატურაში (ედგარ პო, მერი შელი, ბრემ სტოკერი, ენ რაისი), კინემატოგრაფიაში („დრაკულა“, „ფრანკენშტეინი“, „ადამსების ოჯახი“), მულტფილმებსა და კომიქსებში.

Mopey Goths-ის მიმდევრებისთვის გოთიკა მთელი ცხოვრებაა. ისინი მარტოსულები, დეპრესიულები და ჩაკეტილები არიან. მათგან განსხვავებით, Perky Goth-ის მიმდევრები ყურადღებას იმიჯს აქცევენ, მათთვის დეპრესია და ჩაკეტილობა უცხო ხილია.

კიბერ-გოთები თმას არაბუნებრივ ფერად იღებავენ, ვარცხნილობაც გამორჩეული აქვთ და თვალებშიც არაბუნებრივი ფერის ლინზებს იდგამენ.

პანკ-გოთი რკინის სამკაულებს ატარებს, დახეული ჯინსი და ტყავის ქურთუკი აცვია.

არსებობს გოთი-ვამპირი, ფეტიშ-გოთი, ვესტერნ-გოთი და ა.შ.

საზოგადოების კონსერვატორული ნაწილი გოთებს აკრიტიკებს. სუიციდის (ზოგიერთი გოთი თვითმკვლელობის ინსცენირებას ვენების ვითომ გადაჭრით ახდენს), დეპრესიის, სატანიზმის, ვანდალიზმისა და სხვა უარყოფითი მოვლენების პროპაგანდაში ადანაშაულებს.

გაქვავებული ადამიანები ანუ ცოცხალი ქანდაკებები

ევროპის მრავალი ქვეყნის ქუჩაში შეხვდებით ცოცხალ ქანდაკებებს, მაგრამ ყველაზე მეტს ბარსელონაში ნახავთ. რამბლეს ქუჩაზე პირველი ცოცხალი ქანდაკება XX საუკუნის ბოლოს გამოჩნდა. გამვლელების გამხიარულებისა და ამ გზით ფულის შოვნის იდეა თავდაპირველად, სამ ჯამბაზს — ტონიოს, პეპესა და პაკოს გაუჩნდა, დღესდღეობით კი ბარსელონაში ათეულობით ცოცხალი ქანდაკება „დგას“ და თითოეულს ინდივიდუალური სტილი აქვს. ზოგი ისტორიული პერსონაა, ზოგი — სიურრეალისტური გმირი. მიმები ძირითადად, ლათინური ამერიკიდან ჩასული ემიგრანტები არიან, რომელთა საქმიანობაც საკმაოდ შემოსავლიანია: ზაფხულში, თვეში 3 ათას ევრომდე შოულობენ, ზამთარში — 1500-მდე. ყველაზე გულუხვი ტურისტები ჰოლანდიელები და ინგლისელები არიან.

მიმები გადასახადებს არ იხდიან, მათთვის მხოლოდ ერთადერთი აკრძალვაა დაწესებული, — ქანდაკებებს შორის მანძილი 5 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო თავად მიმმა 2 მეტრზე მეტი ადგილი არ უნდა დაიკავოს. ზოგიერთი მიმი მთელი დღის მანძილზე, გაუნძრევლად დგას და რამდენიმე ილეთს მხოლოდ ყუთში ფულის ჩაყრის შემდეგ აკეთებს. ზოგიერთი კი გამვლელებს ეხუმრება, ჰბაძავს, ამასხარავებს. ცოცხალი ქანდაკებების გარშემო უამრავი ტურისტი იყრის თავს, მათ მახლობლად კი ჯიბის ქურდები „მუშაობენ“, რომლებიც გამვლელების გულუბრყვილობით სარგებლობენ და ჯიბეებს ისქელებენ.

რუბრიკა მოამზადა
რუსუდან გელაშვილმა

პოლონეთის ქართული მხედრობა

პოლონეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის: XVIII საუკუნეში საქართველოსა და კავკასიაში იმყოფებოდა პოლონელი იეზუიტი და ცნობილი ორიენტალისტი — იან თადეუშ კრუშინსკი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის შესახებ ძალზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა. 1832 წლის შეთქმულების დროს ქართველთა უმთავრესი მოკავშირე იყო იმხანად ლონდონში მცხოვრები პოლონელი შლიახტიჩი, რუსეთის დაუძინებელი მტერი ადამ ეჟი ჩარტორიისკი, პოლონეთში მოღვაწეობდა და იქვე აღესრულა წმინდა გრიგოლ ფერაძე... ჩვენი ქვეყნების ისტორიაში მრავალი ასეთი მაგალითი მოიძებნება, ამჟამად კი პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრების შესახებ მოგითხრობთ, რომლებმაც ამ ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლაში დიდი როლი ითამაშეს.

მიხეილ ლაბაძე

1917 წელს, როცა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტიდან ჩამოაგდეს და რომანოვების დინასტიასთან ერთად, დერჟავნიკულ იმპერიასაც აღსასრულის ჟამი დაუდგა, პოლონეთის სამეფოში, რომლის გვირგვინოსნადაც რუსეთის იმპერატორი მიიჩნეოდა, ძალაუფლება ავსტრია-უნგრეთის პოლონური ლეგიონების მეთაურმა, იუზეფ პილსუდსკიმ აიღო ხელში, ერთი წლის შემდეგ — 1918 წლის 11 ნოემბერს კი პოლონეთი რუსეთისაგან დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა.

პოლონეთის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, თვითმპყრობელური იმპერიის დაუძინებელი მტერი იუზეფ პილსუდსკი 1905-1907 წწ. რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდა. მას პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ე.წ. „რეჩ პოსპოლიტას“ აღდგენის გეგმა ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა შემუშავებული და სხვათა შორის, თავის გეოპოლიტიკურ გათვლებში საქართველოს დიდ ყურადღებას უთმობდა.

იქიდან გამომდინარე, რომ XVIII საუკუნიდან პოლონეთის ტერიტორია რუსეთს, გერმანიას და ავსტრია-უნგრეთს ჰქონდათ განაწილებული, პოლონელ პატრიოტთა უპირველესი ამოცანა ქვეყნის გაერთიანება იყო. I მსოფლიო ომის დროს კი, როცა იმპერიების ნგრევა დაიწყო, იუზეფ პილსუდსკიმ „დიდი პოლონეთის“ შექმნის საკმაოდ გაბედული გეგმა წამოაყენა, რომლის მიხედვითაც, „რეჩ პოსპოლიტა“ ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე უნდა გადაჭიმულიყო: მის შემადგენლობაში უნდა შესულიყო ლიტვა, ბელორუსია და უკრაინის კარგა დიდი ნაწილი, კიევითურთ. ეს გეგმა გარკვეულ ისტორიულ არგუმენტებს ეფუძნებოდა და რაც მთავარია, იმხანად, მის განსახორციელებლად შანსები მართლაც, არსებობდა. იუზეფ პილსუდსკი საქართველოს შავ ზღვაზე პოლონეთის მთავარ მოკავშირედ განიხილავდა.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებას რუსეთმა ტრადიციულად, ძალის დემონსტრირებით უპასუხა — 1919 წლის თებერვალში წითელარმიელებმა პოლონელ მესაზღვრეებს სროლა აუტეხეს — ასე დაიწყო რუსეთ-პოლონეთის ომი, რომელშიც პოლონეთმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, თუმცაღა შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება ვერ შეძლო. პილსუდსკიმ რუსებს თავი სამუდამოდ დაამახსოვრა და დიდი ბრიტანეთი რომ არა, მოსკოვსაც აიღებდა — ომი სწორედ ლონდონელ დიპლომატთა აქტიური ჩარევის შემდეგ, 1922 წელს შეწყდა და მხარეები მოლაპარაკების მაგიდას რიგაში მიუსხდნენ.

ომის პარალელურად, იუზეფ პილსუდსკი ცდილობდა, ამიერკავკასიაში ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი საქართველოსთან დაემყარებინა კავშირი — 1919 წლის 29 იანვარს მან საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო, ხოლო 1920 წლის მარტში თბილისში საგანგებო დელეგაცია გაგზავნა, რომელსაც სათავეში ცნობილი დიპლომატი, ტიტუს ფილიპოვიჩი ედგა. საგანგებო დელეგაციას საქართველოსა და პოლონეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დასადებად პირობები უნდა მოემზადებინა. ამ ხელშეკრულების მიხედვით პოლონეთი ვალდებულებას იღებდა, საქართველო საომარი აღჭურვილობით მოემარაგებინა, ხოლო ჩვენ, რუსეთის წინააღმდეგ ომში უნდა ჩავბმულიყავით. ტიტუს ფილიპოვიჩმა, რომელიც ამიერკავკასიაში პოლონეთის სრულუფლებიან ელჩადაც იყო დანიშნული, ასეთივე წინადადებით მიმართა აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობებსაც.



პოლონეთში ჩასული ქართველი სამხედროები ვარშავის რკინიგზის სადგურში, 1921 წ.

სამწუხაროდ, იუზეფ პილსუდსკის კავკასიურ გეგმებს ასრულება არ ეწერა — სწორედ მაშინ, როდესაც ტიტუს ფილიპოვიჩი მოლაპარაკებებს აწარმოებდა, ხოლო პოლონეთის არმია კიევს უტევდა, საბჭოთა რუსეთმა აზერბაიჯანი და სომხეთი „გააწითლა“. ამდენად, პოლონეთს მოკავშირედ მხოლოდ საქართველოღა შემორჩა, თუმცა, ისიც მცირე ხნით — 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლების ექსპორტი აქაც მოხდა. მიუხედავად ამისა, ტიტუს ფილიპოვიჩის მისია ჩვენთან მაინც დარჩა, ხოლო ვარშავამ საქართველოს ოკუპაცია და ანექსია არ ცნო; მეტიც — პილსუდსკიმ ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს თავშესაფარი ოფიციალურად შესთავაზა.

აღსანიშნავია, რომ „პრომეთეიზმის“ ანუ ამიერკავკასიის ოკუპირებული რესპუბლიკების გათავისუფლებისთვის ბრძოლის მხარდაჭერის იდეა, პოლონეთის გარდა, ევროპის არც ერთ სახელმწიფოს, ოფიციალური პოლიტიკის პრიორიტეტად არ უქცევია — ევროპაში

პოლონელი პარტიზანების მეთაური, პოდპოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე, 1931 წ.

მხოლოდ ქართველ ემიგრანტ პოლიტიკოსებს შესთავაზეს თავშესაფარი და ისიც, ცალყბად, ხოლო პილსუდსკიმ გადაწყვიტა, რუსეთთან მომავალ ბრძოლებში კავკასიური სამხედრო ნაწილები გამოეყენებინა და სწორედ ამ მიზნით, ქართველ სამხედრო პირებს პოლონეთის კარი ფართოდ გაუღო.

იუზეფ პილსუდსკის ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროიდან — „პოლონური ლეგიონის" შექმნის დღიდან — მხარში ქართველი პოდპოლკოვნიკი, ვალერიან ტუმანოვიჩი, იგივე გიორგი თუმანიშვილი ედგა. მარშალს სწორედ მან ურჩია, რომ პოლონეთის არმიაში ქართველები კონტრაქტორებად აეყვანა. ამგვარად, საქართველოდან იძულებით წასული ოფიცრები: ვალერიან თევზაძე, დიმიტრი შალიკაშვილი, ალექსანდრე ჩხეიძე, ვიქტორ ლომიძე, ზაქარია ბაქრაძე, ალექსანდრე კონიაშვილი, კირილე ქუთათელაძე, არტემ არონიშიძე, მიხეილ კვალიაშვილი, ივანე ყაზბეგი და სხვები „ვოისკო პოლსკეს" დაქირავებული მებრძოლები გახდნენ. ერთ-ერთი მათგანი — პოდპოლკოვნიკი დიმიტრი შალიკაშვილი აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბის ყოფილი მეთაურის, ჯონ მალხაზ შალიკაშვილის მამა იყო.

„პოლონეთში ქართველთათვის უფრო ხელსაყრელი სიტუაცია იყო, ვიდრე საფრანგეთში, ინგლისში ანდა ევროპის რომელიმე სხვა ქვეყანაში. პოლონელები ქართველ სამხედროებს განსაკუთრებული პატივისცემით გვეპყრობოდნენ... მათ ყველას შემოგვთავაზეს თავშესაფარი და გვითხრეს, რომ მარშალი პილსუდსკი დაინტერესებული იყო ჩვენი დაქირავებით „ვოისკო პოლსკეში"... ცხადია, ჩვენ ეს შემოთავაზება დიდი სიხარულით მივიღეთ. მახსოვს, იმხანად სწორედ ამ საქმეებზე კონსტანტინოპოლში პოლონეთის არმიის კაპიტანი, გვარად ვოიცეხოვიჩი იყო ჩამოსული... მას ჯერ კიდევ რუსეთის არმიიდან ვიცნობდი. ვოიცეხოვიჩმა ჩვენ — სულ 12 კაცი გემზე დაგვსხა და რუმინეთ-ჩეხოსლოვაკიის გავლით პოლონეთში ჩაგვიყვანა, სადაც მეორე დღესვე გაგვიფორმეს ხელსაყრელი კონტრაქტი...", — წერს დიმიტრი შალიკაშვილი მოგონებათა წიგნში, რომელიც XX საუკუნის ბოლოს ამერიკაში გამოქვეყნდა; „მარშალი პილსუდსკი ქართველებს ძალიან დიდ პატივს გვცემდა — მას ჩვენ „დობრი პანს" ვეძახდით", — იხსენებდა პოდპოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან პოლონეთში ჩასული ქართველი ოფიცრები პილსუდსკიმ დასაწყისისათვის შეიარაღებული ძალების შესაბამის სახეობებში გადაანაწილა: „ქართული მხედრობა მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა და ვფიქრობთ, სანამ მათგან ცალკეულ ლეგიონს შევადგენდეთ, უმჯობესი იქნება, თუ სხვადასხვა ქვეგანაყოფში გადავანაწილებთ — ამით ჩვენს ჯარისკაცებს საშუალება ექნებათ, კარგი მეთაურების ხელში გამოცდილება აიმაღლონ", — ეუბნებოდა მარშალი პილსუდსკი პოლონეთის ჯარების სარდლობას.

ქართველი ოფიცრების კორპუსმა პოლონეთის არმიაში ავტორიტეტი მალევე მოიპოვა. მარშალი პილსუდსკი მათზე დიდ იმედს ამყარებდა — მას სურდა, საკუთარი არმიის ფარგლებში ქართული ლეგიონი შეექმნა, რომელიც მომავალში დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ძირითადი საფუძველი იქნებოდა... პილსუდსკის შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა — ის კვლავ შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას იმედოვნებდა და შემდგომში, „დიდი პოლონეთის" მფარველობის ქვეშ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასაც აპირებდა.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ევროპასა და მთელ მსოფლიოში ვითარება მკვეთრად შეიცვალა — 1933 წელს გერმანიის სათავეში ნაციონალ-სოციალისტური პარტია მოვიდა, რომელსაც პოლონეთის მიმართ მზაკვრული ინტერესები ჰქონდა, ხოლო ორი წლის შემდეგ მარშალი იუზეფ პილსუდსკიც გარდაიცვალა. ასე რომ, „დიდ პოლონეთთან" დაკავშირებული ყველა სამუშაო შეჩერდა. გერმანიის მესვეურებმა, რომლებთანაც პოლონელებმა რუსეთის წინააღმდეგ კავშირის შეკვრა სცადეს, ვარშავას უგანეს და მზერა ბოლშევიკებს მიაპყრეს.

მარშალ პილსუდსკის გარდაცვალების შემდგომ ყველასათვის ცხადი გახდა, რომ გერმანიაში ჰიტლერის რეჟიმის არსებობის პირობებში პოლონეთი არათუ ზესახელმწიფოდ, არამედ ევროპის ერთ-ერთ გავლენიან ქვეყნადაც ვერ იქცეოდა — ვარშავა აშკარად, ომის საფრთხის წინაშე იდგა. სამწუხაროდ, პილსუდკის მემკვიდრეებმა ეს საფრთხე დროულად ვერ გათვალეს — 1939 წელს პოლონეთის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირმა და გერმანიამ კავშირი შეკრა. იმავე წლის პირველ სექტემბერს, გერმანიის პოლონეთზე თავდასხმით, როგორც ცნობილია, II მსოფლიო ომი დაიწყო, რადგან საომარ მოქმედებებში ჩაბმული აღმოჩნდა ერთი მხრივ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, მეორე მხრივ — საბჭოთა კავშირი.

პოლონეთის არმიის ქართველ ოფიცერთა კორპუსის შესახებ, ცხადია, ცნობები კრემლშიც აღწევდა. ამბობენ, — როდესაც იოსებ სტალინმა ამის შესახებ პირველად შეიტყო, გაბრაზებისაგან ხმის ამოღება ვერ მოახერხა და ლავრენტი ბერიას უბრძანა, „ვოისკო პოლსკეს" ნებისმიერი ქართველი ჟოლნერი (ჯარისკაცი) ხელში ჩაგდებისთანავე დაეხვრიტათ. „ენკავედეს" მესვეურებმა მალე დაადგინეს, რომ პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრებთან განლაგებულ ჯარს ქართველები — ბრიგადის გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე და პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ლომიძე სარდლობდნენ.

წითელი არმია პოლონეთის ტერიტორიაზე 1939 წლის 17 სექტემბერს შეიჭრა. ამ დროისათვის, საბჭოთა სპეცსამსახურებს უკვე პოლონეთის არმიაში მყოფი თითქმის ყველა ქართველი სამხედროს მონაცემები ჰქონდათ. წითელარმიელებს საგანგებო ბრძანება ჰქონდათ მიღებული — გულდასმით შეემოწმებინათ ყველა დატყვევებული პოლონელი ჯარისკაცის საბუთი და თუკი მათ შორის ვინმე ქართველი აღმოჩნდებოდა, ზედმეტი ხმაურის გარეშე, ადგილზევე დაეხვრიტათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მხრივ გამონაკლისს გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე წარმოადგენდა — იოსებ სტალინმა მისი ცოცხლად შეპყრობის ბრძანება გასცა, რადგანაც ჩხეიძეს პილსუდსკი „ქართული ლეგიონის" მეთაუ-

რად დანიშვნას უპირებდა და ბუნებრივია, სტალინს ამ მხრივ ყველაფერი აინტერესებდა.

ალექსანდრე ჩხეიძე წითელარმიელებმა ქალაქ ლვოვის აღმოსავლეთით, ერთი პატარა სოფლის ახლოს, ორდღიანი ბრძოლის შედეგად შეიპყრეს — გენერალი დაჭრილი იყო და თავს ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების სახლს აფარებდა, როცა წითელმა არმიამ პოლონელთა წინააღმდეგობა დასძლია და სოფელი აიღო. წითელარმიელებმა იცოდნენ, რომ ალექსანდრე ჩხეიძე იქ იყო და სოფლელებს მისი გადაცემა მოსთხოვეს, მაგრამ ამაოდ. მცირე ხნის შემდეგ, მომხდურებმა სოფლის მოსახლეობა ცენტრში, მოედანზე გამორეკეს და ყოველი მეხუთის დახვრეტას შეუდგნენ. ამ ყველაფერს ქართველი გენერალი თავშესაფრიდან ადევნებდა თვალს. მას ბევრი არ უყოყმანია — წითელარმიელებს ჩაჰბარდა და უდანაშაულო მშვიდობიან მოსახლეთა სიცოცხლე იხსნა.

ბრიგადის გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე, სხვა დატყვევებულ პოლონელ ჯარისკაცებთან ერთად, წითელარმიელებმა გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს — სავარაუდოა, რომ იგი 1940 წელს სოფელ კატინში დახვრიტეს. ეს ცნობა დოკუმენტურად არ დასტურდება, მაგრამ პოლონელ ისტორიკოსთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ გენერალი ჩხეიძე კატინში დახვრეტილ პოლონელ სამხედროთა შორის იყო; მეორე ვარაუდით, ალექსანდრე ჩხეიძე მოსკოვში ჩაიყვანეს და „ენკავედეს“ შენობის სარდაფში დახვრიტეს. გასული საუკუნის 90-იან წლებში, პოლონეთის არმიის მე-16 ქვეით ბრიგადაში, რომელსაც ქართველი გენერალი ედგა სათავეში, ალექსანდრე ჩხეიძის სახელობის საპატიო ჯილდო დაწესდა. გარდა ამისა, ჩხეიძის სახელი ქალაქ რადომის ერთ-ერთ ქუჩასაც ეწოდა.

აღმოსავლეთის ფრონტის გარდა ქართველი ოფიცრები დასავლეთით — გერმანულ ჯართა წინააღმდეგაც იბრძოდნენ. მაგალითად, ვარშავის დაცვას პოდპოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე ხელმძღვანელობდა. მისი გმირობით გერმანელებიც კი იმდენად მოიხიბლნენ, რომ პირადად ფიურერს უპატაკეს — ყველა პოლონელი ჟოლნერი პოდპოლკოვნიკ ვალერიან თევზაძის მსგავსად რომ იბრძოდეს, პოლონეთის აღება დიდად გაგვიჭირდებოდაო. ქართველი პოდპოლკოვნიკი გერმანელთა ტანკების წინააღმდეგ პოლონელ კავალერისტებს ისე უშიშრად მიუძღოდა, რომ გერმანელმა ტანკისტებმა შეტევა რამდენიმე წამით შეაჩერეს და აღფრთოვანებით შესძახეს — „ბრავო, ჰერ ოფიცირ!“; მას შემდეგ კი, რაც აღმოსავლეთის ფრონტი გერმანულმა ძალებმა მთელ პერიმეტრზე გაარღვიეს, პოდპოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე პარტიზანულ ომს ჩაუდგა სათავეში და ასე უშრობდა ჰიტლერელებს სისხლს. პოლონეთის დაპყრობის შემდეგ, ფაშისტებმა „ვოისკო პოლსკეს“ ყოფილი პოდპოლკოვნიკის თავი ზღაპრულ თანხად — 200 ათას რაიხსმარკად შეაფასეს, მაგრამ მისი ხელში ჩაგდება ვერაფრით მოახერხეს.

პარტიზანების მოუხელთებელი მეთაური, პოდპოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე, რომელსაც გერმანელები მთელ პოლონეთში ეძებდნენ, აბსოლუტურად ლეგალურად ცხოვრობდა მათსავე ცხვირწინ — ქვემო სილეზიის ერთ-ერთ პატარა ქალაქში. ის „ვალერიან კუიუანოვსკის“ ფსევდონიმით იყო ცნობილი და დღისით ჩვეულებრივი, მშვიდობიანი მოქალაქე გახლდათ, ღამით კი მრისხანე შურისმაძიებელი — ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად, ფაშისტებს ესხმოდა თავს და მათ შეუბრალებლად ჟლეტდა. ვალერიან თევზაძეს პოლონეთის ტერიტორიაზე არსებულ ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში თავისი აგენტურა ჰყავდა და სწორედ მათი მეშვეობით, მალევე დაამყარა კონტაქტი ტყვე ქართველ წითელარმიელებთან, რომლებსაც ბანაკიდან გამოქცევაში დაეხმარა და საკუთარ პარტიზანულ რაზმში ჩარიცხა.

ქართველი და პოლონელი ოფიცრების ჯგუფი, დასახლება ბენიამინუვში, 1925 წ.

1942 წლისათვის, როდესაც გერმანიის სამხედრო ძლიერებას წყალი ჰქონდა შემდგარი, ვალერიან თევზაძის პარტიზანული დაჯგუფება ოცდაათამდე მებრძოლს ითვლიდა, რომელთა შორის, ცხადია, ქართველებიც იყვნენ. პარტიზანთა ეს დაჯგუფება სხვათაგან, უპირველეს ყოვლისა, მკვეთრი ანტირუსულობით გამოირჩეოდა და ამიტომაც, ლონდონში ბაზირებულ პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობას მჭიდრო კავშირები სწორედ ვალერიან თევზაძესთან ჰქონდა. პოლონელები ქართველ პოდპოლკოვნიკს „კავკასიელ არწივს“ უწოდებდნენ. სხვათა შორის, თევზაძის მოუხელთებლობის შესახებ იოსებ სტალინმაც ყველაფერი იცოდა — დიდ დიქტატორს „კუიუანოვსკის“ ხსენება აცოფებდა. დიდი დიქტატორი ლავრენტი ბერიას ხშირად ეუბნებოდა: „გერმანელთაგან დაპყრობილ პოლონეთში ჩვენს არმიას აბსოლუტური მხარდაჭერა გარანტირებული მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ იქ ვალერიან კუიუანოვსკის რაზმი აღარ იარსებებს!“

საინტერესოა, რომ 1945 წლისთვის, როცა წითელმა არმიამ პოლონეთიდან გერმანელები საბოლოოდ განდევნა და ამის საფასურად, ეს ქვეყანა „გააწითლა“, „ენკავედემ“ პირადად სტალინისაგან მიიღო ბრძანება — მოეძებნათ კაცი, სახელად ვალერიან კუიუანოვსკი, იგივე ვალერიან თევზაძე და ცოცხლად შეეპყროთ. მიუხედავად ამისა, „ვოისკო პოლსკეს“ ქართველ პოდპოლკოვნიკს ვერც ცოცხალს და ვერც მკვდარს, ვერავინ მიაგნო. ვალერიან თევზაძემ და მისმა პარტიზანებმა კიდევ ერთხელ შეაფარეს თავი იატაკქვეშეთს, სადაც ანტიკომუნისტური ორგანიზაცია — „მებრძოლი პოლონეთი“ შექმნეს.

პოდპოლკოვნიკმა ვალერიან თევზაძემ ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა — ის 96 წლის ასაკში, 1985 წელს, ქვემო სილეზიის ქალაქ ძეჟონიუვში გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული. მის საფლავს ასეთი მრავლისმთქმელი წარწერა ამშვენებს: „როგორც ქართველს, მსურდა, რომ განსასვენებელი საქართველოს მიწაზე მეპოვა, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ სიცოცხლე პოლონეთის თავისუფლებას შევწირე“.

■

თუ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის გეშინიათ...

მოღალატე მამაკაცების ცოლებს ხშირად აწვალებს კითხვა: შესაძლებელია თუ არა, მის საყვარელზე უკეთესები გახდნენ და ამით ოჯახი შეინარჩუნონ?

რატომღაც ქალების უმეტესობა ცდილობს, „ღირსეული“ მეტოქეობა გაუწიოს ქმრის საყვარელს, არ ჩამორჩეს მას „საზიარო ობიექტის“ ალერსსა და თუ სიყვარულში და ვერც კი ხვდება, როგორ კარგავს ინდივიდუალურობას; ის თითქოს საკუთარ თავზე იღებს ქმრის დანაშაულს და მას განაწყენებული აღმზრდელის როლში ევლინება. მამაკაცს კი ამ ყველაფრის ფონზე სხვა ქალის მიმართ ლტოლვა უფრო უძლიერდება.

თუ თქვენ ღალატის შემდეგ, უფრო თბილი, ყურადღებიანი, ალერსიანი — ერთი სიტყვით, ადრინდელზე უკეთესი გახდებით, ქმარი იფიქრებს, რომ ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირა და უფრო ლაღად გაშლის ფრთებს.

როგორ არ უნდა მოიქცეთ

1. არასოდეს გაეჯიბროთ ქმრის საყვარელს; დაიმახსოვრეთ, ის თქვენ მეტოქედ არ გერგებათ;
2. თავს ნუ დაიმშვიდებთ, იმით, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია — ეს ასე ნამდვილად არ არის;
3. არ დაემუქროთ ქმარს თვითმკვლელობით;
4. არ დაურეკოთ მის საყვარელს;
5. ნუ ეცდებით, აეჭვიანოთ;
6. წამდაუწუმ ნუ გალანძღავთ;
7. არ გამოიყენოთ ჯაშუშური ტაქტიკა.

რა უნდა მოიმოქმედოთ

1. პირველ რიგში, საკუთარ თავში გაერკვიეთ — ეგუებით თუ არა ღალატის ფაქტს? თუ — კი, მაშინ, ყველაფერი გასაგებია და შეგიძლიათ მშვიდად გააგრძელოთ ცხოვრება. ხოლო თუ — არა, მაშინ დაელაპარაკეთ მეუღლეს ამის შესახებ; დაინტერესდით, რა არის მისი ღალატის მიზეზი. იქნებ, ის პირველ რიგში საკუთარ თავში უნდა ეძებოთ?!
2. ჰკითხეთ, როგორი გაგრძელება ექნება თქვენს ურთიერთობას მომავალში. მიეცით გარკვეული ვადა, რათა საბოლოოდ გაერკვეს გრძნობებში.
3. თუ ქმარი გიმტკიცებთ, რომ მისი რომანი დასრულდა, თქვენ კი დარწმუნებული ხართ — ის კვლავ გრძელდება, გადაჭრით უთხარით, რომ თქვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია.
4. თუკი არსებულმა სიტუაციამ არასრულფასოვნების კომპლექსი გაგიჩინათ, გაიხსენეთ, გათხოვებამდე რამდენი თაყვანისმცემელი გეხვიათ გარს. მას შემდეგ ხომ არცთუ ისე დიდი ხანია გასული... თქვენ თითქმის არ შეცვლილხართ, თანაც ამიერიდან თავისუფალი იქნებით!
5. თუ მომავლის შიში დაგჩემდათ და გგონიათ, რომ დარჩენილი ცხოვრება მარტოობაში უნდა გაატაროთ, აუტოტრენინგები ჩაიტარეთ, ან სულაც, ფსიქოლოგს მიმართეთ.
6. რაც მთავარია, გახსოვდეთ: არასოდეს შეგეშინდეთ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის — არ ღირს სინანული იმ ადამიანის დაკარგვის გამო, ვინც თქვენი სათანადოდ დაფასება ვერ შეძლო.
7. დაბოლოს: კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ზედა ექვსი პუნქტი და თუკი მიუხედავად ამ ყველაფრისა, მეუღლე ქვეყანას გირჩევნიათ, სხვა რაღა დაგრჩენიათ: მისი ცხოვრების წესს უნდა შეეგუოთ. ■

რჩევები დიასახლისებს

• ფანჯრის რაფები და კარები გარეცხეთ წყალში გარეული ნიშადურის სპირტით (1 ლ წყალი, 1 ს/კ სპირტი). ფერადი საღებავებით შეღებილი კარ-ფანჯრების გარეცხვა რეკომენდებულია ჩაის ნაყენით (2 ჩ/კ მშრალ ჩაის დაასხით 1 ლ ცხელი წყალი, გააჩერეთ 10 წუთი და გადაწურეთ).

• ფანჯრის მინებზე მიმხმარი საღებავი ჯერ ბრიტვით ან რაიმე ბასრწვერიანი საგნით ფრთხილად აფხიკეთ; დარჩენილი ლაქა კი სკიპიდარით მოაშორეთ.

• ფანჯრის საწმენდად, გირჩევთ, გამოიყენოთ 3 რბილი ქსოვილი. თბილ წყალში ჩაფშვენით ცარცი (1 ლ წყალზე 3-5 ს/კ ცარცი). პირველი ნაჭრით მინა ცარციანი ხსნარით ჩამორეცხეთ; მეორე ოდნავ დაასველეთ, კარგად გაწურეთ, გაწმინდეთ ცარციანი მინა და დაელოდეთ მის ოდნავ შეშრობას; მესამეთი კი გააპრიალეთ.

• ზამთარში ფანჯრის მინები რომ არ გაიყინოს, ორივე მხრიდან გლიცერინით გაწმინდეთ. ■

როგორ შეგვარჩიოთ სარკე

დიზაინერები ტყუილად არ მიიჩნევენ სარკეს სახლის დეკორაციის საინტერესო და განსაკუთრებულ ელემენტად. გემოვნებით შერჩეულ სარკეს შეუძლია გააცოცხლოს მოსაწყენი ინტერიერი, დაფაროს დეფექტები და შექმნას სინათლის ილუზია.

• ძველად სარკე მიიჩნეოდა საიდუმლოებით აღსავსე, მაგიურ ნივთად. დღეისთვის კი აუცილებელი ატრიბუტია სახლის ინტერიერის მოსაწყობად და თავისებური დიზაინის შესაქმნელად. თუ სარკეს ფანჯრის მოპირდაპირე მხარეს დაკიდებთ, ის თქვენს ოთახს მეტ სინათლეს შესძენს. დიდი სარკე დიდი სივრცის ილუზიას ქმნის.

• სარკე, რომელიც მთელი კედლის ზომაზეა განთავსებული, ოპტიკურად აორმაგებს ოთახის სიგანეს ან სიგრძეს, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გამოკვეთოთ რეალური და ოპტიკური სივრცის საზღვრები. ამისათვის სარკიან კედელთან დადგით რომელიმე ავეჯის ატრიბუტი — იქნება ეს პატარა დივანი, სამეული თუ მხოლოდ ჟურნალების მაგიდა.

• ოთახის გადიდების ილუზიის კიდევ ერთი კარგი საშუალებაა ერთმანეთის მოპირდაპირე კედლებზე ჩამოკიდებული სარკეები. ისინი ზემო და გვერდითი შუქებით გაანათეთ.

• დიზაინერების აზრით, სარკის მთავარი დეტალი მისი ჩარჩოა. დღესდღეობით აქტუალურია როგორც ხის, ასევე სხვადასხვა ფერად შეღებილი ან გალაქული ჩარჩო, მთავარია, ის უხდებოდეს სახლის ინტერიერს. არსებობს ასევე სარკეები ჩარჩოს გარეშე, რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა სიმეტრიის ფორმებით. თუმცა უმჯობესია, სარკე მაინც სტანდარტული ფორმისა იყოს — ასე უკეთ ესადაგება სახლის ინტერიერს. ■

ნაადრეგი ნაოჭები რომ არ გაგიჩნდეთ

ხანდაზმულ ასაკში ნაოჭების გაჩენა სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. თუმცა, სწორი და სისტემატური მოვლა საშუალებას მოგცემთ, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოთ ახალგაზრდული კანი.

საერთოდ, ნაოჭების გაჩენას ყველაზე მეტად კანის გამოშრობა უწყობს ხელს. ზოგი ქალი გახდომის მიზნით, ძალზე ცოტა წყალს სვამს, რაც დაუშვებელია — კანი შრება და ელასტიკურობას კარგავს.

კანის მკვებავი სპეციალური საშუალებები

ნუშის ნატურალური რძე

25 გ გარჩეული, ტკბილი ნუში დანაყეთ, დაასხით 1/2 ჩ/ჭ თბილი, ანადულარი წყალი, კარგად შეანჯღრიეთ, დაუმატეთ ცოტა მარილი, გაწურეთ დოლბანდში და შეინახეთ გრილ ადგილას. გამოყენებამდე (დილით და საღამოს) კვლავ შეანჯღრიეთ, დაისხით ხელისგულზე 1-2 ჩ/კ სითხე და კარგად შეიზილეთ სახისა და ყელის მიდამოებში.

მცენარეული ნაყენის კომპრესები

თუ მშრალი კანი გაქვთ, ან — რაიმე გამონაყარი, სასურველია, დღეგამოშვებით თბილი კომპრესების დადება ან სახის გაწმენდა შემდეგი ნაყენით: 1 ს/კ ცაცხვის ყვავილი მოხარშეთ ნახევარ ჭიქა რძეში და მიღებული ნაყენი 20-15 წუთით მოათავსეთ ცხელ წყალში.

თუ მგრძნობიარე, ნაზი და ფორებიანი კანი გაქვთ, მაშინ ცაცხვის ყვავილის მაგივრად აიღეთ ვარდის ან სალბის მშრალი ფურცლები: 1/2 ს/კ მცენარე მოხარშეთ 1/2 ჭიქა წყალში და დაუმატეთ ამავე რაოდენობის რძე.

სახე უნდა გაიწმინდოთ ნაყენში დასველებული ბამბის ტამპონით.

მარილიანი აბაზანები

მარილიანი წყლით დაბანა კარგად მოქმედებს სახის კანის კუნთებზე. დილით, კრემის წასმიდან 20-25 წთ-ის შემდეგ, სახე დაიბანეთ გრილი, მარილიანი ხსნარით (1 ჩ/ჭ წყალზე 1 ჩ/კ მარილი). პროცედურა შეასრულეთ 15-20 დღის განმავლობაში, ყოველდღე. 2-3 კვირის შემდეგ, კურსი გაიმეორეთ. ■

რჩევები დიასახლისებს

შოკოლადიანი კექსი



მასალად საჭიროა:
120 გ თაფლი;
60 გ შაქრის ფხვნილი;
50 გ მარგარინი;
1 ჩ/კ საფუარი;
250 გ ფქვილი;
2 ჩ/კ დარიჩინი;
1 მწიკვი მარილი;
50 გ გარგარის ჩირი;
400 გ შოკოლადი.

მომზადების წესი:

თაფლი და მარგარინი ორთქლზე გაათბეთ, შეურიეთ საფუარი. დაუმატეთ ფქვილი, წვრილად დაჭრილი ჩირი და ამოიყვანეთ ცომი. შედგით მაცივარში მთელი ღამით. მოათავსეთ ცომი ცხიმწასმულ ფორმაში და აცხვეთ დაახლოებით 20 წუთი, 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში. შემდეგ გააგრილეთ და ისე გადმოიღეთ ფორმიდან.

შოკოლადი გაადნეთ და კექსს ზემოდან მოასხით. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ბოლოდროინდელი ოქროს იგანიძე

1. ბილ გეიტსს 3 შვილი ჰყავს.
2. ნეაპოლი პიცას მშობლიური ქალაქია.
3. „სამსჭვალი“ და „ლურსმანი“ სინონიმებია.
4. ახლად თავაჩენილ ბალახს ჟიჟოს ეძახიან.
5. „სპასიბო“ ნე ბულკაეტ!“ — ამბობენ რუსები.
6. პოლონელ აზნაურებს შლიახტიჩებს ეძახდნენ.
7. ჯორჯ ჰარისონს პანიკურად ეშინოდა ფრენის.
8. ოპერა — „ზაზა“ რუჯერო ლეონკავალოს დაწერილია.
9. ლეხ ვალენსამ ნობელის პრემია 1983 წელს მიიღო.
10. ნაჭუჭგაუმაგრებელ ნუშს წაკულაკი ჰქვია.
11. აბრაამ ლინკოლნს სამხრეთელები „შავ რესპუბლიკელს“ ეძახდნენ.
12. მარუმუკუტრუ მთიან მასივ ცარატანანაზე მდებარე ჩამქრალი ვულკანია. იგი მადაგასკარის უმაღლესი მწვერვალი გახლავთ.
13. ბელადონა შხამიანი, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. მის ფოთლებსა და ფესვებს, როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას, მედიცინაში ფართოდ იყენებენ. საქართველოში ამ მცენარეს შმაგას ეძახიან.
14. ფრანგების მიერ პირველი ჯავშნოსანი გემის — „ლე გლიუარის“ აგებამ ინგლისელები საგონებელში ჩააგდო — ზღვებზე მათ ბატონობას რეალური საფრთხე დაეშუქრა. ამიტომაც, ბრიტანელები იძულებულნი გახდნენ, ჯავშნოსანი „უარიორი“ აეგოთ.

15. II მსოფლიო ომის დროს გერმანული კოდის, „ენიგმას“ გასაშიფრად ინგლისელებმა რამდენიმე ჯგუფი არაპროფესიონალი დეშიფრატორებით დააკომპლექტეს, რომლებშიც მათემატიკოსები, მოჭადრაკეები და კროსვორდების სპეციალისტები ჰყავდათ მიწვეული.
16. პიესა — „ორმაგი ტყუილი“ შექსპირმა ჯონ ფლეტჩერთან ერთად შექმნა. ეს პიესა 300 წლის მანძილზე იყო ცნობილი, მაგრამ მეცნიერები შექსპირისეულ ავტორობას უარყოფდნენ. საბოლოოდ, მხოლოდ ახლახან დაადგინეს, რომ პიესა ინგლისელი დრამატურგის დაწერილია.
17. რომის იმპერატორმა ნერონმა 14 წლის ყმაწვილი კაცი, სახელად სპორა შეირთო ცოლად, სასახლეში მიიყვანა და დიდი ქორწილიც გადაიხადა. ამის შემყურე რომაელები გაიძახოდნენ: „კარგი იქნებოდა, ნერონის მამასაც ასეთი ცოლი ჰყოლოდაო“. P.S. ამბობენ, თავის მოკვლის წინ ნერონი სპორას ეხვეწებოდა, შენც ჩემთან ერთად მოიკალი თავიო, მაგრამ ვერ დაითანხმა.

ზღვა, რომელიც „დაილია“

რაზე მიგვითითებს არალის ფსკერზე გაჩენილი იდუმალი ნიშნები

არალის ზღვის ფსკერზე წყლის საბოლოო გაქრობამდე იდუმალი ნაკვალევები გამოჩნდა — იდუმალი შტრიხები, ზოლები, ხაზები, რომლებიც თითქოს, გიგანტური ინსტრუმენტების მიერაა გავლებული, ერთმანეთს ერწყმის და უცნაურ, საკმაოდ მკვეთრ ფიგურებს ქმნის.

პირველად, ამ ფიგურებს ყურადღება ყაზახეთის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამჟამად, გარემოსა და კლიმატის მონიტორინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) თანამშრომელმა, ბორის სმერდოვმა მიაქცია. მან ეს ნიშნები 1990 წელს, იმ აეროფოტოსურათებზე შენიშნა, რომლებიც მისივე შეკვეთით, ოღონდ, სულ სხვა მიზნით გახლდათ გადაღებული. თავდაპირველად, მეცნიერმა იფიქრა, რომ ეს ფოტოფირის დეფექტი იყო, მაგრამ კადრების შეთავსების შემდეგ დარწმუნდა, რომ ყველა დეტალი ზუსტად მეორდებოდა.

ეს უცნაური, თითქოს საგანგებოდ გამოყვანილი ხაზები, რომლებიც წყლის გამჭვირვალეობის გამო, მშვენივრად ჩანდა, დაახლოებით, 500 კვადრატულ კილომეტრზე იყო გადაჭიმული. ისინი სხვადასხვა ფორმისა და ზომის გახლდათ; ერთი ნაწილი ოღროჩოღრო იყო და შემთხვევით განაკაწრებს მიაგავდა, სხვები კი უზარმაზარი სავარცხლის მიერ გავლებულ, ათეულობით ზუსტად ერთნაირ ხაზს წარმოადგენდა. ხაზების სიგანე 2-დან 50 მეტრამდე, მათ მიერ შექმნილი ფიგურების სიგანე — 1 კილომეტრამდე, სიგრძე კი რამდენიმე ათეული მეტრიდან 6-8 კილომეტრამდე აღწევდა. ხაზები, მათი რელიეფიდან გამომდინარე, არცთუ ისე დიდი ხნის წინ უნდა გაჩენილიყო.

ბორის სმერდოვი ნანახმა გააოცა და სერიოზულად გაიტაცა. მუშაობის პროცესში მეცნიერი არა მარტო კოლეგებს, არამედ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებსაც — გეოლოგებს, გეოფიზიკოსებს, გეოგრაფებს, მათემატიკოსებს, კონსტრუქტორებს (მათ შორის, წყალქვეშა სამხედრო ტექნიკის სპეციალისტებსაც), ასტრონომებსა და თვით უფოლოგებსაც კი ეთათბირებოდა. სმერდოვმა უფოლოგებს მას შემდეგ მიმართა, რაც უკლებლივ ყველა მისმა კონსულტანტმა ერთხმად განაცხადა, რომ დედამიწაზე არსებულ არც ერთ ცნობილ საგანს, სხეულსა თუ ბუნებრივ ძალას არ შეეძლო ისეთი კვალის დატოვება, როგორიც აეროფოტოსურათებზე იყო აღბეჭდილი.

თავად ბორის სმერდოვი საკუთარ აღმოჩენას წმინდა უფოლოგიურ ახსნას უძებნის. მისი აზრით, „ეს აღმოჩენა სხვა არაფერია, თუ არა ინფორმაცია, რომლის ჩვენამდე მოტანაც არამიწიერი ცივილიზაციის წარმომადგენლებს სურთ“... ასეა თუ ისე, მეცნიერებს წინ დიდი და საინტერესო სამუშაო ელით და ვიდრე ისინი რაიმეს დამტკიცებას შეძლებენ, დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ჯერჯერობით, ამ იდუმალი ნიშნების არამიწიერი წარმოშობის შესახებ არსებული ვარაუდის გაქარწყლება თვით ყველაზე თავგადაკლულმა ანტიუფოლოგებმაც კი ვერაფრით შეძლეს...

და კიდევ: გაქრობისთვის განწირული არალის ზღვა ადამიანებს აფრთხილებს, რომ ბუნებას უნდა გავუფრთხილდეთ! ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე პირველი შემთხვევაა, როცა დედამიწის რუკიდან მთელი ზღვა, თვალსა და ხელს შუა ქრება. იქნებ, ეს ამ მასშტაბის ბოლო დანაკარგიც არ არის და იდუმალი ნიშნებიც სწორედ ამაზე მიგვითითებს?..

საიდან მოვიდნენ ადამიანები დედამიწაზე

გასული წლის ბოლოს ბრიტანეთში დაიხურა ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შემსწავლელი სამთავრობო პროგრამა — MOD. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით: „არსებობის ექვსი ათეული წლის მანძილზე, ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ქვეგანყოფილებას უცხოპლანეტელების მხრიდან მუქარის არც ერთი ფაქტი არ გამოუვლენია. ამდენად, ამ პროგრამის გაგრძელება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების (წელიწადში 50 ათასი გირვანქა სტერლინგის) ფუჭი ხარჯვა იქნებოდა“. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრიტანეთის მთავრობის განკარგულებით, მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბრამდე ამ პროგრამასთან დაკავშირებული ყველა სამეცნიერო პროექტიც დაიხურება.

დიდი ბრიტანეთის ზოგიერთი წამყვანი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ადამიანები დედამიწაზე კოსმოსიდან მოვიდნენ. მაგალითად, კარდიფის უნივერსიტეტის პროფესორი, ჩანდრა ვიკრამასინგი ამტკიცებს, რომ ჩვენს პლანეტაზე „სიცოცხლის პირველი თესლი“ დაახლოებით, 3500 წლის წინ ჩამოყარეს. მისივე თქმით, „კოსმოსიდან დედამიწაზე დაშვებულმა კომეტამ თან უამრავი მიკრობი ჩამოიყოლა. დროთა განმავლობაში ეს მიკრობები გამრავლდნენ და კაცობრიობის ჩამოსაყალიბებლად ფესვი საფუძვლიანად გაიდგეს“. პროფესორ ვიკრამასინგის თეორიასთან დაკავშირებული მტკიცებულებები კემბრიჯის უნივერსიტეტის ასტრობიოლოგიის საერთაშორისო ჟურნალშიც გამოქვეყნდა.

მიუხედავად ყველაფრისა, ბრიტანეთის ხელისუფლებამ გადაწყვეტილება არ შეცვალა და უცხოპლანეტელებთან დაკავშირებული სამეცნიერო პროექტი დახურულად გამოაცხადა. MOD-ის ყოფილი ხელმძღვანელის, ნიკ პოპის თქმით: „ახლა ბრიტანელები უცხოპლანეტელების ტერორისტული შემოტევებისგან სრულიად დაუცველნი არიან“... ■

ავსტრალიელს უსქესო არსებობა აეკრძალა

ოცი წლის წინ, 28 წლის ავსტრალიელმა მამაკაცმა — ჰორი მეი-უელბიმ ქირურგიული ჩარევის შედეგად სქესი შეიცვალა. თუმცა, მოგვიანებით მიხვდა, რომ ვერც ქალის როლში ყოფნას ეგუებოდა და ექიმების მიერ გამოწერილი ჰორმონების მიღება შეწყვიტა...

ოპერაციიდან ოცი წლის გასვლის შემდეგ მეი-უელბიმ ხმამაღლა განაცხადა, რომ თავს ვერც ქალად და ვერც მამაკაცად ვერ აღიქვამს, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ ადამიანის სქესის განსაზღვრა ექიმებმაც ვერ შეძლეს, მეი-უელბიმ ავსტრალიის ხელისუფლებას მის დოკუმენტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თხოვნით მიმართა.

ახალი სამხრეთ უელსის პროვინციის ხელისუფლებამ მეი-უელბის თხოვნა დააკმაყოფილა და მას ამის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტიც მისცა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ახალი გენდერული ნაირსახეობის“ არსებობის შესახებ მთელმა მსოფლიომ შეიტყო, ხელისუფლებამ სასწრაფოდ, უკან გამოითხოვა დოკუმენტი, სადაც ჰორი მეი-უელბი, არც მეტი, არც — ნაკლები, უსქესო ადამიანად იყო გამოცხადებული. მათ საკუთარი გადაწყვეტილების გაუქმება იმით ახსნეს, რომ რეგისტრაციის განყოფილებას მსგავსი ცნობების გაცემის უფლებამოსილება არ გააჩნიაო. თუმცა, თავად ჰორი მეი-უელბი თავს უწინდებურად, უსქესო ადამიანად აღიქვამს... ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ძემდგენელი ოემყრ ოვანიძე

18. მესამე რაიხის მთავარი არქიტექტორი, ალბერტ შპეერი იგონებდა: „ჰიტლერი წმინდა პეტრეს ტაძარზე ორჯერ დიდი ტაძრის აშენებას გეგმავდა და მაკეტიც მზად ჰქონდა. როცა ვკითხე, — ეს უზარმაზარი ნაგებობა მტრის ბომბდამშენებისთვის საუკეთესო სამიზნედ ხომ არ იქცევა-მეთქი? მან თავი გაქნია: „გერმან გერინგმა დამარწმუნა, რომ მტრის ვერც ერთი თვითმფრინავი ვერასდროს გაიჭაჭანებს ქალაქის თავზე“.

19. თბილისის ოპერა 1874 წელს დაიწვა. ძლიერი ცეცხლის ჩასაქრობად, თბილისელ მეხანძრეებს საკმარისი წყალი არ აღმოაჩნდათ; წყალი არც ოპერის გვერდით მდებარე შადრევანში აღმოჩნდა. თბილისის პოლიციამ სასწრაფოდ შეკრიბა ქალაქის თულუხჩები, სასმელი და სარეცხი წყლის დამტარებლები, რომლებიც 16 საათის მანძილზე, მეორე დილამდე ეზიდებოდნენ წყალს. დიდი და პატარა ცეცხლს აქრობდა, მაგრამ შენობის გადარჩენა მაინც ვერ მოხერხდა.

20. სპარტელთა მიერ დაპყრობილი ჰილოტები ისტორიაში ყველაზე უუფლებო ხალხი იყო. ისინი სპარტელებისათვის მიწას ამუშავებდნენ და მძიმე ბეგარასაც იხდიდნენ. სპარტელები მათ არაადამიანური სიმკაცრით ექცეოდნენ. დროდადრო არქონტები (სპარტელი უხუცესები) ე.წ. „კრიპტიებს“ აწყობდნენ — ახალგაზრდა მეომრებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გზავნიდნენ, თან ატანდნენ მხოლოდ ხანჯლებსა და აუცილებელ საგზალს. ახალგაზრდა სპარტელები დღის განმავლობაში დაიქსაქსებოდნენ, სხვადასხვა ადგილას ჩასაფრებულნი, სულგანაბულნი ისხდნენ და როგორც კი დაღამდებოდა, შარაგზაზე გამოდიოდნენ, ხოცავდნენ ყველა ჰილოტს, ვინც შეხვდებოდათ. ხშირად, ყანებსაც შეესეოდნენ და იქ ყველაზე მამაც, ღონიერ ჰილოტებსაც ჟლეტდნენ. სპარტელები რომ ცივსისხლიანი, პროფესიონალი მკვლელები იყვნენ, ამას „პელოპონესის ომის ისტორიაში“ თუკიდიდეც ადასტურებს: „სპარტელებმა შეარჩიეს მამაცობით სახელმოხვეჭილი ჰილოტები, ყვავილების გვირგვინებით შეამკეს ისინი, ვითომც გასანთავისუფლებლად და გაუშვეს. მცირე ხნის შემდეგ ყველა ჰილოტი, ორი ათასზე მეტი კაცი, სადღაც უკვალოდ გაქრა. არც მაშინ და არც მერმე კაცს არ შეეძლო ეთქვა, როგორ დაიღუპნენ ისინი“.

რა იწვევს ინსულტსა და დამბლას

ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე მოძრაობს — დადის, დარბის, ცურავს, ცეკვავს, დგება, ჯდება, უკრავს ტაშს, წერს და ა.შ. თავის ტვინსა და კუნთებს შორის არსებული კავშირების (თავის ტვინის, ზურგის ტვინის, ნერვების ან კუნთების) დარღვევის შემთხვევაში, ვითარდება დამბლა და შედეგად, ადამიანი მოძრაობის უნარს კარგავს. დამბლა მეტწილად, ისეთი სერიოზული მიზეზების გამო ვითარდება, როგორიცაა: ინსულტი, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის გარდამავალი მოშლა, თავისა და ზურგის ტვინის ტრავმა, სიმსივნე, გაფანტული სკლეროზი, ნერვული სისტემის ინფექციური დაავადება, ნეიროპათია, მიოპათია და მრავალი სხვა.

დღესდღეობით, დამბლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზი ინსულტია. იგი ორი ტიპისაა — იშემიური და ჰემორაგიული. იშემიური ინსულტის დროს ტვინის რომელიღაც უბანი სისხლით აღარ მარაგდება, ამის მიზეზი კი მკვებავი სისხლძარღვის მნიშვნელოვანი შევიწროება ან დახშობაა; ჰემორაგიული ინსულტი ვითარდება მაშინ, როცა არტერიული წნევა ძალიან მაღალია — ამ დროს სისხლძარღვის კედელი სკდება, ეს კი ტვინის ქსოვილში სისხლის ჩაქცევას იწვევს. ორივე შემთხვევაში, ტვინის დაზიანებულ უბანში ნერვული უჯრედები კვდება. ავადმყოფის მდგომარეობა და პროგნოზი დამოკიდებულია იმაზე, თუ ტვინის რომელი უბანია დაზიანებული.

მოგეხსენებათ, თავის ტვინის წინა უბნებში მოძრაობათა მართვის ცენტრები მდებარეობს: მარჯვენა ჰემოსფეროში — მარცხენა ხელისა და ფეხის, ხოლო მარცხენაში — მარჯვენა ხელისა და ფეხის. ტვინის ღეროს დაზიანების შემთხვევაში ვითარდება სახის კუნთების სისუსტე ერთ მხარეს და კიდურების სისუსტე — მეორე მხარეს. როდესაც ტვინის ამ უბნებში სისხლის მიმოქცევის მოშლა ხდება, ვითარდება დამბლა ანუ აქტიურ მოძრაობათა შეზღუდვა. გარდა მოძრაობის მოშლისა, ხშირად, განვითარებულ ინსულტს თან ახლავს მგრძნობელობის მოშლა, მეტყველებისა და ყლაპვის გაძნელება, მხედველობისა და მეხსიერების დაქვეითება, თავბრუსხვევა და სხვა სიმპტომები.

დამბლის ხანგრძლივობა

დაავადების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ტვინის დაზიანებული უბნის ზომასა და მდებარეობაზე. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად სწრაფად იქნა მიღებული სამკურნალო ღონისძიება, აღდგა თუ არა სისხლის მიმოქცევა ტვინის დაზიანებულ უბანში. როდესაც დაზიანებული უბანი დიდი ზომისაა, მის ბირთვს მკვდარი ნერვული უჯრედები შეადგენს, ხოლო მის ირგვლივ მდებარე ნერვული უჯრედები დათრგუნვილ მდგომარეობაშია.

მკურნალობა და რეაბილიტაცია

ავადმყოფებს ტვინში სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებისკენ მიმართული მკურნალობა უტარდებათ.

გავრცელებულია მცდარი შეხედულება, რომ ინსულტის პირველ საათებში არტერიული წნევის დაკლება აუცილებელია. გაითვალისწინეთ, ინსულტის დროს დაბალი არტერიული წნევა მაღალზე არანაკლებ სახიფათოა. დაავადების განვითარების პირველ საათებში არტერიული წნევის ზომიერი მატება არის კომპენსატორული რეაქცია, რომელიც თავის ტვინის სისხლით მომარაგების უზრუნველყოფისკენაა მიმართული. როგორც წესი, პირველი დღის განმავლობაში არტერიული წნევა სპონტანურად იკლებს, მაგრამ თუ ის ძალიან მაღალია (აღემატება 200-220/100-120 მმ.ვწყ.სვ) ან გულის, ფილტვის, თირკმლის პათოლოგიის გამო მისი დაწევა აუცილებელია, მაშინ ექიმები ცდილობენ, წნევის მაჩვენებლები თანდათანობით შეამცირონ. იშემიური ინსულტის პირველ საათებში, მაღალი არტერიული წნევის მატარებელ ავადმყოფებში წნევის სასურველი მაჩვენებლები შეადგენს 180/100 მმ.ვწყ.სვ.-ს, ხოლო ნორმალური წნევის მქონეთა შორის — 160/90 მმ.ვწყ.სვ.-ს.

გამოჯანმრთელების შემდეგ, ინსულტგადატანილი ადამიანი თავიდან იწყებს სიარულის, ჩაცმის, ჭამის, თვითმომსახურების შესწავლას და ამიტომაც, მას ახლობლების მხარდაჭერა სჭირდება.

გაითვალისწინეთ: სარეაბილიტაციო ღონისძიებების ადრეულ ეტაპზე დაწყება ძალზე მნიშვნელოვანია!

- **მდებარეობა** — უპირველეს ყოვლისა, ავადმყოფი საწოლში სწორად უნდა იწვეს. პირველ დღეს, მას თავი დაახლოებით, 30 გრადუსით უნდა ჰქონდეს წამოწეული, ხოლო კიდურები არ უნდა მოხაროს.
- **მასაჟი** — დაავადების განვითარების პირველივე კვირიდან რეკომენდებულია დადამბლავებული

კიდურების მსუბუქი ზედაპირული მასაჟი. დღესდღეობით, ამისათვის იყენებენ სპეციალურ აპარატს, რომლის მეშვეობითაც კუნთების ელექტროსტიმულაცია ხდება.

• **სამკურნალო ვარჯიშები** — მოძრაობის ფუნქციის აღსადგენი ერთ-ერთი მთავარი და მეტად ეფექტური მეთოდია სამკურნალო ვარჯიში. ინსულტგადატანილ ავადმყოფებში ფიზიოთერაპია და სამკურნალო ვარჯიში მოძრაობის დაკარგული უნარის აღსადგენად და ისეთი ხშირი გართულების თავიდან ასაცილებლად ტარდება, როგორიცაა — სპასტიურობა (კუნთთა ტონუსის ჭარბი და არათანაბარი მატება).

ჭარბი სპასტიურობის ფონზე შესაძლოა, კუნთების მყარი დაჭიმულობა განვითარდეს, რაც მათ დამოკლებას, შეჭმუხნას, დეფორმაციას, მოძრაობის შეზღუდვას, ზოგჯერ კი ტკივილსაც იწვევს და ყალიბდება ე.წ. კუნთოვანი კონტრაქტურები. სპასტიურობის მკურნალობის ძირითადი მიზანია დადამბლავებული კიდურების ფუნქციის გაუმჯობესება, ტკივილისა და კოსმეტიკური დეფექტის შემცირება. მკურნალობა ხდება ვარჯიშებით, ანტისპასტიური მედიკამენტებით, უკიდურეს შემთხვევაში კი ქირურგიული ჩარევით. დაკარგული ფუნქციების აღდგენის პროცესი ერთი წლის განმავლობაში გრძელდება, მაგრამ სამკურნალო ვარჯიში, მასაჟი, მედიკამენტოზური მკურნალობა, ფიზოთერაპია ავადმყოფმა შემდეგშიც არ უნდა შეწყვიტოს. აუცილებელია, რომ აღდგენით და ადაპტაციურ ღონისძიებებში პაციენტის ოჯახის წევრებიც აქტიურად ჩაებნენ.

P.S. **ცნობილმა მეცნიერმა, ლუი პასტერმა ინსულტი 42 წლის ასაკში გადაიტანა. ავადმყოფობის შემდეგ, მას მარჯვენა ხელი უმოქმედო ჰქონდა, მაგრამ სამეცნიერო გამოკვლევებს მაინც აგრძელებდა. ინსულტის გადატანის შემდეგ პასტერმა 30 წელიწადს იცოცხლა და ამ პერიოდში უდიდესი აღმოჩენები გააკეთა.**

უინსტონ ჩერჩილს ინსულტი ხანდაზმულ ასაკში განუვითარდა. დაავადების დამარცხების შემდეგ ის პოლიტიკაში დაბრუნდა, კვლავ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გახდა და ეს თანამდებობა 80 წლის ასაკში, მეორედ განვითარებული ინსულტის გამო დატოვა. თუმცა, ჩერჩილმა ამის შემდეგ კიდევ 10 წელიწადს იცოცხლა და თავისი საყოველთაოდ ცნობილი მემუარები დაწერა. ■

ფერარა-ფლორენციის უნია

და კონსტანტინოპოლის დაცემით შენარჩუნებული მართლმადიდებლური სარწმუნოება

XV საუკუნის პირველ ნახევარში, ბიზანტიის იმპერატორის, იოანე პალეოლოგის დროს, ფერარასა და ფლორენციაში, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების უნიის შექმნის მიზნით კრება გაიმართა: დასავლეთის, ლათინურ-პაპისტური ეკლესიის სურვილი და მიზანი იყო, ეს გაერთიანება რომის პაპის ხელისუფლების ქვეშ მოქცეულიყო... XV საუკუნეში მოხდა კონსტანტინოპოლის დაცემაც...

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი (*აბესაძე*):

— XV საუკუნის პირველ ნახევარში კონსტანტინოპოლში გადაწყდა, რომ უნდა შექმნილიყო უნია — დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების გაერთიანება, მაგრამ ეს გაერთიანება უნდა მომხდარიყო არა ჭეშმარიტების საფუძველზე, არამედ რომის პაპის შემოთავაზებული პირობებით. ლათინური სიტყვა „უნია“ „ერთობას“, „კავშირს“ ნიშნავს. აღნიშნული უნია ითვალისწინებდა მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ ნაწილსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის ხელშეკრულებას, რომელიც პაპის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანების ჩამოყალიბებას დაუდებდა სათავეს. უნიის შემთხვევაში აუცილებელი მოთხოვნა იყო რომის პაპის ხელისუფლების უპირობო აღიარება. დასავლეთის ეკლესიისთვის უნია მართლმადიდებელთა მიერ კათოლიციზმის მიღების პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენდა. კათოლიკურ ეკლესიასთან მართლმადიდებელთა შეერთებას ხელს უწყობდა ბიზანტიის იმპერიის საერო ხელისუფლება (ამისთვის ზეწოლასაც კი მიმართავდა), იმ მიზნით, რომ პაპის მხარდაჭერა მოეპოვებინა და თურქებთან ბრძოლისას დასავლეთის ქვეყნების დახმარება მიეღო.

იმპერატორ იოანე VI პალეოლოგის დროს — 1438 წელს ქალაქ ფერარაში, აღნიშნულ გაერთიანებასთან დაკავშირებით მოწვეულ კრებაზე 700-მა სასულიერო და საერო პირმა მოიყარა თავი. რომის ეკლესია თავიდანვე ზეწოლის გზას დაადგა — ცდილობდა, ზეწოლა მოეხდინა მართლმადიდებლებზე, რათა კრება მისთვის სასურველი შედეგით დამთავრებულიყო. კრების მსვლელობის დროს გარდაიცვალა კონსტანტინოპოლის პატრიარქი. ამის შემდგომ, კრებამ იტალიის სიღრმეში — ფლორენციაში გააგრძელა მუშაობა, რათა ზეწოლა უფრო მეტად გაძლიერებულიყო. 1439 წლის ზაფხულში ფაქტობრივად, უნიის შესახებ შეთანხმება მოხდა. ხელშეკრულებას მხოლოდ რამდენიმე მართლმადიდებელმა მღვდელმთავარმა არ მოაწერა ხელი; უმრავლესობა ძალდატანების შედეგად, დათანხმდა ისეთი გაერთიანების შექმნას, სადაც სარწმუნოების სიმბოლოში — „მრწამსში“ — შეტანილი იყო „ფილიოკე“ — „და ძისაგან“ — დამატება, რომელიც კათოლიკურმა ეკლესიამ დააკანონა. ხელმოწერაზე სასტიკი უარი განაცხადა მარკოზ ეფესელმა — ეფესოს ეპისკოპოსმა, რომელიც უნიის წინააღმდეგ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში.

გაერთიანების მიზნით მოწვეულ კრებას თავიდან საქართველოს ეკლესიის სამი წარმომადგენელიც ესწრებოდა: მანგლისის მიტროპოლიტი გრიგოლი, თბილისის მიტროპოლიტი და ერთი ერისკაცი. ქართველები კათოლიკეებთან პოლემიკაში ჩაებნენ, მაგრამ როდესაც მიხვდნენ, რომ ლათინთა მთავარი მიზანი არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ კათოლიციზმზე მართლმადიდებელთა გადაყვანა იყო, მათ ფერარაშივე მიატოვეს კრება და საკუთარი ხარჯით წამოვიდნენ სამშობლოში, რადგან არ ისურვეს პაპისტების ხარჯით მგზავრობა...

კრების დასრულების შემდეგ, როდესაც უნიის თაობაზე ხელმოწერა მოხდა, რომის პაპმა იკითხა — ყველამ მოაწერა თუ არა ხელი უნიასო? როდესაც შეიტყო, რომ მხოლოდ რამდენიმე მღვდელმთავარმა, მათ შორის, წმინდა მარკოზ ეფესელმა არ მოაწერა ხელი, განაცხადა, — თუკი მარკოზ ეფესელმა განაცხადა უარი ხელმოწერაზე, ჩავთვალოთ, უნია — შეთანხმება, გაერთიანება არ მომხდარაო.

მიუხედავად იმისა, რომ უნია თითქოს ოფიციალურად შედგა, ბერძენ მოსახლეობას ის არასოდეს მიუღია. ყველაზე მტკიცე უნიატები კიევის

— მიტროპოლიტი ისიდორე და ნიკეის მიტროპოლიტი ბესარიონი იყვნენ. მიტროპოლიტი ისიდორე განკვეთილი იქნა მსახურებიდან, რუსმა მთავრებმა ის ციხეშიც კი

მარკოზ ეფესელი

გამომამწყვდიეს. შემდგომ მან საპყრობილიდან გაქცევა მოახერხა, რომში ჩავიდა და პაპისგან კარდინალობაც კი მიიღო... მიტროპოლიტი ბესარიონი მრევლმა არ მიიღო. ისიც რომში გაიქცა და პაპმა მასაც კარდინალობა უბოძა.

გაფორმებიდან 4 წლის შემდეგ — 1443 წელს კონსტანტინოპოლში ოფიციალურად დაგმეს უნია, რადგან თავად საერო ხელისუფლებისთვისაც კი, მიწიერი თვალსაზრისით, უნიას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. სამხედრო ძალით დახმარების დაპირება, რაც რომის პაპს ბიზანტიის იმპერიისთვის უნდა გაეწია, მხოლოდ დაპირებად დარჩა, ამიტომაც საბოლოოდ, ბიზანტიის იმპერატორმაც დაგმო უნია და მართლმადიდებლობაში გარდაიცვალა. ეს მოხდა 1448 წელს. მის შემდეგ ტახტზე კონსტანტინე XI — ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი ავიდა. ის ძალზე მებრძოლი სულის მმართველი გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ მწირი განათლება ჰქონდა მიღებული და პოლიტიკურ საკითხებშიც ნაკლებად ერკვეოდა. კონსტანტინემ გადაწყვიტა, ბიზანტიის იმპერია აეღორძინებინა და კონსტანტინოპოლი დაეცვა, მაგრამ როდესაც მებრძოლი ძალა აღწერა, აღმოჩნდა, რომ მთელ იმპერიაში კონსტანტინოპოლის დასაცავად ხელში იარაღის ამღები სულ 5 ათასამდე კაცი იყო, მაშინ, როდესაც თურქებს 100-დან 200 ათასამდე კაცისგან შემდგარი არმიის შეკრება შეეძლოთ.

თურქებმა ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ მართლაც, დიდძალი არმია შეკრიბეს. 1451 წელს მოხუცი მურად II გარდაიცვალა და ტახტზე მისი ძე მაჰმუდ II ავიდა. მან ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლას მიჰყო ხელი. იმპერია ამ დროს, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა და ლაპარაკი მხოლოდ კონსტანტინოპოლზე შეიძლებოდა. მაჰმუდ II-ემ 200 ათასამდე კაცი შეკრიბა, თურქების არმია კარგად იყო შეიარაღებული. კონსტანტინოპოლი დაცემისთვის იყო განწირული. ამ პერიოდში, ბიზანტიის მიერ დაგმობილი უნიის აღორძინების მცდელობაც იყო: 1452 წელს კონსტანტინოპოლში ყოფილი კიეველი მიტროპოლიტი ისიდორე დაბრუნდა და საზეიმოდ გამოაცხადეს უნიის აღდგენა; „აია სოფიის“ ტაძარში მესაც კი ჩაატარეს. სულ მალე — 1453 წლის გაზაფხულზე თურქებმა ალყა შემოარტყეს კონსტანტინოპოლს და მცირე ხნის შემდეგ ქალაქი დაეცა. ბერძნები ბოლომდე მედგრად იბრძოდნენ, ერთი პერიოდი წარმატებასაც მიაღწიეს. რომ არა პაპის მიერ მიშველებული რაზმების ღალატი, შესაძლოა, კონსტანტინოპოლი არც დაცემულიყო. იმპერატორი კონსტანტინე ბრძოლისას დაიღუპა. გადმოცემის თანახმად, როდესაც მაჰმუდ II-მ გარდაცვლილი იმპერატორის ნახვა ისურვა, მისი ამოცნობა ერთ-ერთი საიმპერატორო ატრიბუტის — წითელი წაღების წყალობით გახდა შესაძლებელი...

რომის ეკლესია ელოდა, რომ ქალაქის დაცემის შემდეგ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო განადგურდებოდა, მაგრამ მაჰმუდ II-მ პირიქით, ხელი შეუწყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს განმტკიცებასა და გაძლიერებას — პატრიარქის ტახტზე მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი გენადი სხოლარიუსი აიყვანა. კონსტანტინოპოლის დაცემამ და თურქთა მიერ მთელი საბერძნეთის, შემდგომ — ბულგარეთის, რუმინეთისა და ბალკანეთის დაპყრობამ — მართლმადიდებლობის გადარჩენას შეუწყო ხელი — რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს ეს ფაქტი — რადგან თურქეთის იმპერიას ადგილობრივი მოსახლეობისგან საფრთხე არ ემუქრებოდა; საფრთხე უფრო დასავლეთიდან — მასთან დაპირისპირებული სახელმწიფოებისგან იყო მოსალოდნელი. ამგვარად, რომ არ მომხდარიყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის გაერთიანება სარწმუნოებრივ ნიადაგზე, ოსმალეთის იმპერიამ მხარი დაუჭირა მართლმადიდებლობას და მის განმტკიცებასა და გაძლიერებას შეუწყო ხელი. ეს გახლდათ თურქეთის იმპერიის მიწიერი აზრი; საღმრთო აზრი სულ სხვა იყო — უფალმა სწორედ ამ გზით დაიცვა მართლმადიდებლობა ამ ტერიტორიებზე.

1484 წელს კონსტანტინოპოლში ჩატარდა კრება, რომელზეც უკვე საბოლოოდ იქნა დაგმობილი უნია.

საქართველოს ეკლესია არასოდეს შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში, ტერიტორიულადაც არ არსებობდა ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში, არც საერო ხელისუფლების ზეწოლას განიცდიდა, ამიტომ სასტიკად შეეწინააღმდეგა უნიას. მაგრამ ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის ეკლესიებიც, რომლებიც თავის დროზე, ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე არსებობდნენ, უნიის წინააღმდეგნი იყვნენ, რადგან იმ ტერიტორიებს, სადაც ეს ეკლესიები არსებობდა, უსჯულო ხელისუფლება მართავდა და ეკლესია თავისთავად თავისუფალი იყო ისეთი ადამიანებისგან, რომლებიც იქ მიწიერი პატივისა და დიდების მოსაპოვებლად შედიოდნენ: ამ ეკლესიების მრევლს მტკიცე მართლმადიდებლები შეადგენდნენ. იგივე დაემართა თურქთა ბატონობის შედეგად კონსტანტინოპოლის ეკლესიასაც: ვისაც არ ჰქონდა მტკიცე სარწმუნოება, მუსლიმანობა მიიღო, დანარჩენები მტკიცე მართლმადიდებლებად დარჩნენ. თურქეთის იმპერიის ხელისუფლება არ მიმართავდა იძულების — ძალდატანებისა და ტანჯვა-წამების გზით მუსლიმანობის გავრცელებას. ქრისტიანებს არ აწამებდნენ იმ მიზნით, რომ სარწმუნოების შეცვლა ეიძულებინათ, მაგრამ მიმართავდნენ, მაგალითად, ამგვარ ბერკეტს — ვინც მუსლიმანობას მიიღებდა, მას გადასახადებისგან ათავისუფლებდნენ.

ვიცით, რომ საბერძნეთმა მტკიცედ შეინარჩუნა მართლმადიდებლობა. არც სერბებმა, რუმინელებმა და ბულგარელებმა აიღეს ხელი სარწმუნოებაზე. ბოსნიელებისა და ალბანელების უმეტესობამ მუსლიმანობა მიიღო. ■

ახალი ნომერი
ოჯახის
მუნიციპალი
ცვნვმ ეკიმოვნ მიხვერ...

ადამიანი

„ჩვენს „მზეს“ სიკვდილს არ დავანებებთ!“

19 წლის მაიკო გველესიანს დაახლოებით 1 წლის წინ დაავადება — ოსტეოსარკომა (ძვლის კიბო) გამოუვლინდა. გოგონასთვისაც და მისი ახლობლებისთვისაც ეს ფაქტი შოკის მომგვრელი მოულოდნელობა იყო! როცა მკურნალობისთვის საჭირო თანხა არ ჰქონდა, მაიკოს ფარ-ხმალი მაშინაც არ დაუყრია — სასოწარკვეთის განცდა მისთვის უცხოა. ღვთისა და კეთილი ადამიანების, ახლობლების დახმარებით, მაიკომ 2 ოპერაცია გაიკეთა, ქიმიოთერაპიის კურსების გარკვეული რაოდენობა გაიარა, ახლა კი კიდევ ერთი ოპერაციისთვის ემზადება და იმედია, აგვისტოში საბოლოოდ გამოჯანმრთელდება. გოგონას დასახმარებლად, მისი მეგობრები საქველმოქმედო კონცერტებს (მაიკო ჯგუფის — Sunny Universe — წევრია, მაგრამ ამჟამად სცენაზე გასვლას ვერ ახერხებს) ხშირად მართავენ და როგორც ამბობენ, მუსიკოსებიც თვითონ არიან, მენეჯერებიც, ბილეთებსაც თავად ყიდიან (რომლის ნაწილს თვითონვე ყიდულობენ) და ზოგჯერ, ტაშსაც თვითონ უკრავენ... მოკლედ, მეგობრები თავიანთი ლამაზი, ხალისიანი, თბილი „მზის“ გადასარჩენად ყველაფერს აკეთებენ.

ეთო ყორღანაშვილი

მაიკო გველესიანი:

— ყველაფერი დაახლოებით, ერთი წლის წინ დაიწყო: მხარზე ხელს რომ ვიდებდი, ოდნავ მტკიოდა, დროთა განმავლობაში კი მოძრაობის უნარი შემეზღუდა — ხელს მაღლა ვეღარ ვწევდი. მივხვდი, რაღაცაში იყო საქმე. ექიმთან მივედი და რენტგენი გადავიღე. რენგტენზე ასე გამოჩნდა: თითქოს ხელი მოტეხილი და დიდი ხნის წინ შეხორცებული იყო. მეგობრებიც თან მახლდნენ. ყველას გაგვიკვირდა: ოდესმე ხელი რომ მომტეხოდა, აუცილებლად მემახსოვრებოდა — ბოლოს და ბოლოს, ტკივილი შემაწუხებდა! მიუხედავად ამისა, ექიმს დავემორჩილე, რომელმაც ფონოფორეზი ანუ ულტრაიისფერი სხივები დამინიშნა. ვფიქრობ, ამან დაავადების განვითარება კიდევ უფრო დააჩქარა და ბომბივით „აფეთქდა“: მტკივანი ადგილი გამაგრდა, გაუხეშდა... იმ პერიოდში, კურსელებთან ერთად, უნივერსიტეტიდან სწავლების კურსის გასავლელად, თურქეთში გამგზავრებას ვაპირებდი. თითქოს, გულმა მიგრძნო და გამგზავრებამდე ექიმთან კიდევ ერთხელ მივედი, ამჯერად — მარტო. რენტგენოლოგმა დამსვა, რაღაცები ამიხსნა, მაგრამ თითქმის ვერაფერი გავიგე — მხოლოდ იმას მივხვდი, რომ ჯანმრთელობა უყურადღებოდ არ უნდა დამეტოვებინა. შემდეგ ერთმა ექიმმა მეორესთან გამგზავნა, მეორემ — მესამესთან...

— დიაგნოზს ვერ გისვამდნენ?

— დაავადების შესახებ იცოდნენ, მაგრამ უნდოდათ, რომ კარგად გადაემოწმებინათ: ახალგაზრდა გოგონას ასეთი რამ რატომ უნდა დამმართოდა?! ბოლოს „ღუდუშაურში“ დედაჩემს უთხრეს: ოპერაციისთვის სასწრაფოდ საზღვარგარეთ წაიყვანეთ, სადაც მხარს მოჰკვეთენ და მის ნაცვლად, იმპლანტანტს ჩაუდგამენ, ხელმა ჩვეულებრივად რომ იმოძრაოსო. გერმანიაში გავემგზავრე, იქ ბიოფსია გავიკეთე და დამტკიცდა, რომ ძვლის კიბო მჭირდა. ქიმიოთერაპიის 18 კურსი დამინიშნეს. 6 პირველი ოპერაციის წინ, საქართველოში ჩავიტარე, რადგან გერმანიაში ეს შეუძლებელი იყო — ძალიან ძვირია! ქიმიოთერაპიის შემდეგ, საფრანგეთში გავემგზავრე და ოპერაცია გავიკეთე. ჟერარ დელეპინი მთელ მსოფლიოში ცნობილია: იმპლანტანტებს მისგან ყიდულობენ და სხვადასხვა ქვეყანაში ოპერაციებს აკეთებენ. სწორედ საფრანგეთში შევიტყვე, რომ ფილტვებში მეტასტაზები ანუ მცირე ზომის ძვლოვანი წამონაზარდები მქონდა, რომელსაც ქიმიოთერაპია ვერ ანადგურებს. გერმანიაში გამგზავნეს. მეგონა, ოპერაციას ორივე ფილტვზე ერთდროულად გამიკეთებდნენ (ამის შესახებ „ვის უნდა 20 ათასშიც“ აღვნიშნე), მა-

გრამ მხოლოდ მარჯვენა ფილტვიდან დაახლოებით, 50-60 მეტასტაზი ამომიღეს. ეს ძალიან ბევრია. მეორე ფილტვზეც იგივე რომ გაეკეთებინათ, ვერ გავუძლებდი. გერმანიაში თვე-ნახევარი დავყავი (ოპერაციის შემდეგ ფრენა არ შეიძლებოდა), სადაც ქიმიოთერაპიის 1 კურსი ფაქტობრივად „მაჩუქეს“... ახლა მეორე ფილტვის ოპერაციისთვის ვემზადები. ალბათ, აგვისტოში მკურნალობას მოვრჩები და ერთი წელიც შესრულდება — მკურნალობა შარშან, აგვისტოში დავიწყე.

— კიდევ ერთი ოპერაციის და ქიმიოთერაპიის დარჩენილი კურსების გავლის შემდეგ, საბოლოოდ გამოჯანმრთელდები?

— კი. უბრალოდ, წელიწადში რამდენჯერმე ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა ექიმებთან უნდა გადავამოწმო, მხარს გავუფრთხილდე...

— ახლა თავს როგორ გრძნობ?

— კარგად. ჩემთვის მთავარია, რაღაც არ მტკიოდეს. ქიმიოთერაპიას თან გვერდითი მოვლენები ახლავს ხოლმე და ამ დროს არავის დანახვა არ მინდა. სახლში რომ ვბრუნდები, ცხოვრებას ჩვეულებრივად ვაგრძელებ. ჩემი ავადმყოფობის პერიოდში, დეპრესია არასოდეს მქონია.

— მაიკო, გადაცემაში — „ვის უნდა 20 ათასი“ როგორ მოხვდი?

— მე და ჩემმა ოჯახმა, ახლობლებმა ყველაფერი გავაკეთეთ და პირველი ოპერაციისთვის 12 ათასი ევრო გადავრიცხეთ, შემდეგ ქიმიოთერაპია 20 ათასი ლარი დამიჯდა... მოკლედ, თანხა აღარ გვქონდა. მშობლები, მეგობრები მეუბნებოდნენ, — მოდი, ბედი „ვის უნდა 20 ათასში“ ვცადოთო. სიმართლე რომ გითხრა, გადაცემაში მისვლა არ მინდოდა.

— რატომ?

— სიამაყეში არ ჩამომართვა, მაგრამ არ მსურდა, ვინმეს ეთქვა, — უი, საბრალო გოგო... მოდი, ლარიანს გადავურიცხავო. შემდეგ გავაანალიზე, რომ გადარჩენის სხვა საშუალება არ მქონდა. გადაცემისთვის სიუჟეტში რომ მიღებდნენ, არ მინდოდა, კარგ ხასიათზე ვყოფილიყავი: წარმოიდგინე, ადამიანი ცუდადაა და იცინის — ეს ხომ ლოგიკური არაა! რა ვქნა? სხვაგვარად არ შემიძლია, ტირილს ვერ დავიწყებდი... თუმცა მეგობრებმა მითხრეს, — ისე ლაპარაკობდი, ცრემლი მოგვადგაო. ნიკა გვარამია გადაცემის პროდიუსერებმა შემირჩიეს. წავედით, ვითამაშეთ და 6 ათასი ლარი მოვიგეთ. გადაცემას რომ ვუყურე, შოკში ვიყავი — მაყურებლისგან 61 ათასი ლარი „შემოვიდა“!

— 61 ათასი ლარი შენი მკურნალობისთვის საკმარისია?

— საერთოდ, შემოსულ თანხას გარკვეული პროცენტი აკლდება ხოლმე, მაგრამ მთლიანად რომ გადმოეცათ, საკმარისი მაინც არ იქნებოდა, თუმცა ეს თანხა ძალიან დამეხმარა, რისთვისაც ყველას დიდ მადლობას ვუხდი! ჩემს დასახმარებლად მეგობრებიც ყველაფერს აკეთებენ: პოეზიის საღამოებს მართავენ, ფასიან კონცერტებს ატარებენ და ხალხს „აძალებენ“, — ბილეთი იყიდეთო (*იცინის*)! ახლახან კიდევ ერთი საქველმოქმედო საღამო ჩაატარეს, რომელზეც ცნობილი მომღერლები — ქეთი ორჯონიკიძე, ნოდიკო ტატიშვილი, დიტო ქისიშვილი მოიწვიეს. ჩემი მეგობრებიც ძალიან კარგად უკრავენ, მღერიან. საკმაოდ სოლიდური თანხა შეაგროვეს და გადმომცეს. როგორც ვიცი, კიდევ რაღაცას აპირებენ. კიდევ რამდენ ხანს „გაქაჩავენ“, არ ვიცი, ძალიან გადაიღალნენ, მით უმეტეს — ზვიად მღებრიშვილი. ის სულ აქეთ-იქით დადის, რაღაცას აკეთებს... ბავშვები ყოველთვის გვერდში მიდგანან. როცა შენიშნავენ, რომ მოწყენილი ვარ და ვნერვიულობ, ცდილობენ, ცუდი ფიქრები გამიფანტონ...

— მაიკო, უნივერსიტეტში რომელ ფაკულტეტზე სწავლობ?

— შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ინფორმატიკის ფაკულტეტზე ვსწავლობ. წესით, ახლა მესამე კურსზე უნდა ვიყო, მაგრამ აკადემიური ავიღე. უნივერსიტეტში სწავლა რთულია, ბევრი მეცადინეობა მიწევდა, მაგრამ ის დრო ძალიან მენატრება: დილით ადრე ვდგებოდი, ლექციებზე წასასვლელად ვემზადებოდი. მეორე კურსზე რომ ვიყავი, ჩვენს ჯგუფში ზვიად მღებრიშვილი გადმოვიდა. მას მუსიკალური ჯგუფის ჩამოყალიბება ძალიან უნდოდა. შეიტყო, რომ მუსიკალური სმენა, ხმა მქონდა. იმდენი მოახერხა, რომ უნივერსიტეტს საჭირო ინსტრუმენტები აყიდვინა, სარეპეტიციო ოთახი გააკეთებინა. ლექციების შემდეგ, სარეპეტიციოში შევდიოდით, შემდეგ კი ზვიადთან ან ჩემთან, სახლში მივდიოდით და ვმეცადინეობდით. ის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება, მერე კი... არა უშავს, მესამე კურსიდან ყველაფერს ისეთივე შემართებით, ენთუზიაზმით განვაგრძობ!

— მაიკო, მუსიკალურ ჯგუფში სოლისტი იყავი?

— არა, მე და ჩემი მეგობარი — მარიამი „ბექ-ვოკალები“ ვართ, სოლისტი ბიჭია. ჯგუფს Sunny Universe ჰქვია.

— ფართო აუდიტორიის წინაშე გამოდიოდით?

— არა, კონცერტები მხოლოდ უნივერსიტეტში გვქონდა. ზაფხულში Sunny universe ურეკში, ქობულეთში გაემგზავრა და ბუნგალოებში მღეროდა. მაგ დროს მე უკვე ცუდად ვიყავი...

— თუ არ ვცდები, ერთ სიმღერას თავად ასრულებ და მგონი, კლიპიც გაქვს გადაღებული, არა?

— ჩემი საყვარელი მუსიკალური ჯგუფის სიმღერა — ode to my family — პირველია, რაც შევასრულე. მისი კლიპი ძირითადად, უნივერსიტეტში გადაღებული კადრებითაა „აწყობილი“. ნანახი ჯერ არ მაქვს, ძალიან მაინტერესებს...

— პრემიერას ხომ არ გეგმავთ?

— ჩემს გამოჯანმრთელებას ველოდებით. ისე ხდება, რომ როცა ჯგუფი კონცერტს მართავს, ან საქართველოში არ ვიმყოფები, ან ქიმიოთერაპიის კურსს მიტარებენ. სამწუხაროდ, კონცერტებზე ვერ გამოვდივარ — სცენა ძალიან მომენატრა! ჩემი მეორე სიმღერის ტექსტი მარიამმა დამიწერა, მუსიკის ავტორი კი ზვიადი გახლავთ. ცოტა არ იყოს, სენტიმენტალური სიმღერაა — გრძნობებზეა (*იღიმის*).

— მაიკო, მუსიკა შენთვის ჰობია?

— ბავშვობიდან ვმღერი, მაგრამ ვოკალის მასწავლებელთან არასოდეს მივლია. 7 წლის განმავლობაში ფორტეპიანოზე დაკვრას ვსწავლობდი, თუმცა ახლა არც ერთი ნოტი და აკორდი არ მახსოვს. სცენაზე ასვლაზე არასოდეს მიფიქრია — უბრალოდ, ასე გამოვიდა. მომღერლის კარიერაზე სერიოზულად არ ვფიქრობ, მაგრამ როცა საშუალება მექნება, ყოველთვის ვიმღერებ — ეს საქმე ძალიან მიყვარს!

— და-ძმა გყავს?

— 13 წლის ძმა მყავს, რომელიც ჩემზე მაღალია, (*იცინის*) ქერა თმა აქვს, ცოტათი მგავს. კომპიუტერის გამო სულ ვჩხუბობთ!

— სრულიად გამოჯანმრთელების შემდეგ, უპირველესად, რას გააკეთებ?

— ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვზივარ და რაღაც მთელი ძალით მიმაქროლებს. ქიმიოთერაპიის დროს სულ ვწევარ, მაგრამ ეს დასვენება ხომ არაა? პირიქით, ძალიან ვიღლები. ამიტომ ტელეფონის და ინტერნეტის გარეშე, 2-3 დღე მარტოდმარტო სადმე მთაში დავისვენებ, შემდეგ კი აქტიურ ცხოვრებას განვაგრძობ — წყნარ გარემოში დიდხანს ვერ ვძლებ... მინდა, ყველა ადამიანს მადლობა გადავუხადო, ვინც მხარში ამომიდგა და ჩემი მკურნალობისთვის გარკვეული თანხა შეაკოწიწა!

ციცო წერეთელი, *მაიკოს ბებია:*

— მაიკო ყოველთვის ჯანმრთელი ბავშვი იყო. მოულოდნელად დაავადება რომ აღმოაჩნდა, საშინელ დღეში ჩავცვივდით. იმ პერიოდში, კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდებისთვის ემზადებოდა, თავდაუზოგავად მეცადინეობდა. გამოცდები წარმატებით რომ ჩააბარა, ექიმთან მისასვლელად, მხოლოდ მაშინ მოიცალა. ამასობაში დაავადება გართულდა და ფილტვში გადავიდა. მკურნალობისთვის ფული არ გვქონდა

და ბინა „ჩავდეთ“. ნათესავები, მეგობრები, უცნობები, ნაცნობები — ყველანი დაგვეხმარნენ. მაგალითად, ჩვენი ოჯახისთვის სრულიად უცნობი ასაკოვანი ქალბატონი დაგვიკავშირდა და თავის წარმომადგენელს 1.000 დოლარი გამოატანა. ღმერთმა უშველოს... თავდაპირველად, ჩვენი სადარბაზოს გოგოებიჭებმა ფული შეაგროვეს, შემდეგ კართან ჩამწკრივდნენ და 300 ლარი გადმოგვცეს — უფროსებმა ჯერ ვერაფერი მოიფიქრეს და ჩვენ მათ ხომ არ დაველოდებოდითო?! — დაღვრემილი სახეებით გვითხრეს. ამ ამბავს რომ ვიხსენებ, ცრემლები ღვარად მდის... მაიკოს დედა მუსლიმანი იყო, მაგრამ შვილის გამო, ახლახან ქრისტიანად მოინათლა, — იქნებ მაიკოს გამოჯანმრთელებას

მადლი

ხელს ჩემი სარწმუნოება უშლისო... უდიდესი მადლობა ყველას, ვინც ჩემი შვილიშვილის ავადმყოფობა გულთან ახლოს მიიტანა, პურის ფული მოიკლო და დაგვეხმარა!

ნიკა აბესაძე, *მაიკოს მეგობარი:*

— მაიკო 2 წლის წინ, უნივერსიტეტში გავიცანი. მართალია სხვადასხვა ფაკულტეტზე ვსწავლობთ, მაგრამ მუსიკამ დაგვაახლოვა. მაიკოს ძალიან კარგი იუმორის გრძნობა აქვს, ცოტათი — მეც. ამიტომ როცა ერთმანეთს „ავყვებით“, „სახიფათოები“ ვხდებით (*იღიმის*). მისი ავადმყოფობის შესახებ რომ შევიტყვეთ, შოკში ვიყავით — ამ თემაზე საუბარიც კი გვერიდებოდა. როგორც შეგვიძლია, მხარში ვუდგავართ: ხშირად ვსტუმრობთ, ვხალისობთ, საქველმოქმედო კონცერტებს ვმართავთ... მაიკოს ქიმიოთერაპიის კურსებს ნელ-ნელა შევეგეუთ. ვცდილობთ, ჩვენი მეგობარი ისეთივე იყოს, როგორიც — ადრე. არც ჩვენ შევცვლილვართ. მისი ავადმყოფობა დროებითი პრობლემაა, რომელმაც კიდევ უფრო დაგვაახლოვა. ერთმანეთის შესახებ უფრო მეტი რამ გავიგეთ... ახლა მაიკოს ბევრი რაღაც ეპატიება — ვანებივრებთ! ის ყველაზე მაგარი ადამიანია! მეტსახელად „მზეს“ ვეძახით, რადგან ყოველთვის მზესავით გვათბობდა და გვათბობს. ჩვენს მუსიკალურ ჯგუფსაც სწორედ Sunny universe ჰქვია... ჩვენს „მზეს“ სიკვდილს არ დავანებებთ!

ნათია ბიწაძე, *20 წლის:*

— მაიკო ნოემბერში გავიცანი. ძალიან დავახლოვდით. ასე მგონია, დიდი ხანია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ. ერთმანეთთან ბევრი კარგი მოგონება გვაკავშირებს. როცა ქიმიოთერაპიის კურსს უტარებენ, ვცდილობთ, მასთან ვიზიტისგან თავი შევიკავოთ, დანარჩენ დროს კი თითქმის სულ ერთად ვართ. ძირითადად, მაიკოს სახლში ვიკრიბებით, სადაც ყოველთვის დიდი აურზაურია — სულ რაღაცებს „ვმაიმუნობთ“ (*იღიმის*). მისგან არასდროს მიგრძნია, რომ ცუდადაა — აქეთ გვამხნევებს ხოლმე. ძალიან კეთილი, მხიარული გოგონაა. ყველას გვეფერება, გვათბობს. მასთან ურთიერთობა სასიამოვნოა — უსაყვარლესი ადამიანია!

ზვიად მლეგრიშვილი:

— როცა მაიკოს ავადმყოფობის შესახებ შევიტყვეთ, ჯგუფის წევრები ერთად ვიყავით. გადავწყვიტეთ, რომ მეგობრის დასახმარებლად, კონცერტები ჩაგვეტარებინა. კონცერტების გამართვა უნივერსიტეტებში დავიწყეთ, მაგრამ დიდი თანხა არ შემოდიოდა — დაახლოებით, 1.000 ლარამდე გროვდებოდა. გვინდოდა, უფრო მასშტაბური კონცერტი ჩაგვეტარებინა. ამისათვის კლუბის დაქირავება იყო საჭირო. სპონსორის ძებნა დავიწყეთ... საბოლოოდ, თანხა ჩემი მოსწავლის (გიტარაზე დაკვრას ვასწავლი) მამამ, ეროვნებით თურქმა — ჰაიტი ქუჯუკმა დაფარა. მან გვითხრა: შემეძლო, მთელი თანხა მე გადმომერიცხა, მაგრამ თქვენ რომ იშრომებთ, ეს მაიკოსთვის ლოცვასავით იქნებაო. მაიკოს დიდ პატივს ვცემ. ჯგუფში დედასავით იყო. ყველას თბილად რომ ეპყრობა, „მზეს“ იმიტომ ვეძახით... კლუბში გამართული კონცერტის საშუალებით, 9.000 ლარზე მეტი შეგროვდა. სამომავლოდ, ჰაიტი ქუჯუკზე ვართ დამოკიდებული: შეიძლება, საქველმოქმედო კონცერტი კუს ტბაზე გავმართოთ.

ქართული სული აშდოდის თეატრის სცენაზე და „ჩატეხილი ხიდი“

მომღერალი და მსახიობი მაია ვერძეული უკვე ორი ათეული წელია, ისრაელში ცხოვრობს და მოღვაწეობს. თბილისში დაბადებულ-გაზრდილი ქალბატონი, როგორც არაერთი ადამიანი, დღეს ემიგრანტი გახლავთ და ჩვენი ჟურნალის სტუმარიც სწორედ ამ საბაბით გახდა.

ანი აგულავა

ოდესღაც „მზიურშიც“ მღეროდა...

მაია ვერძეული 1970 წლის 10 დეკემბერს თბილისში დაიბადა. ერთ-ერთ ძველ უბანში — ავლაბარში იზრდებოდა. ბავშვობიდან მუსიკა უყვარდა და დედაქალაქის 84-ე საშუალო სკოლის პარალელურად, ასევე წარჩინებით სწავლობდა მუსიკალურ შვიდწლედში. ხუთი წლის ასაკიდან გამოდიოდა პიონერთა სასახლის ვოკალურ ჯგუფში, რომელსაც შურა და ნუცა ჯანელიძეები ხელმძღვანელობდნენ, სამი წლის განმავლობაში კი ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „მზიურში“ მღეროდა.

10 წლისა რომ გახდა, გოგონათა ანსამბლ „ნანაში“ აღმოჩნდა, რომლის ხელმძღვანელი აწ განსვენებული დავით ტურიაშვილი იყო. „პიონერთა სასახლეში ყოფნისას დაახლოებული ვიყავი ისეთ ცნობილ ადამიანებთან, როგორებიც იყვნენ კომპოზიტორი — სანდრო მირიანაშვილი, რომელსაც საკუთარი შვილიშვილივით ვუყვარდი; შოთა მილორავა, რომლის მიერ დაწერილ რამდენიმე სიმღერას ვასრულებდი; აგრეთვე პოეტი იოსებ ნონეშვილი, მწერალი ნოდარ დუმბაძე, მომღერლები — თამრიკო გვერდწითელი, ინგა ფერაძე, ჰამლეტ გონაშვილი, ლელა წურწუმია, მანანა მაისურაძე და სხვები“, — მოგვითხრობს ჩვენი რესპონდენტი. მუსიკით გატაცება მაიკოს ოჯახური ტრადიციებიდან მოსდევს. მისი მამა — ხანჯალა ვერძეული თავის დროზე ანსამბლ „ორიონის“ მომღერალი გახლდათ, ხოლო ძმა — კახაბერი, არაჩვეულებრივი ადამიანის, ქართული დუდუკის ვირტუოზის, მრავალი თაობის აღმზრდელის — ზაურ მერებაშვილის მოს-

წავლე იყო. კახაბერს არასდროს უღალატია ქართული დუდუკისთვის.

სკოლის და შვიდწლედის დასრულებასთან ერთად, მაიკომ პიონერთა სასახლეში მოღვაწეობაც შეწყვიტა. მალევე გათხოვდა...

დანგრეული საქართველოდან – აღთქმულ მიწაზე

„90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში არეულობა და სამოქალაქო ომი დაიწყო. გაჭირვება თავს უეცრად დაგვატყდა. ჩაბნელებული თბილისის ქუჩები, სროლის შემზარავი ხმები, ბუნებრივი აირის გარეშე გატარებული ცივი ზამთარი, დაცარიელებული მაღაზიები, საათობით პურის რიგში დგომა და... მძიმე სენით შეპყრობილი მეუღლე, რომლის ხსნა მხოლოდ საზღვარგარეთ მკურნალობაში მდგომარეობდა. მშობლები ისრაელში 1992 წელს გადაბარგდნენ, მეც დიდხანს ვეღარ გავუძელი და ორი წლის შემდეგ, მათ კვალს ჩემი ოჯახით დავადექი.“

„ჩატეხილი ხიდი“

„ისრაელის მიწაზე მყოფმა კარგად შევიგრძენი და აღვიქვი, თუ რა ყოფილა სამშობლოს „სიმპტომი“. ნოდარ დუმბაძე ხომ ამბობს „მარადისობის კანონში“: „ქვეყნის სიყვარულს საყველპუროდ და საარშიყოდ ნუ გაიხდით... სამშობლო როსკიპი ქალი არაა, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ... სამშობლო სალოცავი ტაძარია, მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ“. ორი ვაჟი მყავს — 22 წლის ლევანი და 20 წლის გარი. ორივენი ისრაელის არმიაში მსახურობენ. როცა ლევანმა პირველად უცხოეთის არმიის ფარაჯა მოირგო, მისი ბატალიონი „გოდების კედელთან“ გაამწკრივეს და ფიცი დაადებინეს... ამის შემხედვარეს ცრემლები წამსკდა... ღმერთს შევევედრე, ჩემი საქართველოც ისეთი ძლიერი, ისეთი მონოლითური იყოს, ისე სცემდეს მომხვდურ მტერს შიშს, როგორც აღთქმულ და წმინდა მიწაზე აღმოცენებული ისრაელის სახელმწიფო. სწორედ მაშინ გამახსენდა საქართველო, დაკარგული აფხაზეთი და სამაჩაბლო... ახლა ვრწმუნდები, რაოდენ დიდი ადამიანი ყოფილა ილია ჭავჭავაძე. როცა „ოთარაანთ ქვრივი“ წავიკითხე, მეგონა, რომ მხოლოდ გიორგისა და კესოს სიყვარული იყო შეუძლებელი, მათ შორის „ჩატეხილი ხიდის“ არსებობის გამო. დღეს „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა აწუხებს საქართველოს... იმ ხიდისა, რომლის ერთ მხარეს ქართველები ვდგავართ, მეორე მხარეს კი — აფხაზები და ოსები“...

მაია შვილთან ერთად

მაიკო აშდოდის მუნიციპალიტეტთან არსებული ქართულ-ებრაული თეატრის წამყვანი მსახიობი და მომღერალია

ქართული სული აშდოდის თეატრის სცენაზე

დღეს მაიკო აშდოდის მუნიციპალიტეტთან არსებული ქართულ-ებრაული თეატრის წამყვანი მსახიობი და მომღერალია. ეს ის თეატრია, რომელსაც კურირებენ ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან — საქართველოს სახალხო არტისტი და რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ცნობილი კინოოპერატორი — ლევან ნამგალაშვილი, მისი გადაღებულია ფილმები — „წიგნი ფიცისა“, „დათა თუთაშხია“, „თეთრი ბაირაღები“, „ჯარისკაცის მამა“ და მრავალი სხვა; პუბლიცისტი — აბონ ციციაშვილი... უკვე 14 წელია, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია გამოჩენილი მომღერალი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „საჩინო“ დამაარსებელი — მიხეილ თეთროკალაშვილი. ამავე თეატრში მუშაობს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ყოფილი მსახიობი და რეჟისორი, მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატი — ნანა ბერაძე, რომელმაც იერუსალიმში, პირველად ისტორიაში, ქალთა თეატრს ჩაუყარა საფუძველი. მთავარი რეჟისორია ჟურნალისტი — ზურაბ ბოთერაშვილი. მაია ვერძეული მადლიერია დავით ნემსაძისა, რომლის არაერთი სიმღერა შეასრულა. ჩვენს რესპონდენტს ოცნებაც ჰქონია: ნიკა მემანიშვილის ორკესტრთან ერთად რაიმე სიმღერა შეასრულოს.

როგორ სთხოვდა მაია უცნობს ავტობუსში შარვლის გახდას

„უკვე ორი ათეული წელია, ისრაელში ვცხოვრობ და ცხადია, კურიოზიც თავს მრავლად გადამხდენია. ერთ-ერთ მათგანს მოგიყვებით: ისრაელში არც ისე დიდი ხნის ჩასული ვიყავი... ავტობუსით ვმგზავრობდი, გვერდით უცნობი მამაკაცი მომიჯდა, რომელსაც მუქი სათვალე ეკეთა. როგორც კი შემომხედა, უეცრად ივრითულად კითხვები მომაყარა: „გამარჯობა, ქალბატონო მაია, როგორ ბრძანდებით?“ „ბინა თუ შეიძინეთ?“ „სამსახური თუ იშოვეთ?“ „ბავშვები როგორ არიან?“ ვერაფრით ვიცანი, ის კი კითხვას კითხვაზე მისვამდა. ვეღარ მოვითმინე და ასევე ივრითულად ვუთხარი: „უკაცრავად, ვერ გიცანით, კარგი იქნება, თუ მაგ სათვალეს მოიხსნი“... კაცი გაშტერდა; ცოტა ხნის შემდეგ ღიმილით მკითხა: „ქალბატონო მაია, ეს რომ გავაკეთო, მაშინ მიცნობთ?“ თხოვნა გავუმეორე და უკვე ხმამაღლა მომივიდა... ავტობუსში ხარხარი ატყდა... მერეღა მივხვდი, რომ შემეშალა — ივრითულ ენაზე „სათვალე“ არის „მიშკაფაიმ“, მე კი მისთვის მითქვამს „მიხნასაიმ“, რაც შარვალს ნიშნავს. გამოდის, რომ შარვლის გახდას ვთხოვდი. სულ ბოლოს კი გავიხსენე, რომ იმ უცნობთან ერთად, ივრითის შემსწავლელ კურსებს გავდიოდი“...

მეგობრობა და სიყვარული ანუ ბრძნობა, რომელსაც ვაღვა ენდა

„უახლოეს მეგობრად და მესაიდუმლედ შეყვარებულს მივიჩნევ“

ლიკა ქავჯარია

მეგობრებს შორის სიყვარული მოსული პონტია? — ამ კითხვაზე თინეიჯერების პასუხი არაერთგვაროვანია: ზოგი მიიჩნევს, რომ მეგობრობით დაწყებული სიყვარული მყარია, ზოგი კი ფიქრობს, რომ ეს და-ძმას შორის გაჩაღებული ურთიერთობის ტოლფასია და ა.შ.

პაატა, *18 წლის:*

— მეგობრობის თუ არ ირწმუნე, მაშინ სხვა, უფრო სუფთა და ღირებული გრძნობა, ურთიერთობა თავადვე დამისახელეთ. ქალსა და მამაკაცს შორის ძმაკაცობა არა, მაგრამ მეგობრობა მიღებული პონტია. პირადად მე, ჩემს უახლოეს მეგობრად და მესაიდუმლედ შეყვარებულს მივიჩნევ. მერწმუნეთ, ბოლომდე მხოლოდ მას ვენდობი.

— ვიღაცები ამბობენ, — მეგობარ ვაჟსა და გოგონას შორის გაბმული რომანი და-ძმას შორის დაწყებული ურთიერთობის ტოლფასიაო...

— რა სისულელეა?! ეს ქართული მენტალიტეტის ბრალია და სხვა არაფერი. აბა, დამისახელეთ სხვა ეროვნების თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც ასე სულელურად მსჯელობს. სხვათა შორის, მეგობრობით დაწყებული სიყვარული უფრო მყარია; და კიდევ, თუ ოჯახის წევრები ერთმანეთთან არ მეგობრობენ, ადრე თუ გვიან, მათი ბუდე ხუხულასავით დაინგრევა.

სალი, *17 წლის:*

— ასეთი მეგობრობის ნამდვილად მჯერა. მე და ჩემს ძმას ძალიან ბევრი საპირისპირო სქესის მეგობარი გვყავს და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ. ზოგჯერ შესაძლოა, ბიჭმა ისეთი მეგობრობა გაგიწიოს და ისე ამოგიდგეს მხარში, როგორც ამას გოგო ვერასდროს გააკეთებს და პირიქით. მერწმუნეთ, ჩემთვის არც ერთ ჩემს მეგობარს სიყვარული არ აუხსნია.

— ამას რითი ხსნი?

— იმით, რომ მეგობრების არჩევა ვიცი, ამ საქმეში ფრიადოსანი ვარ!

— შენთვის არც დაქალებს უტკენიათ გული?

— მოგეხსენებათ, გოგონებს ჭორაობა გვიყვარს და მეგობრებს მეც არაერთხელ გავუჭორივარ. მართალია, ამის გამო გული მტკენია, მაგრამ ისინი არ დამიკარგავს.

— ალბათ იმიტომ, რომ მათზე თავადაც ჭორაობ...

— კი, ზოგჯერ ასეც ხდება (*იცინის*).

— ბიჭები ამბობენ, თუ გოგო მახინჯი არაა, მასთან ვერ ვიმეგობრებთო.

— ე.ი. მე მახინჯი ვარ? როგორც ხედავ, ასე სულაც არაა. შეიძლება, ვიღაცას მოეწონო, მაგრამ ამის გამჟღავნებისგან თავი უნდა შეიკავოს.

ლატავრა, *17 წლის:*

— მეგობარმა ზედმეტი სიტყვაც რომ მითხრას, იქვე ჩავქოლავ. თუ მეგობარია, არ უნდა მიღალატოს.

— ძმაკაცმა სიყვარული რომ აგიხსნას, მისი მხრიდან ეს ღალატის ტოლფასი იქნება?

— ეს იგივე იქნება, რომ ტყვია შიგ გულში მესროლოს. არ მომწონს, როცა მეგობრები ოჯახს ქმნიან. მიმაჩნია, რომ ასეთი ადამიანები ყველას უღალატებენ, ოღონდაც, თავისი გაისწორონ.

— ბევრი მეგობარი ბიჭი გყავს?

— როგორ შეიძლება, გოგოს ბევრი მეგობარი ბიჭი ჰყავდეს? სხვათა შორის, ბევრი დაქალიც კი არ მყავს. მხოლოდ 2 ბიჭთან ვმეგობრობ და მათ იციან, რომ ტაბუ მაქვს დადებული (*იცინის*). იცი, მათთან კი არ ვმეგობრობ, არამედ ვდაქალობ.

— ეგ რას ნიშნავს?

— მათ ყველაფერს ვუყვები, ჩემი ყველაზე დიდი საიდუმლოც კი იციან და რჩევასაც ხშირად მაძლევენ. სხვათა შორის, ბიჭების მიერ მოცემული რჩევა ძალიან სასარგებლოა. სწორედ მათი წყალობით მოვხიბლე ჩემი სატრფო, რომელიც ახლა, ჩემს ძმაკაცებზე ეჭვიანობს.

— ამის საბაბი აქვს?

— არა, უბრალოდ, მას ასეთი მეგობრობის არ სჯერა და ეჩვენება, რომ ბიჭებს თავდავიწყებით ვუყვარვარ (*იცინის*).

ზურა, *19 წლის:*

— კი, მოსული პონტია, მაგრამ ყველა გოგონას ვერ ვემეგობრები.

— რატომ?

— ზოგიერთი გოგონა ისეთი მომხიბვლელია, რომ მასთან მეგობრობა არ გამოგივა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად შეგიყვარდება. თუ ვხვდები, რომ ამა თუ იმ გოგოსთან ვერ ვიმეგობრებ, მას „დაიკოთი“ არასდროს მივმართავ, ზოგი კი გეთანხმები, მეგობრობას ფარად იყენებს და მერე, მიზანს ადვილად აღწევს.

— შენ თუ გყავს ასეთი ძმაკაცები?

— სხვათა შორის, 2 წლის წინ ჩემი ძმაკაცი დაქორწინდა გოგოზე, რომელსაც მთელი „სასტავი“ დად მივიჩნევდით. ლაშაც მეგობრობდა ელენიკოსთან, მა-

გრამ მერე შეუყვარდა.

— **ამის გამო როგორი რეაქცია გქონდათ?**

— რა თქმა უნდა, ეს სასიამოვნო არ იყო, მაგრამ ლაშა კარგად მოიქცა — პირველად ბიჭებს გამოგვიტყდა. მერე, ჩვენ ვკითხეთ ელენიკოს, თუ რას ფიქრობდა მეგობარზე და მასაც შევატყვეთ, რომ რაღაც გრძნობა ჰქონდა. ჰოდა, ამის შემდეგ რა უფლება გვქონდა, მათთვის რაიმე აგვეკრძალა? — ყველანი მხარში ამოვუდექით...

— **შენს ძმაკაცს შენი და რომ შეუყვარდეს...**

— (*მაწყვეტინებს*) ძალიან ცუდი რეაქცია მექნება. ბიჭი, რომელიც ჩემს ოჯახში შემოვა და რომელზეც ვიტყვი, რომ ის ჩემი ძმაა, არ შეიძლება, ჩემი სიძე გახდეს.

ანი, *18 წლის:*

— ბიჭსა და გოგოს შორის მეგობრობის მჯერა. მყავს მეგობარი ბიჭი — დათო, რომელსაც ბოლომდე ვენდობი და სხვათა შორის, ის გოგონებზე უკეთეს მეგობრობას მიწევს.

— **რას გულისხმობ? გოგონების ღალატს გეშინია?**

— ჰო, ზოგიერთი ძალიან შურიანია. როცა „სასტავში“ ვიღაც უცხო ტიპი მოდის, თუ შეამჩნიეს, რომ მას შენ მოეწონე, მერე რაღაც, სხვანაირად გიბღვერენ. მეგობარი ბიჭი კი ამას ყურადღებას არ მიაქცევს და იმ შემთხვევაში, თუ ის ტიპი შენც „დაგეკვასა“, კი არ აიმრიზება, არამედ ყველანაირად შეეცდება, მხარში ამოგიდგეს და მასთან ურთიერთობის აწყობაში შეგიწყოს ხელი.

— **შენ თუ გქონია მსგავსი შემთხვევა?**

— როგორ არა, ბევრჯერ მქონია. ერთხელ, ამის გამო საუკეთესო დაქალიც დავკარგე. მან ვერ აიტანა, რომ მე ვიღაცას მოვეწონე და ბოლმამ დაახრჩო, ჩემი გაკრიტიკება და ლანძღვა დაიწყო.

— **იქნებ, მას ის ბიჭი შეუყვარდა და...**

— მერე, ეთქვა და იმ ტიპს საერთოდ არ დაველაპარაკებოდი. თუ ასე იყო, ჩემთვის არ უნდა გაემხილა? მით უმეტეს, იცოდა, რომ მის მიმართ არანაირი სიმპათია არ მქონდა. იმ პერიოდში მეგობარი ბიჭი რომ არ მყოლოდა გვერდით, შეიძლება, ნერვიულობისგან მოვმკვდარიყავი.

— **ჰო, მაგრამ ყველა გოგო ასეთი ხომ არ არის?**

— შეიძლება, არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში, მთელმა სადაქალომ მე გამამტყუნა.

— **რატომ?**

— ლანკასთვის ხელი არ უნდა გეკრა; თურმე, მას შეყვარებულს ართმევდი და აბა, რას იზამდაო? ლანკამ იმით ისარგებლა, რომ მე მის საწინააღმდეგოდ ხმას არ ვიღებდი და რაღაც სისულელეები ილაპარაკა...

— **შენს მეგობარ ბიჭს თქვენი შერიგება არ უცდია?**

— ჩვენი შერიგება კი არა, თვითონაც დაშორდა — მასთან ვეღარ ვიმეგობრებ. შეიძლება, ერთ დღეს მეც მიღალატოსო.

— **შენმა ყოფილმა დაქალმა ჭორებით რაიმე გავნო?**

— ვერა, რადგან ის ბიჭი არ მაინტერესებდა. რომ მყვარებოდა, საქმეს ნამდვილად გამიფუჭებდა.

— **დაქალს ამ ყველაფრის შესახებ არ დაელაპარაკე?**

— მე არა, დათო დაელაპარაკა. ლანკამ

უთხრა, — მე კი არა, მოღალატე ანია. მან იცოდა, რომ იმ ტიპისთვის არ უნდა შეეხედაო... მერწმუნეთ, მე არაფერი ვიცოდი და არც ახლა ვიცი, უყვარდა თუ უბრალოდ, მოსწონდა.

— **ახლა იმ ბიჭთან, ვის გამოც ერთმანეთს დაშორდით, რაიმე ურთიერთობა აქვს?**

— არა მგონია, რადგან ამ ამბების შემდეგ, ის ბიჭი თვალითაც არ მინახავს, ჩემს ყოფილ დაქალს კი ხშირად ვხედავ, რადგან ჩემს უბანში ცხოვრობს და ისიც კარგად ვიცი, ვისთან მეგობრობს და ახლობლობს.

— **ეი. მისი ცხოვრება გაინტერესებს...**

— რა თქმა უნდა, მიუხედავად ყველაფრისა, მე ის ძალიან მიყვარს და მაინტერესებს, როგორ ცხოვრობს, რას აკეთებს. მერწმუნე, თუ ოდესმე გაუჭირდება, მხარში ამოვუდგები.

— **შენმა მეგობარმა ბიჭმა, დათომ სიყვარული რომ აგიხსნას, როგორი რეაქცია გექნება?**

— ღმერთმა დამიფაროს. რა სისულელეა?! ეს არ მოხდება!

— **და მაინც, რომ მოხდეს?**

— მე დათოს ბოლომდე ვენდობი. ჩვენ დიდი ხანია, ვმეგობრობთ და მისთვის მსგავსი არაფერი შემიმჩნევია. თუ რაიმეს შევამჩნევ ან ვიგრძნობ, მასაც საბოლოოდ დავკარგავ.

— **რატომ? ამბობენ, რომ ასეთი სიყვარული უფრო მტკიცეა...**

— მე დათოს სხვანაირად ვერასდროს შევხედავ და იმედია, ისიც ასე ფიქრობს. ჩვენ ერთმანეთს „დაიკოთი“ და „ძმიკოთი“ მივმართავთ, და-ძმებს შორის კი, მსგავსი სიყვარული არმოსული პონტია. დათოს გარდა, კიდევ ერთი ძმაკაცი მყავს — გიგა. აი, მას ყველაფერზე ვერ ველაპარაკები, მასთან ბოლომდე გახსნილი არა ვარ. მართალია, ის დათომ გამაცნო, მაგრამ მაინც, გიგა ჩემთვის ისეთი ახლო მეგობარი ვერასდროს გახდება, როგორიც დათოა. ამიტომაც, მისგან სიყვარულის ახსნაც არ გამიკვირდება...

მარიკა, *17 წლის:*

— ასეთი ურთიერთობის არ მჯერა, რადგან ყველა ბიჭი ერთნაირია. ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თავისი როგორ „გაისწორონ“ და გოგონები ფეხზე ჰკიდიათ.

— **ეტყობა, ბიჭებზე გაბრაზებული ხარ.**

— ძალიან ბევრი მეგობარი ბიჭი მყავდა და თითოეულს ძმად მივიჩნევდი, მაგრამ უმეტესი მათგანი სიყვარულში გამომიტყდა, გული ძალიან მატკინეს. მერწმუნეთ, მე საბაბი არავისთვის მიმიცია. უბრალოდ, როცა ბიჭს გულს გადაუშლი, შენს სულში ჩაახედებ, მერე ტვინი ემღვრევა და ვეღარ აზროვნებს. ჰგონია, თუ სიყვარულს აგიხსნის, გაგაბედნიერებს.

— **შენ რომ შეგყვარებოდა მეგობარი, მას გრძნობაში არ გამოუტყდებოდი?**

— ეს არასდროს მოხდება! მაგრამ თუ მაინც, ასეთი რამ გონებაში გავივლე, სიყვარულს გულში ჩავიკლავ, ჩემი გრძნობის გამჟღავნების შემრცხვება.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ ძმაკაცის შეყვარება არ შეიძლება, მას ტაბუ აქვს დადებული!

მარიკო, *20 წლის:*

— მეგობრობა როგორ არ არსებობს, მაგრამ გაჩნია ბიჭსაც და გოგოსაც. მე მყვანან მეგობარი ბიჭები და მათ ვენდობი კიდეც, მაგრამ ისიც ვიცი, რომ შესაძლოა, ადრე თუ გვიან, რომელიმე მათგანი სიყვარულში გამომიტყდეს და ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ.

— **ანუ ასეთ ძმაკაცზე არ გაბრაზდები?**

— შეიძლება, გავბრაზდე, მაგრამ შევეცდები, მას ხელი არ ვკრა, გავუგო და თუ თანახმა იქნება, მასთან მეგობრობას გავაგრძელებ, თუ არა და, ის თავისი გზით წავა, მე — ჩემით. თანაც, ვფიქრობ, რომ სიყვარული, რომელიც მეგობრობით იწყება, ყოველთვის მყარია. ■

ქართული რეპი და რეპერები

მოზარდები ხშირად კამათობენ თემაზე — საქართველოში ნამდვილი რეპი არსებობს თუ არა? ზოგიერთი აღიარებს, რომ რეპი არ არსებობს და ამიტომაც, მხოლოდ უცხოელებს უსმენს, ზოგი კი „ცხოვრებას რქებით აწვება“ და ქართული რეპის წყალობით ნეტარებას განიცდის...

ლიკა ქაჯაია

სიმაო 0209:

„საქართველოში რეპი არ არსებობს. რასაც ეგენი მღერიან, იმას ცოტაოდენი კავშირიც კი არა აქვს რეპთან. გარითმვა მაგათ არ იციან და თუ შეიგინებიან, „დაბოლებაზე“ „იბაზრებენ“, ჰგონიათ, რომ უკვე რეპერები არიან“.

ROVERANDOM:

„და ვინ არიან შენი აზრით ნორმალური რეპერები? რა როლი აქვთ მათ საქართველოს ცხოვრებაში და თუ არსებობენ, რატომ არიან მიკვეხებულები სადღაც კუნჭულში, როდესაც რეალურად, პოლიტიკური ლოზუნგებით გამოსვლა შეუძლიათ?!“

დანდი:

„ბევრი რეპერი მართლა არ გვყავს, მაგრამ მე რეპერ ძვალს გამოვყოფ... გარეპვა კაბუსაც შეუძლია და ამის არდანახვა უმადურობაა; ამდენი ირონიაც აუტანელია“.

მამაო ენუქი:

„ძვალი ვიღაცების ტექსტებს თარგმნის და იპარავს. საიდან ამ ბავშვში ამდენი აგრესია?“

დანდი:

„საქართველოში რაც უნდა გემოვნებიანად და კარგად გააკეთო შენი საქმე, მაინც არასდროს არაფერს დაგიფასებენ, ირონიით აგავსებენ... მიკვეხებულები კი არიან კუნჭულში, მაგრამ ტექსტებს წერენ და მღერიან. თანაც, ძალიან ჭკვიანურ და აზრიან ტექსტებს წერენ... რაც შეეხება ძვალს, ის ადრე მინუსებს იპარავდა, ხოლო ტექსტებს ყოველთვის თავად წერდა... სხვათა შორის, ახლა მინუსებსაც თვითონ აკეთებს... ჰო, ბავშვი არაა, 24 წლისაა“.

ირაკლა:

„კარგი ახლა... ის არა მარტო ტექსტებს, არამედ სტილსაც იპარავდა, მანერასაც... ასე რომ, ძვალი ჩამოსაწერია... ბედინა-შავი პრინცი-კაბუ-დეჟა — აბა, ამათზე რას ფიქრობთ?“

როო:

„ვინც მართლა რაღაცას თავისით აკეთებდა: ტყუპი შამანაურები (ყოფილი „ექსცესი“) იყვნენ და მათაც დაანებეს თავი. რაც შეეხება სხვებს, სამი ნორმალური MC გვყავდა საქართველოში: ტყუპი შამანაურები, ძვალი, რომელიც ბოლო დროს მთლიანად ჩაიძირა და კაბუ. სხვებს კი საინტერესო არაფერი გაუკეთებიათ“.

დანდი:

„ასეა თუ ისე, ამ კაცს ყველაფერი ხუთიანზე გამოუვიდა. ბედინა მართლა ძალიან მაგარ ტექსტებს წერს, მაგრამ ზოგჯერ, ისეთ ხალხთან ერთად მღერის, რომ... დეჟას არა უშავს, ქართველი რეპერების ფონზე მაგარია... კაბუ მართლაც, ძალიან მაგარია... შავ პრინცს თავისი სტილი აქვს არჩეული და უხდება კიდეც. ბედინა მღერის „ჩისტი“ ანდერგრაუნდს, მაგრამ ისეთი უფარჩაკესი ტრეკები აქვს, რომ იმიჯს უკარგავს... შავი პრინცი „ლაითს“ ასრულებს, მაგრამ მასაც უფარჩაკესი ტრეკები აქვს... მათგან განსხვავებით, ძვალს დახვეწილი გემოვნება აქვს“.

ირაკლა:

„ჩემთვის ნომერ პირველი რეპერი შავი პრინცია. მეორე ადგილზე ბედინაა. ვიღაცამ თქვა, — ანდერგრაუნდიაო და შეცდა. ბედინას რეპი „ჩისტა განგსტაა“. მესამე კაბუა. დრო იყო, როცა რეპს ნორმალურად კითხულობდა. მეოთხე იყოს ტიომა თუ ვიღაც როჟა რომაა. მისი ხმა არ მევასება, მაგრამ ნორმალურად „ბაზრობს“. ძვალს 567-ე ადგილსაც არ მივცემ. როგორც რეპერი, ნულია“.

ფიორენტინო:

„მიუხედავად იმისა, რომ კაბუ არ „პროფესიონალობს“ — „პროსტა“, კაიფობს, მაინც ყველაზე მაგრად გამოსდის ეს საქმე!“

Wolfspeel:

„ქართველი რეპერებიდან ყველაზე მაგარი გალაკტიონია, „33 ა“-ს სიმღერა „გალაკტიონში“ რომ რეპავს :))“.

სოფია-ლი:

„რვა წელია, რეპს ვუსმენ, მათ შორის — ქართველებსაც და ვფიქრობ, რომ ძველებიდან „ექსცესს“ არა უშავს, დღესდღეობით კი კაბუ, ძვალი მომწონს. მართალია, ეს უკანასკნელი „იპარავს“, მაგრამ მოპარულის გაკეთებასაც ხომ უნდა შნო... და ეს ტოქსი და შრეკი ვინ არიან? პირველად და იმედია, უკანასკნელად მესმის მათი გარეპილი“.

MISS-YLONEN:

„აუ, ქუთაისია რეპის ქალაქი“.

სოფია-ლი:

„ქუთაისს ცოტა აკლია და, იმღერებენ: „ქუთაისი ქალაქია, მამა-რეპის მშენებელიიი...“

ROVERANDOM:

„რაც უნდა იყოს, ტოქსიმ ყველა რეპერს გადაუჯოკრა, მოიფიქრა ისეთი უცნაური ფრაზა, რომლის გაშიფვრას მეცნიერები დღემდე ცდილობენ. მათ მოისმინეს რეპერის ალბომები და მხოლოდ ერთ ადგილას აღმოაჩინეს ეს იდუმალი გამოთქმა: „დაარტყი დანა და ვერ დანაააა“ (აქცენტი უნდა გაკეთდეს ااااا-ზე) :))“.

GYBERPUNK:

„კაროჩე, რაც ქართულ რეპში ისე თუ ასე ნორმალური შექმნილა, ძებნილის დამსახურებაა. 98 წლამდე რასაც აკეთებდნენ, მშვენიერი იყო. სხვათა შორის, მაშინ შავი პრინციც ამ ჯგუფში იყო... რასაც დღესდღეობით შავი პრინცი აკეთებს, „ფიგნიაა“ და ამას მუსიკალური პროსტიტუცია ჰქვია... დანარჩენებმა კი შავი კანის გარდა, ზანგებს ყველაფერი მოჰპარეს... რაც შეეხება ბედინას, მას არც რიტმის გრძნობა აქვს და არც ტექსტების წერა შეუძლია. დღემდე იმით ბლატაობს, რომ ციხეში 5 წელი იჯდა“.

მატილდა:

„ყველაზე მაგარი ქართული რეპი ირაკლი ჩარკვიანს აქვს“.

მეგალინე:

„საქართველოში რეპი 80-იანი წლების ბოლოს შემოვიდა. უფრო სწორად, ამას არ ერქვა რეპი, ეს იყო ცეკვა ბრეიქი, რომელიც შემდეგ განვითარდა. ჰიპ-ჰოპი შემოვიდა ქუთაისიდან და ჩვენს ქვეყანაში რეპი პირველად აკაკი ბაბუნაშვილმა (შავი პრინცი) იმღერა. პირველი ქართული კლიპი იყო „ჩემი ძმები“ (გახსოვთ ალბათ: „შავი პრინცის ძმები, ძებნილები და ჯერონიმო“). ტექსტების წერაში ჯერონიმო პირველია. ის ხან ორ, ხანაც — სამგანზომილებიან ტექსტებს წერს. სხვათა შორის, არა მარტო სიმღერა, არამედ ცხოვრებაა. ჩვენთან კი ასეთი „რეპერული ცხოვრებით“ არავინ ცხოვრობს. თეთრ ადამიანში განგსტერული სული არ არის. საქართველოში არიან ქურდები, „ძველი ბიჭები“, „ბეზპრედელნიკები“, მაგრამ მათ შორის ვერც ერთ „განგსტერს“ ვერ ნახავთ“. ■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ბ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-14

ბანოვანი სპ. (ძვ.) — 1. პრივილეგირებული წოდების ქალი, ქალბატონი. 2. საერთოდ დარბაისელი ქალი, მანდილოსანი.

ბაო — 1. (ძვ.) მცირე ჩრდილი (საბა). 2. (კუთხ.) მოლი, ახალი ბალახი ეზოში.

ბარი — დიდი მტაცებელი ფრინველი რუხი ფერისა.

ბარამბო — ტყის მრავალწლოვანი სამკურნალო ბალახი.

ბარბარიზმი ბერძ. — 1. ამა თუ იმ ენის ბუნებისათვის შეუფერებელი გამონათქვამი, გამართული სხვა ენის წესზე. 2. საჭიროების გარეშე ნახმარი უცხო სიტყვა.

ბარბითი (ძვ.) — ერთგვარი სიმებიანი საკრავი.

ბარდანი — ბლომად დადებული თოვლის ფანტელები.

ბარდანა სპ. — დიდი ტომარა (ჩვეულებრივ მატყლის, ბამბის, ბზისა და მისთანათათვის).

ბარე (საუბ.) — დაახლოებით, თითქმის.

ბარნელა — ერთგვარი სადღვები ხელსაწყო (იციან ფშავში).

ბარტყული — ერთგვარი თავსაბურავი ბერმონაზვნისა.

ბარქაში — პატარა გობი. იხმარება სახელდახელოდ ცოტაოდენი ცომის მოსაზელად.

ბარცაკალი — ხის საწოლის ნაწილი: თავთან გარდიგარდმო გეზად დაყენებული ფიცარი თავის მისადებად (ბალიშის მისადებად) — სასთუმალი.

ბარძიმი — საეკლესიო ფეხიანი ჭურჭელი ლითონისა.

ბარვჯი — 1. ორკაპიანი ჯოხი, ბოძკინტი. 2. რკინისკავიანი ჯოხი (ჩვეულებრივ იხმარება თევზის საჭერად) — ჭვილთი. 3. სატყორცნი იარაღი, რომლითაც ვეშაპებსა და დიდ თევზებზე ნადირობენ — ჰარპუნი.

ბასილა (ძვ.) — საახალწლოდ გამომცხვარი პური კაცის სახისა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

წვეთი პოეზია

ისევ შენზე ოცნებებმა მიხმო...



ისევ შენზე ოცნებებმა მიხმო
და მომინდა ხეტიალი ქართან,
ცხრა ფიქრის და ცხრა ოცნების მიღმა
აშრიალდა შენი ჯაბის ჯალთა...

ღამით, რა ვქნა, ოცნებების მეტი,
მაგ ღიმილის გახსენების გარდა;
დავეცემი, როგორც წვიმის წვეთი
მოგონების საჩრდილობლის ჯართან.

უძილობის თეთრ თოლიებს მისევს
გახსენება მაგ ანთებულ თვალთა
და ფიქრებში გათენდება ისე,
როგორც უცებ ჩამომწყდარი ფარდა.

ვახუშტი ჯოტეტიშვილი

დასაწყისი იხ. „გზა“ №2 – 14

ბოლმას რომ ხორციელი გამოხატულება ჰქონდეს, ალბათ, პარპრიზზე, მინებზე, სავარძლებსა და სახურავზეც ფოსფორისფერი სითხის სახით იქნებოდა გადანთხეული.

— აი, მოიცა, მოვალ ხელისუფლებაში და მასეთებს დედას ვუტირებ, უსაქმურთა მოდგმა! შენ სულ გექნება ამ სამყაროში პრობლემა, რადგან დამოუკიდებელი და შეუპოვარი ხარ, — მითხრა მიშამ და თმა ნერვიულად გაისწორა, — საქართველოში მიუღებელია „აღიარებული“ ნორმიდან პატარა გადახვევაც კი. ამდენი ლაპარაკია ტოლერანტობასა და შემწყნარებლობაზე და ყოველ ნაბიჯზე ირღვევა. აი, ვანო მერაბიშვილი ავიღოთ, სამი წელია, რაც ცოლი მოიყვანა, ხელი კი მოაწერეს, მაგრამ ჯვარი არ დაუწერიათ. მერე რა მოხდა, ეს კაცი ახალციხიდან, პატიოსანი ოჯახიდან არის, სხვა აღმსარებლობა აქვს, კათოლიკეა, მერე რა, დაიქცა ქვეყანა? მისმა ცოლმა დამირეკა, ქმარზე 13 წლით უმცროსია გოგო და, ბუნებრივია, ამდენი ჭორი ნერვებს უშლის. რატომ უნდა ჰქონდეს ყველას ცხვირი სხვის ცხოვრებაში ჩაყოფილი?! ბავშვს მიშა რატომ დაარქვიო, ეტყობა, ძალიან გიყვართო, მართლმადიდებელი იქნება თუ კათოლიკეო, მოკლედ, შეჭამეს საცოდავები. ვისი რა საქმეა, სად ვლოცულობ და ვისთან ვმეგობრობ? ეს იმის ბრალია, რომ აქ ხალხს თავისი ცხოვრება არა აქვს და ამიტომ სხვისაში აფათურებს ხელს. ვანოს ცოლი, თაკო მეუბნება, ის დრო მენატრება, ვანო ცისფერი „გოლფით“ რომ მაკითხავდა და ჰოლანდიურ ყვავილებს მჩუქნიდაო. ჰო, ჰოლანდიაზე გამახსენდა, კიდევ კარგი, სანდრა აქ არ არის, თორემ დიდი ხნის გაშორებულები ვიქნებოდით. ასე რომ, გაუძელი, შეიძლება არასწორად გეუბნები, მაგრამ რადაც უნდა დაგიჯდეს, საქმე ბოლომდე მიიყვანე, თორემ შენს შეწყვეტილ სიმღერას სხვა დაასრულებს.

ცოტა გულზე მომეშვა.

მე და ჩემი მეგობარი ძალიან ბევრი რამით ვგავდით ერთმანეთს, ორივე არასტანდარტულად ვაზროვნებდით, ქართულ მენტალიტეტთან გვიჭირდა შეგუება. ბავშვობაში, უკვე მეორე გაკვეთილზე, მე — თეთრი საყელო, მიშას კი ბიჭების უნიფორმის აუცილებელი ატრიბუტი — გახამებული ბაფთა ჩანთებში გვქონდა ჩაჭმუჭნილი. გვახრჩობდა და რა გვექნა? როცა დაწყებით კლასებში ნინელი მასწავლებელმა ჰკითხა, როგორ ფიქრობ, შემოდგომაზე ფოთოლმა რატომ შეიცვალა ფერი, ფოთოლს რაღაც შეეშალა, აწყენინა დედას, მერე აკანკალდა და გაწითლდაო, — ასე უპასუხა, მე კი მეორე კლასში ყველაზე ძალიან მოთხრობა „დედის გული“ მომწონდა, — როცა ბიჭი შეყვარებულის თხოვნით დედას გულს ამოაცლის და გზაში ქვაზე ფეხწამოდებულს ისევ დედის გული ექომაგება. მახსოვს, დედაჩემი სკოლაში გამოიძახეს, იქნებ ბავშვი ნევროპათოლოგთან მიიყვანოთ, რატომ მოეწონა ეს მოთხრობაო. მანანას, რა თქმა უნდა, „დედის გული“ წაკითხულიც არ ჰქონდა. როცა თალესმა უთარგმნა, ლამის გული გაუსკდა და მეორე დღეს სავსებით გულწრფელად ჰკითხა მასწავლებელს, მეორეკლასელ ბავშვებს ასეთ მოთხრობას რატომ უკითხავთო? ცხოვრების ჩემი და მიშასეული ინტერპრეტაცია ყოველთვის ორიგინალურობით გამოირჩეოდა და ამის გამო სკოლაში მაგრადაც ვისჯებოდით. მიშას ამერიკელი ბიძა მაგარ ჩასაცმელსა და გემრიელ რაღაცებს უგზავნიდა, მე კი სოჭელი ბებია მანებივრებდა. და კიდევ, ორივეს ახალგაზრდა დედები გვყავდა და ორივეს მამინაცვალი გვზრდიდა...

— აგერ ჩვენებიც შეკრებილან, — მომაბრუნა ბავშვობაში შორს გაჭრილი მიშამ და ორივე ილია ჭავჭავაძის ძეგლისაკენ გავეშურეთ. ნაციონალების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები ჟურნალისტ გოგოებს ელაზღანდარებოდნენ, უფროსები საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე პლაკატებს ამაგრებდნენ და რა გასაკვირიც უნდა იყოს, ყველაზე მეტად ნოდარ მამედოვი აქტიურობდა. რა არის სიკეთე? — „მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება“...

„არასოდეს თქვა არასოდეს“

მამაჩემი სულ უფრო და უფრო მიახლოვდებოდა და თითქოს ქვეცნობიერად თალესს ეპაექრებოდა. პირველი შვილიშვილის, სანდროს აღზრდაში თალესის დიდ წვლილს პატარა გიორგიზე სრულად ანაზღაურებდა და ყოველ დილას ჩემთან პროდუქტებითა და სათამაშოებით ხელდამშვენებული მოდიოდა. საოცრად ნიჭიერი და ჭკვიანი თვალის დახამხამებაში ხვდებოდა ყველაფერს და მყისიერად ორიგინალურ გამოსავალს მთავაზობდა. „Как жаль, что столько лет потерял“, — მისი სიტყვები, ტკივილსა და მამაშვილურ განცდასთან შეზავებული, დღესაც ყურში ჩამესმის.

პროფესორი, ექიმი, ქართულ გენეტიკაზე პირველი წიგნის ავტორი და ამავე დროს მხიარული და იუმორით სავსე, გასაოცრად ბევრ საერთოს ნახულობდა ჩემთან და ჩემს შვილებთან.

— როგორ მგავხართ! ნინიკო და სოფო ასე არ მგვანან, они очень серьёзные, შენ ხასიათიც ჩემნაირი გაქვს, რბილი, სლავური, ამასთან, ვაჩნაძისეული კახურით გაჯერებული და შეუპოვარი, Мананкиного ничего нет! — თითქოს ლუპით მათვალიერებდა ვიქტორი და სინანულით იხსენებდა უჩემოდ გატარებულ წლებს.

— Как это глупо! ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით და ეს ჩემი ყველაზე დიდი შეცდომაა. მართალია, თალესმა ყველაფერი მოგცა, მაგრამ ამავე დროს ჩემი, როგორც მამის, სიყვარული წაგართვა.

— კარგი რა, пап, მე რომ არ მოვსულიყავი შენთან, შენ ან გაგახსენდებოდი, ან არა. ეს ახლაა, ერთმანეთი კარგად რომ გავიცანით. მიხვდი, რომ შეცდი, და რომ არა ჩემი ინიციატივა... რატომ ეპაექრები წასულ ადამიანს?

— იმიტომ, რომ შენ საიქიოში მყოფი თალესი უფრო გიყვარს, ვიდრე სააქაოში მყოფი მე. მის საფლავზე ცუდად გახდი და რომ არა შენი ძმა, ალბათ, თავს ძლიერად

პირველი შეხვედრა გიორგი კანდელაკთან

დაარტყამდი. აბა, მე რომ მოვკვდები, ასე მგონია, ცრემლიც არ წამოგივა, — გაბზარული ხმით თქვა ვიქტორმა.

— იცოდე, ასი წლის მერე! ერთი გარდაცვლილი მამაც მეყოფა, შენ კი აგერ, შვილიშვილები გყავს გასაზრდელი, მერე ნინკა და სოფოც გათხოვდებიან და ნახე, მთელი საბავშვო ბაღი რომ გეყოლება საპატრონო, — ვუთხარი ჩაფიქრებულ ვიქტორს და კარგა მაგრად ჩავბურჯგნე. ვიქტორი ისედაც ნახევარი თბილისის ბავშვებს ჰპატრონობდა, ეს სოციალური პედიატრიის ფონდის პრეზიდენტის პირდაპირი მოვალეობა იყო.

— ჩემი ბრალია, ჩემი... ჰო, რა უნდა მეთქვა, იცი, რადგან დღეს ბიოლოგიურ მამათა დღე გვაქვს, ნიკა სააკაშვილს ინფარქტი აქვს და უნდა მოვინახულო, გთხოვ, წამომყევი... — მთხოვა ვიქტორმა და ეშმაკურად ამომხედა.

— ნიკა ვინ არის?

— ვინ და შენი მეგობარი მიშას მამა, მე-9 საავადმყოფოში წევს და უნდა ვინახულო, ჩემი ბავშვობის მეგობარია, ინსტიტუტშიც ერთად ვსწავლობდით, классный парень!

— აბა, შენი მეგობარი რა იქნება? — ვუკბინე მე.

— რა, მიშას არ უხსენებია?

— არა.

— თუმცა, შენ ხომ ყოველ წამს მახსენებ, — ჩაიბურტყუნა ვიქტორმა და მივხვდი, რომ ეს თემა ძალზე მტკივნეულია მისთვის.

— კარგი, კარგი, თუ ასე გინდა, წავიდეთ, — ვუთხარი და ტანსაცმლის გამოცვლა დავიწყე.

ნიკა სააკაშვილი მომცრო ტანის, ცოცხალთვალებიანი, საშუალო ასაკის მამაკაცი იყო. საოცარია, მაგრამ ის და ვიქტორი ჰგავდნენ ერთმანეთს და რუსულ-ვერული სლენგით საუბრობდნენ.

— ნიკა, познакомься, моя дочь, — ამაყად თქვა მამაჩემმა და მივხვდი, რომ ამხელა მანძილი ამ სიტყვებისათვის გამოვიარეთ.

— Высокая! — ასეთი იყო ლოგინზე მიჯაჭვული ნიკას პირველი რეაქცია. ნიკას მეორე ცოლი პალატაში დაფუსფუსებდა და თან წამდაუწუმ ბიჭებს ურეკავდა.

— დათო, „ბორჯომი“ არ დაგავიწყდეს, თორემ დაიხრჩო კაცი. ჰო, ვაშლიც წამოიღეთ, ოღონდ კეხურა. ვიქტორ, როგორ ფიქრობ, ძალიან საშიშია ნიკას მდგომარეობა?

— საშიში გარეთ გასვლა და აგურის დაცემაა. კარგი რა, ცოტა იკოტრიალებს და ადგება, — უპასუხა მამამ მისთვის ჩვეული ოპტიმიზმით.

— ვიტია, გახსოვს, მოსკოვში ილუშასთან რომ დავდიოდით, რას ვგრიალებდით? ვაახ, ლალი, რა ბიძა გყავდა, первый онколог России! მაგარი კაცი იყო და სულ ახალგაზრდა წავიდა, ხომ იცნობდი?

— კი, როგორ არა, ნიკა ბიძია, ხშირადაც ვსტუმრობდი, ისე, ეგ და მამა სულ არ ჰგავდნენ ერთმანეთს, არა? ის მაღალი, შავგვრემანი იყო, მამა — დაბალი...

— ცირკი ის იყო, რუსული გარეგნობის მამაშენს პასპორტში ქართველი ეწერა, იმას კი, ქართულ გარეგნობიანს — რუსი, — ნიკა აშკარად გაამხიარულა ახალგაზრდობის მოგონებებმა.

— Для конспирации! — უთხრა მამაჩემმა, — იცი, ჩემი ლალი და შენი მიშიკო რომ მეგობრობენ?

— ჰო, ტელევიზორში მოვკარი თვალი, რავი, რა იქნება, იდეები კი, იცოცხლე, აქვთ ახალგაზრდებს.

— იქნება, აი, ნახე, у меня такая интуиция, — თქვა მამამ, სიგარეტს მოუკიდა და პალატიდან გავიდა...

...ნიკასთან ერთსაათიანი სტუმრობის შემდეგ მე და ვიქტორი შინ ვბრუნდებოდით.

— Дети не должны платить за ошибки родителей, Ника так же виноват перед Мишей, как я перед тобой! — მითხრა მამამ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, — ლალკა, ჩემს საფლავზეც ხომ იტირებ?

ვიქტორის ეს საზარელი სიტყვები სულ ცოტა ხანში გამახსენდა.

* * *

ამასობაში მე ახალი თემა გამოვჩიჩქნე და სამცხე-ჯავახეთის დასალაშქრავად ვემზადებოდი. საქმე ის არის, რომ ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი საქართველოს მუდმივ აქილევსის ქუსლად რჩებოდა. სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა ძალზე მტკივნეულად რეაგირებდა ყველანაირ რისკზე. ამიტომ მათთან დიდი დელიკატურობა და ყურადღება იყო საჭირო და არა მხოლოდ არჩევნების წინ მრავალრიცხოვანი ელექტორატით სპეკულირება. სამწუხაროდ, ეს ხარვეზი ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ აღმოფხვრა.

ამჯერად ახალციხელი სომხები რუსეთის ბაზების გაყვანას აპროტესტებდნენ. ამოცანა ნათელი იყო, — შეხვედრა მოსახლეობასთან და მზარდი უკმაყოფილების დიალოგის რეჟიმში გადაყვანა.

— მიშა, შენს ხალხს მომახმარ? — დავურეკე სააკაშვილს.

— ვნახოთ, ვის ეცლება, პეტრე ცისკარიშვილს ვეტყვი, თუ არა და შენი ძალებითაც გაქაჩავ. მაგარი თემაა, ტელევიზია გაიყოლე, — მირჩია მიშამ, — ისე, ფინანსურად როგორა ხარ?

— ცუდად, მაგრამ ერთი ხრიკი მოვიფიქრე: რადგან სამცხე-ჯავახეთში მივდივარ, ფოკის დედათა მონასტერიც იქვეა, ოქტომბრის მერე უამინდობის გამო, პრაქტიკულად, იკეტება. რამხელა მადლი იქნება მათთან ფქვილის, ჩაის, შაქრის, წიწიბურას ჩატანა. მამაჩემმა ჩემს ორგანიზაციაში ერთი გორელი გოგო შემომაყვანინა, ჩემი მოწაფე იყო, სამედიცინოსთვის ვამზადებდი, ახლა უმუშევარია და იქნებ ცოტა ხანს შენთან იყოსო. ჰოდა, ჩავალთ გორში, შევხდებით იქაურ ბიზნესმენებს და ფოკის მონასტრისათვის შემოწირულობას ვთხოვ. ტელევიზიების თანდასწრებით კეთილი საქმის გაკეთება მათთვის პიარია, ჩვენც მხოლოდ ბენზინის ფული დაგვჭირდება და სოფელიც აშენდება. ორი საქმე ერთად გამოვა, — ფოკის დედათა მონასტერსაც დავეხმარებით და სომეხ მოსახლეობასაც შევხვდებით.

— კარგი, გაიძვერა, დილით დამირეკე, მე ზურა ჟვანიასაც ვეტყვი,

მგონი, მაგისიანებიც მაქეთ დადიან და იქნებ რაღაც გაგიხერხო. თუ არა და, როცა ჩამოხვალ, ერთობლივი პრესკონფერენცია მოვაწყოთ.

— ჰო, ცოტა დამაგვიანდება. ალბათ, ღამე სადმე გზაში გავათენებთ, თორემ სიქა გაგვძვრება, — ვუთხარი ღიმილით და ჩემებთან დარეკვა დავიწყე.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი საქართველოს“ დამფუძნებლები: მე, ზურა დვალი, მანანა კოზაკოვა, ჩემი ძმა ერეკლე და გორელი თეა მზად ვიყავით დასახული ამოცანის შესასრულებლად.

— სად მიდიხარ? ფოკის მონასტერში? რა იყო, იღუმენიობას ხომ არ აპირებ? — მკითხა აგდებულად შინ დაბრუნებულმა მეუღლემ.

— არა, საქმე მაქვს, ისე, შენს ორგანიზაციას რომ დავესპონსორებინეთ, რა მოხდებოდა?

— კარგი რა, ლალი, შენ თუ საქმე არა გაქვს, მე რას მერჩი? გინდა და იარე, მე ამ ამბავში მონაწილეობას არ მივიღებ.

— კი მაგრამ, რატომ? ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, წამომყევი.

— არა და მორჩეს ამაზე ლაპარაკი, ეს უპერსპექტივო თემაა.

— ოკეი, ღმერთია მოწმე, მე ვცადე, ჩამოვალ და განქორწინებაზე განცხადებას შევიტან. რა გვაერთიანებს, ბავშვი? მე არც ისე ბებერი ვარ, რომ მხოლოდ ამას დავჯერდე. ეს შენთვის პერსპექტიული თემაა?

მე და მიშიკოს დიდი ხანია სხვადასხვა საძინებელში გვეძინა.

* * *

თეა იმ ჩვეულებრივი, პროვინციული გორელი ოჯახიდან იყო, სადაც სამედიცინო ინსტიტუტის დიპლომი და მდიდრული მზითევი ბევრ რამეს განსაზღვრავდა. თბილისში პატარა ნაქირავებ ბინაში მცხოვრები თეა დიდი ხანია, პერსპექტიულ ქალაქელ საქმროზე ოცნებობდა. გორელებს ისე მოიხსენიებდა, როგორც მეორეხარისხოვან ადამიანებს. მისი საყვარელი ფრაზა იყო, — „ყავა დავლიოთ, ჩემთან, საბურთალოზე.

თეას სტუმართმოყვარე ოჯახი სიამოვნებით გვმასპინძლობდა დედაქალაქიდან ჩასულებს. მრგვლად მოხარშული დედალი, ხაჭაპური და პრასის ფხალი ვის არ აღუძრავდა მადას.

ჩემმა პროგნოზმა გაამართლა, საქართველოს ერთ-ერთი მსუყე მხარის ბიზნესმენები სიამოვნებით მონაწილეობდნენ ფოკის მონასტრის დასახმარებელ სამზადისში. ორ-ორი ტომარა ფქვილი, შაქარი, ბრინჯი, ჩაი და წიწიბურა სამარშრუტო მანქანაში ჩაიტვირთა. მძღოლი მზად იყო შრომისა და თავდადებისათვის.

— ლალი, იცი, გორში გიორგი კანდელაკია ჩამოსული, ჩვენ ბავშვობაში ვმეგობრობდით, მოდი, დავურეკავ და მოვიკითხავ, — მითხრა თეამ.

— ვინ კანდელაკი, მოჭიდავე?

— არა, მოკრივე, თუმცა შენთვის რა მნიშვნელობა აქვს? — და თეამ გიორგის ტელეფონის ნომრის აკრეფა დაიწყო, — მალე მოვა, — ამაყად გამოაცხადა თეამ, თუმცა დიდი ინტერესი მის ნათქვამს არ მოჰყოლია, — მანანა ჰამაკში ჩაფლული თვლემდა, ზურა და ერეკლე მანქანას უჩხიკინებდნენ, მე კი ფულს ვითვლიდი. გვეყოფა, არ გვეყოფა? იმდენი რა უნდა დაჯდეს აქეთ-იქით გზის ბენზინი, ცოტათი წახემსება и всё!

უცებ ოთახში ავეჯი შეზანზარდა, ბროლმა წკარუნი დაიწყო და ჩემდა უნებურად გამახსენდა, — გორელი ხომ არა ხარ, შუა ქალაქში რას დადიხარო, რაც, როგორც ამიხსნეს, იმას ნიშნავდა, რომ მიწისძვრებით დაშინებული გორელები შარის თავიდან ასაცილებლად შუა ქუჩაში ამჯობინებდნენ სიარულს. ნუთუ მიწისძვრაა?!

ინტუიციას არ უღალატია. დიახ, ეს იყო მიწისძვრა, თანაც ძლიერი და დამანგრეველი, სახელად გიორგი კანდელაკი.

— რამაზ ჩოჩიშვილი, — გამეცნო ტანადი, სიმპათიური მამაკაცი და ხელი ჩამომართვა.

— ეს შოთა ჩოჩიშვილის შვილია, ხომ იცი, პირველი ქართველი ოლიმპიელის, — ამაყად მაცნობდა სტუმრებს თეა. მისი ბენეფისი შედგა, — ერთ მხარეს ქართლელი დევები, მეორე მხარეს კი თბილისური „ბომონდი“ იდგნენ.

— გიორგი კანდელაკი, — თქვა „ზევსმა“ და ხელი ჩამომართვა. ჩემი არცთუ ისე პატარა ხელი მის ხელისგულზე დაკარგულ ტერიტორიას ჰგავდა, რომელსაც სხვა სხეულის ნაწილებიც შეუერთდნენ და დაიკარგნენ, დაიკარგნენ უსაზღვრო მორევში, ცუნამიში, წყალდიდობასა და ქარბორბალაში. „რა მომდის?“ — ვეკითხებოდი უძლური საკუთარ თავს და პასუხს ვერ ვიღებდი, თავიც უკვე დაკარგული ტერიტორია იყო...

„არასოდეს თქვა არასოდეს!“ — ეს ფრაზა ხანჯალივით ჩამესო გულში. „შენ ის მოროშკინა არა ხარ, თავზე ბუზს რომ არ ისვამ და არჩევანსაც შენ აკეთებ? შენ ის მოროშკინა არა ხარ, თბილისელ ბიჭებს თითის წვერებზე რომ აბზრიალებ? შენ ის ქალი არა ხარ, რომელიც ცდუნებას არ აჰყვება? ძლიერი მდედრი, შეუპოვარი ამორძალი? სადა ხარ, სად? ხმა გამეცი!“

— ჩემი მეორე „მე“ ამაოდ ცდილობდა პირველთან დაკავშირებას, ის უკვე უგზო-უკვლოდ დაკარგული და გზააბნეული, ბავშვობის კომპლექსებდაძლეული ნამდვილი მამრის ძლიერ მკლავზე განისვენებდა. აი, თურმე, რას ვეძებდი მთელი ცხოვრება? — ჩემზე ძლიერს, ჩემზე ბევრის შემძლეს. აი, ახლა კი ნამდვილად არაფრის მეშინია, ცხრაბალიან გრიგალს შევეჭიდები, ოღონდ მუდამ მის თავბრუდამხვევ სურნელს ვგრძნობდე...

...„ვენეცია“ გორის ერთ-ერთი პრესტიჟული რესტორანი გახლდათ. ჩვენ მთელი „არასამთავრობო რაზმით“ კანდელაკის სტუმრები ვიყავით. მიუხედავად ოქტომბერში შეპარული სიგრილისა, გიორგის უსახელო სპორტული მაისური ეცვა, რომელიც ასხლეტილი, ათლეტური რაინდის განვითარებულ ბიცეფსებს ყველასათვის თვალსაჩინოს ხდიდა. „აი, უკვე ვეჭვიანობ!“ — გავიფიქრე გულში, რომელიც სულ ერთიორი საათი იყო, რაც მე აღარ მეკუთვნოდა და მხოლოდ სხეულისათვის აუცილებელ ფიზიოლოგიურ მოთხოვნას ასრულებდა, — დაგადუგობდა.

რამაზმა და გიორგიმ ყურადღებით მოისმინეს ჩვენი ვიზიტის არსი, მოგვიწონეს ინიციატივა და ჩვენს ეკიპაჟს მათი სახით კიდევ ორი თანამგზავრი შეემატა.

— ახლა ჩვენი გაცნობა აღვნიშნოთ, მერე ჩემთან სოფელში წავიდეთ და დილით ალიონზე გავეშუროთ. მართალია, ქალაქელების შესაფერისი პირობები არა მაქვს, მაგრამ „კიპიტელნიკით“ წყალსაც გაგიცხელებთ და სანთელსაც აგინთებთ, — გაეცინა „ზევსს“.

ახლა ჩემთვის სანთელიც და „კიპიტელნიკიც“, როგორც სულ სხვა, შორეულ ცხოვრებაში დარჩენილი „დოლჩე და გაბანა“, ისე ჟღერდა...

ორი ჭიქის მერე გიორგიმ რამაზს თამადობა ჩამოართვა და აბსოლუტურად გასაგები გახდა, რომ არა მხოლოდ მე, არამედ გიორგისაც რაღაც ახალი, უცნობი სენი სჭირდა. შფოთავდა ზევსი.

ცოტა ხანში გიორგიმ მოგვიბოდიშა და გარეთ გავიდა. მწვანეში ჩაფლული „ვენეციის“ ეზო უჩვეულო სანახაობის მოწმე გახდა. გიორგი არყის ხესთან იდგა, გულში ხელებს იცემდა და საზარელი ხმით გაჰყვიროდა.

— Ну прямо Кинг-Конг, — და-

ასკვნა პრაგმატულმა ზურამ.

— Как романтично, Лалусик, — აღმოხდა მანანას.

მანანა, ერეკლე, რამაზი, თეა და მე განცვიფრებული შევყურებდით ამ სანახაობას. ბუნებასთან შერწყმული გიორგი თავის ქვეცნობიერ ინსტინქტებს ასე გამოხატავდა:

— შენ ჩემი იქნები, მხოლოდ ჩემი და დღეიდან არსად არასოდეს უჩემოდ ფეხს აღარ გადგამ, — ასეთი იყო სტალინის სამშობლოს შვილის ვერდიქტი.

ძნელია იმ გრძნობის გადმოცემა, რასაც მაშინ განვიცდიდი: შიში, ბედნიერება, სასოება და უსუსურობა, ერთმანეთში არეული, არასახარბიელო სურათს ქმნიდა.

მე ხომ მის შესახებ არაფერი ვიცოდი...

რესტორნიდან სოფელში მიმავალი გზა დაბურული და უსასრულო აღმოჩნდა.

— Лалусик, ты меня извини, но эти спортсмены все криминалы, — ბურტყუნებდა ზურა, — სად ჯანდაბაში გავყევით, რომ მოგვიტაცოს? იცი, რომ ცხინვალი აქედან 7 კილომეტრშია, რამ გადაგრია? სულ შარში როგორ უნდა მამყოფო?

— Ну да... — აჰყვა მანანა, — ლალკა, ბაზარი არ არის, и в огонь, и в воду შენი გულისათვის, მაგრამ იქნებ მართლა გვიტაცებს?

მე უკვე ვნანობდი, რომ თეა გორში დავტოვე.

მარტო ერეკლე დუმდა და ყოველი შემთხვევისათვის ხელნაკეთ ყავარჯენს ხელს არ უშვებდა. ვხვდებოდი, რა ფიქრებიც უტრიალებდა თავში და ვაფასებდი ჩემდამი მის უსაზღვრო პატივისცემას. ერეკლეს მდუმარება სხვის მეტყველებაზე გაცილებით მრავლისმთქმელი იყო. მე მესმოდა მისი ფიქრი.

უცებ ცა განათდა, უფრო სწორად, მანქანების ფარნების შუქზე ულამაზესი სანახაობა გადაგვიშალა: უზარმაზარი სპორტული ნაგებობა, სასტუმრო და ჩოგბურთის კორტი ევროპის დახურულ კლუბს ჰგავდა. სად ვართ? — იყო კითხვა, რომელიც ერთდროულად გაუჩნდა თითოეულ ჩვენგანს.

— ეს ჩემი სამფლობელოა, — გამოაცხადა გიორგიმ, — სოფელი ვარიანი.

— გოგებაშვილის სამშობლო? — ამოილუღლუღა სანახაობით გაკვირვებულმა კოზაკოვამ.

— დიახ და ჩემი, შემობრძანდით.

სასტუმროში მომსახურე პერსონალი გველოდებოდა. საგულდაგულოდ აქაფებულმა აბაზანებმა, დელიკატესებით დახუნძლულმა სუფრამ, ლამაზმა თეთრეულმა და ბილიარდმა ჩემი ჯგუფის წევრები საბოლოოდ გამოაფხიზლა. რა თქმა უნდა, „სანთელი და კიპიტილნიკი“ კანდელაკის ხუმრობა აღმოჩნდა.

— გინდათ, ჩემი ტბა გაჩვენოთ? იკითხა კანდელაკმა.

ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სიურპრიზები არასოდეს დასრულდებოდა.

ვარიანის ტბა იდუმალი და თვალწარმტაცი სანახაობა იყო, განსაკუთრებით გამთენიისას, როცა ნისლი ცის კამარას უერთდებოდა.

— აქ ნაგავსაყრელი იყო, მე გავასუფთავე, — თქვა გიორგიმ და დილის სიცივისგან აკანკალებული ჩამიხუტა.

ძილით სულ რაღაც 2-3 საათი გვეძინა, მაგრამ შთაბეჭდილება ამად ღირდა.

— მგონი, შეტოპე, — მითხრა დასაძინებლად მომზადებულმა მანანამ, კი, გასაგებია, ამ სიტუაციაში თავის შეკავება გმირობის ტოლფასია, მაგრამ, მოდი, ნუ გაუსწრებ წინ მოვლენებს. იქნებ ყოველივე ეს დილით მხოლოდ წუხანდელ სიზმრად მოგეჩვენოს? ხვალ დიდი გზა გვაქვს ერთად გასავლელი, ხომ იცი, გზაში ყველაფერი უფრო ნათელი ხდება. Не спеши!

ფოკის მონასტერში

გამთენიისას მანქანებში ჩავსხედით და სამცხე-ჯავახეთისკენ გავეშურეთ. გზა მძიმე და გრძელი იყო. მე გიორგის გვერდზე ვიჯექი და სიამოვნებით აღვნიშნავდი, რომ წუხანდელი სულაც არ იყო სიზმარი.

რამაზსა და გიორგის, ზომისა და წონის შესაბამისად, ყოველ სამ საათში დანაყრება უნდოდათ და ამიტომ უკვე ძლივსღა ვსუნთქავდით. უკან პროდუქტით დატვირთული სამარშრუტო მანქანა მოგვყვებოდა.

სამცხე-ჯავახეთი უცნობი კუნძული აღმოჩნდა. ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში დოლარი რუბლზე და პირიქით იცვლებოდა, პრესის ჯიხურებში გაზეთები მხოლოდ სომხურ და რუსულ ენაზე იყიდებოდა. ქართული არ ესმოდათ.

შეხვედრა შედგა, მოსახლეობა რუსული ბაზების გაყვანას აპროტესტებდა: თუ არა რუსები, მაშ, ვინ? ნატოს ჯარები? ესე იგი თურქები? — გვეკითხებოდა სომეხი მოსახლეობა და გენოციდის მომწყობთა წინააღმდეგ მძლავრ ჯარად გამოსვლას გეგმავდა. ერთსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ, სომხებისათვის ცხადი გახდა, რომ არც თურქი შემოვიდოდა და არც არავინ მათ წარსულს არ შეურაცხყოფდა. სტუმართმოყვარე სომხებმა სუფრა გაგვიშალეს და ფოკის მონასტერში გაყოლასა და პრესისათვის კომენტარის გაკეთებასაც დაგვპირდნენ.

სომხებს სიტყვა არ გაუტეხიათ, — რამდენიმე საათში საქართველოს ცენტრალური ტელეარხები გადასცემდნენ ჩვენი დელეგაციის ვიზიტის შედეგებს, რა თქმა უნდა, ეთერში სამცხე-ჯავახელთა ფოკის მონასტერთან მოცემული ინტერვიუც გავიდა.

— ჩვენ საქართველოს მოქალაქეები ვართ, აქ ვცხოვრობთ და აქ იცხოვრებენ ჩვენი შვილებიც. საქართველო ჩვენი სამშობლოა! — ასეთი იყო ქართულ მიწაზე გაზრდილი სომხების კომენტარი.

ბიჭებმა ზამთრისათვის მონასტერს შეშა მოუმარაგეს, ჩვენ კი მოგვიანებით სულების გადასარჩენად სანთლები დავანთეთ.

— სიტყვა მომეცი წმინდა გიორგის ხატის წინ, რომ სულ ერთად ვიქნებით, — წამჩურჩულა გიორგიმ.

— შენ თუ გენდომება, — გავეცი მე ჩემთვის უჩვეულო პასუხი.

ფოკის მონასტრის დედების დალოცვის მერე შინ მიმავალ გზას დავადექით.

— ყოჩაღ! — დამირეკა სააკაშვილმა, — ათიანში გაარტყი, პრესკონფერენცია აუცილებლად გავმართოთ, თანაც კარგია, თუ სასულიერო პირიც დაგვესწრება.

მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიებამ საუცხოოდ ჩაიარა, თბილისში გულდამძიმებული და გაორებული ვბრუნდებოდი. არჩევანი მარტივი იყო: ან თბილისური ბანალური ყოფა, ან სიახლის ძიება; სიახლის, რომელსაც ასე მრავლისმთქმელი სახელი — გიორგი კანდელაკი ერქვა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეშმაკები

ნამდვილი ამბავი



თუმცა თბილი ბუნების შვილი ვარ, მაგრამ მაინც არ გახლავარ სიცხის მოყვარული და ამის გამო, ერთ ზაფხულში, როდესაც მხურვალე მზის სხივებისაგან გამოჯავრებული თითქმის მთელი პეტერბურღი გადაებარგა საზაფხულოდ ახლომახლო სოფლებში, მეც ჩავჯექი ეკიპაჟში და გავექანე პარგოლოვოსაკენ. სოფელი პარგოლოვო თვრამეტი ვერსტით ჰშორავს სატახტო ქალაქს, არის მაღლობი ადგილი, ძალიან გრილი და მით ზაფხულში ამოშემთვისებელი. მზე ახალი ჩასული იყო, რომ შევედით სოფელში. გრილი ნიავი წყნარი დაბერვით ჰფანტავდა ყვავილთ სურნელებას და კეთილშეზავებული ჰაერი ახალისებდა ზამთრით დაჩაგრულ ბუნებას. მეზაფხულეები დედაბუდიანად გარეთ გამოფენილიყვნენ სასეირნოდ; მე გზის პირად ეკიპაჟი მივაყენებინე, და თვითონ კი გადავხტი და ფეხ-ფეხ ავყევი ქუჩას. მართლმორწმუნე რომ არ ვყოფილიყავ, მაშინ ის ადგილი, სადაც იმდენი მშვენიერი ქალები ერთად შეგროვებულიყვნენ, მაჰმადისაგან დაპირებული სამოთხე მეგონებოდა და იქვე მოვიფთხნიდი ფეხს, მაგრამ, რადგანაც ქრისტიანი გახლავარ და მასთანაც ცოტა მორცხვი ყმაწვილი, თვალი ავარიდე ქალებს და სახლებს დავუწყე თვალიერება. ჯერ კიდევ არ გადამედგა ოცი ბიჯი, რომ ღრიალი მომესმა: — „თქვენო კეთილშობილებავ! ბატონო! აჰ, ბატონო!“ მოვიხედე და ვნახე, რომ ორი მთვრალი რუსის მუჟიკი ერთმანეთს ჩაჰფრენოდნენ; მე რომ შემომხედეს, ხელი აუშვეს ერთმანეთს; პირველმა ჯერ თაყვანი მცა და მერე დაიჩოქა ჩემ წინ, მეორე კი საღდათურად გულმოხდილი გამომეჭიმა.

— თქვენო კეთილშობილებავ! — მომაძახა ხელახლა დაჩოქებულმა.

— რა გინდა, ჩემო ძმაო? — ვუთხარი მე ცოტა გაკვირვებით.

— როგორ თუ რა მინდა?! განა ვერა მხედავთ, ბატონო? მომიტევეთ! დანაშაული ვარ! მთვრალი ვარ. გახეთქილი ვარ!..

— ღმერთმა შეგარგოს! ჩემი რა საქმეა? ასეთიც გიქნია, რომ...

— არა, თქვენო კეთილშობილებავ! თქვენო ხარისხოვნებავ! ნუ გამიწყრებით! ჩვენი მამასახლისიც ითვრება ხოლმე და მაშინ ასე ამბობს, რომ სიმთვრალე სირცხვილი არ არის, ღვთის გაჩენილიაო...

— მაშ, თუ მოძღვარიც მაგას გეუბნება, რისაღა გეშინია?

— არაფრის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! ჩემი სიმთვრალე მაინც სულ სხვა არის! ჩვენს სოფელში ჩემისთანა პირველი ხარისხის ლოთი არ იპოვება! ვასილ ივანიჩს ხომ იცნობთ? იმას ვინ არ იცნობს? ჩვენი მამასახლისია, ისიც კი თვრება ხოლმე, მაგრამ მე ვერ შემომწვდება ლოთობაში! მე მთელმა სოფელმა დამამოწმა პირველი ხარისხის ლოთად.

— მომილოცავს! კარგ ხელობაში ბრძანებულხარ!

— თქვენო ბრწყინვალებავ! ნუ დამცინით! სიხარულით ვთვრები. უმიზეზოდ ხომ არა? უმიზეზოდ შაბათობით ჩვენი მამასახლისიც თვრება და მე კი სიხარულით!.. სიხარულით!

— რის სიხარულით?

— ჯერ არ შეგიტყვიათ? ახალი განთავისუფლებული ვართ! თავისუფლება რომ გამოგვიცხადეს, უქაზი რომ წაგვიკითხეს, მასუკან სულ ასე მთვრალი ვარ.

— მერე-და რამდენი ხანია მასუკან? როდის იყო ეგ ამბავი?

— მუხინს რომ ძროხა დაეხრჩო, მაშინ.

— მაგის რა მოგახსენო და, თქვენ რომ თავისუფალი ხართ, მას შემდეგ ოთხი წელიწადია! ადრე არა სვამდი?

— როგორ არა! ჩემს მახსოვრობაში სულ ვსვამდი, ადრევეც ძალიან ვლოთობდი, მაგრამ მაშინ საბატონო ვიყავით და ჯავრით ვლოთობდი!.. მწუხარებით!

— მაშ თითო მიზეზი აღარ გამოგლევია! ახლა რაღას აპირებ? არ მოიშლი, აღარ გაათავებ მაგ საძაგლობას?

— როგორ არ მოვიშლი? აღთქმაც მაქვს დადებული!

— როდის?

— როცა მოვკვდები, მაშინ! ვანიუშას კი არც ახლა დავალევინებ; ვანიუშა ჩემი შვილია; რომ გაბედოს დათრობა, მოვკლავ; ამიტომ რომ მამა ვარ და მამას შეუძლია მისი შვილის მოკვლა: კანონია და სამართალი, თქვენო ხარისხოვნებავ!

რასაკვირველია, რომ ამგვარ მუსაიფს ჩვენი პირველი ხარისხის ლოთი კიდევ დიდხანს გააჭიანურებდა, მაგრამ მუხლისთავებმა ვეღარ იმაგრეს და გაკოტრიალდა ტალახში; მაშინ მეორე მუჟიკმა ხელი სტაცა წამოსაყენებლად და ის კი ააყენა, მაგიერად თვითონ წამოიპლაკა საცოდავი. სასწორივით, ერთი რომ წამოდგებოდა, მეორე დაეშვებოდა ხოლმე და მშველელი არ გაუჩნდათ საწყლებს. მე კი ორივე მივატოვე და მივმართე ერთი სახლისაკენ, სადაც დერეფანში გრძელ ფიცარზე ისხდნენ სოფლელები და იმღეროდნენ; მივედი, მივესალმე, გამარჯობა ვუთხარი და ვკითხე: „სახლი თუ სადმე იცით გასაქირავებელი-თქო?“ მომღერლებმა ამათვალიერ-ჩამათვალიერეს და, რომ ვერ შენიშნეს ჩემს ტანისამოსს ვერაფერი ნიშანი დიდკაცობისა, ყურადღებაც აღარ მომაქციეს; ერთმა კი დაცინებით მითხრა: „სხვაგან იკითხე და შეიტყობ!“ ამ დროს ჩემმა ქუჩერმა მოარიხინა კალასკა და დიდის სიმდაბლით მომახსენა: „თქვენო ბრწყინვალებავ, თუ მოცდას აპირებთ, ერთს საათს მაინც, ნება მიბოძე ცხენები შევასვენო და ქერი ვაჭამოო“. ამ სიტყვებმა ფინთიხივით გაირბინეს მომღერლების ყურებში; ისინი მარდად წამოცვივდნენ ზეზე, მოიშვლიპეს ქუდები და კრძალვით გამომეჭიმნენ. მე ღიმილი მომერია და ვკითხე: „სახლი ხომ არსად იცით გასაქირავებელი-თქო“.

— ამ ჩვენს სოფელში აღარსად გახლავთ. დიდი ხანია, რაც დაქირავდნენ! — მიპასუხა ერთმა ბერიკაცმა.

— მე ერთი-ორი ოთახიც მეყოფა, თუ კი სადმე იშოვება!

— აღარც ოთახები გახლავან ცარიელები, თქვენო ბრწყინვალებავ!

— რაღა გაეწყობა! ე ის სახლი ვისი არის, მოშორებით რომ დგას ტყეში?

— ჩემი გახლავთ! — მიპასუხა თავის ფხანვით ერთმა მუჟიკმა.

— ვინა დგას და რას გაძლევენ ქირას?

— არავინ, ეშმაკები დგანან!

— როგორ თუ ეშმაკები? რათ უწყრები იქ მდგმურებს?

— არა, მართლა ეშმაკები დგანანო, — მიპასუხეს სხვებმაც. მე გაშტერებით შევხედე სახლის პატრონს.

— დიახ, ბატონო, — დაიწყო სახლის პატრონმა, — ეშმაკები დგანან! მას უკან, რაც ის ნემეცი ჩამოახრჩვეს, აღარ გამოლეულან, იქ დგანან!

— ვინ ნემეცი ჩამოახრჩვეს?

— ერთ ზაფხულში ვიღაც ნემეცმა დაიქირავა ის სახლი, მორთო, მოაწყო მდიდრულად და ბარე სამი თვე იდგა, ბოლოს ერთ დღეს ჩამომხრჩვალი ნახეს; ანდერძი დაეტოვებინა და, რადგანაც იმას ნათესავი არავინა ჰყოლია, ყოველიფერი ჩემს ცოლს დაუტოვა: ფულები, რაც იყო, ან ვერცხლეულობა, ვიღაც კაცმა ასწერა: „ჯერ ანგარიშს შევიტყობთ, რადგანაც ფორმა მოითხოვსო, და მერე ისევე დაგიბრუნებთო“;

მაგრამ აგერ ეს მეხუთე წელიწადი გარბის და ჯერ თვალით არსადა ჩანს... ბარგი-ბარხანა კი ჩვენ დაგვიტოვეს, მაგრამ რად გვინდა? ვინ მოჰკიდებს ხელს? ეშმაკებისა არის; ქრისტიანი, მონათლული როგორ შეეხება, სულ ხელუხლებლად იმ სახლშივე ჰყრია და ეშმაკები არახუნებენ ღამ-ღამ...

— რას ამბობ, ბიჭო? მასხრობ, თუ მართლა ამბობ?

— მართლა, თქვენო ბრწყინვალებავ! იმ დღეს აქეთ, ვინც იქირავა, სუყველა გამოჰყარა ეშმაკმა. ველარავინ გასძლო! აშინებენ! და ახლაც, ბატონო, ყოველღამ ისეთი ამბავი აქვთ და ხარხარი, რომ ახლოს ამ სოფლელს ველარავის გაუვლია შიშით! მღვდელიც ბევრჯერ მივიყვანეთ, პარაკლისი გადავახდევინეთ, აიაზმა ვასხურებინეთ, მაგრამ მაინც არა ეშველა რა, ვერ გამოვლიეთ ის ეშმაკები!

— არ შეიძლება, რომ მაქირავოთ ის სახლი?

— მერე-და ეშმაკებს რას უზამთ? არ გეშინიათ?

— ეშმაკების ჯავრი ნუ გაქვთ! ისინი მე არ მერჩიან!.. მაქირავებთ თუ არა?

— თქვენი ნება იყოს! — მითხრა გაკვირვებულმა მუჟიკმა.

— მაშ წამიყვანე და მიჩვენე სახლი!..

ხალხს ისე გაუკვირდა ჩემი გამბედაობა, რომ სუყველა ერთიანად მე გამომყვენ; მივედი, ვნახე, დავათვალიერე სახლი, მართლა-და მომეწონა: სოფელზე გაშორებით, შუაგულ ტყეში, იდგა ერთი მშვენიერი სახლი ხუთოთახიანი, მშვენიერი მოწყობილი და მორთული!

— რას დამჯერდები ქირას? — ვკითხე სახლის პატრონს.

— რაც თქვენი ნება იქნება! ხუთი თუმანი მიბოძეთ, — მითხრა თავის ქექვით.

— მაშ კარგი! ჰა, ეს ერთი თუმანი შენ და სხვას ერთი თვის შემდეგ მიიღებ.

— არ შეიძლება, რომ სულ ახლავე მიბოძოთ? ვინ იცის, რომ რამე აგიტეხონ ეშმაკებმა, ჩამოგახრჩონ თქვენც იმ ნემეცივით, მერე ვინღა გადამიხდის დანაშთენ ფულებს? რაც დაგრჩებათ, იმასაც სხვები წაიღებენ, თქვენო ბრწყინვალებავ!

— მაშ კარგი, როგორც ბარგს გადმოვიტან, იმ დღესვე მოგცემ დანაშთენ ოთხს თუმანსაც და ახლა კი მშვიდობით-თქო, — ვუთხარი და გახარებული დავბრუნდი პეტერბურღში.

მეორე დღეს, დილით, ადრე, რაც გამაჩნდა, ბარგი თუ ბარხანა, გავისტუმრე სოფელში და შუადღემდის აღარ დავდგომივარ გზას. შუადღისას კი მეც გავემგზავრე პარგოლოვოსაკენ; გზაზე ცუდი ნიშანი არა მინახავს რა: არც კურდღელს გადაუჭრია გზა და არც ხუცესი შემომყრია. მხოლოდ ერთი ვიღაც ლამაზი შავწვერებიანი კაცი კი შემომხვდა პეტერბურღისაკენ მიმავალი და ისეთის ბოროტულის დაცინებით დამიწყო ყურება, რომ მე, უნდა გამოგიტყდეთ, არაფრად მიამა.

ერთი ვერსით რომ მივუახლოვდი პარგოლოვოს, გადავხტი ეკიპაჟიდან, ის საურმე გზით გავისტუმრე ცარიელი და მე კი დავადექი საქვეითო გზას, რომელსაც ორპირად, მარჯვნივ და მარცხნივ, ხეები აქვს ჩაყოლებული. ის ხეები იმნაირად დაზრდილან, რომ ერთი პირის ხეების შტოები მეორე პირის ხეების შტოებში გაყრილ-გამოყრილან და იმგვარად შეუკრავთ თაღი, რომ შუადღის სხივები იმ გზაზე ველარ ეცემიან, ადგია მუდამი ჩერო და მის გამო, რა მაგისთანა სიცხე იყოს, მაინც გრილა; ხშირად შუადღეობით გუვერნანტკებს იქ გამოჰყავთ ხოლმე საბურთაოდ პატარ-პატარა ყმაწვილები, მაგრამ იმ დღეს კი ბევრი ვერავინ შევნიშნე, გარდა ერთი ქალისა და მასთან პატარა, სამი თუ ოთხი წლის ყმაწვილისა. იმ ქალმაც შორიდან შემომატანა თვალი, მაგრამ, რომ შემატყო — მეც მივჩერებოდი, ყმაწვილს მოჰკიდა ხელი, დაუწყო რაღაც ჩურჩული, დიდხანს ეჩურჩულა და ბოლოს აიღო ხელში გაშლილი წიგნი და დაიწყო მისი კითხვა. „ამ სიშორეს ეს ყმაწვილი ქალი რას ჩამოუყვანია-თქო, მაგრამ უთუოდ ვიღაცას უნდა მოელოდეს-თქო“, — ვიფიქრე და მივიხედე უკან. უკანიდან მომავალი ვერავინ დავინახე და წინიდან კი რაღაც დამეტაკა ფეხებზე; უცებ მოვიხედე და ვნახე, რომ ჩემ წინ ბურთი კოტრიალობდა; პატარა ყმაწვილი ბაჯბაჯით გამორბოდა და მეძახოდა: „ძია, დაიწილე! დაიწილე ცემი ბუთიო!“ ბურთი ხელში ავიღე და, ყმაწვილი რომ მომიახლოვდა მის სათხოვნელად, ვუთხარი: „რათ მესროლე-თქო?“ — „აღა, მე აღ გესლოლე, ძია! დედამ გესლოლა!“

— მერე რათ მესროლა? კინაღამ ფეხები დამამტვრია!

— მე ღა ვიცი, დედამ გესლოლა! მამეცი ბუთი!..

— ჩემგან ამ ბურთის მოცემა აღარ შეიძლება! ტყვილა ნუ მთხოვ!

— მამეცი, თვალა დედას დაგასმენ!

— რა მენაღვლება! მერე რას მიზამს დედაშენი?

— ღასა და გაგიწყლება.

— როგორ გამიწყრება?

— კუთხეში დაგაყენებს.

— დავდგები, რა მიჭირს?

— ცაის აღალ გასმევს! კაფეტს აღალ გაჭმევს! აღალ გაკოცებს!

— უიმე! ეგ კი საშინელი იქნება! წაიღე, წაიღე! მაგრამ, მოდი, რა ვქნათ მე და შენ: ამას ხომ ხედავ?.. — ამოვიღე ფორთოხალი ჯიბიდან და დავანახვე. — ეს ფორთოხალი ძალიან ტკბილია! თუ გინდა, გავცვალოთ: ეს ფორთოხალი შენ წაიღე და ეგ ბურთი მე მომეცი!

ცოტა დაფიქრების შემდეგ დამეთანხმა, გამომართვა ფორთოხალი; გადაატრიალ-გადმოატრიალა, უსუნა და მერე ისევე შემეშალა: „აღალ მინდა, ისევ ცემი ბუთი მამეცი“. იმან დამიბრუნა ფორთოხალი, მაგრამ თვალები კი გამოაყოლა; ვატყობდი, რომ ორივე უნდოდა და იტანჯებოდა. ბოლოს მეც სიცილი ამიტყდა და ვაჩუქე ფორთოხალი. „დედა, დედა! ძიამ ფორთოხალი მომცა და შეწამეო! აღ მაწენს?“ დედამისმა სიცილით თავი დაუქნია ნიშნად თანხმობისა. ამასობაში მეც მივუახლოვდი და თავდახრილს მინდოდა ისე გამევლო, რომ ჩვეულებრივად არ შემეხედა დედაკაცისათვის, მაგრამ კეკლუცმა ტკბილხმოვნად მომაძახა: „უკაცრავად, ჩემო ბატონო, გთხოვთ, მოგვიტეოთ უმეცარი საქმე!“ მე გავწითლდი, თავი დავუკარი და რაღაც წავილუღლუღე.

— ყმაწვილია და ცელქობს, ჯერ ამან ზრდილობის არა იცის რა, ყველას ეთამაშება! იმედი მაქვს, ტკენით კი ვერას გატკენდათ, მაგრამ ხომ გაგსვარათ? — განაგრძო დედამ.

— ღოდის მელე, დედა? მე კი აღ ვიყავი, შენ აღ გამომალთვი ბუთი? ასე მალე დაგავიწყდა, დედა?

ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, გააწითლეს დედა, მაგრამ მან არ შეიფერა და განაგრძო: „უკაცრავად! ამხელა ყმაწვილებს ძალიან უნდებათ სირბილი და ეს კი არა მშორდება ხოლმე, თუ ბურთი არ გავუგორე: წეღანაც მე წიგნის კითხვით ვიყავი გართული და ისე გავაგორე ალალბედზე... გთხოვთ, მომიტეოთ!“

— რას მიბრძანებთ, ბატონო! ჩემთვის სასიამოვნოც გახლდათ, რას ბრძანებთ, თვითონ მე გახლავართ უკაცრავად, — ვეუბნებოდი სრულიად შერცხვენილი და გაწითლებული. არ ვიცოდი, რა უნდა მექნა: გაჩერებისა და იქ მოცდის მრცხვენოდა და წასვლა კი მეზარებოდა, რადგანაც მისი მშვენიერი სახის კეთილსანდომიანობამ, მისმა კეკლუცურმა მიხვრა-მოხვრამ, მოხდენილმა სიცილმა და ტკბილმა ხმამ, ძველი დარდების აშლით ძველი საყვარელი მომაგონა და ანდამატივით მიმიზიდა. იმ ქალმაც შემატყო აღშფოთება და უფრო დამიხშირა მუსაიფი: „სხვა რომ ყოფილიყო თქვენს ადგილზე, გაუჯავრდებოდა ამ ჩემს შვილს და თქვენ კი ისეთი გულკეთილი ბრძანებულხართ, რომ პირაქეთაც დაასაჩუქრეთ. მაგრამ უკაცრავად, ჩვენ ვზივართ და თქვენ კი ზეზე დგეხართ, დაბრძანდით!“ — დაამატა ეშმაკური სიცილით და გაიწია სკამზე და ხელით მანიშნა, რომ დავმჯდარიყავი მის გვერდით. „დაბრძანდით, თუ არ გეჩქარებათ: დაღალულიც იქნებით, ქვეითად მოხვიდოდით“. მე მადლობა მოვახსენე და, რასაკვირველია, გიჟი არ ვიყავი, რომ უარი მეთქვა: „ნუ მომეშალოს ამისთანა მეხი-თქო“, გავივლე გულში და ჩამოვჯექი...

— თუ პეტერბურღიდან მოდიხართ, ძალიან დაიღლებოდით! — განაგრძო.

— დიახ, პეტერბურღიდან გახლავარ, მაგრამ ეკიპაჟით მოვედი აქამდის; ეს არის, ის ქვენა გზით გავისტუმრე ცარიელი და მე კი ქვეითი წამოვედი ამ გზით; ცოტა არ არის, რომ სიცხეს მოვერიდე: აქ გრილა ძალიან.

— ძალიან კარგი გინებებიათ! ამისთანა სიცხეში მგზავრობა ძნელია! წინ ხომ არავის შეჰყრიხართ?

— როგორ არა! მგონია თქვენი ქმარი გახლდათ, გზაზე შემხვდა...

— რასა ბრძანებთ? მე, ორი თვეც არის, ქმარი საზღვარგარეთ წამსვლია. რათ გეგონათ ის ჩემი ქმარი?

— უკაცრავად, მაგრამ უთუოდ ნათესავი ვინმე იქნებოდა, რადგანაც საშინლად მოჰგავდა, პირთაგან წავარდნილი თქვენი ცალი იყო!..

— შეიძლება! — სიჩქარით მითხრა ცოტა გაწითლებულმა.

— თუ დიდი ხანია აქა ბრძანდებით, უთუოდ დაინახავდით, ამ გზას ის ვერ ასცილდებოდა; დიდი ხანი არ არის, რაც შემხვდა.

— ჰო, ვიღაც შავწვერებიანი კაცი? დიახ, დიახ, გაიარა, მაგრამ არ დავკვირვებივარ, ეგებ მართლა მოჰგავდეს! რა ვუყოთ, კაცი კაცს ემგვანება!..

— დიახ, ემგვანება! — ვუთხარი შერცხვენილმა უხეირო კითხვისაგან.

— ახლა სად მიხვიდოდით? პარგოლოვოში? — განაგრძო ქალმა.

— დიახ, პარგოლოვოში.

— ნაცნობთან?

— არა, მე მანდ ნაცნობი არავინა მყავს! საზაფხულოდ გადმოვდივარ.

— ჰო, მაშ თქვენ ხართ, ეშმაკების სახლი რომ იქირავეთ?

— დიახ, მე გახლავართ!

— მერე არ გეშინიათ იმ უცნაური ამბებისა? — გაკვირვებით მითხრა.

— რა საშიშია? უნდა მოგახსენოთ, რომ არც კი მჯერა.

— მე თქვენ გარწმუნებთ, რომ სწორედ მართალია, ხუმრობა არ გეგონოთ.

— ეგ შეუძლებელი საქმეა! გლეხებს არ დაეჯერებათ: ამაოდმორწმუნენი არიან და მოეჩვენებოდათ.

— კი, მაგრამ მდგმურებმაც რომ ნახეს და, ეს ოთხი წელიწადია, ვეღარავინ დგება იმ სახლში?

— ეგეც არაფერია, მე თქვენ გარწმუნებთ! ცოტა მიზეზი რო არ იქნეს, არ შეიძლება და სხვა კი შიშისაგან წარმოუდგებოდათ. მაგრამ კი იმედი მაქვს, ყოველივე გამოვააშკარაო.

— ღმერთმა ქნას, რომ მაგრე ყოფილიყოს! უფრთხილდით კი მაინც.

— რომ მართლა ეშმაკებიც იყვნენ, რას მიზმენ?

— ჭკუისგან შეგშლიან!

— მოშიში არ გახლავარ!

— რომ ჩამოგახრჩონ? — დაამატა სიცილით.

— არც ის მენაღვლება კიდევ! ეს ოთხი წელიწადია, რაც სიკვდილს აღარ ვერიდები! — ამ სიტყვაზე გაკვირვებით შემომხედა და ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— აწ კი წავიდეთ, დრო არის! — მითხრა და წამოდგა ზეზე. — თქვენც წამოხვალთ, თუ აქ დარჩებით?

— თუ ნებას მომცემთ, მეც გიახლებით, ორივეს ერთი გზა გვაქვს. — გზაზე ბევრი რამ ვიმუსაიფეთ და, სხვათა შორის, ესეც მითხრა: „თუ ვინმემ გკითხოს ჩემი, ასე უთხარი, დიდი ხანია ვიცნობ-თქო, მაგრამ კი არა დაიტრაბახო რა! ყმაწვილებმა ხშირად იციან დაჩემება!“



— მე არ ვეკუთვნი მათ რიცხვს და, რომ ვეკუთვნოდე, ვისთან უნდა დავიტრაბახო? მე ვერავის ვერ ვიცნობ მანდ მცხოვრებელთაგანს.

— ეგ არაფერია, მალე გაგეცნობიან! ჩვენი ქალები მარჯვე არიან მაგგვარებში!

— იმედი მაქვს, იმათ რომ კიდეც მოინდომონ, ჩემი სურვილი არ იქნება და არც გავეცნობი, რადგანაც საზოგადოდ არ გახლავარ მათი მოყვარული.

— ჩემსავით რომ პირიქით გაგეცნონ? — მითხრა სიცილით.

— მათ არ გავეცნობი!

— მაშ მე რად გამეცანით?

— სულ სხვა მიზეზი გახლავს. ამ ოთხი წლის განმავლობაში პირველი ქალი თქვენა ბრძანდებით, რომელთანაც მაქვს ბედნიერება ჩემი სასიამოვნო მუსაიფისა.

— გმადლობთ, რამ შეგაძულათ ქალები?

— უბედურმა სიყვარულმა!

აქ მე მოგონებამ სახე შემიშალა. ქალმა შემატყო და გასწყვიტა საუბარი. ის იყო, ჩვენც შევედით სოფელში; თავი დავუკარი, გამოვეთხოვე და გავსწიე ჩემი ახალი სადგურისაკენ. ნაშუადღევის ხუთი საათი იყო.

ახალ სადგურზე რომ მივედი, ყოველიფერი მილაგებულ-მოლაგებული და დაწმენდილი დამიხვდა, ჩემი მსახურის წყალობით, მაგრამ თვითონ კი ჩემი მსახური ყურებჩამოყრილი დაბრძანდებოდა: ეტყობოდა, რომ ჭორებს მის ყურამდისაც მიეღწია.

— რას მოგიწყენია, ივანე? — ვკითხე ჩემს მსახურს.

— როგორ თუ რას მომიწყენია? ვგონებ, თქვენ ჯერ არ შეგიტყვიათ ამ სახლის ამბავი? აქ დგომა ჩვენ ხელს არ მოგვცემს! — მიპასუხა ცხვირჩამოშვებულმა.

— რატომ? სახლი ამისთანა უნდა. ეს სახლი არის და მეგელი!..

— არა, ბატონო, მაგაზე არ მოგახსენებთ!.. აქ ეშმაკები თურმე ცხოვრობენ!

— იჰ, რაღაც სხვა მეგონა!.. ჯერ ხომ არა გინახავს რა?

— ჯერ არც კი დაღამებულა! ამაღამ კი უთუოდ ვნახავთ.

— მერე შენ რისა გეშინია! შენ ხომ სამზარეულოში იქნები და იქ ეშმაკებს რა უნდა? აქ მე მარტო დავწვები!

— კი, მაგრამ, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ რომ რამე აგიტეხონ?

— ჩემი ჯავრი ნუ გექნება!..

— მაინც საშიშია და მაინც! რომ იქაც შემომიხტნენ, რაღა ვქნა!

— წადი! ნუ სულელობ! არავინ შემოგიხტება!..

— ეჰ, რაღა გაეწყობა! თქვენი ნება გახლდეთ, მაგრამ ცოტა ფული მაინც მიბოძეთ, თქვენო ბრწყინვალებავ!

— ფულები რად გინდა? ეშმაკებს ხომ დაქრთამვას არ უპირებ?

— არა, ბატონო, ცოტაოდენი ოტკა მინდა გადავკრა, ეგების გამაგულადოს — ივანე გაგულადებული წავიდა სამზარეულოში, მე მარტოდ დავრჩი; დავათვალიერე კარგად ოთახები, დავსინჯე, საიდუმლო კარები არსად იყოს, ან კედლებში ან ზედა ჭერში და ან ქვედაში-თქო, მაგრამ ვერაფერი შევნიშნე, თუმცა ხუთი-ექვსი საათიც მეტი

ვჩხრიკე; ბოლოს დავკეტე შიგნიდან კარები და დაღალული ჩავგორდი ქვეშსაგებში.

იმ ღამეს, რაც კი ჩემს სიყმაწვილეში კუდიანობის ამბები გამეგონა, ცხადად ამიხდა: ეშმაკები ჩემ წინ სულ მალაყს გადადიოდნენ! რა ეშმაკური საქმეები არ ჩაიდინეს, ვინ იცის! დიდხანს ამგვარად მაწვალეს და ბოლოს შეკაზმეს კატები, დააწყებინეს ჭენება. ხან სტოლებზე ახტუნებდნენ, ხან სკამებზე და ხან შკაფის თავებზე; მომეტებულის რახირუხისაგან ყურთასმენა აღარ იყო; ამ დროს გამომეღვიძა: თურმე ეს ამბავი სულ სიზმარში მინახავს. კარგად გათენებულიყო. ჩემი მსახური მოსდგომოდა კარებს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ისე აჯაჯგუნებდა და თანაც შემომყვიროდა: „თქვენო ბრწყინვალებავ! ჩამოგახრჩვეს ეშმაკებმა, თუ ისევ ცოცხალი ბრძანდებითო?“ მის ყვირილზე მე სიცილი ვეღარ მოვიჭირვე, მინდოდა ის სულელი შემეშინებინა და ერთი ძროხასავით შევბღავლე; ის დაფეთებული გადავარდა სადღაც და მე კი კარები გავაღე, ჩავიცვი, დავიხურე და გამოვედი მეორე ოთახში ჩვეულებრივად საწერად, ერთი საათის შემდეგ რაღაც ხრიალი მომესმა ჩემს კარებზე, გამოვიხედე და ვნახე, რომ, რაც იმ სოფელში ქალი და კაცი იყო, დიდიან-პატარიანა, სულ ჩემი სახლის წინ მოეყარათ თავი; ზედ კარებზე შემომდგარიყო დიაკვანი, თუმც სახლში შემოსვლას კი ვერ ჰბედავდა, და გალობდა: „ჩვენთან არს ღმერთი“ და სხვანი. როგორც დამინახეს, ერთბაშად მომაყვირეს: „ეშმაკები რა იქნენო?“ თურმე ჩემი მსახური რუსი გაქცეულიყო სოფელში და ყველა დაერწმუნებინა, რომ ჩემი ბატონი წუხელის ეშმაკებს ხარად გადაუქცევიათ და დაბღავისო.

რასაკვირველია, სიცილის ატეხით ვარწმუნებდი ყველას, რომ სიცრუეა, არც ეშმაკი მინახავს და არც კუდიანები-თქო.

მაგრამ ვიღას დავაჯერებდი? ზოგი რას ამბობდა ჩემზე და ზოგი რას!.. ერთმა სთქვა ჩემი: „თვითონ ეშმაკი და კუდიანიაო“, მეორემ: „ახლაც ხარია, მაგრამ, ბევრი რომ ვართ, ერცხვინება და ისევ კაცის სახედ გვეჩვენებაო“, სხვებმაც კიდევ უარესები სთქვეს; მე მათთვის აღარ მიგდია ყური; ივანეს დავუძახე, შემოვიხმე შინ და გადავაკეტინე კარები...

საღამოს, რომ აგრილდა, გამოვედი გარეთ სასეირნოდ და გავერიე მეც ხალხში; სულყოველმა კაცმა მე დამიწყო ყურება, ზოგი შიშითა და პირჯვრის წერით გარბოდნენ ჩემგან და სხვები კი ჩემზე იცინოდნენ; შევატყვე, ბევრს სურდა ჩემი გაცნობა და გამომუსაიფება, მაგრამ მე არავის არ მივაქციე ყურადღება, გარდა ლიდია ივანოვნასი (ეს სახელი ერქვა ჩემს ნაცნობ ქალს). იმას ყოველიფერი, რაც გადამხდა, შეტყობილი ჰქონდა და სიცილით მითხრა: „არაფერია, დღეს კი თქვენ შეაშინეთ მთელი სოფელი, მაგრამ, ეგების, აწ თქვენზედაც მოვიდეს რიგი და ამაღამ თქვენც შეგაშინონო“.

— ეშმაკებმა ხომ არა, რომელნიც ჩემს სახლში ბუდობენ? — ვკითხე მე სიცილით.

— ჰო-და, რა გგონიათ? წუხელი რომ არ შეგაშინეს, მიტომ? — მიპასუხა ლიდიამაც სიცილით. — ეგ არაფერია; დაღალული რომ იყავით, მიტომ აღარ შეგაწუხეს უთუოდ.

— ღმერთმა რისხოს იმ წყეულებს, მაგრამ მე კი მადლობის მეტი არა მმართებს-რა იმათთან: განათლებული ყოფილან და ზრდილობიანი, არა ჰგვანებიან იმ ეშმაკებს, რომელნიც საშუალ საუკუნეებში ისე უზრდელად და ურცხვად აშინებდნენ ხალხს, მაგრამ ეტყობა, რომ მეცხრამეტე საუკუნეს დიდი გავლენა ჰქონია ეშმაკებზედაც.

— ღმერთმა ჰქნას, რომ ხვალაც მაგრე გეხუმროთ, მაგრამ მე კი გირჩევთ, რომ სახლს მოჰშორდეთ!

— თუ კი თქვენი სურვილია, რომ მე არა მხედავდეთ ხოლმე, მაშინ ვეცდები, რომ აღარსად შეგხვდეთ, და ის იქნება, თორემ სახლს რათ უნდა დავანებო თავი?

— მაგიტომ არ მომიხსენებია! მე მხოლოდ თქვენში მივიღე მონაწილეობა და მიტომ გითხარით. განა არ შეიძლება, რომ ამ სოფელშივე დარჩეთ და სადგომი კი გამოიცვალოთ? — მითხრა გაწითლებულმა მოწყენილი სახით და ესეც კი დაამატა: „ბევრს რასმეს გეტყოდით, მაგრამ ამ ხალხში არ მოხერხდება: შიგ პირში შემოგვჩერებიან, და აწ დღეის შემდეგ იმ ალეიაში ვივლი ხოლმე სასეირნოდ, სადაც პირველად მე და თქვენ ერთმანეთი გავიცანით; ამ დროს იქ აღარავინ დასეირნობს და თავისუფლად მუსაიფი ადვილად მოხერხდებაო“. ამით გათავდა იმ დღეს მე და მისი საუბარი; გამოვესალმეთ ერთმანეთს და გავბრუნდით ჩვენ-ჩვენი სახლებისკენ.

მეორე ღამეს, ჩვეულებისამებრ, ავანთე ლამპარი, დავწექ და დავიძინე... შუაღამისას ფეხის ხმა მომესმა მეორე ოთახიდან და გამომეღვიძა, ავდექ, გავიტანე სანთელი მეორე ოთახში, მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ვერავინ ვნახე, კარები კი ისევ ესე დაკეტილი იყო, როგორც მე დავკეტე. გამოვტრიალდი საწოლი ოთახისაკენ თუ არა, მაშინვე ვიღაცამ ზურგს უკან იქვე დამაყარა სიცილი; მოვიხედე, აღარავინ დამხვდა და, ცოტა არ იყოს, დამაფიქრა. ისევ გამოვბრუნდი, კიდევ ის სიცილი მომესმა და ტაშისკვრა; დიდხანს მესმოდა ეს სიცილი და ტაშისკვრა, მაგრამ, რადგანაც იქ ვერავინ ვნახე, ვიფიქრე: „უთუოდ სხვაგან სადმე იცინიან და ეს ჩემი ოთახი იმგვარად არის აშენებული, რომ ბანს აძლევს-თქო“ და შევბრუნდი საწოლში; აღარ მივაქციე ყურადღება სიცილს და ტაშს. რადგანაც ძილიც გატეხილი მქონდა, წიგნის კითხვა დავიწყე; ნახევარი საათი მეტი მესმოდა რახარუხი. ბოლოს, ჩემს ოთახში დაიკრა ჭიანური და მის ხმაზე ააყოლეს რახარუხი. მე გულმა აღარ მომითმინა და უცებ გავვარდი ისევ მეორე ოთახში, მაგრამ რა ვნახე?... არც ჭიანური და არც მისი დამკვრელი არა სჩანდნენ და ხმა კი მშვენიერი ისმოდა ჰაერში და იმ ხმაზე სკამები ხან ერთი, ხან მეორე, ხან ორ-ორი და ხან სულ ერთად, გამოდიოდნენ და რიხინობდნენ თავისთავად, ასე უკაცოდ... ამ სკამების ტანცაობამ ისე შემაქცია და გამაკვირვა, რომ გათენებამდის იმ ოთახიდან აღარ გავსულვარ, სეირს ვუყურებდი. გათენების ხანს ვიღაცამ ჩემი გვერდიდან დაუძახა სკამებს: „ყმაწვილებო, გეყოფათ ტანცაობა, დღეს ეს იკმარეთ და ხვალ სულყველა ოთახები თქვენი იქნება!.. თუ, ვინიცობაა, ეს სულელი, ვიღაც შემოეთრია აქ, ხვალ საღამომდის თავის ნებით არ წავიდა და არ დაგვიცალა სახლი, მაშინ შუაღამისას კიდევ ჩამოვახრჩოთ იმ ნემეცივითო!“ ამ სიტყვაზე სკამები დამშვიდდნენ და მე კი, დღეს სულისაგან დაიმედებულმა, შეუპოვრად მივაძახე ხმას: „შენც ღმერთმა შეგარცხვინოს და შენი შეშინებულიც! მობრძანდი და ხელი მომკიდე, თუ გულს გერჩის, და შენს სეირს გაყურებინებ! მაშინ ვნახოთ, ვინ ვის ჩამოახრჩობს-თქო! და თქვენი კი რაღა მეცოდინება, სკამებო! თუ კიდევ ხვალ ღამაც დაიწყეთ რახარუხი, სულყველას ცეცხლზე დაგადებთ გაუკითხავად-თქო“, — დავამატე გულმოსულმა. ამისთანა მუქარა ბევრი შემომეხარჯა, და კარგად მიხვდები, მკითხველო, რომ ცოტა მეც შემშინებია...

მეორე საღამოს მივაშურე პირდაპირ ალეიას. იქ დამიხვდა ლიდია ივანოვნა, რომელიც, როგორც შევიტყვე, მოუთმენლად მიმელოდა; ღიმილით მომესალმა და მითხრა: „მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით ხარ, მე შიშმა კინაღამ მომკლა: დღევანდელი დღე სულ ჩამომხრჩვალი მგონიხარო!..“ მეც მადლი მოვახსენე და სიცილით ვუთხარი: „დღეს კიდევ გადავრჩი-თქო!“

— გეტყობათ, რომ ვერა ხართ კარგად! როგორღაც სახე შეგშლიათ! — მითხრა მან თანაგრძნობრივის მონაწილეობით.

— არა, მე დღეისთანა კარგად ჯერ სულაც არასოდეს ვყოფილვარ! — ვუპასუხე მე.

— მაშ, უთუოდ, არა გძინებიათ!

— როგორ არა! დილის შვიდი საათიდან დაწყებული თითქმის აქამდის მეძინა.

— დღე... და ღამე რაღას შვრებოდით?

— ღამე? ვლხინობდი, ბალში გახლდი მიწვეული!

— ვისას? — გაკვირვებით მკითხა ლიდია ივანოვნამ. მე აქ ყველაფერი მო

გაგრძელება იხ. გვ. 92

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი №14

სალომეს განზე ერთხელაც არ გაუხედავს. ეშინოდა, ვაკოსთვის თვალებში შეეხედა, რატომღაც გაურბოდა მამაკაცის მზერას. ფიქრებით წარსულს გადასწვდა. ის დღე გაახსენდა, როცა თავის კლასელ გოგონებს გამოუცხადა, მხოლოდ მდიდარ კაცს გავყვები ცოლად. ყოველთვის ხინჯად ჰქონდა გულში, როცა მდიდრულად ჩაცმულ მეგობრებს უყურებდა. ნატრობდა, — ნეტავ, იმდენი ფული მომცა, მეც შემეძლოს მოდური სამოსის ყიდვაო! არადა, მის ოჯახს ბევრის საშუალება არასდროს ჰქონია. იყო დრო, როცა სხვების გამონაცვალი ეცვა, ნახმარი და ზოგ შემთხვევაში, დალაქულიც კი. კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რას ნიშნავდა სიღარიბე. დედა და მამა არაფერს თაკილობდნენ, რომ ოჯახს შემოსავალი ჰქონოდა. სწორედ მაშინ დაისახა მიზნად, მხოლოდ ფულიან მამაკაცზე გათხოვილიყო...

დაამძიმა მოგონებებმა. სკოლის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთ სარეკლამო კომპანიაში დაიწყო მუშაობა. სწორედ იქ შეხვდა ავთოს, რომელიც თავად იყო კომპანიის მფლობელი. მართალია, თავზე არ გადასდიოდა, მაგრამ ხელმოკლეც არ ეთქმოდა. ყოველ შემთხვევაში, სასურველ სასიძოდ ითვლებოდა თანამშრომლებში. სიმპათიური მამაკაცი იყო. ამიტომაც, ყველა გასათხოვარი ცდილობდა მისი გულის მოგებას. არც საღი აღმოჩნდა გამონაკლისი. მუშაობის დაწყების პირველივე დღიდან იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ მიეპყრო მამაკაცის ყურადღება.

ერთხელაც, მშვენიერი შემთხვევა მიეცა. სამსახურიდან გამოსული, ავტოსადგომზე ავთოს გადააწყდა, რომელიც თავის ვერცხლისფერ „მერსედესში“ ჯდებოდა.

— ნახვამდის, — კეკლუცად გაუღიმა შეფს.

— რა-ა? ა! ნახვამდის, — დაბნეულმა მამაკაცმა თვალი გააყოლა მიმავალს.

სალომეს კარგა ხანს ესმოდა ზურგს უკან, როგორ ქოქავდა ავთო ავტომობილს და როგორ უქრებოდა ძრავა. ღიმილი ვერ შეიკავა, მოტრიალდა და უფროსისკენ გაემართა.

— ხომ არ დაგეხმარო რამეში?

ლურჯთვალება დირექტორმა დარცხვენით შეხედა თანამშრომელს. როგორია — კაცი ჭკუაზე არ იყო, ძვირად ღირებული მანქანით თავს აწონებდე ქალებს და უცებ გიღალატოს ამ რკინის ცხენმა?! მაინც არ გაიტეხა იხტიბარი და ოდნავ ირონიული ღიმილით გახედა გოგონას.

— შე-ენ? ქალი რაში უნდა დამეხმაროს?!

— მერე რა, რომ ქალი ვარ?! ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მანქანის არაფერი გამეგება, — ნიშნის მოგებით უპასუხა სალიმ.

— შენ რა, სერიოზულად ამბობ ამას?

სალომეს სიცილი აუტყდა.

— რა თქმა უნდა, გეხუმრე, მაგრამ თუ გინდა, ვინმეს დავუძახებ. ან საჭესთან დავჯდები: მე დავქოქავ, შენ კი შეამოწმე, იქნებ, ისეთი არაფერი სჭირს.

— ა! ეგ კარგი იდეაა. მოდი, მოდი... — ავთომ ძრავა გამორთო, გადმოვიდა და მანქანას წინიდან შემოუარა.

გვერდით რომ ჩაუარა, სალომეს შემთხვევით მის მკლავზე მოუხვდა მკლავი. იმ წამს თითქოს რაღაც მოხდა... თითქოს არც მოხდა.... არა, რაც მართალია, მართალია — ძალიან სიმპათიური მამაკაცია! ტყუილად კი არ იკვნეტენ გოგოები ტუჩებს, როცა მას უყურებენ! ამისთანა კაცის ხელიდან გაშვება არ ღირს!

ავთომ „მერსედესს“ კაპოტი ახადა.

— აბა, ჩაჯექი და დაქოქე! — ისე უბრძანა, როგორც უფროსს შეეფერებოდა.

სალომემაც ისე შეასრულა „ბრძანება“, როგორც ხელქვეითს შეეფერებოდა. კოხტა მოძრაობით ჩასკუპდა მძღოლის სალონში, ფეხი სატერფულს მიაჭირა და გასაღები გადაატრიალა...

— ცოტა ხანს აუშვი! — ბრძანებას ბრძანებაზე იძლეოდა სალომეს სტრატეგიული გატაცების ობიექტი. — ახლა ისევ დაქოქე!

რამდენიმეწუთიანი მცდელობის შემდეგ მანქანა მართლაც დაიქოქა.

— ვაა! რა მაგარია! შენ რომ არ ყოფილიყავი, მარტო ამას ვერ მოვახერხებდი. დაჯექი, სახლამდე მიგიყვან! ეს მინიმალურია, რაც შენი გულისთვის შემიძლია გავაკეთო.

„მაქსიმალური?..“ — საჭირბოროტო კითხვა გულში დასვა სალიმ და პასუხიც თავად გასცა, ასევე გულში — „ცოლად შერთვა“. კმაყოფილმა გაუღიმა სივრცეს და პოტენციური საქმროს გვერდით ამაყად მოკალათდა.

შედეგმაც არ დააყოვნა. მეორე დღეს ავთო მუმლაძემ მას მდივნის ხელით ყვავილები გაუგზავნა, რამაც ოფისში ნამდვილი ფურორი გამოიწვია. სალომემ იფიქრა, რომ აუცილებელი იყო, ბოსს ხლებოდა და საჩუქრისთვის მადლობა გადაეხადა. ასეც მოიქცა...

ერთ ამბავს მეორე მოჰყვა. თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თავის მონწონებაში... გავიდა რამდენიმე დღე და ავთომ პაემანი დაუნიშნა თანამშრომელს — რომანტიკული ვახშამი რომანტიკულ რესტორანში... ჰოდა, სალის მცდელობამაც გამოიღო შედეგი...

ზუსტად 8 კვირის შემდეგ დაქორწინდნენ. აი, ასე მიაღწია მან თავის საწადელს.

— სად ხართ, სალი? — ვაკოს „სიღრმისეულმა“ ხმამ ფიქრებიდან გამოარკვია.

— ჩემს ქმარს ვიხსენებდი და იმ დღეს, როცა გავიცანი, — მშვიდად უპასუხა, — მაშინ ასე მეგონა, ჩემი ოცნების მამაკაცი ვიპოვე-მეთქი.

— ერთი ნახვით შეყვარება იყო? — „ზესიმპათიურმა“ ფეხი ფეხზე გადაიდო და მხრით შეეხო ქალის მხარს.

სალომეს ამ შეხებამ ელეთ-მელეთი დამართა. კიდევ კარგი, ბნელოდა, თორემ მამაკაცი ადვილად შეატყობდა, როგორ წამოწითლდა სახეზე.

ერთი ნახვით შეყვარება არა, ის!!! გოგონას ავთოს სქელი ჯიბე და საბანკო ანგარიშები უფრო აინტერესებდა, ვიდრე თავად მამაკაცი და მისი მომხიბვლელობა, მაგრამ აბა, ამაში ხომ არ გამოუტყდებოდა ერთი საათის წინ გაცნობილ ადამიანს! ეჰ, სულ ტყუილად არ დაიჯერა ანდაზა — ბედნიერება ფულში არ არისო. მერედა, როგორი ჭეშმარიტება აღმოჩნდა?! უპატიებელი შეცდომა დაუშვა, მაგრამ რაღა დროსაა, ახლა გვიანია თითზე კბენანი.

— მაშინ ასე მეგონა, — სინანულით ჩაილაპარაკა.

— და თქვენმა „მეგონამ“ აღარ იმუშავა? — გაეცინა ვაკოს.

ესეც ახალი შეკითხვა. რა უპასუხოს? ასე თუ გააგრძელა, ეს კაცი იმდენ რამეს დასტყუებს, ბოლოს სანანებელი გაუხდება. რა უცნაურია: პირველად შეხვდა ადამიანი, რომელიც ასე ძალიან დაინტერესდა მისი პირადი ცხოვრებით. მისთვის ზედმეტი შეკითხვა აქამდე არასდროს არავის დაუსვამს. სალიმ მხრები აიჩეჩა.

— მას მანია სჭირდა.

— რისი მანია?

— ჩემი გაკონტროლების. ეს კიდევ მსუბუქად არის ნათქვამი. ისე მექცეოდა, როგორც თავის პირად ნივთს.

— ანუ ეჭვიანი იყო?

— საშინლად.

— არადა, შენ სულაც არ ჰგავხარ ისეთ ქალს, რომელიც ვინმეს, ნივთად გამოაყენებინებს თავს. არც ისეთებს მიეკუთვნები, რომელთაც უყვართ, როცა აკონტროლებენ, — ვაკო უეცრად „შენობითზე“ გადავიდა და თავდაჭერილად გაიღიმა, — რატომ აძლევენ ადამიანები თავს უფლებას, განაგონ სხვისი ცხოვრება? არ მესმის, რატომ უზღუდავენ სხვებს თავისუფლებას. არადა, მე პირადად, სწორედ დამოუკიდებლობა მომწონს ქალებში.

— ყველას ინდივიდუალური მიდგომა აქვს. სხვისი განსჯა ადვილია.

— რა თქმა უნდა, მისიც მესმის. როცა გვერდით ამისთანა ლამაზი ცოლი გყავს, მთლად მშვიდად ვერ იქნები.

— მას სილამაზის შეგრძნება ნაკლებად ჰქონდა. არ მახსოვს, ოდესმე რამეზე ეთქვას, ლამაზიაო. მახსოვს, მამიდამ წაგვიყვანა დმანისში, სიონის შემოგარენის დასათვალიერებლად. ერთხელაც არ დასცდენია, რა სილამაზეაო! არადა, მე კინაღამ გავგიჟდი, ისე მომეწონა. მერე, აქეთობისას, ქვეშის ციხეზე გამოვიარეთ. არც იმით დარჩენილა აღფრთოვანებული.

— შენ კი მოგეწონა, არა?

— მომეწონა? ეს ის სიტყვა არ არის. ასჯერ რომ ვნახო, ასჯერვე აღტაცებული დავრჩები.

ეს კარგის მანიშნებელია. არ იქნებოდა ურიგო, ერთხელ ვაკოს წაეყვანა სალომე დმანისში. იქ კიდევ ბევრი რამეა დასათვალიერებელი, მაგალითად, წუღრუღაშენი... მაგრამ... მოისურვებს კი, სალისნაირი სრულყოფილება, მასთან ერთად თუნდაც მცირე ხნით იმოგზაუროს?! ახლა კი ზის მის გვერდით მშვიდად, თუმცა მხოლოდ მამიდის ხათრით, თორემ ხვალ შეიძლება, გამარჯობაც არ უთხრას...

ცხოვრებაში პირველად, ვაკო ღუდუშაურს თავდაჯერებულობამ უღალატა.

იმ შეხვედრიდან 5 დღე გავიდა, მაგრამ სალომეს ვაკოს შესახებ არაფერი გაუგია. ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებულიც კი იყო, — რამ განაპირობა მამაკაცის ასეთი გულცივობა? — მაგრამ არაფერი შეიმჩნია. რა უნდა ექნა? მამიდას ხომ არ დაუწყებდა გამოკითხვას, სად გადაიკარგა ის შენი მოწონებული კაციო?!. ისე, მისი ბრალიც იყო: განა არ გამოუცხადა, შენთან შეხვედრის სურვილი სულაც არ მაქვსო?! რა ეგონა, ხვეწნა-მუდარას დაუწყებდა და ფეხებში ჩაუვარდებოდა?! ეგრე სად ხდება, შუა საუკუნეებში ხომ არ ვცხოვრობთ! რატომ ნანობს ახლა, ასე რომ მოექცა? თვითონ არ გადაწყვიტა მტკიცედ, ცხოვრებაში მამაკაცს სიახლოვეს არ გავიკარებო?!

არადა, მარინამაც შეამჩნია, ვაკო რომ აღარ გამოჩნდა.

— სად დაიკარგა ეს კაცი?! — წამოიწყო საუბარი საღამოს, ვერანდაზე ჩაის რომ სვამდნენ. — ალბათ ძალიან დაკავებულია. რამდენიმე დღეც დავიცადოთ და თუ არ გამოჩნდა, მერე დავურეკავ და სადილზე დავპატიჟებ.

— რა საჭიროა თავის ასე გამოდება, მამიდა?! ხომ იცი, კაცები აღარ მაინტერესებს, — მოჩვენებითი გულგრილობით უსაყვედურა სალომემ.

— შენ გამო არ ვეპატიჟები, საყვარელო, შენ რა შუაში ხარ?! უბრალოდ, ადრე ასე არასდროს მოქცეულა, შემომივლიდა ხოლმე, თუ არა და, შემომეხმიანებოდა, დამირეკავდა, მომიკითხავდა. ახლა კი გაქრა. ღმერთმა ქნას, კარგად იყოს და სულ ნუ მოვა, თუ უნდა, — ხელები გაშალა მარინამ და ირიბად გახედა ძმისშვილს.

იმის გაფიქრებაც კი, რომ ვაკოს შეიძლებოდა, კიდევ ერთხელ შეხვედროდა, მოსვენებას უკარგავდა სალომეს. მან კარგა ხანს დაყო მის გვერდით, სიბნელეში, თანაც სრულიად მარტომ და მიხვდა, რაღაც უცნაურად სასიამოვნო, შეუცნობელი ტალღა რომ მოდიოდა მისგან. ამან შეაშინა. აღელვებდა ისიც, რომ მამაკაცმა სრულიად ადვილად, მხოლოდ თავისი მომნუსხველი თვალებით შეძლო შეეღწია მისი სულის სიღრმეში და აეფორიაქებინა იგი. აჯობებს, მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს და უფრო ახლოს არ მოუშვას, თორემ მის მომაჯადოებელ მზერას დიდხანს ვერ გაუძლებს. იცის ეს სალომემ, თანაც — როგორ იცის!..

მარინას ლოდინი და ვაკოს დაპატიჟება აღარ დასჭირვებია. მათი საუბრიდან მეორე დღესვე, როცა ქალები სიონის ტაძრიდან დაბრუნდნენ, ავტომოპასუხეზე ღუდუშაურის შეტყობინება დახვდათ.

— მინდოდა, ხვალ საღამოს ორივე სადმე დამეპატიჟებინეთ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, — იუწყებოდა ვაკოს ღრმა, გულისმიერი ხმა, — 8 საათისთვის გამოგივლით. თუ ვერ შეძლებთ, დამირეკეთ.

მამიდა, რა თქმა უნდა, აღფრთოვანდა, მაგრამ სალომემ სწრაფად გაანელა მისი სიხარული:

— მაპატიე, მაგრამ არ მინდა წასვლა და საერთოდ, არ მხიბლავს აქ ნაცნობების შეძენა. მირჩევნია, ჩემთვის, წყნარად ვიცხოვრო.

მარინამ საჩვენებელი თითი გადააქნია.

— არ მომწონს, რასაც ამბობ, საყვარელო. მერწმუნე, ვაკო არ გაწყენინებს... არასდროს.

— ეს რა შუაშია?! არც მიფიქრია... რატომ უნდა მაწყენინოს?! ამიტომ კი არ ვამბობ უარს...

— აბა, სხვა რა მიზეზი გაქვს? რა, მონაზონივით ცხოვრება გადაწყვიტე? ასე როგორ შეიძლება?!

— ახლა ამ ხასიათზე ვარ, მამიდა, ძალიან გთხოვ, ნუ დამაძალებ, — მტკიცე ხმით წარმოთქვა სალიმ.

შეიძლება აწყენინოს, შეიძლება — არც... მაგრამ რატომ უნდა წავიდეს რისკზე?! არ ეყო, რაც დაემართა?! კიდევ ერთხელ რომ გაუცრუდეს იმედი, ველარ გადაიტანს. თანაც, ის ქმარგაყრილია, ვაკო კი... რაში სჭირდება ვიღაცის ყოფილი ცოლი?! გასათხოვარი ქალების

მეტი რა არის?! რაღა სალომეზე ამოუვა მზე და მთვარე?!

— ხომ იცი, რომ მაინც არ მოგეშვები. ტყუილად უარობ, სალი. ის ცუდი ადამიანი არ არის. თანაც, განა აუცილებელია, მაინცდამაინც რაღაც ქვეტექსტები ეძებო მის შემოთავაზებაში. უბრალოდ, იმეგობრებთ, მეტი არაფერი.

მიუხედავად იმისა, რომ სალომე ორიოდე წუთის წინ შეხვედრის სასტიკი წინააღმდეგი იყო, მოულოდნელად დათანხმდა.

— კარგი, როგორც გინდა. ბოლოს და ბოლოს, ერთი შეხვედრით არაფერი გაფუჭდება.

— რა უნდა გაფუჭდეს, სიხარულო, რა სისულელეს ამბობ! აი, შენ თვითონ ნახავ, როგორი კმაყოფილი დაბრუნდები.

— რა ვიცი, რა ვიცი...

— შეგიძლია, უკეთ გაიცნო იგი, — მარინა კმაყოფილი ღიმილით არწმუნებდა ძმისშვილს, — 20 წლით ახალგაზრდა რომ ვიყო, მე თვითონ გავყვებოდი ცოლად, შენ კი არ შეგეხვეწებოდი.

— რა შუაშია ცოლად გაყოლა?! კარგი რა, მამიდა! — უკმეხად გამოუვიდა სალის.

მარინამ შემრიგებლურად გაუღიმა.

— მინდოდა მიმენიშნებინა, რომ ის კაცი „ხელსაყრელი ვარიანტია“ შენთვის.

— მე აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ ერთი მამაკაცი დავივიწყო და არა იმისთვის, მეორის ანკესს წამოვეგო! — გააპროტესტა გოგონამ.

აშკარად ჯავრობდა მამიდაზე, მის გარეშე რომ წყვეტდა მისსავე ბედ-იღბალს. მერე რა, რომ ასეთი თვალში საცემი გარეგნობა აქვს?! არც ისეთი „დედა რა ვნახეა“, ქალი გადაირიოს! თანაც, რა დროს სხვა მამაკაცზე ფიქრია, როცა ჯერ წესიერად არც კი გასცილებია ქმარს?!

ასე კი ფიქრობდა, მაგრამ მეორე საღამოს, ვაკო რომ გამოჩნდა — საოცრად კარგ ფორმაში და გონის დაკარგვამდე მომხიბვლელი — სალომემ ვეღარ შეძლო თავის გულთან გამკლავება, რომელიც იდუმალად და გახშირებულად აუჩქროლდა. გონება უკიჟინებდა, გულგრილობა შეენარჩუნებინა და ყოველი ნაბიჯი აეწონ-დაეწონა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა — მამაკაცი მასზე ძლიერ მოქმედებდა... მისი გამოხედვა და ღიმილი მისდა უნებურად აღაგზნებდა.

მერე რა?! ეს არაფერს ნიშნავს, — საკუთარ თავს აიმედებდა სალი, — პირველ თვეებში ავთოც კი აღელვებდა და სერიოზულადაც ფიქრობდა, რომ უყვარდა იგი. შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა. როცა აღმოაჩინა, რა ხილიც იყო მისი უკვე ქმრად მოვლენილი „რჩეული“, მწარედ ინანა, რომ მისთხოვდა. ავთო ახშობდა მის გრძნობებს, სულს უხუთავდა, ყველანაირად იყენებდა. აიძულებდა, ცოლქმრული მოვალეობა შეესრულებინა იქ და იმ დროს, სადაც და როცა ქმარს მოესურვებოდა. სულაც არ აინტერესებდა, იყო თუ არა სალომე ამაზე თანახმა. რა გარანტია აქვს, რომ ვაკოც მისნაირი არ აღმოჩნდება?! რატომ უნდა წავიდეს ამხელა რისკზე?! სანამ დაქორწინებამდე მივა საქმე, ყველას შეუძლია, მამა აბრამის ბატკნად მოგაჩვენოს თავი!

— მზად ხართ? — ვაკომ მაცდუნებელი ღიმილი მიმოფანტა ოთახში და ქალებს გადახედა.

სალომეს ღია ცისფერი კაბა ეცვა, სხეულზე მოტმასნილი და ისე ვნებიანად გამოიყურებოდა, გულგრილად ვერავინ აუვლიდა გვერდს. აბრეშუმივით რბილი თმა კეფაზე ბუჩქად დაემაგრებინა. პატარა, ლამაზ ბიბილოებს ოქროსფერი, გრძელი საყურე უმშვენებდა, ყელს კი ოქროსფერივე წვრილი ჯაჭვი, ფოთლის ფორმის გულსაკიდით.

მკვეთრი მაკიაჟი არ უყვარდა, ყოველდღიურად მხოლოდ პომადას ისვამდა და წამწამებს იტუშავდა. მეტი არც არაფერი სჭირდებოდა, ისედაც კალმით დახატულს ჰგავდა.

ვაკოს დანისლულმა თვალებმა გამოპრანჭული სალომე თავიდან ფეხამდე შეამოწმ-შეათვალიერა.

— თავბრუდამხვევად გამოიყურები, — არცთუ ხმამაღლა წარმოთქვა.

სალომემ ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და შეეცადა, უშფოთველი გამომეტყველება მიეღო.

— ეს ძველისძველი კაბაა, უკვე რამდენი წელია, მაცვია, — თითქოს თავი იმართლა.

— რა მნიშვნელობა აქვს?! როგორიც უნდა იყოს, ეს ფერი ძალიან გიხდება.

— მეც მაგას არ ვეუბნები?! შეხედე, როგორ აკვდება ტანზე, — ჩაერთო ლაპარაკში მარინა, — ვენაცვალე, ძალიან ლამაზი გოგო მყავს.

— შენ ასე აპირებ წამოსვლას? — ღაწვებშეფაკლულმა სალიმ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი და კოპებშეკრული მიაჩერდა მამიდას.

— მე ვერ მოვდივარ, სიხარულო. სამწუხაროდ, უჩემოდ მოგიწევთ წასვლა. წნევა მაქვს მაღალი, წამალი თუ არ დავლიე, შეიძლება წავიქცე.

— რას ამბობ! უშენოდ არსად არ წავალ! — სალიმ აღშფოთება ვერ დაფარა.

— ამ ერთხელ მაპატიე, ჩემო გოგონა, არ მინდოდა შენი წყენინება, მაგრამ რა ვქნა, შეუძლოდ ვგრძნობ თავს. შენც ხომ არ გინდა, ცუდად გავხდე და საღამო ჩაგიშხამო?!

ვაკოს ეშმაკუნები ჩაუსახლდნენ თვალებში. შეუმჩნევლად ჩაიღიმა და თავდახრილმა წარბზე მოისვა ხელი.

— კარგი, მარი, არა უშავს. პირობას გაძლევ, შენს ძმისშვილს მთელი გულისყურით მივხედავ და იმედს არ გაგიცრუებ. წავიდეთ, სალი!

— ეჭვიც არ მეპარება, რომ შენთან უსაფრთხოდ იქნება, ჩემო პატარა მეგობარო, — მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა მამიდამ, — სალომეს გასაღები აქვს, ამიტომ არ იჩქაროთ წამოსვლა. როცა გაგიხარდებათ, მაშინ დაბრუნდით.

— არა, ასე ვერ დაგტოვებ. ვინ იცის, იქნებ...

— მე არაფერი მიჭირს. პირველად კი არ მაქვს მაღალი წნევა! წადით, წადით, საკუთარ თავს მე თვითონ მივხედავ! — ხელი აუქნია მარინამ ორივეს და გატრიალდა.

— მე ადრე დავბრუნდები, მამი, — მოიღუშა სალი, ლამის ცრემლებით აევსო თვალები.

— როგორც გინდა, საყვარელო. ახლა კი წადით, წამალი მაქვს დასალევი და ხელს მიშლით, — მხოლოდ თავი მოაბრუნა მარინამ და მიმავალმა გამომშვიდობების ნიშნად, ხელი დაიქნია.

ვაკო ძველი, შავი „ფორდით“ იყო მოსული. მან წინა კარი გამოუღო სალომეს. ჩაჯდა თუ არა მანქანაში, გოგონას თვალწინ დაუდგა ის დღე, როცა პირველად „ჩაბრძანდა“ ავთოს „მერსედესში“. უსიამოვნოდ გააჟრჟოლა. რა კმაყოფილი იყო მაშინ თავისი თავით! რას იფიქრებდა, ასე თუ შემოუბრუნდებოდა ბედის ბორბალი?! აჯობებს, ახლა მაინც გამოიჩინოს წინდახედულება და გულის კარნახს არ აჰყვეს. უეცრად, ერთ დროს მოდური სიმღერა გაახსენდა: „გულო, არანორმალურო! გულო, გადარეულო! გულო, გაცხელებულო! გამომყევი მე!“ — და კიდევაც აეკვიატა. არა, რა თქმა უნდა, ახლა ისე არ ფიქრობს, როგორც 3 წლის წინ, ახლა ბევრად გაწონასწორებულია და მამაკაცების ფსიქიკაშიც უკეთ ერკვევა, მაგრამ ეშმაკს არ სძინავს, ამიტომ წამითაც არ უნდა მოადუნოს ყურადღება, ცდუნებას უნდა გაუძლოს, თუკი ასეთი „საფრთხის“ წინაშე აღმოჩნდება. ნამდვილად არა აქვს იმის სურვილი, ორჯერ ერთსა და იმავე ხაფანგში გაებას! არაااااااა! „გულო, არანორმალურო! გულო, გადარეულო! გულო, გაცხელებულო! გამომყევი მე!“ — ლამის ხმამაღლა აღიღინდა.

ვაკომ მანქანა რესტორანთან მიაყენა. სალომემ გულდასმით შეათვალიერა სანაპიროზე აღმართული, გაუმჭვირვალევიტრინებიანი შენობა.

— ზღვის დელიკატესები გიყვარს? — მამაკაცმა ძრავა გამორთო და მოხედა.

— ძალიან.

— ჰოდა, აქ უგემრიელეს კერძებს ამზადებენ. იმედია, მოგეწონება.

ოფიციანტმა მარცხენა კუთხეში განთავსებულ მაგიდამდე მიაცილა სტუმრები და მენიუ ვაკოს დაუდო წინ.

— შენ თვითონ აირჩიე, რაც გსურს, — მამაკაცმა მენიუ სალომესკენ გააჩოჩა.

— მე ვერ ვერკვევი დასახელებებში, შენ უკეთ გეცოდინება, რა უფრო გემ-

რიელია, — შორს დაიჭირა სალომ და გაწითლებულმა თვალი აარიდა მოღიმარს. ვერც კი შეამჩნია, უნებლიეთ თავადაც რომ გაუშინაურდა მამაკაცს.

— კარგი, ეგრე იყოს... მაგრამ შენ მაინც მომიყვები იმ ადამიანზე, რომელ-

მაც ასე გაგიცრუა იმედები... შევთანხმდით?

სალომ თვალები დახუჭა. სულაც არ სურდა, თავის უსიამოვნო წარსულზე ელაპარაკა, თანაც, ახალგაცნობილთან. რატომ უნდა ჩააბაროს ანგარიში?! მიუხედავად ამისა, მისდა უნებურად, უეცრად ალაპარაკდა.

— რა ვიცი, აბა, რა გითხრა?.. ის ყველანაირად მბრძანებლობდა ჩემზე. ტანსაცმელსაც კი თავად მირჩევდა, რა უნდა მეყიდა, რა ჩამეცვა... მეგობრებსაც მისი გემოვნებით ვირჩევდი. მანქანა გამიყიდა და მას მერე სულ ბოდიშს მიხდიდა, რომ ახალს ვერ ყიდულობდა ჩემთვის. იძულებულს მხდიდა, შინ ვმჯდარიყავი, არ მემუშავა. როცა თავად მოეპრიანებოდა, მხოლოდ მაშინ თუ წამიყვანდა სადმე... წარამარა მამოწმებდა, სახლში ვიყავი თუ არა.

— ალბათ ჯობდა, კარგად გაგეცნო, სანამ ცოლად გაჰყვებოდი.

— ჰო, რა თქმა უნდა. ძალიან ვიჩქარე. ისე ვიყავი აცეტებული, თვალთ დამიბნელდა. ასე მეგონა, მის გარდა სხვა მამაკაცი არ არსებობდა. ის იმ ფირმის ხელმძღვანელი იყო, სადაც მე ვმუშაობდი. ისე მაწონებდა თავს, რომ... ერთი სიტყვით, ადვილად დამახვია თავბრუ. მეც ახალგაზრდა ვიყავი და სიყვარულმა დამაბრმავა.

— ახლა რა, ბებერი ხარ?

— არა, ბებერი არა ვარ, მაგრამ მეტი გამოცდილება დამიგროვდა. ისე ადვილად აღარ მოვტყუვდები, — ამოიოხრა სალომ.

არადა, ხომ არ იტყვის, სიხარბემ მძლია და ავთოს ქონებამ დამიბნელა გონებაო?! ეს რომ გაიგოს, ზედაც არ შეხედავს ალბათ. შეხედავს კი არა, საერთოდ დაეკარგება მასზე წარმოდგენა. არა, რა სისულელეა, ამას როგორ ეტყვის?! თუმცა, ავთო რომ კარგი ადამიანი ყოფილიყო, სალი ოჯახს არ დაანგრევდა. მერე რა, რომ ანგარებით გათხოვდა? სრულიად უცნობ ადამიანებს მიჰყვებიან ცოლად, როცა გარიგებით ქმნიან ოჯახებს, მაგრამ სიყვარული მაშინაც მოდის.

— ახლა კი ყველაფერი დამთავრებულია და არ მსურს ამაზე ლაპარაკი. მინდა, მასთან გატარებული ყოველი დღე ამოვშალო ჩემი მეხსიერებიდან.

— ჯერ კიდევ გიყვარს?

— არა, რას ამბობ! — შეცბუნებულმა წამოიყვირა.

ვაკომ წარბები შეყარა.

— მე კი ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თავს არ აძლევ მისი დავიწყების უფლებას. ვხედავ, რომ იგი გამუდმებით არსებობს შენს ცნობიერებაში. ჩემი აზრით, საიმედო მეგობარი გჭირდება, რომელიც გაგართობს, გადატანილ უსიამოვნებებს ადვილად დაგავიწყებს... ისეთი, ვინც გაგაცინებს, გაგამხიარულებს, გაიზიარებს შენს დარდს, სულიერად დაგიახლოვდება...

— როგორც ვატყობ, საკუთარ თავს უწევ რეკომენდაციას, არა? — დამცინავმა ღიმილმა გაუპო ბაგე სალომეს.

მართლაცდა, რა სასაცილოა! რომელ მეგობრობაზე ელაპარაკება ეს კაცი?! ვის გაუგია ქალისა და მამაკაცის მეგობრობა?! ალბათ საყვარლობას გულისხმობს „ზესიმპათიური“. ეს მის თვალებშიც ნათლად ჩანს, ხარბად რომ მისჩერებია სალის სხეულს. რას გულისხმობს გამხიარულებაში? ჰა-ჰა-ჰა! მეგობარი! ვის ასულელებს, თუ იცის, ნეტავ?! კი, როგორ არა! ახლავე ჩაუგორდება ლოგინში, ოღონდ კი მოისურვოს!

— სწორად მიმიხვდი... რა თქმა უნდა, თუკი შენ არ იქნები წინააღმდეგი, — სრული სერიოზულობით უპასუხა მამაკაცმა, თუმცა თავადაც გრძნობდა, როგორ გაუძნელდებოდა ეს.

ვაკო მართლაც, გულწრფელ მეგობრობას სთავაზობდა გოგონას, თუმცა იცოდა, ცდუნებას დიდხანს ვერ გაუძლებდა ასეთი ღვთაებრივი არსების გვერდით. უაზრობაც კი იყო მისგან მსგავსი წინადადება. ბოლო დღეების განმავლობაში ჯოჯოხეთური განცდები ჰქონდა, მაგრამ სალომეს გამო მზად იყო, ყველაფერი მოეთმინა. პირველ რიგში, უნდა ეცადა, მისთვის მამაკაცების რწმენა დაებრუნებინა. ყოველი შემთხვევისთვის, ვაკო დაჟინებით არწმუნებდა თავს იმაში, რომ მისი უმთავრესი მიზანი ეს იყო.

სალომე კარგა ხანს გამომცდელად მისჩერებოდა.

— მეგობარი მამაკაცი ჯერჯერობით არ მყოლია. მაინცდამაინც არ მჯერა ქალისა და მამაკაცის მეგობრობის. ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ორ საპირისპირო სქესს ერთმანეთისკენ მხოლოდ ერთი რამ იზიდავს. ეს კი, გულახდილად გეტყვი, საზიზღარი შეგრძნებაა.

— საზიზღარი?! რას მეუბნები! ეს ხომ ყველაზე ბუნებრივი რამეა დედამიწაზე, ყველაზე გულწრფელი და აუცილებელი! შემთხვევით, მეუღლემ ხომ არ ჩაგაგონა მსგავსი აზრები? — ვაკომ ძლივს შეიკავა ბრაზი და ენას კბილი დააჭირა, რომ კიდევ რაიმე საშინელება არ ეთქვა.

— ჩემი მეუღლე რა შუაშია?! მე ჩემი შეხედულებები მაქვს, — იწყინა სალომ.

— მე კი ვხედავ, რომ შენ ცდები შენს შეხედულებებში, — არ დაუთმო მამაკაცმა, — ძალიან ბევრი ქალი და კაცი ვიცი, რომლებიც მეგობრობენ ყოველგვარი „იმნაირობის“ გარეშე.

— რატომღაც, მე არ ვიცნობ ეგეთებს...

— უბრალოდ, სიტყვაზე დამიჯერე. მომყევი და თავად დარწმუნდები, რომ ასეა. აბა, რას იტყვი? — ჰკითხა და ხელი გაუწოდა. — დავმეგობრდეთ?

ვაკო გულის სიღრმეში ელოდა, რომ სალომე არ მიიღებდა მის წინადადებას და მზად იყო, აქედანვე შერიგებოდა ამ აზრს. არადა, რა სამწუხაროა, რომ ვერასდროს გაიცნობს ახლოს ამ უმშვენიერეს არსებას, ვერასდროს დაიახლოებს მას ისე, როგორც ეს რომანებში ან თუნდაც ფილმებში ხდება. შეიძლება, ეს უკეთესიც იყოს მისთვის — ნაკლები თავსახეტი ექნება მომავალში. ამ განცდებში იყო, რომ მოულოდნელად მის გამოწვდილ ხელს სალომ თავისი ნატიფი თითები შეაგება.

— მაგრამ მხოლოდ მეგობრები ვიქნებით, — ოდნავ ჩახრინწული ხმით წარმოთქვა, — და მეტი არაფერი.

— შევთანხმდით! — მამაკაცმა მძლავრად ჩამოართვა მარჯვენა და ძლიერმა სურვილმა წამოუარა, ეს შეთანხმება კოცნით დაეგვირგვინებინა, მაგრამ ამის მაგივრად, მხოლოდ დაჟინებით ჩააშტერდა გოგონას დამფრთხალ თვალებში. რა ლამაზი თვალები აქვს ამ ოხერს! და რამხელა ცეცხლია მიმალული მათში!

წამით საგონებელში ჩავარდა. ეს რა ჩაიდინა?! შეძლებს კი, ბოლომდე კეთილსინდისიერად შეასრულოს პირობა? განა არ გაუჭირდება ამ ახალი, მისთვის უჩვეულო როლის თამაში? როდის იყო, ქალებთან „უიმნაიროდ“ მეგობრობდა?! ფაქტობრივად, ტყუილი გამოუვიდა. იმდენად დაძაბა შექმნილმა სიტუაციამ, სასწრაფოდ შეუშვა ქალს ხელი, თან შეეცადა, ფართოდ, მეგობრულად გაეღიმა.

— პირობას გაძლევ, არ ინანებ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მარი ჯაფარიძე

ანამ ცოტა ხანს შეიცადა და შორიდან დააკვირდა ირაკლისა და „ვარდისფერ-ტრუსიანი“ მამაკაცის ლაპარაკს. ისინი ერთმანეთს თბილად უღიმოდნენ და მეგობრულად საუბრობდნენ. ქალს მოსწყინდა სამალავში დგომა და ირაკლისკენ მტკიცე ნაბიჯით გაემართა. მამაკაცი წამოდგა და შეეგება.

ვანიკომ ანას დანახვაზე გაიღიმა და გვერდზე გადგა. ანამ მას ხელი ჩამოართვა და სკამზე მოკალათდა.

— თქვენ ერთად ხართ? — ჟურნალისტმა ირონიულად ჩაიცინა.

— დიახ, შემთხვევით აღმოვჩნდით ერთ სასტუმროში, ისე კი ერთმანეთს დიდი ხანია, ვიცნობთ.

— კარგი, აღარ მოგაცდენთ და სასიამოვნო დასვენებას გისურვებთ, — ვანიკო წყვილს გაეცალა.

— იცნობ ამას? — ანამ თავი იქით გააქნია, საითაც მამაკაცი წავიდა.

— დიდი ხანია.

— მერე?

— მერე არაფერი. ადრე ჩემთან ინტერვიუ გააკეთა. მაშინ „დავმეგობრდითსავით“.

— ენდობი?

— ჟურნალისტები სანდო ხალხი არაა, მაგრამ არა მგონია, რამე დაგვიშავოს. რატომ შეშფოთდი ასე?

— გუშინ მთელი დღე ვერ მოვიცილე. უამრავ კითხვას მისვამდა და მომეჩვენა, რომ ძალიან მიკირკიტებდა.

— ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ: შენ ხომ ძალიან ლამაზი ქალი ხარ, ის კი ჩვეულებრივი მამაკაცია, რომელიც შენთან დაახლოებას ცდილობდა.

— არა მგონია, ასე იყოს საქმე, — ანამ თავი გადააქნია.

— მოვედი! ირაკლი, გამარჯობა, — ნუგზარმა ხელი გაუწოდა.

მამაკაცები ერთმანეთს მიესალმნენ. საუზმის განმავლობაში ანას ენა არ გაუჩერებია. ნუგზარს ნატოს შესახებ უამბო და სთხოვა, ამ საქმისთვის ხელი მოეკიდა.

ანამ თავისი წინა დღის ჩანაფიქრის განხორციელებაზე ზრუნვას მიჰყო ხელი და საუზმის შემდეგ ირაკლისთან ერთად, მთელი დღე გასაყიდი სახლების დასათვალიერებლად დადიოდა. დღის ბოლოს, როგორც იქნა, ერთ-ერთ მათგანზე შეაჩერა არჩევანი. ბათუმის გარეუბანში, უზარმაზარი კერძო სახლი მოეწონა, ძალიან ლამაზი ეზოთი და აუზით. სახლი ავეჯითაც გაწყობილი იყო.

— ამას ვყიდულობ! — გამოუცხადა უძრავი ქონების ფირმის თანამშრომელს, რომელიც მთელი დღე მის დევნაში დაღლილიყო და ახლა მოწყენილი სახით იდგა. როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ ანა ამ სახლსაც დაიწუნებდა ან ფასს ვერ შესწვდებოდა და ტყუილად ათვალიერებდა ყველაფერს ასე გულდასმით.

— გილოცავთ, ქალბატონო! — უცებ გამოცოცხლდა კაცი და გახარებულმა, მაშინვე ხელშეკრულების გაფორმება მოინდომა, მაგრამ ანამ დაღლილობა მოიმიზეზა და ეს საქმე მეორე დღისთვის გადადო.

საღამოს, ვახშამზე ნუგზარის ანგარიში მოისმინა, თუმცა ახალი ვერაფერი გაიგო.

— ჯერ მხოლოდ ერთი დღე გავიდა, — დამნაშავესავით იმართლა თავი ნუგზარმა და უხერხულად ჩაახველა, როცა ანას უკმაყოფილო მზერა შენიშნა.

— კარგი, თავს ნუ იმართლებ, მე ხომ არ გსაყვედურობ, — ანამ ხელზე ხელი დაადო, — გვიანია უკვე, მგონი დროა, დავიშალოთ, — ანა წამოდგა. მამაკაცები უკან მიჰყვნენ.

„მეგონა, რომ პირველივე დღე შედეგს მოგვცემდა და ნატოს შესახებ რამეს მაინც გავიგებდი. რა უნდა მომხდარიყო, რომ ეს გოგო ასე უკვალოდ გამქრალიყო? ნეტავ, მართლა ცოცხალი იყოს და ნუგზარი მიწიდან ამოთხრის. მთავარია, რაიმე ძაფს ჩაეჭიდოს, რომ ხელმოსაჭიდი ჰქონდეს“, — ფიქრობდა ანა.

ის ზღვის ნაპირზე იჯდა და კენჭებს წყალში ისროდა. მთვარე არემარეს ანათებდა და ზღვაზე გრძელ, ნათელ ბილიკს ტოვებდა. ანა სასტუმროდან გამოპარული იყო და ზღვასთან განმარტოვდა. ფიქრით წარსულში მოგზაურობდა და სტუდენტობის წლებს იხსენებდა... სტუდენტობამ ლევანი გაახსენა, ლევანმა — ანა... გული სასიამოვნოდ მოეწურა...

— ანა, აქ რას აკეთებ? მთელი საათია, დაგეძებ, ბოლოს ვიფიქრე, რომ აქ იქნებოდი და მოგაგენი კიდეც, — ქალს ირაკლი წამოსდგომოდა თავს.

— ვფიქრობ.

— რაზე, თუ საიდუმლო არ არის?

— ანაზე.

— რა გადაწყვიტე — როდის უნდა გაეცნო საკუთარ შვილს, როგორც დედა? — ირაკლი უკან მიუჯდა, ფეხები გაშალა, ანა ფეხებს შორის მოიქცია და ხელები მოხვია.

ანამ თავი მკერდზე მიაყრდნო და გაირინდა. კარგა ხანს ისხდნენ ასე. ირაკლი მის შიშველ მკლავს ხელს აყოლებდა, თავზე კოცნიდა და ისე ექცეოდა, თითქოს ანა სატირლად მომზადებული პატარა ბავშვი იყო და ნუგეში სჭირდებოდა. მამაკაცმა ხელები მკლავების ქვეშ გაუტარა და წელზე მოხვია. თითქოს მარწუხებში მოიქცია. შემდეგ ხელი მკერდზე ააცოცა და ქალი მკლავზე გადაიწვინა...

კარგა ხანს გაგრძელდა მათი ალერსი. ზღვიდან მონაბერი გრილი ნიავი ანას თმას უწეწავდა და ქალის ბაგეთაგან აღმომხდარი კვნესის ხმა შორს მიჰქონდა...

— წავიდეთ, ანა, ნომერში ავიდეთ, — მამაკაცი ძლივს მოსწყდა საყვარელი ქალის ბაგეს, რომ ეს რამდენიმე სიტყვა ეთქვა ჩურჩულით...

დილით ანამ გვერდი იცვალა და შეეცადა, თავისი საყვარელი პოზა მიეღო — მას პირქვე ძილი უყვარდა. ერთ ფეხს გაშლიდა, მეორეს კი ბალერინასავით მოხრიდა და მთელ საწოლს იკავებდა. ახლა კი რაღაცამ ხელი შეუშალა. გაახსენდა, რომ ირაკლის გვერდით იწვა და თვალები უცებ გაახილა. მამაკაცს მშვიდად ეძინა, სახეზე მზის სხივი მისდგომოდა. ანამ საწოლში ხელი მოაფათურა და პულტი მოძებნა. ფარდები ბოლომდე დახურა, რომ მზეს არ შეეწუხებინა. შემდეგ მამაკაცს ჩაეკრა და სცადა, ძილი შეებრუნებინა. კარგა ხანს იწვალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და გადაწყვიტა, ამდგარიყო. როგორც კი საწოლზე წამოჯდა და ფეხები ძირს ჩამოუშვა, ირაკლიმ მკლავზე ხელი სტაცა და უკან შეითრია...

თითქმის მთელი დღე ნომერში გაატარეს. გარეთ არც გაუხედავთ, საუზმეც და სადილიც იქვე შეუკვეთეს და საწოლში მიირთვეს. არც არავის შეუწუხებია, ნუგზარი მხოლოდ საღამოს გამოჩნდა და ანას შეხვედრა სთხოვა.

— არის რამე ახალი? — ნუგზარის ოთახში ქარიშხალივით შეიჭრა ანა.

— ჰო, რაღაც სიახლე გვაქვს: ნატოს კვალს თურქეთში მივყავართ. დავადგინე ერთი ადამიანის კოორდინატები, რომელსაც გოგონა ეკონტაქტებოდა. ის ახალგაზრდა მამაკაცია, რომელსაც თურქეთთან მჭიდრო კავშირი აქვს და ინფორმატორი ვარაუდობს, რომ სწორედ მან გადაიყვანა თურქეთში და გაყიდა. თავიდან

თურმე ის გოგონას აშანტაჟებდა... არ ვიცი, რა ჰქონდა ხელჩასაჭიდი, მაგრამ რაღაც იცოდა ისეთი, რისი გამჟღავნებაც ნატოს არ სურდა და ინფორმაციის დაფარვაში ფულს სთხოვდა. ბოლო 3 წლის განმავლობაში თვეში 500 დოლარი მიჰქონდა თურმე მასთან.

— ეს კაცი ვინაა? სახელი და გვარი გაიგე? — ანა მონაყოლმა აღაშფოთა.

— კი, გოდერძი ქათამაძეა.

— გოდერძი ქათამაძე? — თავისთვის ჩაილაპარაკა ანამ. — რა ნაცნობი სახელი და გვარია...

— მეც მეცნო, მაგრამ საიდან — ვერ გავიხსენე.

— ნუგზარ, ეს ბელას დედას „სუტენიორი“ ხომ არ არის? აბა, გაიხსენე, მე მგონი, ბელას ბებიამ სწორედ ეს სახელი და გვარი ახსენა. წესით, მეხსიერება არ უნდა მღალატობდეს.

— სწორია, ანა! — წამოიძახა გახარებულმა ნუგზარმა. — მთელი დღე ვფიქრობ და ვერაფრით გავიხსენე, სად მქონდა გაგონილი. ახლა კი ეჭვი არ მეპარება, რომ ის არის.

— რა უნდა ვქნათ?

— ამ კაცის მისამართის გაგება საჭირო ხალხს დავავალე და იმედია, ხვალამდე ყველაფერს დავადგენთ. როგორც ვიცი, ბათუმელია. აქ უნდა ცხოვრობდეს.

— ჰოდა, ძალიან კარგი. მაშინ ხვალინდელი დღე ალბათ ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. აქაური პოლიცია დაგეხმარება რამეში?

— კი, როგორ არა?! მისამართსაც ეგენი დამიდგენენ. თან მითხრეს, რომ შენ შეჰპირებიხარ, თუ საქმეს გავხსნი, მაგათ ჩაეთვლებათ.

— ჰო, მაგას უშენოდ შევპირდი, მაგრამ იმედია, ამის წინააღმდეგი არ იქნები.

— რა თქმა უნდა, არა, — გაიცინა გამომძიებელმა.

— ჰოდა, მაშინ ყველაფერი რიგზე ყოფილა.

ანა გავიდა. მთელი ღამე ნუგზარის ნაამბობზე ფიქრობდა და ცდილობდა, წინასწარ გამოეცნო, როგორ ვითარდებოდა მოვლენები ნატოს ცხოვრებაში და რა გადახდა თავს. მხოლოდ გამთენიისას ჩაეძინა. შუადღეს ტელეფონის ზარმა გააღვიძა.

— ანა, ნომერში ხარ? — ნუგზარი აღელვებული ჩანდა.

— ჰო, რა იყო? ხომ მშვიდობაა? — ანამ სახეზე ჩამოშლილი თმა ყურებზე გადაიწია და ირაკლის შეხედა. მას მშვიდად ეძინა.

ორიოდე წუთის შემდეგ, ნუგზარი ოთახში ბოლთას სცემდა, ანა კი გაოცებული სახით დაჰყურებდა მის მიერ მოტანილ გაზეთს, სადაც პირველ გვერდზე მისი და ირაკლის სურათი იყო დაბეჭდილი: ვიღაცას იმ ღამეს გადაეღო, როდესაც ისინი მთვარის შუქზე ერთმანეთის ალერსში იყვნენ გართულები. სურათს უზარმაზარი სათაური ამშვენებდა — „Ultrix! ვინაა ანა კალდერონი და რა აკავშირებს მას ირაკლი ნუცუბიძესთან“.

მასალას ვანიკო თუთბერიძე აწერდა ხელს. მას ახლო ხედით გადაღებული, ანასა და მისი მანქანის ფოტოები ახლდა.

ქალი ცდილობდა, კითხვისას სიმშვიდე შეენარჩუნებინა; თავის შეკავებას ძლივს ახერხებდა. სტატიის ავტორს მის შესახებ უამრავი ინფორმაცია მოეპოვებინა... რაც მეტს კითხულობდა, მეტად ღიზიანდებოდა. შემდეგ, გაზეთი ნერვიულად მოჭმუჭნა, გამწარებულმა ნაკუწნაკუწ აქცია და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ნუგზარი ხმას არ იღებდა, ანას მოქმედებას თვალს ადევნებდა და ცდილობდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო, რადგან გაბრაზებულ ანას პირველად ხედავდა და არ იცოდა, როგორი რეაქცია ექნებოდა მის ამა თუ იმ ქმედებაზე.

— კარგი, ნუგზარ, გმადლობ, რომ დილაუთენია ასე გამახარე ამ პუბლიკაციით. ამ ნაბიჭვარს თავბედს ვაწყევლინებ, — ჟურნალისტს დაემუქრა ანა და მამაკაცს აგრძნობინა, რომ მარტო დაეტოვებინა.

ნუგზარის წასვლისთანავე საძინებელში შევარდა, ტანისამოსი გამოიცვალა, თმა კუდივით გამოინასკვა და ვანიკოს ნომრისკენ მტკიცე ნაბიჯით გაემართა.

სახელური ისეთი ძალით დაქაჩა, ლამის ხელში შერჩა, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდა. უკან გაბრუნდა და პორტიესთან იკითხა მისი ადგილსამყოფელი. აღმოჩნდა, რომ იმ დილით სასტუმროსთან ანგარიში გაესწორებინა და წასულიყო.

ანა თავის ნომერში დაბრუნდა და დივანზე გაგულისებული დაეხეთქა.

— რა ხდება? რატომ ხარ გაბრაზებული? — საძინებლიდან გამოსულმა ირაკლიმ გაზეთის ნახევებს დაასო თვალი, წამოკრიბა და მათი შეერთება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. — აღარ იტყვი, რა მოხდა?

ანა დუმდა.

— კარგი, რადგან ხმას არ მცემ, მე თვითონ დავადგენ, — ირაკლი ოთახიდან გავიდა. ცოტა ხანში უკან მობრუნდა. ხელში გაზეთი ეჭირა და პირველ გვერდს ინტერესით აკვირდებოდა.

— დატკბი? — ჰკითხა ანამ.

— ნაბიჭვარი! — კბილებში გამოცრა მამაკაცმა.

— შენ კიდევ ამბობდი, არაფერს დაგვიშავებსო. თან, წასულა კიდეც. მაგრამ სად წავა?! საქართველოს ხომ ვერ გასცდება! — ანა სიბრაზისგან კბილებს აკრაჭუნებდა. — მე დღესვე მივდივარ თბილისში, — თქვა ბოლოს.

— მეც მოვდივარ. აქ უშენოდ ხომ არ დავრჩები. მაგრამ იქნებ, არ ღირს აჩქარება? 1-2 დღე გავჩერდეთ და მერე ჩავაკითხოთ. სად გაიქცევა?! თანაც, ეგ შენი საქმე არაა, მე დაველაპარაკები.

— არა, მე უნდა ვნახო! — გადაჭრით თქვა ქალმა.

— ანა, მომისმინე, საყვარელო. დაივიწყე, რომ მარტო იყავი და ყველაფერს თავად წყვეტდი და აკეთებდი. აქამდე თუ ქალიც იყავი და მამაკაციც, ახლა მხოლოდ ქალი იქნები. მამაკაცის საქმეს მე გავაკეთებ. ყველაფერს შენს თავზე ნუ იღებ, მეც დამაცადე.

— არ შემიძლია, ირაკლი. მე ჩემი ანგარიში მაქვს ცხოვრებასთან და იმ ადამიანებთანაც, ვინც რამეს დამიშავებს.

— ხანდახან მართლა მგონია, რომ კაცი ხარ, — თავი გააქნია ირაკლიმ.

— ხანდახან მეც ასე მგონია.

— მაშ, გამოდის, ხანდახან გეი ვყოფილვარ, — გადაიხარხარა მამაკაცმა.

— ხუმრობის გუნებაზე არა ვარ, — წარბი არ გაუხსნია ანას.

თუმცა ირაკლის დარიგება ყურად იღო და გადაწყვიტა, რამდენიმე დღე დარჩენილიყო. მანამდე ნატოს ამბავზეც რაიმე გაირკვეოდა.

ანა მთელი დღე ვერ იყო გუნებაზე. საღამოს კი ცოტა გამოუკეთდა ხასიათი და გადაწყვიტა, ირაკლისთან ერთად გაესეირნა. მაგრამ ნუგზარის ზარმა ყველაფერი შეცვალა. ის შეხვედრას სთხოვდა.

— ანა, მისამართი გავიგე. ტელეფონის ნომერიც. ახლა ალბათ მასთან უნდა მივიდეთ. შესაძლოა, შენი დახმარება დამჭირდეს.

— კარგი, ერთად წავიდეთ. ოღონდ ირაკლის „მოვტეხავ“, რომ არ აგვეკიდოს, — ანამ თვალი ჩაუკრა გამომძიებელს.

ცოტა ხნის შემდეგ საჭირო მისამართზე იყვნენ და კარზე აკაკუნებდნენ. შინ არავინ დახვდათ.

— ვის ეძებთ? — კარის მეზობელმა ქალბატონმა გამოხედა სტუმრებს.

— გოდერძის.

— თქვენი შვილი ან ნათესავიც ხომ არ წაუყვანია თურქეთში?.. ეგ მთელი დღე სახლში არაა, სულ გასულია და გვიან ბრუნდება, ისიც — ხანდახან.

— ბოლოს როდის ნახეთ? — ნუგზარმა დრო იხელთა და ქალის გამოკითხვა გადაწყვიტა.

— ალბათ 1 კვირის წინ. სულ თურქეთშია: აქედან ახალგაზრდა გოგონები მიჰყავს და იქ ყიდის, მაგრამ ამ ყველაფერს ისე აკეთებს, რომ დანაშაულსაც ვერ უმტკიცებენ. იცის, ვინ უნდა წაიყვანოს...

— მაგას როგორ ახერხებს? — გაოცდა ანა.

— არ ვიცი, გენაცვალე. ყველამ იცის, ეს კაცი რითაა დაკავებული, მაგრამ ჯერ პასუხი ვერავინ აგებინა. თვითონ ის გოგონები არიან უარზე და არ უჩივიან. რას უკეთებს ასეთს, არ ვიცი.

— გმადლობთ, ქალბატონო.

— თქვენ პოლიციიდან ხომ არ ხართ? — დაინტერესდა ენაჭარტალა მეზობელი.

მისი კითხვა უპასუხოდ დატოვეს. გადაწყვიტეს, გოდერძის ტელეფონით დაჰკავშირებოდნენ და თუ მოახერხებდნენ, შეხვედრაზე დაეთანხმებინათ.

— უკაცრავად, გოდერძი ბრძანდებით? — ანამ ხმა შეიცვალა, თითქოს თავისი ხმით რომ დალაპარაკებოდა, გოდერძი იცნობდა.

— დიახ.

— მითხრეს, რომ შეგიძლიათ, თურქეთში სამსახური მიშოვოთ. თქვენი ნახვა მინდოდა.

გოდერძი ცოტა ხანს შეყოვნდა, მაგრამ როგორც ჩანს, მაინც გადაწყვიტა, შეხვედრაზე დასთანხმებოდა.

ერთ საათში „ინტურისტის“ შესასვლელთან ანა გოდერძის შეხვდა. ნუგზარი კი იქვე იყო ჩამომჯდარი, თითქოს ქალს არც იცნობდა.

— ლამაზი ხარ. შენ სამსახურს იოლად იშოვი, — მუშტრის თვალით ახედ-დახედა მამაკაცმა, — მაგრამ რა გაგიჭირდა ისეთი, რომ თურქეთში წასვლა გინდა? — „შენობით“ ფორმაზე გადავიდა გოდერძი.

— საქართველოდან უნდა წავიდე, — ანამ მიიხედ-მოიხედა და იდუმალი გამომეტყველება მიიღო, — ძებნილი ვარ, რაც შეიძლება მალე უნდა წავიდე აქედან.

— ოო, ეს ლამაზი ქალი კრიმინალია?!. მკვლელი ხარ? — გოდერძიმ კბილები გამოაჩინა. — საღამოს აი, ამ მისამართზე მოდი და ყველაფერზე შევთანხმდებით. — მამაკაცმა ხელში ქაღალდის ნაგლეჯი ჩაუდო, რომელზეც ანასთვის კარგად ნაცნობი მისამართი ეწერა. თან თითებზე მოუჭირა და აგრძნობინა, რომ საღამოს უფრო „შინაურულად“ დაელაპარაკებოდა.

გოდერძი პირველ სართულზე ცხოვრობდა. გადაწყდა, რომ ანა მასთან შევიდოდა, ნუგზარი კი გარეთ დაელოდებოდა და ფანჯრიდან მიადევნებდა თვალყურს ოთახში განვითარებულ მოვლენებს, საჭირო დროს კი ანას მიეშველებოდა. მათ კაცის კუთხეში მომწყვდევა და ამ გზით, ნატოს შესახებ ინფორმაციის მოპოვება სურდათ.

გოდერძის სახლის კართან ანას ცოტა შიშმა დარია ხელი, მაგრამ არ შეიმჩნია. ჩანთაში ჩადებულ პისტოლეტს ხელი შეავლო, გარეთ მყოფ ნუგზარს გახედა და ცოტა გული მოეცა. რამდენჯერმე ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და კარზე დააკაკუნა.

მამაკაცი სიხარულით შეხვდა მის გამოჩენას და შინ შეიპატიჟა.

ოთახში კიდევ ერთი მამაკაცი დახვდა.

— დაჯექი, — დივანზე მიუთითა მასპინძელმა.

ანა ფრთხილად ჩამოჯდა, თითქოს ტანისამოსის დასვრის ეშინიაო.

— აბა, გვითხარი, ვისგან გარბიხარ, გენაცვალე, — გოდერძიმ სამზარეულოდან კონიაკის ბოთლი, ჭიქები და ხილი გამოიტანა.

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს, მე მინდა, რომ თურქეთში გადამიყვანოთ და სამსახურიც მიშოვოთ. დანარჩენი თქვენი საქმე არაა.

— კარგი, მაგრამ რადგან შენი საქმე ცოტა რთულადაა და შესაძლოა, საზღვარზე გაგაჩერონ კიდეც, სხვა გზით გადაყვანაა საჭირო. ამიტომ ეს ცოტა ძვირი დაგიჯდება, — მამაკაცმა ჭიქები შეავსო და ერთი ანას მიუჩოჩა.

— მაინც რამდენი? — ქალმა ჭიქა შორს გასწია: — არ ვსვამ, — დააყოლა ბოლოს.

— რამდენი და — 500 დოლარი.

— გასაგებია. ვიშოვი როგორმე.

— 500 დოლარი თითოს გვინდა, — ხმა ამოიღო მეორე მამაკაცმა და ანას მუხლზე ხელი დაადო.

ქალი დაიძაბა, ფეხი მოაშორა და ცოტა მოშორებით გადაჯდა.

— მაგრამ შეიძლება, სულაც უფასოდ გაგიკეთოთ... — კაცმა ნდომისგან ნერწყი გადაყლაპა და ქალს მოჭუტული თვალებით შეხედა.

— რას გულისხმობთ? — ანამ ჩანთა მოხერხებულად დაიდო მუხლებზე და ყოველი შემთხვევისთვის, ელვაშესაკრავი გახსნა.

— რას და, რასაც მამაკაცი ასეთი ლამაზი ქალისგან შეიძლება მოელოდეს, იმას თუ გაიმეტებ, მაშინ შენი „კაპიკიც“ არ გვინდა, გაიგე, გოგონა?

კარზე დააკაკუნეს.

— გოგა იქნება, — თქვა გოდერძიმ და კარისკენ წავიდა.

ანას არ ესიამოვნა, ამდენ უცხო მამაკაცში მარტო რომ აღმოჩნდა.

უკან დაბრუნებულ მასპინძელს ახალგაზრდა მამაკაცი მოჰყვებოდა, რომელმაც ანას დანახვაზე ფართოდ გაიღიმა და ხელი ჩამოართვა.

„ამას აქ რა უნდა? ყველაფერი ჩაიშალა!“ — გაიფიქრა ანამ და მიხვდა, რომ ახლა ცუდი ამბავი დატრიალდებოდა: გოგა მაკლერი იყო, რომლის დახმარებითაც ანამ ბათუმში სახლი იყიდა. ალბათ ყველაფერს ფარდა აეხდებოდა.

— აქ რა გინდათ, ანა? აქ როგორ მოხვდით? — მამაკაცმა კიდევ ერთხელ გულიანად გაუღიმა.

— თურქეთში უნდა გადასვლა, დასახმარებლად მოგვმართა, — ანას ნაცვლად, გოდერძიმ უპასუხა.

— კი, მაგრამ გოდერძის დახმარების გარეშე ვერ გადადიხართ თურქეთში?

— ვერა. ანამ საბაჟოებისა და მესაზღვრეების გვერდის ავლით უნდა დატოვოს საქართველო და სამსახურსაც ვერ იშოვის იქ უჩვენოდ, — გოდერძი გოგას ისე ელაპარაკებოდა, ახვედრებდა, ისეთი არაფერი წამოგცდეს, რომ გალიაში მომწყვდეული ჩიტი გაგვიფრინდესო.

— უკაცრავად, მე წავალ და ხვალ შევხვდეთ, — ანა ღიმილით წამოდგა და კარისკენ გაემართა.

— მოიცა, — კარში გოგა ჩადგა, — მე თუ მიცანით? — როგორც ჩანს, ანას ქმედება უადგილოდ ეჩვენა და მიხვდა, რომ სხვა მიზანი ჰქონდა და არა — თურქეთში სამუშაოდ წასვლა.

— კი, — ჩუმად თქვა ქალმა. გული კი გამალებით უცემდა.

— მერე?.. გუშინ დილით 300 ათასად შეფასებული სახლი იყიდეთ და ახლა თურქეთში სამუშაოდ მიდიხართ?!. თანაც, გოდერძის დახმარებით?.. აქ რაღაც ცუდი ამბავი ტრიალებს, — გოგამ კბილები გააკრაჭუნა.

— რაო?! — გოდერძი ანასკენ დაიძრა.

— მანქანა ჰყავს ისეთი, რომ გაყიდოს, 10 წელი უზრუნველად იცხოვრებს, — რომელ თურქეთზეა ლაპარაკი?! — გოგა ცდილობდა, გოდერძი საქმის კურსში ჩაეყენებინა.

— ვინ მოგაგზავნა? — მასპინძელმა მაჯაში სტაცა ხელი, მაგრამ ანამ საშუალება არ მისცა, ხელი გამოჰგლიჯა და ჩანთიდან იარაღი ამოიღო.

— პოლიციელია, ამის დედაც! — უწმაწურად შეეგინა გოგამ.

ანა კარში ჩადგა და იარაღი მათკენ მიმართა:

— ვინც პირველი გაინძრევა, მოვკლავ! — რომელიღაც ფილმში გაგონილი ფრაზა გაახსენდა.

მამაკაცები შედგნენ. ამ დროს კარზე ბრახუნი გაისმა.

— ანა, მე ვარ! ანა, გააღე კარი! — ნუგზარი სახელურს ეჭიდებოდა.

ანა უკან-უკან იხევდა ისე, რომ იარაღი ისევ მათკენ ჰქონდა დამიზნებული, მერე საკეტი გადაატრიალა. ნუგზარი გიჟივით შემოვარდა. მაშინვე გოდერძის ეცა, ხელები გადაუგრიხა და ხელბორკილი დაადო.

— თქვენ თავისუფალი ხართ, ჯერჯერობით, — გამოუცხადა დანარჩენებს და გოდერძი პირქვე იატაკზე დააგდო.

მისი მეგობრები ფეხაკრეფით გაიძურწნენ ოთახიდან.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფეიკბუქ ბილეთები

მკვდარი დონჟუანი

„ცოტა ხნის წინ დასავლეთში ვიყავი, „სატირალში“. 84 წლის კაცი იყო მკვდარი. ეს კაცი ისეთი მექალთანე იყო, ოფიციალურად 9 ცოლი ჰყავდა „შერთულ-გამორთული“ და არაოფიციალურად, — ვინ მოთვლის?.. არც მისი შვილების ზუსტი რაოდენობაა ჯერ დადგენილი. „სატირალში“ დედამიწის ყველა წერტილიდან ჩამოდიოდნენ შვილები და შვილიშვილები. მიცვალებულის სასახლესთან, მისასამძიმრებლად რომ დგებიან ქალები, ადგილების მოპოვება დაჯავშნით იყო. შენ შემდეგ მე დავდგებიო, უთანხმდებოდა პირველ ცოლს — მეშვიდე. :) მოთქვამდნენ ისე, ლამის ნეკნები თვალებიდან გადმოვყარე სიცილისგან. :) „სად მიდიხარ, პავლე, სად ჯანდაბაში, შე უბედუროოო“ — ჯანდაბაში გზავნიდა ერთ-ერთი ექსმეუღლე მამაკაცს, რომელთანაც სავარაუდოდ, ულტრავნებიანი წარსული აკავშირებდა. „ადე, პავლე, დაელაპარაკე ეთერს“... — ასე, რიგით მეოთხე ცოლი მოუწოდებდა ყოფილ ქმარს, რომ ბოლო ცოლს დალაპარაკებოდა. „სად უნდა ჩაგაგდონ, ბიჭო, დღეს?“ — მე მიცვალებულის დაკრძალვა გამიგია, „ჩაგდება“ — არა, თან ეს „ბიჭო“ რა იყო? მოკლედ, ასეთი დამწვარ-დათუთქული შეძახილი მრავლად იყო, მაგრამ „მკლავის გახსნამ“ საერთოდ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ ცოლებმა ყანწებით რომ „ვახტანგურები“ გაუშვეეეს, თამადა მიაჩმორეს. :) მერე დათვრნენ და ატყდა ერთმანეთის „ხვევნა-კოცნა, მტლაშამტლაში“. რომელი ცოლი რომელს კოცნიდა, ვერ გაიგებდი. მერე თავიანთი სექსუალური თავგადასავლების მოყოლის ხასიათზეც დადგნენ და... რა ყოფილა, კაცო, ეს პავლე?! მიმიქარავს ჰოლივუდის ყველა ვარსკვლავი“.

მოემზადე, დაუმიზნე, ისროლე!

„ერთხელ ბებია-ბაბუასთან ვიყავი ჩასული ჩხოროწყუში. ბავშვებმა გავიგეთ, რომ ფეხბურთის მატჩი ტარდებოდა და ბაბუას შევეხვეწეთ, წავეყვანეთ. უპატრონოდ ვინ შეგვიშვებდა ლაწირაკ ბავშვებს? ჰოდა, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ბაბუმ ჯადოსნური და სანატრელი სიტყვა — „მოემზადეთ!“ წარმოთქვა. ისე სწრაფად ჩავიცვით,

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ჩემო გამთბარო, გამოღვიძებულო, „გამოგაზაფხულებულო“ მკითხველებო. როგორ ხართ? აბა, მითხარით, არის თუ არა ცხოვრება მშვენიერი? იმედია, ამ გაზაფხულზე მაინც დარწმუნდით, რომ ქვეყნად არაფერი იცვლება და სულ ასეა, ზამთარს გაზაფხული მოსდევს, გაზაფხულს — ზაფხული და ა.შ. ჰოდა, მართალია, „ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ“, გარეთ ცივა, წვიმს და სულაც არ შეინიშნება, რომ გაზაფხულია, მაგრამ იმედია, ჟურნალის გამოსვლამდე ყველაფერი წელიწადის დროის შესაბამისად იქნება და მზე გაგვინათებს გულს. „გზავნილებში“ ჩანართების სახით, „გზით“ გაბედნიერებული წყვილების შესახებ მოგითხრობთ... ვნახოთ, თუ მოგეწონებათ მსგავსი სიახლე. კიდევ... კიდევ გადავწყვიტე, მოვსინჯო და თემა აღარ მოგცეთ ხოლმე. ვნახოთ, როგორ ამბებს მომიყვებით. იმედია, არ დამაღალატებთ და ისევ ისე იაქტიურებთ.

სიზარმაცის გამო გაფუჭებული საქმე

ცარიელ სტადიონზე, ბილეთების გამყიდველზე ადრე მისულები ვარკვევდით, ვის ვისი მაისური და შარვალი ეცვა. ეს დიდი კატასტროფა არ იყო ჩვენთვის. მთავარი — ფეხბურთის საინტერესო მატჩი ხომ წინ გველოდა? როცა მსაჯის სასტვენის ხმას სულებიც ამოვაყოლეთ და გავიტრუნეთ, გვეგონა, ეს იდილია ბოლომდე გაგრძელდებოდა, მაგრამ... ის იყო, სიმწრის ცრემლი მოვიწმინდე, ლამის თითებდაჭმულმა და ჩემი ფავორიტი ფეხბურთელის უმოქმედობით გამწარებულმა, რომ ფერდში რაღაც მწარედ მომხვდა და კიდევ ერთი სიმწრის ცრემლი გადმოეშვა ლოყაზე. მივიხედე და ზედა რიგში, ჩემი ტოლი, ცინგლიანი ბიჭები იცინოდნენ. ქვა უსვრიათ და ჩემი რეაქციით თავს ირთობდნენ. გამწარებული დავწვდი იმ ქვას და გავიფიქრე, მე თქვენ გაჩვენებთ სროლას-მეთქი და სწრაფად მოტრიალებულმა, მთელი ძალით გავუქნიე (არადა, მათ დანდობილად მესროლეს). და იმ ერთ წამში ყველაფერი ერთად მოხდა — ჩემი ცოდვით სავსე ფეხბურთელმა, რომელიც მანამდე მთვარეულივით დაბორიალებდა, გოლი გაიტანა და მისი გულშემატკივარი ჩემი ბაბუ ადგილიდან ოვაციით წამოფრინდა, მაგრამ ვინაიდან და რადგანაც, ჩემსა და ზემოხსენებულ ბიჭების რიგს შორის ჩემი ბაბუ იჯდა, გაღიმებული სახით წამომხტარს, სწორედ მის შუბლს დაეკვდა ჩემი ნასროლი ქვა, დიდი ხნის უნახავი შეყვარებულის ტუჩებივით. შემდგომი მოვლენები „არაჩვეულებრივად“ განვითარდა — ბაბუს სახიდან ღიმილი ტკივილმა ჩამორეცხა, ხოლო როცა სისხლმა გატეხილი შუბლიდან გზა მისი არწივივით ცხვირისკენ გაიკვალა, ელვის სისწრაფით აღმოვჩნდით შინ. ასე შეცვალა ერთმა წამმა ყველაფერი. ის დღე იყო და ის, მას შემდეგ ბაბუასთან ფეხბურთი არ გვიხსენებია. მე კი სტადიონის დანახვაზე ახლაც მაჟრჟოლებს, რადგან იმ დღეს სახედასისხლიანებული ქმრის დანახვაზე ისტერიკაატეხილი ბებოს წყევლა ისევ ყურებში ჩამესმის. მართალია, ბაბუამ არ ჩამიშვა, მაგრამ ჰაერში აჭრილი მხურვალე წყევლა ხომ ჩემი მისამართით მოდიოდა?! — შვილიშვილები წაიყვანა კაცმა გასახარად და ჩაამწარეს ბაღნებსაც ყველაფერი; ამის ჩამდენს არ ეღირსოს არც შვილი და არც შვილიშვილებიო და კიდევ ვინ იცის, რამდენი რამ არ უნდა მღირსებოდა, მაგრამ მთავარი დევიზი — „არ მისულიყოს ამის ხნობამდე“ იყო. ეჰ, ბებო, წყევლის პირველი ეტაპი წარმატებით გავიარე და იმედია, დანარჩენებსაც გადავურჩები“.

გადარჩენილი

„ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძე და ცოლის მოყვანა გადავწყვიტე. რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იმ დღეს საქმე არაფერი მქონდა; მეორეც — დედაჩემის გულის გამაწყალებელი შეკითხვებისთვის — როდის მოგყავს ცოლი? რატომ არ მოგყავს ცოლი? და ა.შ. წერტილი დამესვა. მაშინ 27 წლის ვიყავი და გაგიმხელთ, შეყვარებულიც მყავდა. ნუ, შეყვარებული რაა... ერთი გოგო მომწონდა და იმასაც მოვწონდი. კიდევ ერთ რამეს გაგიმხელთ, ეს გოგო მამიდაჩემმა გამირიგა და უბრალოდ, მომეწონა. ვიფიქრე, ცოტა კარგად გავიცნობ, იქნებ შემიყვარდეს-მეთქი. ასე იყო თუ ისე, არ შემიყვარდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, ცოლად მომეყვანა. ავდექი, წვერი გავიპარსე, საგანგებოდ გამოვეწყვე, სარკეში ჩემი თავი შევათვალიერე, თვალი ჩავუკარი და შინიდან გავედი. დიდი ხალისით არ მივდიოდი შეყვარებულის სახლისკენ, მაგრამ მტკიცედ კი მივაბიჯებდი. ჯერ ვიფიქრე, ყვავილებს ვუყიდი-მეთქი, მერე გადავიფიქრე და ხელცარიელი მისვლა გადავწყიტე. ის იყო, მის ეზოში უნდა შემეხვია, რომ ვიღაცამ დამიძახა. ჩემი თანაკლასელი, მიშკა იყო. მისი დანახვა გამიხარდა. სად მიდიხარო? — მკითხა. ცოლის მოსაყვანად-მეთქი, — არ დავუმალე. — „ვაა“, — გაუკვირდა მიშას. პირდაპირ ახლა მიდიხარო? — ჰო-მეთქი. — წამო, თითო ჭიქა დავლიოთ, გზას დაგილოცავო. სადღაც, გულის სიღრმეში გამიხარდა კიდეც მისი წინადადება, რადგან ცოლის მოყვანა რამდენიმე საათით გადაიდო. ჰოდა, წავედით მე და მიშკა სახინკლეში, ერთ ჭიქას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, შემდეგ მეორე ბოთლი შევუკვეთეთ და კარგადაც გამოვთვერით.

— აბაა, ჩემო ძმობილო, ახლა წავიდეთ და ცოლი მოვიყვანოთ, — საჩვენებელი თითი აღმართა მიშკამ.

— ცოლი მე უნდა მოვიყვანო, — ლოზუნგივით წარმოვთქვი.

— ჰო, ჩვენ უნდა მოვიყვანოთ ცოლი, — გაიმეორა ისევ, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე.

— კარგი, მოვიყვანოთ, — დავეთანხმე და ბანცალ-ბანცალით წამოვედით სახინკლიდან.

— მეც მინდა ცოლი, — გადაჭრით თქვა რამდენიმე წუთის შემდეგ.

— ჰოდა, მოვიყვანოთ, — მხარი ავუბი.

ჩემი შეყვარებულის ეზოში ძლივს მივფორთხდით. სადარბაზოში შუქი არ იყო და კიბეზე ასვლა დამეზარა. ქვევიდან დავიწყე ყვირილი. ძახილზე სასიმამრომ გამოიხედა. მიცნო და ცოტა ხნის შემდეგ ჩამოვიდა. ჩემი შეყვარებულიც გამოჭყოლია, კუსკუსით მოსდევდა.

— ჩვენ ცოლის მოსაყვანად მოვედით, — ომახიანად გამოვუცხადე სასიმამროს.

— ორივე? — გაუკვირდა.

— ჰო, ორივე. ერთი მე და ერთი მიშკას.

— შენ შვილს მოგათხოვებ, მიშკას — ჩემს ცოლს, — საქმიანი წინადადება წამოაყენა სასიმამრომ.

— არა, მე შენი ცოლი არ მინდა, მე ჩემი ცოლი მინდა, — გააპროტესტა მიშკამ და ისე წაბარბაცდა, ლამის წაიქცა. ხელი შევაშველე, ამასობაში თავი ვერ შევიკავე და მიშკასთან ერთად ეზოში „ადგილი მოვზომე“.

— აბა, ახლა გამასწარით აქედან, თქვე უქნარებო და შენ აქ მოსული აღარ გნახო, — მკერდზე თითი მატაკა კაკომ. ამას გავუძლებდი? ისევ ძირს დავენარცხე. მიშკამ იღლიაში ამომიჩარა და იქიდან წამომათრია.

— არა, ამ კაცთან ლაპარაკს აზრი არ აქვს, ეს ჩვენ ცოლებს არ გამოგვატანს, ჯობია, სხვაგან წავიდეთ, — ბურტყუნებდა მიშკა.

სახლამდე ძლივს მივედით. დედაჩემმა მიშკა შინ აღარ გაუშვა და იმ ღამით ჩვენთან დატოვა. მეორე დღეს შვებით ამოვისუნთქე. ახლა მამიდაჩემის მიმართ სინდისის ქენჯნა აღარ შემაწუხებდა, რადგან კაკომ თვითონ ამიკრძალა იქ მისვლა. ჰოდა, დავრჩი უცოლოდ. სწორედ ერთმა წამმა გადაწყვიტა ჩემი ბედი. მიშკა რომ არ შემხვედროდა, დღეს ცოლი მეყოლებოდა. მადლობა ღმერთს, რომ სწორედ ასე მოხდა. გაუმარჯოს მიშას! აბრაკადაბრა“.

მცდარი წარმოდგენა

„ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს ტელეფონზე ზარი შემოვიდა. ვითომ შეეშალა და ამას მოჰყვა მესიჯები, ვიღაც სალომეს სახელზე. ძლივს გავაგებინე, რომ მე სალო არ ვიყავი. როცა ჩემი ვინაობა გაიგო, აღმოჩნდა, რომ გაგონილი ჰქონდა ჩემი არსებობის შესახებ. ამის შემდეგ, ისე შეუმჩნევლად შე-

ალბათ უსამართლობა იქნება, ერთი ამბავი რომ არ გავიხსენო... ერთ მშვენიერ დღეს ბათუმელმა მამაკაცმა დამიმესიჯა: „ადრე, ახალგაზრდობაში ახმეტაში ვსწავლობდი, ჩემთან ერთი წინანდლელი გოგო სწავლობდა, კარტოფილის ჭიას ეძახდნენ და ის გოგო მიყვარდა. ახლა მისი მოძებნა გადავწყვიტე და თუ ისევ გასათხოვარია, შემეხმიანოს“. ეს მესიჯი „გზავნილებში“ გამოვაქვეყნე. მთელი თვე გავიდა და როგორც იქნა, ქალბატონი შემეხმიანა. კარტოფილის ჭია ჩემი დისშვილია და გასათხოვარია. იქნებ იმ მამაკაცის ტელეფონის ნომერი მომცეო. ყველაფერი აქედან დაიწყო... ერთ მშვენიერ დღეს კი ბათუმელმა შემატყობინა, კარტოფილის ჭია დავნიშნე, ახლა იქიდან მოვდივარ და ქორწილში გეპატიჟებითო. ქორწილში მივლინებით წავედი (ასეთი უცნაური სამსახური გვაქვს ჟურნალისტებს), სუფრის თავშიც ვიჯექი, კარგადაც მოვილხინე და კმაყოფილი დავბრუნდი (მაშინ ეს ქორწილი ჯრცლად გავაშუქეთ). ასე და ამგვარად, „გზის“ საშუალებით 14 წლის წინანდელი სიყვარული ხელახლა გაღვივდა და ერთი ქართული ოჯახიც შეიქმნა. ახლა წყვილს 2 შვილი ჰყავს და თავს მშვენივრად გრძნობს.

მოვიდა ჩემს ყოველდღიურობაში, რომ მის გარეშე არსებობა ვერ წარმომედგინა. ყოველთვის იცოდა, სად ვიყავი და რას ვაკეთებდი. ისე მივეჩვიე, მეგონა, ბავშვობიდან ვიცნობდი. ხუთი თვე ისე ვლაპარაკობდით, ფიზიკურად ნანახი არც მყავდა. ჩემთან შეხვედრა თავად არ სურდა, საქმეს იმიზეზებდა. რამდენჯერაც გადავწყვიტე მასთან დაშორება, საშინლად ვიგრძენი თავი. თითქოს შემიყვარდა კიდეც. როგორც იქნა, მოვიდა ის დღე, როცა ერთმანეთი უნდა გვენახა. არ მჯეროდა, რომ მართლა მოვიდოდა, სანამ ხელი არ შევახე და არ დავრწმუნდი მის არსებობაში. მისი საქციელისა და აზრების გამო, ვერ ვიჯერებდი, რომ მისნაირი ადამიანი რეალურად არსებობდა. პირველი შეხვედრის შემდეგ, აღფრთოვანებული ნამდვილად არ ვიყავი, მაგრამ სხვა ფორმაში რომ ვნახე — მომეწონა. გახშირდა ჩვენი შეხვედრები. დავდიოდით რესტორანსა და კაფეში. შემდეგ იყო პირველი ჩახუტება, კოცნა დაააა... ახლა უკვე ჯვრის დაწერას ვაპირებთ. ძალიან ბედნიერი ვარ. დედა ყოველთვის მაფრთხილებს, რომ მასთან დაწოლა არ გავბედო, თორემ ცოლად აღარ მომიყვანს. არადა, ჩვენ უკვე გვქონდა სექსი. ამან საკუთარ თავში უფრო დამარწმუნა, უფრო შემიყვარდა და მივხვდი, რომ „ის, ის არის“. ამით დამიმტკიცა, რომ მართლა ვუყვარვარ და მხოლოდ ერთჯერადი ინტერესი არ აჩერებს ჩემთან. მე კი დავუმტკიცებ დედას, რომ მასზე ცუდი წარმოდგენა აქვს“.

სინანული

„სისულელეც არის და სისულელეც. არ ვიცი, ამას რა სახელი უნდა დავარქვა? მოკლედ გეტყვით ჩემი ახლობელი გოგონას ამბავს და სახელი თქვენ დაარქვით. რა ვუწოდოთ იმას, 17 წლის გოგონა, 3 თვის ორსული, საქართველოს რომ დატოვებს იმის შიშით, აბორტი არ გამაკეთებინონო და მარტოხელა დედა გახდება. 3 წლის გოგონას მისი მამიკო ერთადერთხელ, ისიც მხოლოდ 5 დღით ნახავს. პატარა დედა მისი შვილის მამის ქორწილის ამბავს ჟურნალის ფურცლებიდან შეიტყობს. მამა, საკუთარ ანგელოზ შვილს ჯიპს ამჯობინებს. პატარძალი სიძეზე ასაკით უფროსი, მახინჯი და შვილიანი რომ იქნება და მხოლოდ ფულის გამო მოიყვანს „ცუდი მამა“ ცოლად, ეს დიდი სისულელე არ არის?! კაცი, რომელიც სხვის შვილს გაუწევს მამობას მაშინ, როცა საკუთარი შვილისთვის გვარის მიცემაზე რომ აღარაფერი ვთქვა, კანფეტიც არასოდეს უყიდია... ამ დიდი სისულელის შედეგია, რომ დღესდღეობით ეს „ცუდი მამა“ ყოველ დილით, ყოველ საღამოს, ყოველ წუთსა და წამს, მისი ლამაზი შვილის სურათებს ეფერება თვალცრემლიანი. შვილს, რომელსაც კილომეტრები აშორებს. პატარა დედა კი სიცოცხლეს ურჩევნია. უბრალოდ, ვერ შეძლო ყოფილიყო ძლიერი. ვერ შეძლო ყოფილიყო წარმატებული კარიერაში და წარუმატებელი — პირად ცხოვრებაში... ახლა კი გადაუწყვეტია, იბრძოლოს პირველი სიყვარულისთვის და დაიბრუნოს პატარა დედა. თქვენი აზრით, ამ მამაკაცის გადაწყვეტილება უდიდესი სისულელე არ არის? მას არა აქვს უფლება, მეორე შვილიც, რომელიც 2 კვირაში მოევლინება ქვეყანას, მიატოვოს და გააუბედუროს. ამ საქციელს პირადად მე სულ სხვა სახელს დავარქმევდი, უბრალოდ, გარკვეული მიზეზების გამო თავს შევიკავებ“.

შებმული მამა

„როგორ ხართ, ჩემო ტკბილებო? ქართული სუფრის წესების არ იყოს, გამოტოვებულ თემებზე გავაკეთებ მოკლე-მოკლე კომენტარს და დაგეწევით... დავიწყოთ იმით, თუ როგორ შევხვდი ახალ წელს. ახლობლებმა დამპატიჟეს. მეც, გადავიპრანჭ-გამოვიწკიპე, ჭკუაზე აღარ ვიყავი ქალი და... ბედი არ გინდა? ჯერ იყო და თმა ამეტრუსა, ახლაც ვერ ვხვდები, რა უნდოდა საახალწლო სუფრაზე სანთლებს? გოჭი და გოზინაყი მესმის, მაგრამ სანთელი? მერე იყო და... ოჯახის ფინია ძაღლი, როდო, ზუსტად 12 საათზე ფეხზე შემომეხვია თავისი ბოტოტა თათებით და დამიწყო ქუნქური. 30 კაციდან მაინცდამაინც მე ამომარჩია. ნუ, ზოგიერთი ქალბატონი გულზე გასკდა — აუ, რა მაგარია, მთელი წელი „ქუნქურიო“... მოკლედ, ბედი უნდა ამასაც, რა... თავზე ცეცხლითა და ფეხზე „ქუნქურით“ შევხვდი ახალ წელს. სახლისკენ გამთენიისას ავიღე გეზი და... დედაჩემმა არაფრის დიდებით არ შემიშვა ოჯახში. გადასარევი ფეხი მაქვს, უბრალოდ, ვისთანაც ვიყავი მეკვლედ, იმ წელს ყველა ოჯახს პატარა წევრი შეემატა და დედაჩემმა, არ გაბედო ფეხის შემოდგმაო. ერთხელ მე და მამამ ერთ პერიოდში შევცვალეთ ტელეფონის ნომრები. ჩემმა დაიკომ მაცდური წინადადება შემომთავაზა — მაგარი ბიჭის ტელეფონის ნომერს მოგცემ და აბა შენ იცი, თუ დაკერე, რასაც მთხოვ, ვიკისრებო. ჰოდა, წავიდა მესიჯებიიიი... მოკლედ, გამეცნო, 28 წლის, თავისუფალი ტიპი ვარო. ახლა რას აკეთებ-მეთქი და... რუსულის დავიწყებას ვცდილობ და არაფერი გამომდის, არადა, მაგრად მინდა და შეგიძლია, დამეხმარო რუსულის დავიწყებაშიო? ეს მესიჯი როგორც კი წავიკითხე, კი გამკრა გულში, სვანია-მეთქი, მაგრამ მისი გვარიშვილობით რატომღაც არ დავინტერესებულვარ. 10-15 მესიჯი გავცვალეთ. მეორე დღეს დავურეკე და... „გისმენ, გენაცვალე“ (მამაჩემის ხმა ჩამესმა). ერთადერთი, რისი გაფიქრებაც მოვასწარი, იყო — „დამერხა“. გაბრაზებული სვანი არ გინახავთ, როგორია? ჰოდა, არც გისურვებთ. მოკლედ, სიტყვის თქმის საშუალება არ მივეცი, ერთი ღრმად ჩავისუნთქე და მივაყარე: — მა, მე ვარ, მომენატრე, სვანეთში ბებო როგორ არის, მა? აქეთ დიმა ბილანი ჩამოდის და ბილეთების საყიდლად უნდა წავიდე. ვიცი, მა, ყველა რუსის დედა ატირე შენ, მაგრამ დიმამ რა დააშავა, მა? დიმა კაი რუსია! პუტინას გადასანახულებლად კი არ მივდივარ, მა. კარგი, წავედი, საღამოს დაგირეკავ, მა... და გავთიშე. ზუსტად 1 კვირა არ გავკარებივარ ტელეფონს. ეს კი ჩემი მხრიდან გმირობის ტოლფასია“.

ქორწილი ციხეში

„ჩემს საყვარელ ადამიანს ციხეში გავყევი ცოლად და ჩვენი ქორწინების დღის შესახებ მოგწერ, რომელიც უბედნიერესი დღე იყო და უამრავი სისულელეც ჩავიდინეთ. დავიწყებ იმით, რომ დილით ჩემი გადარეული ქმარი მმაჩის ბიუროს წარმომადგენელს ურეკავს და ეუბნება, ახლა ტაქსის მოაჯექი, წამოდი და ფულს აქ, ანუ ციხეში მოგცემო. მოვიდა საწყალი ქალი, გადარეული. როგორც იქნა, მოვაწერეთ ხელი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ დღეს მე ციხეში არ მტოვებდნენ. მაშინ გრძელვადიანი პაემნები იყო და დღეების განმავლობაში შეგეძლო ციხეში დარჩენა. ეს რომ ჩემმა ბუხუნძელამ გაიგო, გადაწყვიტა, ციხის უფროსისთვის ჭკუა ესწავლებინა. ჯერ ზონის ეზოები მოარბენინა, შემდეგ კი „გალსტუკით“ დაითრია და არ მოუშვა, სანამ არ დამტოვეს. გათენდა დილა და კარზე კაკუნი გაისმა. გავაღეთ კარი და რას ვხედავთ? უამრავი სპეცრაზმელი გვადგას თავზე. შესამოწმებლად იყვნენ, რაიმე აკრძალული ნივთი ხომ არ გვქონდა. ორი ტელეფონი და ფული გვიპოვეს, რომლის ციხეში შეტანაც მე დავიბრალე. ამას მოჰყვა ის, რომ ქორწილის პირველ დილას ორთვიანი შინაპატიმრობა მომისაჯეს. ასე მხიარულად ჩაიარა ჩემმა ქორწილმა. ახლა ჩემი ორი ულამაზესი შვილი მაძლებინებს, რომ გადავიტანო ეს მტანჯველი მარტოობა. სულ რაღაც, 8 თვეში ჩვენი ბუხუნძელა სახლში იქნება და უფრო მეტ სისულელეს ჩავიდენთ. გაკოცეთ. გოჭი“.

„არ დავთმობ“

„ერთ ზაფხულს, ერთი ნახვით გოგო შემიყვარდა. ორი დღის შემდეგ გავიცანი, მისამართიც გავიგე და ტელეფონიც. ვმესიჯობდით, ერთმანეთთან ახლოს ვცხოვრობდით, მაგრამ რაღაც პრობლემის გამო ხშირად ვერ ვხვდებოდით. მერე სიყვარულში გამოვუტყდი, მან კი მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ მითხრა, მეც მიყვარხარ და ჩემი ცხოვრება ხარო. მისი ოჯახი გავიცანი და სახლშიც ვაკითხავდი ხოლმე. მერე საფრანგეთში წავიდა ორი კვირით. ეს ორი კვირა ჩემთვის საუკუნე იყო, იქაც ვურეკავდი და ვსაუბრობდით. ასე ტკბილად ვიყავით წელიწად-ნახევარი. ჩვენი ერთი პრობლემის გამო დამშორდა; მითხრა, მეგობრები ვიყოთო, მაგრამ ისევ ვუყვარდი. უკვე დიდი ხანი გავიდა, დროდადრო ვეხმიანები. ისიც მწერს, მაგრამ პირველს არასოდეს მოუწერია. მას მარი ჰქვია და ახლაც ძალიან მიყვარს. მის სურათებსა და საჩუქრებს იმ იმედით ვინახავ, რომ ერთ დღეს შემირიგდება და ისევ ერთად ვიქნებით“.

გვიანია

„ეჰ მარი, რადგან გამახსენე ჩემი სიყ-

ვარული და გული მომიკალი, მოგიყვები ბარემ. გია „სკაიპით“ გავიცანი. მაშინ 14 წლის ვიყავი. წელიწად-ნახევარი ვმესიჯობდით და ერთმანეთს სურათითაც კი არ ვიცნობდით. ეს არ იყო ფლირტი და სიყვარულობანას თამაში. უბრალოდ, ვმეგობრობდით. ბოლოს შეეხვდით და შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. მე და გიას მოგვეწონა ერთმანეთი და დაიწყო პაემნები, საჩუქრები, სიურპრიზები. ერთი სიტყვით, ის ჩემთვის იდეალური იყო. მალე მთელი მისი საახლობლო გავიცანი და ერთმა ძმაკაცმა ჩაუშვა, რომ ცოლი ჰყავდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ამბავი ძალიან მშვიდად მივიღე. თუმცა, გიას ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ შევურიგდი. არასდროს მიკითხავს მისთვის, გაშორდებოდა თუ არა ცოლს ან ჩემთან დაკავშირებით რას აპირებდა. სრულიად მაკმაყოფილებდა ის, რომ მთელ დღეებს ერთად ვატარებდით და ღამის 5 საათზეც რომ დამერეკა, უმალ ჩემთან გაჩნდებოდა. არასდროს მიგრძნია დისკომფორტი მისი ოჯახური მდგომარეობის გამო, პირიქით, ხშირად მავიწყდებოდა კიდეც, ცოლიანი რომ იყო. მე და გიამ 2 უბედნიერესი და ულამაზესი წელი გავატარეთ ერთად. ბოლოს, როგორც უნდა გაგიკვირდეთ, მისი ცოლიც გავიცანი. მან ყველაფერი გაიგო ჩვენ შესახებ და ამანაც ვერაფერი შეცვალა. იმ გოგოს წასასვლელი არსად ჰქონდა და ქმარს რომ გაშორებოდა, ქუჩაში მოუწევდა ცხოვრება. ამიტომ შეეგუა ამ ამბავს. თუმცა, ახლა რომ ვუფიქრდები, ალბათ არ უყვარდა, თორემ არ მოითმენდა. აი ასე, მე ვიყავი და ვარ გიას პირველი სიყვარული, ოღონდ — ოჯახს გარეთ. ცოტა ადრე რომ გაგვეცნო ერთმანეთი, ალბათ ძალიან, ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. მას ცოლი ჰყავს, მე — შეყვარებული და ვართ ასე ჰაერში გამოკიდებულები. ვიცი, ბევრი გამკიცხავს, თუ ამ მესიჯის წაკითხვას შეძლებს, მაგრამ წუთითაც კი არასდროს მინანია ეს შეცდომა. მე და გია ერთმანეთისთვის ვართ შექმნილები, სულით ერთნი ვართ და მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, ის რომ ვიპოვე. ვიცი, დიდ ცოდვას ჩავდივარ, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია. გიუშ, ვიცი, უეჭველია, წაიკითხავ და გაგეღიმება, მე რომ მიყვარს, იმ ღიმილით. მონაზონი“.

მოძალადე

„ცხოვრებაში ერთადერთი დაუფიქრებელი ნაბიჯი მაქვს გადადგმული და ამ ნაბიჯის გამოსწორებას ერთი წელი შევწირე. მოკლედ, ჩემს უბნელს შევუყვარდი. უფრო სწორად, ბავშვობიდან ვუყვარდი და მოგვიანებით გამიმხილა. მეც, არ ვიცი, რა დამემართა და ვუთხარი, მეც მიყვარხარ-მეთქი. თავიდან არასერიოზულად ვიყავი მის მიმართ განწყობილი, მაგრამ მივხვდი, რომ მაგრად ვუყვარდი. თუ ვიჩხუბებდით, ჩემი ფანჯრების წინ იჯდა და ყველა მისი ძმაკაცი მიმესიჯებდა, შეურიგდიო. ათას რამეს მჩუქნიდა, მაგრამ მივხვდი, რომ არაფერში გამომადგებოდა. არც მიყვარდა... თან, უსწავლელი, ქუჩური გაგების ბიჭი იყო და დაშორება გადავწყვიტე, მაგრამ ვერ შევძელი — ჯერ ტკბილი სიტყვით მირიგდებოდა, როცა აღარ შევურიგდი, დამემუქრა, უბანში გარეთ ვერ გამოხვალო. ამის შემდეგ მომწერა, მიყვარხარ, შემირიგდი და არაფერს მოგაკლებო. თავის ნათქვამს ასრულებდა კიდეც — უბნის ბიჭები გამარჯობასაც აღარ მეუბნებოდნენ. მერე ისე მოხდა, რომ საცხოვრებლად სხვაგან გადავედი და შემეშვა. 3 თვის შემდეგ ჩემმა დაქალმა მითხრა, მას შენთან მეგობრობა უნდა და ნომერი მივცეო? მეგობრობაზე უარს როგორ ვეტყოდი? ჰოდა, მითხრა, ვერ დაგივიწყეო. ჩემგან რომ დამაიმედებელი პასუხი ვერ მიიღო, ისევ უხეშად და უზრდელად მელაპარაკა. ბოლოს, ტელეფონიც გავყიდე. მას ჩემს ცხოვრებაში დაუფიქრებელ ნაბიჯს ვეძახი. უკვე 1 წელი გავიდა მას შემდეგ, ვზივარ სახლში. ის კი ისევ შორიდან თვალს მადევნებს და ვერ მიტანს. სიყვარული სიძულვილით შეეცვალა. რა ვქნა, მგონი, ბევრად უკეთესს ვიმსახურებ. იმდენი წესიერი ბიჭია თბილისში... კ.თ.თ.ე. „გზა“ მაგადია“.

შეგმულები

„შენს მტერს გაუცრუვდეს, მარი ჯაფარიძე, იმედი ისე, როგორც ჩემს უძვირფასეს ქმარუკას გაუცრუვდა სუუულ ცოტა ხნის წინ. თურმე, ეს ოჯახის „მუჭუჭი“ კაცი არც ვირტუალურ LOVE STORY-ზე ამბობდა უარს. ჩემი თვალით წავიკითხე, რაც ხდებოდა მის SKYPE-ში. ერთზე გავამახვილე განსაკუთრებით ყურადღება, რომელსაც ჩემი გამოშტერებული ქმარი ეფიცებოდა, უცოლო ვარ, ო.შ.მ. დავეძებდი კარგ გოგოს და როგორ გამიმართლა, შენ რომ გიპოვეო. იმასაც, მეტი რა უნდოდა? აფარცქვალდა ქალუკა. ნუ, შეხვედრამდე არ მისულა საქმე (ნამეტანი უდროო დროს ვიცი ხოლმე ჩარევა). არც მიწივლია, არც მიკივლია, მაგრამ გადავირიე. შურისძიების წყურვილით შეპყრობილმა, ყველა ქალი დავუბლოკე SKYPE-ში, მაგრამ ეს ჩვენი ოჯახის პოტენციური სარძლო მთლად ვერ „გავიმეტე“ და ჩემთან დავამატე. მერე „ოდნოკლასნიკებზეც“ მოვძებნე და თურმე ჩემი ქმრის „მეგობარი“ არ ყოფილა? — მთლად „ახლობელი“, მე კი სულელმა, რა აღარ ვიფიქრე. გავეცანი, ავუხსენი, ვინც ვიყავი... ვხვდებოდი ყველაფერსო, მითხრა და არც აცია, არც აცხელა და მეგობრობა არ შემომთავაზა? დედაააა.... გავგიჟდიიიიი.... რა „აბშინელნი“ ხალხი ცხოვრობს თურმე, თელავშიიიი?! უცხვირპირო, უზრდელი ადამიანივით ხომ ვერ მოვიქცეოდი? ჰოოოდა, არ დავმეგობრდით?! ახლა ჩვენ ვმეგობრობთ, ჩემს ქმარუკას კი სიცოცხლის ხალისი დაეკარგა. მეგობრობაც არის და მეგობრობაც, გადავირიე, გოგო ყოველდღე მადლობას მიხდის მხოლოდ იმისთვის, რომ ვარსებობ (არადა, მისთვის აშკარად ჯობდა, არ მეარსება). ბარაქალა, მის ქალობას! კაცების შებმაც კარგი სცოდნია და მათი ცოლებისაც. რა ვიცი, რა ვიცი, ჯერჯერობით კი ვმეგობრობთ და მერე თუ დავრჩი „გარიგების“ მაროსავით „გაღიმებული“, მაგასაც მოგწერთ. ანანო“.

■

ნინო 29 წლის ისე გახდა, გათხოვებაზე საფიქრალადაც კი ვერ მოიცალა. ობოლი დისშვილი ჰყავდა და მას ზრდიდა. ერთ მშვენიერ დღეს კი მის მეგობარს ჟურნალი „გზა“, „მობილი-ზაცია“ და მასში გამოქვეყნებული მესიჯები წაუკითხავს და ნინოს მობილურით დაუმესიჯებია. ვარ ასეთი და ასეთი და ოჯახის შექმნის მიზნით ჩემს შესაფერის მამაკაცს გავიცნობო. მოკლედ, წამოვიდა მესიჯები ნინოს ტელეფონზე. გადაირია, ახლა რამ გააცოფა ყველა უცნობი ადამიანი, გაცნობას რომ მთავაზობსო. არავის პასუხობდა თურმე, მაგრამ ერთი მამაკაცი განსაკუთრებულად დაინტერესებულა მისით და მოსვენებას არ აძლევდა. მანამდე არ მოეშვა, სანამ ნინომ პასუხი არ გაუგზავნა. ამის შემდეგ დაიწყო მათ შორის მიმოწერა... შემდეგ შეხვდნენ კიდეც... შემდეგ ქორწილზეც ალაპარაკდნენ, მაგრამ ამ დროს მათ ურთიერთობაში სხვები ჩაერივნენ... კაცს უთხრეს, ეგ გოგო განათხოვარია და შვილიც ჰყავსო... ცოტა იჩხუბეს იმის გამო, რომ მამაკაცს ეწყინა, რატომ თავიდანვე არ გამიმხილეო. არ დაიჯერა ქალის ნათქვამი, გათხოვილი არასოდეს ვყოფილვარო... მერე მამაკაცმა აწონ-დაწონა და იფიქრა, რა მოხდა, თუ გათხოვილი იყო, მიყვარს და მაინც მოვიყვან ცოლადო და შინ მიადგა. იქ ბავშვი დახვდა, რომელიც მისი შვილი ეგონა, სინამდვილეში კი დისშვილი იყო და გაუხარდა სასიძოს... მაშინ დარწმუნდა, რომ ქალს არ მოუტყუებია. ჰოდა, მალე ქორწილიც გადაიხადეს და ახლა საკუთარი 2 შვილი ჰყავთ და ნინოს დისშვილსაც საკუთარივით ეკცევა ბიძა. ჟურნალ „გზას“ კი არასოდეს ივიწყებენ და არც ჩემთვის ავიწყდებათ ამა თუ იმ დღესასწაულის მოლოცვა.

თქვენთვის საინტერესო თემაზე ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

„მიხარია, რომ მეგობარი შეუყვარდა...“

„ძმაკაცი სიყვარულს რომ აგიხსნის, გული არ გეტკინება?!“

„გზის“ №14-ში დაიბეჭდა 15 წლის ანის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ მის დაქალს პრობლემა აქვს და ამის გამო ძალიან წუხს. „ეკა და აჩიკო დიდი ხანია, საუკეთესო მეგობრები არიან, მაგრამ მოხდა ისე, რომ ეკას ის შეუყვარდა და ამის გამხელას ვერ უბედავს. ბევრი ვეცადე, მაგრამ ეკას აჩიკოსთვის სიმართლე ვერ ვათქმევინე“.

ლიკა ქაჯაია

აზიელი:

„შენ არა გაქვს უფლება, აჩიკოს ეკას საიდუმლო გაუმხილო. ზოგჯერ ჯობია, ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის. როგორ ფიქრობ, ეკას „აღსარება“ აჩიკოზე იმოქმედებს? — თუ ამაში ოდნავ მაინც ხარ დარწმუნებული, ეკა წააქეზე, თუ არადა, შეეცადე, მეგობარი ცალმხრივი სიყვარულისგან განკურნო“.

მატიტელა:

„მიუხედავად იმისა, რომ მეგობრები არიან, მათ საქმეში ნუ ჩაერევი. სიყვარულში მესამე ზედმეტია — თუნდაც, ის მესამე გრძნობების თარჯიმანი და გამხმოვანებელი იყოს. ასე რომ, თავს ნურაფრით დაივალდებულებ. ეგ პრობლემა ძალიან პირადულია და ეკამ ის თავად უნდა მოაგვაროს“.

SKORPION-LEDY:

„ვფიქრობ, აჩიკოს არაფერიც არ უნდა უთხრა — ამით ეკასაც დაკარგავ და აჩიკოსაც. ჯობია, მას შეაპარო და ჰკითხო, ეკას მიმართ რას გრძნობს?.. შენთან მეგობრობის სურვილი გამიჩნდა“.

სოფო 16:

„პირველად გწერთ... ჩემი აზრით, ეკა უბრალოდ, შეეჩვია აჩიკოს და დროთა განმავლობაში ეს გატაცება გადაუვლის. ამ შემთხვევაში, ჯობია, აჩიკოს ჰკითხო, — რას ფიქრობს ეკაზე და მისი პასუხის შემდეგ დასკვნასაც გამოიტან. P.S. ეკას გრძნობებზე ლაპარაკი, შენი მხრიდან, ცუდი საქციელი იქნება“.

გუდა:

„გირჩევ, ამ საქმეში არ ჩაერიო. ეს ეკას პირადი პრობლემაა და თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რა და როგორ ურჩევნია. წარმომიდგენია, ახლა რასაც გრძნობს — საყვარელი ადამიანის დაკარგვას ურჩევნია, მის გვერდით იყოს, როგორც მეგობარი და ეჭვიანობით დაიტანჯოს. ჯობია, ეკამ თავად მიიღოს გადაწყვეტილება. და კიდევ, შესაძლოა, შენმა ჩარევამ ორივე გააღიზიანოს“.

ნინუცა:

„ჩემი აზრით, შენ ვერაფერს გააკეთებ. თანაც, რა საჭიროა, გოგო პირველი გამოუტყდეს ბიჭს სიყვარულში?!“

ტირიფი 73:

„ხომ გაგიგონია: ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო. კარგი იქნება, თუ ჯერ აჩიკოს გრძნობებში გაერკვევი და შეიტყობ, მისი გული სხვას ხომ არა აქვს დაპყრობილი, რათა მერე, შენი დაქალი ცალმხრივი სიყვარულის გამო უარესად არ დაიტანჯოს. ბედისწერას მიენდე და დამშვიდდი. წარმატებები!“

მარიამი:

„შენი მეგობარი კარგად დაფიქრდეს: ღირს კი საუკეთესო მეგობარ ბიჭს სიყვარული აუხსნა?.. უფალი გფარავდეთ!“

HOT GIRLS:

„გამარჯობა. ჩვენ ახლები ვართ და არ გეწყინოთ, რჩევას რომ გაძლევთ. ეკას და აჩიკოს ამბავი ძალიან სევდიანია. ანი, გირჩევთ, აჩიკოს არაფერი უთხრა. სიმართლე თავად ეკამ უნდა გაუმჟღავნოს და გვჯერა, ის აუცილებლად გაუგებს. ეკას წარმატებებს ვუსურვებთ!“

ანასტასია 23:

„ჩემო კარგო, ხშირია შემთხვევა, როცა მეგობრებს ერთმანეთი უყვარდებათ, მაგრამ თუ გინდა, ეკას დაეხმარო, აჩიკოს შეაპარე და ათქმევინე, რას გრძნობს ეკას მიმართ; თუ მასაც უყვარს, მაშინ ისინი ერთად დასვი და ორივეს უთხარი: ერთმანეთი გიყვართ და ნუღარ იტანჯებით, ამაში დასამალი არაფერია-თქო“.

სვანის ასული:

„ჩემი აზრით, ამ ამბავში ზედმეტად არ უნდა ჩაერიო. ისინი თავიანთ საქმეს თავადვე გაარკვევენ, დრო ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. იქნებ, აჩიკო უთქმელადაც მიუხვდეს ეკას ან გოგოს გაუაროს „გულის ფრიალმა“... შენი აქტიურობა, მიუხედავად კეთილი განზრახვისა, შესაძლოა, ცუდად გაიგონ. პირადად მე, ვერც ერთ ჩემზე შეყვარებულ მეგობარს ვერ თანავუგრძნობ, ვინაიდან მათთან ძველებური, უშუალო მეგობრული ურთიერთობა ველარ მექნება... და კიდევ, თქვენს ასაკში ასეთი ემოციები ბუნებრივი და ძირითადად, დროებითია. ამიტომაც, თავს ძალიან ნუ აიტკიებთ“.

MISS SMILEY:

„აჩიკოს ეკას საიდუმლო არ გაუმხილო. ჯობია, ყველაფერი თავადვე გაარკვიონ, შენ ნუ ჩაერევი. წარმატებები!“

ხუნხულა:

„ტრაგიკული ამბავია, მაგრამ გამოსავალი ნებისმიერი სიტუაციიდან არსებობს. ასეთი პრობლემის მოსაგვარებლად დრო და გამოცდილი ადამიანების რჩევებია საჭირო“.

ნაზი:

„სიმართლე აუცილებლად უნდა უთხრას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან დაიტანჯება. თუ ეკა ამ ნაბიჯს ვერ გადადგამს, მაშინ შენ უნდა დაეხმარო, აჩიკოს სიმართლე უნდა უთხრა. მერწმუნე, ასე ჯობია! წარმატებები!“

კლეოპატრა:

„ეკამ მეგობარი ბიჭის შესახებ ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ უნდა იცოდეს. აჩიკოს „ლოვე“ არ ჰყავს? იქნებ, მასაც აქვს სიმპათიები ეკას მიმართ? — პირველ რიგში, ეს უნდა გაარკვიოთ. კარგი იქნება, თუ საჭირო სიტუაციაში ეკა მას საკუთარ გრძნობებზე დაელაპარაკება. წარმატებები! P.S. შეგვატყობინე, როგორ განვითარდება მოვლენები“.

ისტერიჩკა:

„შენს ასაკში ვარ და ანალოგიურ სიტუაციაშიც ბევრჯერ ვყოფილვარ. ბოლოს, ჭკუა ვისწავლე და მივხვდი, რომ მეგობრები უჩემოდაც კარგად მოაგვარებდნენ თავიანთ საქმეს. აჩიკოს სიმართლე რომ უთხრა და მერე, მოვლენები ცუდად განვითარდეს, რას იზამ? ჯობია, საკუთარი გრძნობები თავადვე გაუმხილოს და ყველაფერი უკეთ იქნება“.

პაწუკა:

„ტყუილს სიმართლის თქმა ჯობია. ვიცი, ახლა შენი დაქალი ძალიან იტანჯება და გული სტკივა. ჩემო კარგო, სიყვარულის უფლება ყველას აქვს. ჯობია, სიმართლე ერთხელ თქვას და ტკივილისგან გათავისუფლდეს. წარმატებები! იმედი მაქვს, ის ბიჭი გაუგებს“.

იკუჭკეზი:

„შენს ადგილას, სხვის პირად ცხოვრებაში არ ჩავერეოდი. შესაძლოა, ახლა გგონია, რომ მთელი სამყაროს გადარჩენა შეგიძლია და გევალება კიდეც, მაგრამ დამიჯერე, როცა ასაკი მოგემატება, მიხვდები, რომ პირადი ცხოვრება ის ერთადერთია, რასაც არავინ, თუნდაც ყველაზე ახლობელი ადამიანი, არ უნდა შეეხოს. ჩემო კარგო, შენს დაქალს ნება მიეცი, თავად გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს. თქვენი ასაკი მეც გამოვიარე და მესმის, ახლა რასაც გრძნობთ, მაგრამ დამიჯერე, ამ ასაკში სერიოზული გრძნობა არ მოდის, ეს დროებით პრობლემაა და ამისგან ტრაგედიას ნუ შექმნი, კარგი? ახლა შეიძლება, გულგრილობისთვის გამიბრაზდე, მაგრამ, როცა ჩემსავით, 22 წლის გახდები, გამიგებ. სიყვარულს ამდენი ფიქრი და განსჯა არ სჭირდება — როცა მოდის, მას ვერაფერი დაუკავებს“.

გადარეული:

„სიმართლე უნდა თქვა, აბა, სადამდე უნდა დამალო? უთქმელი დიდი დარდია, ნათქვამი — ჰარიჰარალე... თქვი, ხომ არ მოგკლავენ?! ეგეთები მითქვია მე?!.“

პუსკა 21:

„გეხუტუნე, მსგავს სიტუაციაში მეც ვიყავი და რადგანაც ლიზის გიგასთვის სიმართლე ვერ ვათქმევინე, ეს სიყვარულის ამბავი თავად „გავახმოვანე“. ჰოდა, ახლა მათი შვილის ნათლია ვარ“.

ვერძი:

„მათ ურთიერთობაში ნუ ჩაერევი, გენაცვალე. შენი მეგობარი კი არ ცრუობას, არამედ უბრალოდ, თავს იკავებს, საკუ-

არამედ უბრალოდ, თავს იკავებს, საკუთარი გრძნობების გამხელას ვერ ბედავს. შენი გულის წუხილიც გასაგებია, მაგრამ მაინც, თავი შეიკავე... ადრე თუ გვიან, ყველაფერი ისედაც გაირკვევა“.

ლატატუნა:

„შეეცადე, მათ ურთიერთობაში არ ჩაერიო. შენ ხომ არ იცი, აჩიკოს რეაქცია როგორი იქნება. მესმის, რომ დაქალის მდგომარეობას განიცდი, მაგრამ შესაძლოა, თავად დაზარალდე...“

მტირალა:

„პირველად გწერთ და გამიხარდება, თუ ჩემს გზავნილს „გზის“ ფურცლებზე ვიხილავ. ანი, ჩემო კარგო, შენი მესმის; მეც ბევრჯერ ვყოფილვარ მსგავს სიტუაციაში და გირჩევ, მათ ურთიერთობაში არ ჩაერიო, რადგან ხშირად, ყველაზე მეტი სწორედ შუამავლებს ხვდებათ. ამას ჯობია, დაქალი ანუგეშო, მხარში ამოუდგე და თუ ეს გულწრფელი სიყვარულია, მერწმუნე, „ხმად მღაღადებლისად“ არ დარჩება, ის აუცილებლად გაჟონავს...“

ბესტა:

„გასაგებია, რომ დაქალის პრობლემა გაწუხებს, მაგრამ მათ ურთიერთობაში მესამე პირი ანუ შენ ზედმეტად მიმაჩნიხარ. ნუ ჩაერევი. დარწმუნებული ვარ, ის ბიჭი ისეთი დებილი არ იქნება, რომ მასზე შეყვარებული გოგო ვერ ამოიცნოს. P.S. აი, სწორედ ესაა მეგობრობის ნიღაბს ამოფარებული სიყვარული!“

ჭრიჭინა:

„გასაგებია, რომ დაქალზე ზრუნავ, მაგრამ ყველაფრის უფლება არა გაქვს. ნუ, თუ თავად გთხოვს დახმარებას, მაშინ შეიძლება, რამე მოიმოქმედო. დამოუკიდებლად ნურაფერს გააკეთებ, ხანუმას ეპოქა დასრულდა. მესმის, დაქალისთვის კარგი გინდა, მაგრამ გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღოს. როგორც ჩანს, კარგი მეგობარი ხარ. P.S. კვირაცხოვლობას გილოცავთ, მგზავნელებო“.

მის რეალი:

„შენი დაქალი რამდენი წლისაა? დარწმუნებულია, რომ უყვარს? ალბათ, ეს ყველაფერი ასაკის ბრალია. ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს და გაუვლის“.

სტინგი:

„საყვარელო, ძალიან მიხარია, დაქალზე ასე რომ ზრუნავ. მეც მყავს დაქალები და მათ გამო ყველაფერს გავაკეთებ. შენს დაქალს ურჩიე, შეყვარებული მოხიბლოს — ბიჭი ყოველთვის ამჩნევს ლამაზ გოგოს, რომელიც მის გვერდითაა; შეიძლება, მან მასში ქალი დაინახოს და არა — მეგობარი. ვინ იცის, შესაძლოა, გოგონას მიმართ იმ ბიჭსაც ჰქონდეს სიმპათიები. P.S. ამ ყველაფერმა საკუთარი თავი გამახსენა. სიგიჟემდე მომწონს ჩემი ძმაკაცი, როგორც მამაკაცი და ისიც, ყოველ წუთს სიყვარულს მიხსნის. აბა, ჰე, წავედი. მიყვარხარ. წარმატებები!“

დიტო:

„ძვირფასო ანი, მეც შენი ასაკის ვარ და მსგავს სიტუაციაშიც ვყოფილვარ. მეგობარს აუხსენი, რომ სიმართლის თქმა აუცილებელია. გოგონებს გარისკვის ეშინიათ და ფიქრობენ, — ვაითუ, ჩვენი საქციელით საყვარელი ადამიანი საბოლოოდ დავკარგოთო. აჩიკოს სიმართლე რომ უთხრა, ამით საქმეს გააფუჭებ“.

ეშმაკუნა:

„აჩიკოს არაფერი უთხრა. როცა სამივე ერთად აღმოჩნდებით, შეეცადე, საუბარი ისე წარმართო, რომ ეკას სიმართლის თქმა მოუნდეს. ზედმეტად ნუ ჩაერევი. აბა, ჰე“.

ანაანო:

„პირადად მე, მადლობას გიხდი იმისათვის, რომ მეგობრის გამო ასე წუხხარ. რაც შეეხება ეკას, მიხარია, რომ მეგობარი შეუყვარდა, რადგან ჩემი აზრით, სიყვარული სწორედ მეგობრობიდან იწყება! ცუდია, რომ არ იცით, თუ რას გრძნობს აჩიკო. ეკამ უნდა გაბედოს და სიმართლე უთხრას ან სასიყვარულო ბარათი მისწეროს. თუ ნამდვილი მეგობარია და მასთან სხვანაირ ურთიერთობას ვერ შეძლებს, ამის გამო არ დაკარგავს, გაუგებს. ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ დაქორწინდებიან“.

ანანიკო 17:

„ჩემი აზრით, ამ საქმეში არ უნდა ჩაერიო. დაქალები მეც მყავს და მესმის შენი, მაგრამ ჯობია, არაფერი მოიმოქმედო. შეიძლება, დაქალისთვის კარგი გინდოდეს და პირიქით გამოგივიდეს. სიმართლის თქმით, ეკამ შესაძლოა, საყვარელი ადამიანი სამუდამოდ დაკარგოს“.

ტკლ-005:

„მესმის, გული გტკივა, როცა მეგობრის ტანჯვას უყურებ, მაგრამ შენი ქმედებით შესაძლოა, მათ ურთიერთობაზე ცუდი გავლენა მოახდინო. სხვათა შორის, ჩემი დიდი სიყვარულიც მეგობრობით დაიწყო, ახლა კი უბედნიერესი ადამიანი ვარ. არ ჩაერიო, დამიჯერე“.

დამავიო:

„აბა, საკუთარი თავი აჩიკოს ადგილას წარმოიდგინე. გოგონა, რომელსაც წლებია, იცნობ, რომელთანაც სულიერი ძაფებით ხარ დაკავშირებული, რომელიც დაზე ნაკლებად არ გიყვარს და რომლსაც საუკეთესო მეგობარს უწოდებ, შენი „ძმა და მეგობარი“ სიყვარულს რომ აგიხსნის, გული არ გეტკინება? რაღაც დანაშაულის გრძნობა არ გაგიჩნდება? ჰოდა, სიმართლის გაგების შემთხვევაში, აჩიკოც ამასვე იგრძნობს. თუ ეკა ფიქრობს, რომ ეს სიყვარული ჭეშმარიტია და არა ბავშვური გატაცება, მაშინ სიმართლის დამალვა აღარ ღირს. აჩიკოს პირველი რეაქცია საკმაოდ მწვავე იქნება, მაგრამ ამას დროთა განმავლობაში შეეგუება და შესაძლოა, ეკას მიმართ მასაც გაუჩნდეს რაღაც გრძნობა“.

სანტა:

„ჯობია, მათ საქმეში არ ჩაერიო. თუ შენი დახმარება დასჭირდება, თავადვე მოგძებნის“.

რუსპირი:

„ვაიმეეე... სულ რაღაც, 2 გრამი ტვინი მაქვს ამხელა თავში და ამ ხალხმა ისიც ამატკივა! გულქვა არ გეგონოთ, უბრალოდ, ყველაფერს თავის სახელს ვარქმევ. ხალხნო, სიყვარული პრობლემა რომ ყოფილა, იცოდით? მე — არა! თუ გინდათ, ქართული მენტალიტეტი დაარქვით, თუ გინდათ, სიგიომე (მაინც, პირველი სჯობს), მაგრამ ჯერ ის ფაქტი მიშლის ნერვებს, გოგო რომაა ბიჭის „თვისებშეთვისებული“ და ანიმ სულ გადამრია, კაცო: ბიჭს უხსნის სიყვარულს, თანაც — სხვის მაგივრად. ანი, თუ შენი დაქალი და აჩიკო ისეთი საუკეთესო მეგობრები არიან, როგორც ამბობ, ბიჭს უკვე ყველაფერი ეცოდინება. დამიჯერე, ბიჭები ყოველთვის ვხვდებით, როცა გოგოს მოვწონვართ. მაპატიე, მაგრამ მეტიჩარა ადამიანი მგონიხარ. შენ ადგილას დაეტიე! დაქალის სტატუსი არ გაძლევს იმის უფლებას, რომ გადაწყვეტილება სხვის ნაცვლად მიიღო, ეკას გრძნობები გააშიშვლო“.

ლუნა:

„ჩემი დაქალიც მეგობარზე იყო შეყვარებული და სიმართლეს ვერც ის ეუბნებოდა. სამაგიეროდ, როცა მას სხვა გოგონასთან ერთად ხედავდა, ძალიან ეჭვიანობდა. მის გამო მეც ვწუხდი, მაგრამ არ ჩავრეულვარ, რადგან ვიცოდი, ამას აზრი არ ჰქონდა! მალე, ჩემი მეგობარი მიხვდა, რომ ის ბიჭი არ უყვარდა. დღეს სხვაზეა შეყვარებული და იმ ბიჭის დანახვისას ამბობს: ნეტავ, ამაში რა მომწონდაო?.. ნამდვილ, ორმხრივ სიყვარულს არაფერი სჯობს, ცალმხრივი სიყვარული კი ადამიანს ტანჯვის გარდა, არაფერს მოუტანს. შენი მეგობარი აუცილებლად იპოვის ნამდვილ სიყვარულს“.

გრუზინკა:

„ეს პრობლემა სულაც არაა, რადგან სიყვარული სწორედაც, რომ მეგობრობით იწყება. მჯერა, ეკა გამბედაობას მოიკრებს და აჩის სიმართლეს ეტყვის. წინასწარ ნურაფერს დარდობ“. ■

„მიყვარს, მაგრამ ცხოვრების დანგრევა არ მინდა...“

ნინო:

„თქვენი რჩევა მჭირდება. „ლოვესთან“ პრობლემები მაქვს. ერთი წელია, რაც ერთად ვართ და ის უკვე მთხოვს, მასთან დავწვე. მეუბნება, რომ ეს ურთიერთობისთვის აუცილებელია, რომ ჩემი სურვილი კლავს და ამ სურვილს ვერ უმკლავდება. გიო ძალიან მიყვარს და მისი დაკარგვა არ მინდა; არც დაორსულება და ცხოვრების დანგრევა მსურს. ჩვენ 18 წლისანი ვართ. თუ გინდათ, გამკიცხეთ, მაგრამ ამ გაკიცხვას რჩევაც მოაყოლეთ. იცოდეთ, თქვენი დახმარების იმედი მაქვს“.

*P.S. **მაშ ასე, თუ ნინოს წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.***

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 34 წლის, ბინით, მანქანით უზრუნველყოფილი, ექიმი. თბილისელი, მაღალი, თბილი. ოჯახის შექმნის მიზნით დამირეკოს აუცილებლად თბილისში მცხოვრებმა, მატერიალურად უზრუნველყოფილმა მამაკაცმა, ინტელიგენტმა. ცოტა წუნია ვარ.

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი განქორწინებულ მამაკაცს. მოწესრიგებულს, დალაგებულს, უზრუნველყოფილს. ვარ თბილისელი, 30 წლის. მყავს 13 წლის ბიჭი.

3. ვარ სიმპათიური, 24 წლის, დასაქმებული, პატიოსანი, ერთგული გოგო დასავლეთიდან. გავიცნობ 33 წლამდე ასაკის ნამდვილ ჯენტლმენს.

4. სერიოზული ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ახალგაზრდა პიროვნებას. მქვია ნინო და ვარ 25 წლის.

5. ვარ 24 წლის, 155 სმ სიმაღლის, თბილი, უბრალო და ღამაზი სულის გოგო, სხვებისგან განსხვავებული. გავიცნობ მხოლოდ სერიოზულ, ჭკვიან, ზრდილობიან მამაკაცს, ვინც ნამდვილი სიყვარული იცის.

6. ვარ 25 წლის, კარგი გარეგნობის და პროფესიის, გასათხოვარი გოგო, დასავლეთიდან. გავიცნობ 25-32 წლამდე ასაკის, თბილისში მცხოვრებ პიროვნებას, ოჯახის შესაქმნელად. ქრისტინა.

7. გავიცნობ 35-45 წლის მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. მყავს 3 წლის გოგო. ვარ უმაღლესი განათლებით, სიმპათიური.

8. ვარ მარტოხელა, ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილი. გავიცნობ სერიოზულ მამაკაცს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 50 წლის.

9. ვარ 29 წლის, განქორწინებული, მყავს შვილი. მხოლოდ ოჯახის შექმნა მინდა კარგ ადამიანთან. გთხოვთ, გასართობად ნუ შეწუხდებით.

კაცები

10. გავიცნობ თბილისელ, ლამაზ, ჰიგიენურ მანდილოსანს, 39 წლამდე. ვარ 29 წლის, სიმპათიური მამაკაცი. მომწერეთ თქვენ შესახებ, ზარი არ გამოუშვათ.

11. სიამოვნებით გავიცნობ ჯიგარ გოგოს, ვისაც სიყვარული შეუძლია. ვისაც სურს, დამიკავშირდეს.

12. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით 35 წლამდე ასაკის ქალბატონს. ქვრივზე არა მაქვს გართულება. მთავარია, ჰქონდეს სუფთა წარსული და იყოს სულით ლამაზი. დამიკავშირდით. გია.

13. ვეხმაურები „გზის“ 13 ნომერში გამოქვეყნებულ მე-3 მესიჯის ავტორ გოგოს. ვარ 22 წლის, მაღალი, სამსახურიანი. როგორ დაგიკავშირდე?

14. მსურს გავიცნო სერიოზული გოგო, 25 წლამდე. ვარ 30 წლის.

15. ვარ 33 წლის და ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33 წლამდე ასაკის ქალბატონს. მამუკა, ყვარელი.

16. მე მქვია მინდია. დავკარგე შეყვარებული. მან მიმატოვა. მე მასთან მივქარე და ამას ვნანობ. მინდა გავიცნო კეთილი და ლამაზი გოგონა. ვარ 14 წლის. დამიკავშირდით.

17. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ როგორც ხორციელად, ასევე სულიერად ლამაზ გოგოს, თბილისელს, 24-29 წლამდე. უნდა ჰქონდეს სუფთა წარსული და აუცილებლად იყოს ეკლესიური.

18. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ რუსთაველ ან თბილისელ, 40 წლამდე ასაკის ქალბატონს.

სხვადასხვა

სიყვარულის ამ ლამაზ დღეს გილოცავთ ყველას. ყოველთვის წრფელი სიყვარულით ყოფილიყოს თქვენი გულები ანთებული. განსაკუთრებულად მიყვარს ეს დღე. თან გაზაფხულიც უკვე ძალაში შევიდა და... და უბრალოდ მინდა გითხრათ, რომ მიყვარხართ... SWEET-GIRL.

უუუღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო სოფი19-ს, რუისპირს და მრავალ სხვა ადამიანს, რომელთაგანაც ამ კვირას, სითბოს და სიყვარულის კორიანტელი დამაცხრა თავს... მადლობა ყველას, რომ გიყვარვართ. ე.ი. ვინმემ უნდა გამლანძღოს, რომ ასე გაჩნდეთ ჩემთან და აღარ მომაწყინოთ ხოლმეე? ჰიჰ, მიყვარხართ ამ პატარა გულით, მაგრამ უსაზღვროდ. SWEET-GIRL.

მაარ, ეს ლექსი მე და ლიკამ გამოვაცხვეთ ახლახან და იმედია, დაგვიბეჭდავ. მაშ ასე, წავიდა: ვამესიჯებთ „გზაში“ ერთად,/ არ გვერევა აზრები./ ხან ვართ ცოტა უხეშები,/ ხან — ძალიან ნაზები./ მოგვდის თავში ბევრი აზრი,/ სტრიქონები, ფრაზები,/ ძლიერ გვიყვარს ერთად ყოფნა,/ ვმშვიდდებით, არ ვბრაზდებით.../ ხან ვიცინით და ბევრს ვხუმრობთ/ და ვკამათობთ ხანდახან.../ ერთი აზრი მოგვივიდა,/ ორ მგზავნელსა ახლახან.../ დავსხედით და შევუდექით,/ ლექსთა წყობის აკრებას,/ ვცდილობთ რითმას დავუძახოთ.../ რითმას ცუღლუტს,

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

თავნებას.../ ვიცით, შეძლებთ მგზავნელებო,/ ამ ლექსისა გაგებას.../ არ დაგვცინებთ, არ გვანანებთ,/ ხელში კალმის აღებას.../ ვერ გაგვიგებთ? მაინც დავწერთ,/ არ გვჩვევია წაგება,/ მთავარია შევძლოთ ცეცხლის/ თქვენს გულებში ანთება.../ ცეცხლი იგი მოგიზგიზე,/ წრფელი გრძნობით ალდება.../ როცა ერთმანეთს ვერ ვხედავთ,/ დღეც რომ იყოს, ღამდება.../ ლექსის წერის ძალა რომ გვაქვს,/ მუზებია თავდებად.../ სიყვარული გვაქვს ულევი,/ არასდროს თავდება.../ რითმებსა ვსვამთ ვახტანგურად.../ რეალი და გოგო SWEETY/ ეს ცხადია, რეალობა,/ არ გეგონოთ ვინმეს მითი.../ წაიკითხეთ გულისყურით,/ აქ ჩანს ჩვენი გრძნობა, ფიქრი./ გზავნილეთის სიყვარულით,/ ახლა თქვენს წინ, რითმად ვიწვით.../ ერთად ვდგავართ გზავნილეთში,/ გზავნილ-იორკს ვთვლით ჩვენს ბინად./ ლექსები და პრიკოლები/ გავიხადეთ გზად და ხიდად.../ ბოროტებას, შურს და ბოღმას/ გადავლახავთ წყნარად, მშვიდად.../ მოდით, გვერდით დაგვიდექით,/ ჩვენი სითბო ვისაც გინდათ.../ ჩვენ არ ვერჩით არავის და/ მხოლოდ გვინდა ერთად ყოფნა./ სიყვარული გვაქვს იმდენი,/ვერ დაიტევს თქვენი ცოდნა.../ ახლა ავდგეთ სუყველანი.../ დავიძახოთ ერთად ჰოპლა,/ სიყვარულის ჩავხტეთ ზღვაში,/ გადავცუროთ შური, ბოღმა.../ სიყვარულით დაწერილი,/ ჩვენი ლექსიც ამით მორჩა.../ SWEET-GIRL-მის-რეალი.

იყო და არა იყო რა,/ ღვთის უნახავი რა იყო, გზავნილ-იორკი რატომღაც,/ ბევრ ნაწილებად დაიყო./ ზოგს სურს დიდება და რა ქნას,/ ადგილი რომ ვერ გაიყო,/ ზოგს რომ ეგონა 12,/ იმ დროს კი თურმე 9 იყო./ როგორც ზღაპარში, გმირებიც/ ჰყავს ამ „გზავნილებს“ ბევრია,/ ჰყავს ბევრი ნაცარქექია/ და რამდენიმე ფერია./ სადაა დედინაცვალი,/ დედად ზის თავში მარიო,/ შესცქერის მისსა „გზავნილებს“,/ როგორ ატყდება ქარიო./ იმასაც ხედავს ოჯახში,/ მზე რომ ანათებს მწველია,/ ოჯახს ჰყავს ბევრი წევრი და/ კვლავაც მრავლდება ერია./ აქ ხან სიკეთე იმარჯვებს,/ ხან ბოროტება ბინადრობს,/ ხანდახან ხდება სურვილიც,/ თუ წრფელი გულით ინატროს./ როლებს არ გავანაწილებ,/ მოვუხმობ კეთილ გმირებსა,/ გახსოვდეთ, რომ ვერ დაუშლით,/ ყროყინს ვერასგზით ვირებსა./ ვცადოთ დავჯაბნოთ ბოროტი,/ ერთად რომ დავდგეთ ყველაო/ და გავანათოთ ოჯახი,/ რადგან ხანდახან ბნელაო./ საქათმეს ვერ შეეღევა,/ ქათმისჭამია მელაო,/ როგორც არ უნდა იძახოს,/ ო დელი, დელი, დელაო./ ჩუპი, SWEET-GIRL-ი, ლიმონა,/ სიკვდილა, კიდევ — ვერმახტი,/ ჭრიჭინა, დუჩი, კახელო,/ სხვა ვერ დაგჩრდილავთ ვერათი./ მაესტროს რითმა მიზიდავს,/ კიკი ჰყავს კვლავაც გულშია,/ სოოფ19-ს სულში ჩავისვამ,/ ჯულიას სიყვარულშია./ რუისპირს ვუქებ იუმორს,/ ქალი ცდუნება, სადა ხარ?/ ერთო ჭკვიანო მგზავნელო,/ შენ ჩემი ამოცანა ხარ./ მაშ ასე, მოვრჩეთ აღწერას,/ ლხინი აქ, ჭირი იქაო,/ ფქვილი აქ იყოს, ჩვენთანა,/ ქატო კი იყოს იქაო. მის რეალი.

მიყვარხარ, მარა სადა ხარ, ჩემო ცისიას სხეულო? წყაროსთან წყურვილი მახრჩობს, ჯიუტო, გადარეულო. რას მერჩი დედისერთასა, ქალებში გამორჩეულო? გაკოცე. ბერბიჭა.

შენს სიცილზე კლეოპატრა, სახე ლაღად გამებადრა, ბევრმა სცადა სიხალისე, ჩემში შიგან გაეფატრა. შენთან მათი რაობისას კი დავლევდი ერთ ლუდ კათხას. ბერბიჭა.

თუ გავუძელ „გზაში“ ამტყდარ, ხარაბუზთა ელვა-ბლუყუნს. ნაკაცართა, ნაქალართა, ზლუქუნს, ბუზღუნს, სლუკუნს, ფხუკუნს, გაგინათებ ბნელს და უკუნს, ვიმეგობროთ ჩემო პუკუ. ბერბიჭა.

რითმა თუ ვერ, აზრი გიჭრის, ქართულ სიტყვის კალამბურო, ზნეკეთილო, შენი ქებით მსურს ეს ლექსი დავასრულო. გრძნობით სავსე სათნო სულო, რა კარგი ხარ, ნაკადულო?! ბერბიჭა.

ახლა „გზავნილები“ გადავიკითხე თავიდან და „დავიხოცე“ სიცილით. :) კარგ თემაზე მოსული კარგი გზავნილები იყო. :) ისა და... მეც დავაგზავნილებ ხოლმე, შიგადაშიგ ჩემს ამბებს. იმედია, ჩვენი კეთილი მარი ჩამაბეჭდავს სადმე. :) მოკლედ, ვაქტიურობ და ეგაა. მოკითხვა ყველა ღირსეულ და საყვარელ მგზავნელს, მარადმწვანე ვერძისგან.

ილო, საყვარელო ძმაო, ამდენი მოგითმენია და ცოტაც მოითმინე. შენ გვერდით ვარ. მიყვარხარ და მენატრები. გაუძელი გასაჭირს. შენთვის გულდამწვარი მაყვალა.

რას იტყვით იმ იდეაზე, რომ ცოტა-ცოტა მოვყვეთ ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ? გავეცნოთ ერთმანეთს, მგზავნელებო. საინტერესოა, ვინ ვინ ვართ. :) ვერძი.

სალამი, ხალხნო და ჯამაათნო! მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც მინდა მადლობა ვუთხრა მატიტელას და ფისოს, თბილი და მეგობრული სიტყვებისათვის.

თეთრ მაისურზე შავი ზოლები, მწვანე მინდორზე თეთრი ფორმები, ბევრი შეტევა, ბევრი გოლები, ეს „რეალია“, არ იბოლები. ფეხბურთს და „რეალ“ მადრიდს გაუმარჯოს! მარი და სალი.

ანასტასია23, გამარჯობა, ჩემო კარგო. კეთილი იყოს შენი მოსვლა „გზის“ პატარა დიდ ოჯახში. სიამოვნებით გიწვდი მეგობრობის ხელს. :) არ დაიკარგო. ვერძი.

მის რეალ და მაესტრო, ძალიან საინტერესო საუბარი გამოგსვლიათ. მართალია, მოდელირებული იყო, მაგრამ კარგად ვიხალისე. :) მასე რომ გააგრძელოთ, არაა?! :) ვერძი.

ვიღაცამ ცოტა გაურკვევლად მიგულისხმა თუ თვალებში მომებლანდა რაღაც? საქმე ისაა, რომ ყველა ჩემთვის საყვარელ მგზავნელს ცალ-ცალკე რომ მოვეფერო, მარი არ დამიბეჭდავს, რაც ძალიან კარგად მესმის. სწორედ ამიტომ, ვცდილობ, ერთ მესიჯში გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება, თუნდაც რამდენიმე მგზავნელის მიმართ. ასე, რომ პროვოკაციებს ნუ ექნება ადგილი, ძალიან გთხოვთ. თუ ჩემ მიერ ნაგულისხმევი მესიჯის ავტორის მიზნის შეფასებაში შევცდი, ბოდიშს ვიხდი მთელი გულით. ვერძი.

ო-ჰო-ჰოო... რა ვაუკაცი ყოფილხარ, მისტერ? მოვკვდი სიცილით, ვაგზლის რემბო. ასე მოუხდებათ. ალბათ შიშით ქლიავზე აძვრნენ და იქიდან გესვრიან კურკებს. საღოლ, რომ მაცინე. ელენ.

ხალხო, დოლარაზე ამდენი კომენტარი ისევ მის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. დათოსაც ნუ უკეთებთ იგივეს. ჯობია, თავი დაანებოთ, უკვე საკმარისად მიიღო მისაღები. ვფიქრობ, ჯობია, ისევ ჩვენკენ შემოვატრიალოთ ეს ადამიანი, ტკბილი სიტყვით და ნამუსზე აგდებით. თუ არაფერი გამოვა, როგორც იტყვიან, წინ წყალი და უკან მეწყერი. ისევ აირია მონასტერი, რა... გრუზინკას კი ვეტყვი, რომ არაჩვეულებრივი ადამიანია. აღდგომის მილოცვის ცუდად გაგება მკრეხელობაა. სწორედ მაგიტომ ხარ ადამიანი, რომ განსხვავებული სარწმუნოების მიუხედავად, ჩვენთვის, მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის, აღდგომის მნიშვნელობას ხვდები და გვილოცავ. გაკოცე. ვერძი.

გრუზინკა, მე ქრისტიანი ვარ და ბევრი მუსლიმანი მეგობარი მყავს. პატივს ვცემ მათ რწმენას, როგორც ისინი ჩემსას. შენ მადლობა მოლოცვისთვის. პატარა დედიკო.

ჩვენი საყვარელი ჟურნალი „გზა“ მგზავნელებით ბრწყინავს. ყველაში ვხედავ პატარ-პატარა სამკაულს, რაც ცხოვრებას გვიხალისებს. მხურვალე მადლობას ვუგზავნი მათ.

ბავშვებო, ძალიან მიყვარხართ და ძალიან მინდა თქვენთან ყოფნა... ცუდ მესიჯებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ... სოფ.

ილო, ძალიან მოგვენატრე. შენს მოლოდინში გაუსაძღისად იწელება დრო, მაგრამ უფლის იმედი არც ერთმა არ უნდა დავკარგოთ! გამაგრდი, ილოცე, გელოდებით, გვიყვარხარ.

დრო, ცრემლი, 9 აპრილის ტრაგედიის დროს დაღვრილი უდანაშაულო ადამიანების სისხლი, რომლებიც თავისუფლებისთვის იბრძოდნენ. მსუბუქი ყოფილიყოს მათთვის მშობლიური მიწა.

ვინც ჩემი სახელი ტალახში ამოსვარა, იმას რა?!.. მხოლოდ სახელი და არა — მე! აგაგდოთ და შეცდომაში შეგიყვანათ. დათო. P.S. ნუ მეცილებით ამ სახელს!

ზოგიერთების გასაგონად: მე რეკლამა არ მჭირდება, თავიდან ბოლომდე რეკლამა ვარ და იმიტომ. :) მე ყურადღების მისაქცევად თქვენს გაცვეთილ ხერხებს არ ვიყენებ! ფეშენა.

თიკუნია999, მოგიკითხავ შორიდან. კუტრინ, შენ გაიხარე, როგორც მე გამახარა შენმა სიტყვებმა, ისე. :) კაკუ, ძაან, ძაან მიყვარხარ, დე! რუისპირ, ჩაქრი შენა. :) ფეშენა.

აეე, ბედნიერებოოო! ბედნიერებო იმიტომ, რომ ერთმანეთი გყავთ. მენა კიდე ვერავინ მიგებს... :-(ეეჰ, რა უაზროდ ვიგრუზები... :-(პოეზიავ, მოვდივაააარ!.. გალაქტიონი.

კარგი რა, ყველაფერს საზღვარი აქვს, ქუჩა ხომ არ გგონიათ? არავის ვიცავ და არც არავის ვლანძღავ. უბრალოდ, არ მსიამოვნებს, როცა ერთმანეთს ასე სახალხოდ ჭამთ. ფლამინგო.

ვერრო, ვხვდები, რომ კარგი ხარ, ჟურნალს გარეთ და ჟურნალშიც, მინდა გისმინოს ბერბიჭამ, იქნებ დაუჯდეს ჭკუაში, აქ ბერბიჭა, იქ 9თვალა, მე გავჭედილვარ შუაში. ცისია.

მიყვარხარ, მარა სად ხარო? მიპოვი თუ მართლა მეძებ, ჩემი ცრემლების მიზეზო, ნუ დამთმობ, ნუ გამიმეტებ, შენ მდინარე ხარ, მე ზღვა და იქნება შემომიერთდე? გაკოცე. ცისია.

უღრმესი მადლობა ყველა მგზავნელს, ვინც ჩემი ტკივილი გაიზიარა და გამამხნევა. ღმერთმა დაგლოცოთ, ძვირფასებო. SWEET, არავის უსმინო, გადასარევი გოგო ხარ. პარიჟანკა.

ჩემო საყვარელო მარი ჯაფარიძე, თაყვანისცემას და მოწიწებას იმსახურებ. გილოცავ აღდგომის დღესასწაულს. აღარ შეგაწუხებ. გკოცნი მრავალჯერ. შენი ნანი დუმბაძე. ნაკადული.

თაის, გამახარე, ჭეშმარიტად გამახარე! რა სასიხარულოა, როცა ახალგაზრდები გრძნობენ სამშობლოს გასაჭირს, სტკივათ მისი იარები. შენ, ვფიქრობ, ის სხივთა-

განი ხარ, რომლებიც საქართველოს მომავალს გააცისკროვნებენ! სიამოვნებით გაგესაუბრებოდი. :) P.S. მის რეალისა და მაესტროს ლექს-გზავნილები საამოდ წასაკითხი იყო. სარვიეტა.

ვისაც გიყვარვართ და დასაცავად ატეხეთ დიდი აურზაური, ვისაც ვერ გართობთ, შურიანების დიპლიპიტო და დიმპიტაური, ყველა იმ მგზავნელს სულში გაკოცეთ, თქვენა ხართ ჩემი დღესასწაული. ბერბიჭა.

რომ დაგიკოცნო 9 თვალი, რომ შემოგხვიო ეს მკლავი, შენა ხარ ჩემთვის ცხრათვალავ, ცას მოწყვეტილი ვარსკვლავი. აპრილის ნიავს წამოჰყე, ჩემთან მოგიყვანს გზაკვალი. გაკოცე. ბერბიჭა. P.S. მოკითხვა ანასტასია23-ს, ვერძს, ფეშენას, მემეს, ნინიას, დამავოის, ნერტისს, პარიჟანკას, ბულონს, მანჩოს, ცისიას და თიკუნას. ბერბიჭა.

შეწირული როგორ არის, ნეტავ? უფრო სწორად, ის, ვის გამოც ტრაგიკული განწყობით დაგვემშვიდობა? იმედი მაქვს, კარგად არის და ძალიან მინდა, ასე იყოს. სარვიეტა.

პრივეთ ჩუპი, როგორ ხარ? მე ახალი ვარ, ბანაკიდან გიცნობ, შენი სურათიც მაქვს, წამოსვლის დღეს გადავიღეთ. არ გაგახსენდი? მე-4 რაზმში ვიყავი.

გთხოვთ, მომწეროთ „მობილი-ზაციაში“ ერთი მესიჯის ფასი. ვერძო, მომწონხარ. ფისო.

მარ, რამდენჯერ გამოგიგზავნე მესიჯი და არ მიბეჭდავ. ახლა მაინც დამიბეჭდე, რაა. მოვიკითხავ ლუნას, დადას, ვერმახტს. თეთრი გედი (ყოფილი მარტოსული).

როგორ ხართ, მგზავნელებო? ყველანი ძალიან საყვარლები ხართ. მართალია, ბევრს არ ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ცუდები არ არიან. დიდი სიყვარულით მოვიკითხავ რუისპირს, ჩემს უმაგრეს ძამიკოს, კლეოპატრას, ჩემს უსაყვარლეს დაიკოს, სოფი-19-ს, სანტას, აბეზარას და SWEET GIRL-ს.

მარი, როგორ ხარ? ახლა სიცხე მაქვს. იცი, როგორ ვარ? გახსოვს, ერთ გზავნილში რომ მოგწერე, ერთი ქალი რომ ეუბნებოდა თარჯიმანს, მტვირავს, მტვირავს, ძვლებში მატარანებსო? აი, ზუსტად ასე ვარ. ლუნა.

რა კარგია... ახალი და ძალიან კარგი მგზავნელები მოვიდნენ... აბა, თქვენ იცით. ძალიან, ძალიან მიყვარხართ ყველა. კამკამა.

კარგი, რა მარი, რა სასტიკი ხარ... დიანას ისტორია ცუდად დაასრულე. არ შეგეძლო, ცოტა ლამაზი ზღაპრის სიუჟეტი დაგეგდო? „ერთხელ აეროპორტშიც“ ხომ სასტიკად დაასრულე და მოკალი ცირა და ნიკა.

აჰაა.... რეალს თურმე ტყუილი არ შეუძლია... ისემც მაგას რა ვუთხარი და მერე — მაესტროს. რითმა მარტო ის კი არაა, ლექსის ბოლო სიტყვები შეეთავსებოდეს ერთმანეთს. სიტყვები მარგალიტებივით უნდა ეწყობოდეს. მართლა ვიხალისეთ თქვენს ლექსებზე. SWEET GIRL, შენი არავის შურს, შენ კი ბევრჯერ დასწამე ცილი მგზავნელებს და შურიანობა ბოღმიანობა დააბრალე.

მგზავნელების ფოტო ძალიან მომეწონა. თურმე რა კარგები ყოფილან. მართალი ყოფილა, რომ ლამაზ სხეულში ლამაზი სულია. მატიტელა.

რუისპირო, ძალიან კარგი ადამიანი ხარ და მაინტერესებს, შენი სკოლასთან ურთიერთობა როგორ დამთავრდა. მატიტელა.

ანასტასია23, კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩვენს ქალაქში. უკვე მომწონხარ, კლეოპატრა.

„გზა“ მონასტრის ბიჭმა შემაყვარა, თვითონ კი ფაფუუ! გაუჩინარდა. პავლიკ, დაბრუნდი, რაა, „გზა“ გიხმობს. კახელოს მოკითხვა. კახეთი ფორევერ! ვინი.

მე და სოფი19 რომ ვიმღერებთ ლასკალაში, მგზავნელებო, ყურები დახუჭეთ, რა იცი, რა ხდება. სანტა.

მის რეალი, ლიმონა და სიკვდილა

უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა, რომ არსებობთ. მინდა, ჩემს უსაყვარლეს ადამიანს, მიშკა გიუნაშვილს ვუთხრა, რომ უზომოდ მიყვარს. მიშ, მართლაც რომ დიდსულოვანი ადამიანი ხარ. შენი ნინია.

აუ, რა კაცური ჩხუბი წავიდაა... უკვე საინტერესო გახდა მესიჯების კითხვა. ბერბიჭ, მიგაჩმორეს თუ არა? იფხაკუნე ახლა და იყავი. მისწერე მარის, ნუ უბეჭდავ მესიჯებს, ვინც მე მლანძღავს-თქო. მარტო შენსას დაბეჭდავს და ეგ იქნება. მიდი და ლანძღე ყველა მგზავნელი. ბოღმიანი ხარ და თავს გვაჩვენებ, ვითომ დაჩაგრული ბიჭი ხარ. დედაა... გადათელეს ბიჭი, გადაუარეს... ჭიად რომ გადაიქცევი, აღარ უნდა იწუწუნო, რომ გაგსრისეს. დედას ჩაეხუტე და იტირე, მოგეშვება. არა, ისე, ენიგმა და ბერბიჭა რომ ერთნაირად გაბრაზდნენ? ბუზუ-ზუუუ... პალაჩი.

მარ, რამე დავაშავე? შენს ნომერზე რეკვამ ნევროზი ამკიდა. ემიგრანტი.

10 წლისთავს მოგილოცავ, „გზაო“, ჩემო შვებავ, ლხენავ, უცხო ცის ქვეშ მშობლიური სითბოს სიოდ შემოფრენავ, გაიხაროს, საძირკვლიდან აგურ-აგურ ვინც აგაშენა, ვინაც სული ჩაგბერა და აზრით, გრძნობით დაგამშვენა. ვინაც გწერა და დაგხატა, ვინც შვილივით გამოგზარდა, ემიგრანტთა სანუგეშოდ, ვინაც აქეთ გამოგგზავნა, იხარეთ და იდღეგრძელეთ, მგზავნელმაც და წამკითხველმაც, მოხუცმა თუ ახალგაზრდამ, ახალმა თუ ძველთაძველმა. ემიგრანტი.

ნაკადულო, რაკრაკავ, მეფერები რა კარგად, შენი ტკბილი სიტყვებით, დარდი გადამეყარა. გაყინული გამათბე, უცებ გამოიდარა და გრძნობები გულიდან რითმად გადმოიღვარა. გაკოცე, ემიგრანტი.

ყველამ მიაყენეთ და სხვის ნეხვში ნუ იქექებით, საკუთარს მიხედეთ. არავინ გეკითხებთ, ვის რას მივწერ. დათო.

აუ, გაგულავდით, არა? ყველამ საკუთარ სულში ჩაიხედოს. ვინც ყველაზე მეტს იძახის, მიყვარხარ და გენაცვალეო, ყველაზე ბოღმიანები ისინი არიან. ვაი, თქვენს პატრონს. სიყვარულის გამოხატვა თუ ეგ გგონიათ. „გზავნილების“ გარეთ სხვას ამბობთ, სხვას აკეთებთ და აქ მამა აბრაამის ბატკნებად მოგაქვთ თავი. ვერ გარითმავს ბიჭი, თურმე რითმადაც კი არ ვღირვარ. ბერბიჭ, აბა მოიხედე, აქეთ, ვის სჭირდება შენი იდიოტური რითმები? სექსუალურად „აზაბოჩენი“ ხარ და ეგაა... თავი მაგარი კაცი გგონია... მეორე დათოს კი ვურჩევ, მიაყენოს. დათო საქართველოში გავრცელებული სახელია და მარტო შენ არ გქვია. გასაგებია? ცხვირს ნუ ყოფთ ჩემს საქმეში დანარჩენები. თვითონ მივხედავთ ჩვენს საქმეს. დუელში გიწვევთ, ჩემს ოპონენტებს და ვნახოთ, ვის რა შეგიძლიათ. მეც დათო.

დათო ბ-ს მარისგან! დათო, კარგად ვართ, მაკაკომ მოილხინა დაბადების დღეზე. წინა კვირას ორი შენაძენი გვქონდა ოჯახში — მამაკაცი შემოგვემატა, სახელად რედი. ძალიან ჭკვიანი და საყვარელი ვინმეა. ახალი სურათები რომ მექნება, გამოგიგზავნი. ჯერჯერობით იანვარში გადაღებულს მოგაწვდი. რაც დამაბარე, გიყიდე, თუ დიდი გექნა, უკან გამოუშვი, გავცვლი. დაიწყო სწავლა და დაიწყო ჩემი და ნიკას ცოდვის ტირილი. სხვა ახალი არაფერია, როცა მოვახერხებ, მოვალ. მარი.

მისტერ, პასუხი საპატიო მიზეზით დამიგვიანდა. თუმცა, მაინც საჭიროდ მიმაჩნია, გითხრა: ზრდილობა, შნო და ვაჟკაცობა რომ გაგაჩნდეს, პირადში მოიგვარებდი პრობლემებს და არც მარის, არც ათასობით მკითხველს შენი ბოღმით არ შეაწუხებდი. რასაც ჟურნალში დაწერ, იმაზე ყველას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. ვირისგან წიხლი ბუნებრივია და არ მწყინს. სამაგიეროდ, ეს წკეპლა აგიწვავს ახლა უკანალს. აბა, შენ იცი, ახლა უფრო მეტი შემართებით გააგრძელე ყოყინი და ტლინკების ყრა. ნუ გეშინია, აღარ გიპასუხებ და გამარჯვებულად ჩაითვლები. ემიგრანტი.

მემე, თბილო და ტკბილო, უკვე მიყვარხარ, დეი, გამოგიგზავნე კოცნა. რამ-

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

დენი? ბევრზე ბევრი. ემიგრანტი.

ბულონ, აკაკი და ყაზბეგი რომ წერდნენ უცენზურო სიტყვებს, ისინი დიდი ადამიანები იყვნენ და მაგის უფლება ჰქონდათ. ბერბიჭა ვინ მიგდია, რომ აკაკისა და ყაზბეგს შეადარო? მაგდენი არ გესმის, შე საცოდავო? იქნებ გაკადნიერდე და გალაკტიონს ან ვაჟასაც დაუყენო გვერდით თავისი უბადრუკი ლექსებით? ასე ვერ გაფრინდებით... ჰმ... პილოტი.

გილოცავ!

აღდგომის დღესასწაულს ვულოცავ მთელ ლეჩხუმს და ჩემს კოლეგებს, თაბორის სკოლაში. უფალი გფარავდეთ! მიყვარხართ. თემური და დიმიტრი, მალე მენახოთ ბედნიერნი. თ.ნ.

ჩემს ნათლიას, ლამაზ და მშვენიერ თამთა სილაგაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 12 აპრილს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. მიყვარხარ და გკოცნი. თამილა ნემსწვერიძე.

მარი, გილოცავ დაბადების დღეს, 9 აპრილს. გისურვებ უფლის მფარველობას, ჩემო თოჯინავ. შენი სიცოცხლე, თაზ.

მარი, პირველად გწერთ. უფლის აღდგომას, ხარებას გილოცავთ. მიყვარხართ. საქართველოში ახლა ჩამოვედი და მომეცი საშუალება, მოგეფეროთ. დამიბეჭდე, რა.

ჟურნალ „გზას“ ფერად გვერდზე გადაფურცვლას ვუსურვებ, აი, საკუთარ თავს კი მინდა დაბადების დღე მივულოცო, ჰა მარი, ხომ დამიბეჭდავ? გაიხარე. მადლობა თქვენ, რომ არსებობთ.

ქუთაისში, 25-ე საჯარო სკოლის პედაგოგს, ნანა ლილუაშვილს ვულოცავ სიყვარულის დღეს, 15 აპრილს. ნანუჩი, მალე გეპოვოს ჭეშმარიტი სიყვარული. გფარავდეს უფალი. ვოვა.

ჩემს მონატრებულ მეგობარს, ათენში დროებით მყოფ ლილი გულბათაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, დიდხანს სიცოცხლეს. გკოცნი. დალი.

ხათი, მთელი გულით და სულით მთელი ოჯახი გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. იხარე და იბედნიერე. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, საბა მეტრეველს ვულოცავ დაბადების დღეს, 13 აპრილს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს. ჩემო პატარა ანგელოზო, მიყვარხარ და მენატრები. შენი ინგა ბებია.

მარინა ბერძენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთს თავისი წყალობა შენი ცხოვრების გზაზე დაებერტყოს. ასმათ ლოცულაშვილი.

დალი კოჭლამაზაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. გაიხარე და გამრავლდი, გფარავდეს ყოვლადწმინდა. გკოცნი, თამილა.

ცისანა მამაიაშვილს ვულოცავ დაბადებისა და სიყვარულის დღეს. ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს სიხარულს ვუსურვებ. გფარავდეს უფლის კალთა. გკოცნი.

გონიერი მკითხველი

ფოტო, რომელმაც ღარღარა ლაკარგა

- „ჩემთვის პირველი ხარ, გეფიცები“. ს.კ.
- „— ფიცავ, რომ ერთგული იყო, სიხარულსა და გაჭირვებაში? — ვფიცავ!“
- „საყვარელო, პატიოსან სიტყვას გაძლევ, ქორწილიდან აღარ გავიქცევი“. ხათუსა.
- „ანა-თითი, ბანა-თითი, რომელია, შუა თითი? აბა გამოიცანი“. დ.ს.
- „დედამთილს ეფიცება, ქალწული ვარო“.
- „ერთგული არა, ჩემი ფეხები“.
- „შენი ოჯახი საკუთარივით მეყვარება, განსაკუთრებით — დედაშენი“. ეველინა.
- „საქორწილო ტორტი ჩემი ხელით გამოვაცხვე, საყვარელო“.
- „გეფიცები, ყოველ დილით ყავას ლოგინში მოგართმევ“.
- „ქალწულობის ინსტიტუტის წითელი დიპლომი მაქვს“.
- „ეჰ, რას არ გაგაკეთებინებს უფულობა ადამიანს?!“
- „გეფიცები, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. შენ ჩემი პირველი მამაკაცი ხარ“.
- „გეფიცები, ბოლოჯერ ვთხოვდები“.
- „ესა, მესა, გადის — ესა“. ჩუმლაყელი.
- „ესა, მესა, ესა, მესა, ავაშენებთ სასახლესა?“
- „(მაწვნის) დედას გეფიცები, ვგიჟდები, ისე მიყვარხარ“. გოდო.
- „არ გავატან ქარს, შენს ნაჩუქარ სიყვარულის ზღვას“. ჩუმლაყელი.
- „პირველად მაცვია საპატარძლო კაბა, ცოტას ვღელავ, ცოტა მეშინია და ცოტა ქალწული ვარ“.
- „დედაჩემი ჩვენთან არასოდეს იცხოვრებს, საყვარელო“.
- „გეფიცები, მე ლონდონში ვსწავლობდი“.

ტაიმ-აუტი

World Cup 2010

მესი, პაპა თუ რონალდუ – ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონატის გმირი

რაც უფრო ახლოვდება მსოფლიოს ჩემპიონატი, მით უფრო აქტუალური ხდება თემა — რომელი ოსტატი გახდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოედნების გმირი. ამ საკითხთან დაკავშირებით, ფეხბურთის სპეციალისტები და მიმომხილველები პროგნოზებს უკვე აკეთებენ. ამჯერად, ყველა დროის ორი აღიარებული ვარსკვლავის და ამავე დროს, ერთმანეთის მიმართ ერთგვარი ოპონენტების — მარადონასა და პელეს მოსაზრებებს გაგაცნობთ, მაგრამ მანამდე, ერთ უსიამოვნო ფაქტზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას.

საქმე ისაა, რომ ცოტა ხნის წინ სკანდალური დიეგო მარადონა კვლავ საავადმყოფოში აღმოჩნდა. ამჯერად, არგენტინის ეროვნული ნაკრების თავკაცის ჰოსპიტალიზების მიზეზად მისივე ძაღლი იქცა — შარპეის ჯიშის ოთხფეხმა მეგობარმა დონ დიეგო ბუენოს-აირესის გარეუბანში ყოფნისას დაკბინა. ფეხბურთის 49 წლის ლეგენდას ლოს აკროსის კლინიკაში მცირე ოპერაცია ჩაუტარდა და როგორც გამოცემა La Nacion იუწყება, დიეგო ამჟამად თავს კარგად გრძნობს.

თვითმხილველთა თქმით, მარადონა სამედიცინო დაწესებულებაში მეგობარ ქალთან ერთად, დილით მივიდა. დაზარალებულს პირი დასისხლიანებული ჰქონდა. სავარაუდოდ, მას ძაღლმა ზედა ტუჩზე უკბინა. ინციდენტი 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონის სახლში მოხდა. სხვათა შორის, 2010 წელს ეს პირველი არასასიამოვნო ამბავი არ ყოფილა მარადონასთვის — იანვარში მის კანონიერ მეუღლეს, ვერონიკას მეხუთე თვის ორსულობისას მუცელი მოეშალა.

რამდენიმე ხნის წინ დიეგო მარადონა ბარსელონაში, არგენტინის ნაკრების ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს, ლეო მესის ესაუბრა. არგენტინული რადიოსადგურ Cooperativa-სთვის მიცემულ ინტერვიუში დიეგომ „ბარსას“ ვარსკვლავთან ურთიერთობის შემდეგ კმაყოფილება ვერ დამალა. „მოწიფულ ადამიანს შევხვდი. ეს უკვე ლიო (*ასე ეძახის ფეხბურთელს მარადონა. — რედ.*) აღარაა, ეს მესია. მას დამსახურებები აქვს, რომლებიც მინდორზე მოიპოვა და ახლა ლიდერის როლი უნდა შეასრულოს. მისი თვისებების გამოუყენებლობა დანაშაული იქნებოდა. მენოტი და ბილარდო მეუბნებოდნენ: „უბრალოდ გადი მოედანზე და ითამაშე“. ახლა იმავეს ვეუბნები მესის, — თქვა „ალბისელესტეს“ თავკაცმა და იქვე დასძინა: — სისულელეა ჩემი და მესის შედარება, მაგრამ თუ მესი რაიმეთი აღემატება, პირველი ადამიანი ვიქნები, ვისაც ეს გაახარებს — მე ხომ მისი მწვრთნელი ვარ“.

ფეხბურთის კიდევ ერთი ლეგენდის, პელეს მოსაზრებით, ამ მომენტისთვის შესანიშნავ ფორმაში მყოფი ლეო მესი, რომელზეც დიეგო მარადონა დიდ იმედს ამყარებს, მომავალი მუნდიალის ერთპიროვნულ გმირად არ უნდა მივიჩნიოთ. „ფეხბურთის მეფის“ თქმით, მესი ბრწყინვალედ ასპარეზობს „ბარსელონაში“, მაგრამ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მას საკუთარი ქვეყნის ეროვნული გუნდის ღირსების დაცვა მოუწევს, ეს გუნდი კი საუკეთესო თამაშს ნამდვილად არ უჩვენებს. „ჯერჯერობით ვერ ვიტყვით, რომ მაგალითად, მესი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ იქცევა. რა თქმა უნდა, ლეო უდიდესი ფეხბურთელია, ის შესანიშნავად თამაშობს „ბარსელონაში“, თუმცა იმავე დონის ჩვენება არგენტინის ნაკრებში არ შეუძლია. შემიძლია გამოვყო კრიშტიანუ რონალდუ — ბრწყინვალე ფეხბურთელი, ასევე — რობინიო. ორივე მათგანს შეუძლია მსოფლიო პირველობის გმირად იქცეს. ქომაგებს სიამოვნებთ რობინიოს თამაშის ყურება, რადგანაც ის ყოველთვის ეფექტურად მოქმედებას ცდილობს. თუმცა, ბრაზილიის ნაკრებისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება კაკას ფიზიკურ მდგომარეობას“, — ამბობს პელე, რომელსაც სხვათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატების დაწყებამდე არაერთხელ გაუკეთებია სენსაციური პროგნოზი. მისი მოსაზრებით, ხან კოლუმბია უნდა გამხდარიყო ტურნირის გამარჯვებული და ხანაც — სამხრეთ კორეა.

ამჯერად, „ფეხბურთის მეფე“ კომენ-

ტატორობასაც აპირებს. ედსონ არანტეს დო ნასიმენტოსთან კონტრაქტი ბრაზილიურმა ტელეარხმა SBT-მა გააფორმა. ტელეარხის პრესმდივანმა, როდრიგო რაინიომ განაცხადა, რომ ლეგენდარულ ფეხბურთელთან შეთანხმების დეტალები უახლოეს მომავალში გამოაშკარავდება. SBT მუნდიალის მატჩების ტრანსლირებას არ გეგმავს, მაგრამ პელე და მისი კოლეგები კომენტირებას სხვა, ჯერჯერობით გაურკვეველი ფორმატის გადაცემაში გააკეთებენ.

პელეს მიერ ნაქები კრიშტიანუ რონალდუს აზრით, მომავალ მსოფლიო პირველობაზე ყველაზე რთულად ქვეჯგუფი უნდა მივიჩნიოთ, რომელშიც პორტუგალიელთა მთავარი მეტოქე სწორედ ბრაზილიის ეროვნული გუნდი იქნება. გარდა ამისა, ამ ჯგუფში კოტ დ'ივუარელები და ჩრდილოკორეელებიც გამოვლენ. „ჩემი აზრით, ეს ტურნირში ყველაზე რთული ჯგუფია. ბრაზილიისა და კოტ დ'ივუარის წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან გაგვიჭირდება. მივიჩნევ, რომ პირველობა გამარჯვებით უნდა დავიწყოთ. თუ პირველ ტურში კოტ დ'ივუარელებს დავამარცხებთ, შემდგომ ეტაპზე გასვლა საგრძნობლად გაგვიადვილდება. ვინ გახდება სამხრეთ აფრიკაში საუკეთესო მოთამაშე? — ეს დამოკიდებული იქნება გუნდის მოქმედებასა და შედეგებზე. აბა, მარტო თამაშს ხომ ვერავინ შეძლებს?! მხოლოდ წარმატებული გუნდური თამაშის შედეგად შეძლებენ ფეხბურთელები თავიანთი საუკეთესო თვისებების გამოვლენას. ფავორიტ გუნდებად კი ესპანეთის, ინგლისისა და რა თქმა უნდა, ბრზილიის ნაკრებებს მივიჩნევ. ინგლისს ძალიან ძლიერი ფეხბურთელები და მაღალი კლასის მწვრთნელი ჰყავს. ამ გუნდმა წარმატებით დაასრულა შესარჩევი ტურნირი. „მანჩესტერში“ ჩემს ყოფილ მეგობრებს, უეინ რუნისა და რიო ფერდინანდს ფინალამდე მიღწევას ვუსურვებ. თუ ჩვენი გუნდები გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ პორტუგალიამ მუნდიალზე წარმატებით იასპარეზა. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ჯგუფური ეტაპი უნდა დავძლიოთ“, — დასძენს რონალდუ.



ის, რაც აქამდე არ იცოდით

• თუ იცით, ვინ არის პერიდრომოფილისტი? — ცუდი არაფერი იფიქროთ. ეს უცნაური სახელი ჰქვია ადამიანს, რომელიც რკინიგზის სადგურის ბილეთებს ინახავს; მას კი, ვინც ყველის ეტიკეტებს (ასეთი კოლექციონერებიც არსებობენ) აგროვებს, ფრომოლისტი ჰქვია; რაც შეეხება კოპოკლეფილისტებს, ისინი ბრელოკების კოლექციით იწონებენ თავს.

• იტალიური მაფია 1282 წლის 30 მარტს შეიქმნა. იმ პერიოდში სიცილიელები კუნძულიდან ფრანგებს სდევნიდნენ და გაჩნდა ლოზუნგი: Morte Alla Francia, Italia Anela („მოკვდი, საფრანგეთო, ამოისუთქე, იტალია!“). მართალია, ფრანგები განდევნეს, მაგრამ მაფია დარჩა.

• ბაუნტის არქიპელაგი ანტარქტიდასთან მდებარეობს და ტროპიკული ტყეების ნაცვლად, ტუნდრით იწონებს თავს. სიცივის გამო, ამ კუნძულზე ადამიანები არ ცხოვრობენ. არქიპელაგის ბინადრებს: პინგვინებს, პელიკანებსა და სელაპებს „იუნესკო“ იცავს.

• ყველაზე მეტ ლუდს (161,1 ლიტრი წელიწადში) ჩეხები მიირთმევენ. ამ მხრივ მეორე ადგილზე არიან ირლანდიელები (117,6 ლიტრს), ხოლო მესამეზე — გერმანელები (115,8 ლიტრს).

• წელიწადში 150 მლნ ადამიანი სამსახურს დეპრესიის გამო კარგავს. ფსიქოლოგების აზრით, 2020 წლისთვის დეპრესია ყველაზე გავრცელებული სენი გახდება.

• შუა საუკუნეებში ხელსახოცს ძირითადად, იმ ქვეყნის მამაკაცები იყენებდნენ, რომლებიც წვერსა და ულვაშს ატარებდნენ; ინგლისში, სადაც მამაკაცები წვერს რეგულარულად იპარსავდნენ, ხელსახოცი ნაკლებად სჭირდებოდათ; ძველ საბერძნეთში ხელსახოცის ფუნქციას ლეღვის ფოთოლი ასრულებდა, რომლითაც მსახურები ბატონს პირს უწმენდდნენ.

• ჯონ პოლაკმა, რომელიც პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში მუშაობდა, 160 ათასი ღვინის საცობისგან ნავი ააგო და პორტუგალიის მდინარე დორაზე 265 კმ გაცურა. მას „საცობის კაპიტანი“ შეარქვეს.

• კანადელი ინდიელების სიმდიდრის სიმბოლოს სპილენძის თეფში წარმოადგენდა. იგი 20 კანოე, 20 მონა, 10 პატარა თეფში და ფოცხვერის, თახვისა და წაულის 20-20 ბეწვი ღირდა. ტომ კვაკიუტლეის ბელადმა — ტლატილიტლამ ტომის წევრების პატივისცემა იმით დაიმსახურა, რომ თეფში შუაზე გატეხა და ისინი ორ დაუძინებელ მტერს გადასცა.

• გამოთქმა — „ცისფერსისხლიანი“ ალბათ, ყველას გსმენიათ, მაგრამ ბევრმა არ იცის, რატომ არიან თავადები ცისფერსისხლიანები... ესპანელი დიდგვაროვნები ამაყობდნენ, რომ უბრალო ხალხისგან განსხვავებით, თეთრი ფერის კანი ჰქონდათ და კანქვეშ ცისფერი (აქედან წარმოიშვა გამოთქმაც) ვენებიც უჩანდათ. მავრებზე დაქორწინებული უბრალო ხალხის შვილებს კი მუქი ფერის კანი ჰქონდათ და შესაბამისად, არც სისხლძარღვები ეტყობოდათ.

• უძველეს დროს, როცა ექიმებმა ადამიანის ორგანიზმში ნერვები აღმოაჩინეს, ის მუსიკალური ინსტრუმენტის სიმებს მიამსგავსეს და „ნერვუს“ ანუ ნერვი უწოდეს. აქედან გაჩნდა გამოთქმა: ნუ უკრავ (თამაშობ) ჩემს ნერვებზე.

• უძველეს დროს პარასკევი დასვენების, ბაზრის დღედ მიიჩნეოდა. ამ დღეს კლიენტები ვაჭრებს საქონელს ნისიად ართმევდნენ და ფულს შემდეგ პარასკევს უხდიდნენ. მასზე, ვინც ნისიას დააგვიანებდა, ამბობდნენ: კვირაში შვიდი პარასკევი აქვსო.

ჯადოსნური ქვა

ძველად მიაჩნდათ, რომ ფირუზის მატარებელი ადამიანი ავი სულებისგან დაცული იყო, ეს ქვა პატრონს გამდიდრებასა და სიყვარულის მოპოვებაში ეხმარებოდა. შუა საუკუნის ვაჭრები ფირუზს ატარებდნენ, რათა საქონელი ქურდობისგან დაეცვათ და იღბალი მიეზიდათ. ფირუზისგან სამკაულების დამზადება უძველესი დროიდან დაიწყეს. არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ფირუზის მძივი ჩვენს ერამდე 35 ათასი წლის წინაა დამზადებული. ფირუზს დღესაც მოიპოვებენ. ამ ქვის საბადოები აშშ-ში, ირანში, ჩინეთსა და ტიბეტში მდებარეობს.

ფირუზი ნაპოლეონის საყვარელი ქვა ყოფილა. 1810 წელს იმპერატორმა ოქრომჭედლებს მეუღლის — მარია-ლუიზასთვის ძვირფასი სამკაულის დამზადება დაავალა. ტიარა ბრილიანტებითა და ზურმუხტებით იყო დამზადებული, მაგრამ ნაპოლეონის ბრძანებით, დიადემაში 79 ზურმუხტი ფირუზით შეცვალეს.

ძველ ეგვიპტეში ფირუზისგან თილისმას — სკარაბეუსს ამზადებდნენ; სპარსელებს მიაჩნდათ, რომ ის შეყვარებული წყვილის ძვლებისგან წარმოიშობა; ამერიკელი ინდიელებისთვის ფირუზი ღვთიური სიყვარულისა და იმედის სიმბოლოა; აცტეკები ამ თვლით სარიტუალო ნიღბებს რთავდნენ; ბუდისტებისთვის ფირუზი რელიგიურ ქვად მიიჩნევა. მათი რწმენით, ბუდამ ურჩხული ფირუზის დახმარებით დაამარცხა.

ქვა ევროპაში თურქეთიდან მოხვდა და ამიტომაც, მას „თურქულ ქვას“ ეძახიან. ფირუზი ცისფერია, მაგრამ წლების შემდეგ ანუ „დაბერებისას“ ფერს იცვლის და მწვანდება.

XVII საუკუნის ინგლისელი ჯენტლმენი საზოგადოებაში ფირუზისთვლიანი ქინძისთავის გარეშე არ ჩნდებოდა, რადგან ეს თვალი მოდაში იყო. თუმცა, ფირუზი, ისევე, როგორც სხვა ძვირფასი თვლები, ყოველთვის მოდურია. ■



უცნაური წყვილები და ქორწინება

• კუნძულ იავაზე თუ წყვილმა დაქორწინება გადაწყვიტა, განცხადებისა და პასპორტის გარდა, მერიაში 25 მკვდარი ვირთხის კუდი უნდა მიიტანოს, ხოლო განქორწინების შემთხვევაში — 50.

• ახალ გვინეაში საქმრომ საცოლეს 20 ნიჟარა, ეგზოტიკური ფრინველის 20 ბუმბული და 20 ღორი უნდა მიუტანოს. ღორი პაპუასებისთვის წმინდა ცხოველად მიიჩნევა. თავის მხრივ, პატარძალმა ღორის მუცლის ქონის ბადისგან ფატა უნდა შეიკეროს.

• ბედუინებისთვის საქორწინო კერძად გულსართიანი აქლემი მიიჩნევა: მას მუცელში ქათმით გამოტენილი ცხვარი უდევს, ქათამს კი — კვერცხებით გატენილი თევზი.

• სამხრეთ-აღმოსავლეთ ნიგერიაში მცხოვრებმა სასიძომ შეყვარებულის სახლამდე ჯოხებით შეიარაღებული ნათესავების დერეფანი უნდა გაიაროს. ეს ერთგვარი გამოცდაა.

• ცენტრალურ ინდოეთში, ქორწილზე „ორსართული ცეკვა“ სრულდება. 12 სტუმარი მამაკაციდან ექვსი მოცეკვავე ექვს მეწყვილეს მხარზე შეისვამს და მთელი ღამის განმავლობაში ცეკვავს.

• მაკაუელმა (აფრიკა) შეყვარებულმა ყმაწვილმა მოწონებულ გოგონას პირით ლამაზი კენჭები უნდა მიართვას. თუ გოგონა გამოართმევს, ისინი დანიშნულებად გამოცხადდებიან.

• ძველად შვედეთში ნორმალურად მიიჩნეოდა, თუ ცეკვის შემდეგ ბიჭი გოგონას სახლამდე მიაცილებდა და ღამესაც მის გვერდით გაატარებდა. ამას „მეგობრობის საწოლი“ ერქვა.

• შუა საუკუნეების ინგლისში, ტაძარში რკინის სკივრი იდგა, რომელიც პატარძალს ერთი ხელით უნდა აეწია. თუ ამას ვერ შეძლებდა, ცუდ დიასახლისად მიიჩნევდნენ და სასიძოს შეეძლო, ქორწინება გაეუქმებინა.

• ძველ სპარსეთში სასიძოს სხეულზე ერთი ბეწვიც არ უნდა ჰქონოდა. ამიტომაც, ქორწინებამდე მთელ ტანზე ეპილაციას იკეთებდნენ. ■

დასაწყისი იხ. გვ. 14

თავს ყველაფერი. რაც მოხდა ჩემს თავს, ამას ყოველთვის ველოდი. მე არ გავყევი მათ პოლიტიკურ ვაჭრობაში“, — განაცხადა **გამსახურდიამ**. *არც ის დაუმალავს, რომ მოლაპარაკებებისას მის ძმასაც იყენებდნენ, თუმცა დეტალებზე არ შეჩერებულა.*

სადავოა, თუ რა ეცვა ცოტნე გამსახურდიას იმ დღეს. როგორც მოწმე საიადოვა ამბობს, მას წითელი სპორტული კოსტიუმი ეცვა და ამას ამტკიცებს პროკურატურაც. ეს არც ფარული ვიდეომასალით დადასტურდა და არც პროკურატურის მიერ ტელევიზიებიდან ამოღებული კადრებით. ამ მასალებში აშკარად ჩანს, რომ ცოტნეს ლურჯი ფერის სპორტული კოსტიუმი აცვია.

„ტელევიზიიდან ამოღებულ კადრებში ჩანს, როგორ წაიყვანეს პოლიციის განყოფილებიდან საავადმყოფოში ცოტნე და მუქი ლურჯი სპორტული აცვია. ამას ადასტურებს გოგიაშვილის ჩვენებაც და მისი უკანონო ფარული ჩანაწერიც. მას არ მისცემია სახლში შესვლის საშუალება და ასეთ დროს, ვერც გამოიცვლიდა ტანსაცმელს. „სასწრაფომ“ პოლიციიდან ცოტნე გამსახურდია 18 საათსა და 40 წუთზე წაიყვანა საავადმყოფოში; იქ იყო 21 საათამდე, იქ ჩაუტარდა პროცედურები და ანაწმენდებიც იქ აუღეს. ექსპერტი ლისინა საერთოდ არ უნახავს. ლისინას ოქმის მიხედვით, 20 საათზე აქვს ანაწმენდები აღებული გალის ქუჩაზე; ეს აბსურდია, ამ დროს ცოტნე საავადმყოფოში იყო და შემთხვევის ადგილზე ვერანაირად ვერ იქნებოდა. საპირისპიროა მეორე ოქმი, რომელიც ცოტნეს საავადმყოფოში ყოფნას ადასტურებს. ამიტომ ხელიდან აღებული დენთის ანაწმენდები თავად პროკურატურამ ჩათვალა დაუშვებელ მტკიცებულებად და საქმიდან ამოიღო, თუმცა დატოვეს ტანსაცმელზე ჩატარებული დასკვნა, თითქოს დენთის კვალი იყო საავადმყოფოდან ამოღებულ, წითელი ფერის მოსასხამში, რომელიც 21 საათსა და 15 წუთზე ამოიღეს. ამ დროს ცოტნე უკვე გაწერილია საავადმყოფოდან, იქ რატომ დარჩებოდა მისი ტანსაცმელი? ტანსაცმელს ტოვებენ იმ შემთხვევაში, თუ საავადმყოფოში რჩება ავადმყოფი, ან პირი გარდაცვლილია. ცოტნე წამოიყვანეს პოლიციაში და მისი ტანსაცმელი იქ დატოვეს?!. არ არის გამორიცხული, საიადოვამ მართლაც ნახა ვიღაც, წითლებში ჩაცმული, მაგრამ ეს არ იყო ცოტნე გამსახურდია, რადგან იმ დღეს მას ლურჯი ფერის ტანსაცმელი ეცვა. იმის მიუხედავად, რომ მტკიცებულება არ არსებობს, სასამართლომ უპირობოდ გაიზიარა მთელი ბრალდება. როგორც 19-108 მუხლით, ასევე 236-ე მუხლით გამოუტანა განაჩენი და სასჯელები შეიკრიბა. ეს არის უკანონო განაჩენი, რომელსაც აუცილებლად გავასაჩივრებთ. ჩვენ კოლოიდური ქიმიის მიმართულების დასკვნა წარმოვადგინეთ ტექნიკური უნივერსიტეტიდან, სადაც გაშიფრულია, თუ რაში შეიძლება იყოს ნოო-რი. არ არსებობს ნივთიერება, რომელშიც არ არის დენთის კვალი, მათ შორის — საკვებიც. თუ ტრანსპორტით იმოძრავებთ, არ შეიძლება, თქვენს ტანსაცმელში არ იყოს ეს ნივთიერება. ვნახოთ, როგორ დაასაბუთებს ამ განაჩენს მოსამართლე; ჯერჯერობით მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილს გავეცანით. ვიბრძოლებთ ბოლომდე. სიმართლე გითხრათ, როცა მოსამართლე ვიყავი, ასეთ საქმეზე უპირობოდ გამამართლებელ განაჩენს ვადგენდი, იმედი მაინც მქონდა, რომ სამართალი გაიმარჯვებდა. ძალიან გაწბილებული ვარ“, — განაცხადა გამსახურდიას ადვოკატმა, **გიორგი ქოიავამ**. *მიაჩნია, რომ იმ პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს, რომლებმაც სასამართლოზე იცრუეს: „მოვითხოვეთ, საპატრულო პოლიციიდან შემთხვევათა რეგისტრაციის ჟურნალი მოეტანათ. ერთი და იმავე დოკუმენტიდან გადაღებულია ორი ქსეროასლი; შესწორებული ციფრები წარმოადგინეს, აშკარად გაყალბებული. ეს მეტყველებს იმაზე, რომ თავის დროზე არც ერთ პირს არ უთქვამს, რომ ცნობილი იყო ეჭვმიტანილი, მაგრამ ამის მიუხედავად, სასამართლომ რეაგირება ამაზე არ მოახდინა. როცა გაუჭირდა ბრალდებას, საქმეში ჩართო პოლიციელები, რომლებმაც ცრუჩვენებები მისცეს. ეს ახალი დანაშაულია და ამას სამსახურებრივი სიყალბე ჰქვია. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსამართლემ უკანონო ფარული ჩანაწერები მტკიცებულებად მიიღო“.*

მოსამართლემ განაჩენთან ერთად, ორი კერძო განჩინებაც გამოიტანა. ერთ-ერთია — პროკურორ კუპატაძის უკანონო მოქმედებებთან დაკავშირებით. „მიექცეს ყურადღება კუპატაძის უკანონო საქციელს“, — ნათქვამია სარეზოლუციო ნაწილში. მეორე განჩინება გამომძიებელ სხირტლაძის მიმართ გამოიტანა.

დაზარალებული ბაჯელიძე და მისი ადვოკატი როსტიაშვილი კატეგორიულ უარს აცხადებდნენ ბრალდებაზე, ცოტნე გამსახურდია მომხდარში უდანაშაულოდ მიიჩნიეს. დაზარალებულის ადვოკატმა გამსახურდიას გამართლება მოითხოვა, მაგრამ ეს არ იქნა გაზიარებული: „სასამართლომ უკანონო განაჩენი გამოიტანა. ბრალდებას ბაჯელიძემ მხარი თავიდანვე არ დაუჭირა. რაც განვიხილეთ, ამ მასალებით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა შეუძლებელი იყო. ძალიან გაუგებარია, რას დაეყრდნო მოსამართლე ჯორბენაძე. არავითარი მტკიცებულება, გარდა დარღვევებით მოპოვებული ფარული ჩანაწერებისა, საქმეში არ არსებობდა. დავით ბაჯელიძეს, როგორც კი საავადმყოფოში გონზე მოვიდა, არწმუნებდნენ, რომ ეს ცოტნე გამსახურდიამ ჩაიდინა. საპატრულო პოლიცია იმდენად თავხედი აღმოჩნდა, რომ ფაქტობრივად, თავისუფლება აღუკვეთა ანზორ ბაჯელიძეს და საავადმყოფოში ძმასთან წასვლის საშუალებაც არ მისცა. ცოტნეს რომ დაეჭრა იგი, რატომ არ დაადანაშაულებდა, რატომ აპატიებდა?!. ისიც კარგად იცით, თუ რა ზეწოლა ხორციელდებოდა დაზარალებულზე. საქმეში მთავარი მტკიცებულება საიადოვას ჩვენება იყო, რომელიც სასამართლოზე მთლიანად „დაიმსხვრა“. ამ ფონზე, ასეთი განაჩენი გაუგებარია. გამსახურდიას გამართლება მოვითხოვეთ, რადგან ის უდანაშაულოა“, — აცხადებს დაზარალებულის ადვოკატი **როსტიაშვილი**.

ცოტნე გამსახურდიას ადვოკატი, **ქეთი ბეჟაური** *კი მიიჩნევს, რომ მოსამართლე ჯორბენაძემ სასწრაფოდ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი: „მან კარგად იცოდა, რომ ვიდრე ქართველი საზოგადოება იზეიმებდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღდგენას, ე.ი. 9 აპრილამდე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილისთვის უნდა გამოეტანათ განაჩენი... არანაირად არ ველოდით ამას და ძალიან ვწუხვართ. უკვე გამზადებულია მასალები და ევროსასამართლოში გასაჩივრდება. ცოტნე გამსახურდიას უკანონო დაკავება ევროკონვენციის მეხუთე მუხლის დარღვევით მოხდა. მინდა, იცოდეს მოსამართლე ჯორბენაძემ და ხელისუფლებამ — უმნიშვნელო ნიუანსსაც არ დავტოვებთ საქმეში და ვიბრძოლებთ ბოლომდე სიმართლის მისაღწევად“.* ■

„კახური“ კითხვები, ნამდვილი ამბავი და წიგნის გამო გადახდილი ჯარიმა

იურისტი და მსახიობი დათო როსტომაშვილი შეხვედრაზე ისე დამთანხმდა, რომელ რუბრიკაში უნდა ჩამეწერა, არც კი უკითხავს. როგორც კი სიტყვა „ერუდიტი“ ვახსენე, მისაყვედურა, ერთი კვირით ადრე მაინც დაგერეკა და გაგეფრთხილებინე, ცოტას წავიმეცადინებდიო. მერე თავი დაიიმედა, არა უშავს, კითხვებზე თუ ვერ გიპასუხებ, ანეკდოტებს მაინც მოგიყვებიო. მისი საყვარელი მწერლები ნოდარ დუმბაძე და ჭაბუა ამირეჯიბი არიან. ისტორიული ჟანრის ლიტერატურას ყოველთვის დიდი ინტერესით ეცნობა, განსაკუთრებით ლევან გოთუას და ლევან სანიკიძის ნაწარმოებები მოსწონს. ამბობს, რომ წიგნი არასდროს მოუპარავს, მაგრამ ერთხელ ბიბლიოთეკიდან წამოიღო და აღარ დააბრუნა, ამისთვის კი ჯარიმა გადაახდევინეს.

„ჩემზე ამბობენ, ჯადოებს აპეთებსო...“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— დათო, ბევრი წიგნი გაქვს წაკითხული?

— საკმაოდ, იმედი მაქვს, რომ მომავალშიც ბევრი კარგი წიგნის წაკითხვას შევძლებ. როცა სკოლაში ვსწავლობდი, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა ისე იყო მოწყობილი, კლასგარეშე ლიტერატურა აუცილებლად უნდა წაგეკითხა. 12-13 წლის ასაკში ასტრიდ ლინდგრენის ყველა ნაწარმოები წაკითხული მქონდა. მერე ისტორიულმა ჟანრმა გამიტაცა.

— ახლა ორი პროფესია და ორი სამსახური გაქვს. წიგნის წასაკითხად დროის გამონახვას ახერხებ?

— რა თქმა უნდა, მთავარია, მოინდომო და ინტერესი გქონდეს, წიგნისთვის დროს ყოველთვის გამონახავ.

— როგორც ვიცი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მუშაობ, რომელ განყოფილებას ხელმძღვანელობ?

— მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ვარ.

— მსახიობობის და იურისტობის ერთმანეთთან შეთავსება რთული არ არის?

— არა, ამაში ხელს ჩემი უფროსები ძალიან მიწყობენ. როცა რეპეტიციაზე მივდივარ, მათგან გზა ხსნილი მაქვს.

— ალბათ კონცერტებზეც გესწრებიან.

— რა თქმა უნდა.

— მზად ხარ კითხვარზე გადავიდეთ?

— აბა, დავიწყოთ, მოუმზადებელი კი ვარ, მაგრამ იმედია, თავს არ შევირცხვენ.

— რომელი მთების სახელწოდების მიხედვით ეწოდა მთამსვლელობას ალპინიზმი?

— ალპების.

— რამდენ ხანს გრძელდებოდა იური გაგარინის მოგზაურობა კოსმოსში?

— ზუსტ დროს ვერ გეტყვი.

— 108 წუთს. რომელი რუსი მწერლის გვარია პეშკოვი?

— მაქსიმ გორკის, სწორად მახსოვს?

— დიახ. რომელი უნივერსიტეტი დაარსდა ყველაზე ადრე კემბრიჯის, ბოლონიის თუ ოქსფორდის?

— ბოლონიის.

— რა ერქვა გულივერს?

— გულივერი პაპუასების მსხვერპლი გახდა, რა კარგად ვიცნობდი (*იცინის*), სახელს ვეღარ ვიხსენებ... ლემუელი.

— ქართული კანონმდებლობის თანახმად, შეიძლება თუ არა პარლამენტის წევრის გამოწვევა?

— არ შეიძლება. სვანები პარლამენტში რომ მივიდნენ, ეგ ამბავი იცი?

— რაო, რას ითხოვდნენ?

— ავტონომია გვინდაო. იქ უპასუხეს, — ავტონომია რომ მოგცეთ, მილიონი მაინც უნდა იყოთო. — მილიონი რომ ვიყოთ, თქვენ დეგეკითხებოდითო? კიდევ ერთ ანეკდოტს მოგიყვები: სვანი პარლამენტის თავზე ცისარტყელას დაინახავს და გაბრაზებული ჩაილაპარაკებს: აბა, შეხედე, ეს მთავრობა რაში ხარჯავს ფულს...

— „ჭინკები“, „ბოშები“, „მონატრება“, „კორიდა“ — ვინ არის ამ მოთხრობების ავტორი?

— ნოდარ დუმბაძე.

— რა ეწოდებოდა ძველბერძნულ თეატრში მუსიკოსებისთვის განკუთვნილ ადგილს?

— ვერ გიპასუხებ.

— ორკესტრი.

— (*იცინის*) მართლა? ეს კითხვა მომეწონა.

— რა ეწოდება ინდიელისა და ევროპელის პირმშოს?

— მეტისი.

— რას ზომავენ რიხტერის სკალით?

— დედამიწის „ყანყალს“.

— დედამიწა აგებულების მიხედვით 3 ძირითადი ნაწილისგან შედგება — ბირთვი, დედამიწის ქერქი და...

— მესამე მე უნდა დავასახელო (*ფიქრობს*)? არ ვიცი.

— ლაბადა. ქართული კლასიკური ოპერის დაბადების თარიღად 1919 წელი მიიჩნევა. რომელი ოპერა დაიდგა ამ წელს?

— „აბესალომ და ეთერი“.

— ამ ოპერის ავტორი ვინ არის?

— ზაქარია ფალიაშვილი. სვანები ოპერაში შედიან და გაკვირვებულები ათვალიერებენ, იქ პირველად არიან, ბეცებივით დადიან, შემდეგ ერთი ეუბნება მეორეს: — ბიჭო, ეს სვანების აშენებული იქნებაო. — საიდან იცი? — აბა, დააკვირდი, „ბალკონები“ შიგნიდან აქვსო (*იცინის*).

— რა ეწოდება მუსიკის მოყვარულ ადამიანს?

— მელომანი.

— თავად მელომანი ხარ?

— „თხლად“, ხალხური მუსიკა უფრო მიყვარს.

— მაშინ გეცოდინება, ხალხური სიმღერის რომელ ჟანრს განეკუთვნება „ცანგალა და გოგონა“?

— საფერხულოს.

— რა სპექტაკლს დგამდნენ სოფლის სცენაზე ფილმში — „იმერული ესკიზები“? ეს ფილმი ხომ გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს. ცნობილი ფრაზაც მახსოვს მაგ

ფილმიდან — „80 კაპიკი და კიდო მანათი“ (*იცინის*). იმ სპექტაკლს სახელი ერქვა?

— **„ოტელოს“ დგამდნენ. რა ეწოდება „ეკლიან“ საყელოს, რომელსაც ძაღლებს უკეთებენ?**

— ზუსტად არ ვიცი, ჩანგალი ხომ არა?

— **ცდები, მას პარფოსი ჰქვია. ვინ იყო თამარ მეფისთვის დავით ნარინი?**

— შვილიშვილი.

— **რა ეწოდება სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს, რომელიც შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობს?**

— დიქტატორი.

— **რამდენჯერ შემოესია თემურ ლენგი საქართველოს?**

— 8-ჯერ, არა?

— **ამ კითხვაზე პასუხი ჩაგეთვალა. ანდაზის მიხედვით, რა არ დაიმალება თივაში?**

— ცეცხლი.

— **რომელი მეფის დედა იყო ქეთევან წამებული?**

— თეიმურაზ I-ის.

— **რა ეწოდება ხიდს, რომელზეც საქართველოაზერბაიჯანის საზღვარი გადის?**

— წითელი ხიდი.

— **ვისი მეფობის დროს არის იგი აგებული?**

— ვერ გიპასუხებ.

— **როსტომ მეფის. რომელ ისტორიულ მოვლენას მიუძღვნა აკაკი წერეთელმა მოთხრობა — „ბაშიაჩუკი“?**

— კახელ კაცს ეგ არ მეცოდინება? 1660 წლის კახეთის აჯანყებას.

— **რა ეწოდება ადამიანის ხასიათის გარკვევას მისი ხელნაწერის შესწავლით?**

— არ ვიცი.

— **გრაფოლოგია. რა ერქვათ კაპიტან გრანტის შვილებს?**

— გრანტიჩები (*იცინის*).

— **მერი და რობერტი. ვინ არის ავტორი ცნობილი ნაწარმოებისა — „თორმეტი სკამი“?**

— (*ფიქრობს*) ვა! ეგ წიგნი ახლაც მაგიდაზე მიდევს, ავტორს ვერ ვიხსენებ. წიგნის მიხედვით ფილმიც გადაიღეს.

— **ილფი და პეტროვი. რომელ კონტინენტზეა კორდილიერების მთები?**

— ამერიკის.

— **რომელი ამერიკის?**

— ჩრდილოეთ ამერიკის.

— **„ერთი ჯმუხი და ძარღვიანი ყმაწვილი კაცი დადგა. კუპრსავით შავი და კარგად დაკოკრებული წვერ-ულვაში ლამაზად უხდებოდა მის შავგვრემანს და მოხდენილად მოყვანილ სახესა... — იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ...“ — რომელ პერსონაჟს ახასიათებს ასე ილია ჭავჭავაძე?**

— აბა, ერთხელ კიდევ გამიმეორე. (*გამეორების შემდეგ*) ოთარაანთ ქვრივის გიორგის.

— **რომელ სოფელში ცხოვრობდა ოთარაანთ ქვრივი?**

— ეგ კი აღარ მახსოვს.

— **წაბლიანში. რა ეწოდებოდა გელათის აკადემიის ხელმძღვანელს?**

— არ ვიცი.

— **მოძღვართ მოძღვარი. ნიზამი, ომარ ხაიამი, საიათნოვა — ამ პოეტთაგან რომელი იყო მათემატიკოსი?**

— არ ვიცი.

— **ხაიამი. „ხშირად ჭამა-სმა დამკლებია და წიგნი კი შემიძენია. ჩემს წიგნებს მაინც ვუტოვებ ქართველ ხალხს, მაგრამ ერთი პირობით: ჩემი წიგნები ადგილიდან არ უნდა დაიძრას, დარჩეს ისევ ძველ თბილისში, სადაც მე დავიბადე, მოვიდნენ და იმუშაონ. თუ ზოგიერთი წიგნისთვის მოსკოვსა და ლენინგრადში მიემგზავრება, წიგნის მოეშრე და მძებნელი ხარფუხშიც ამოვა,“ — რომელი პოეტი წერს ამ სიტყვებს თავის ანდერძში?** (*ფიქრობს*). **მიგანიშნებ, ამ პოეტს სახლის შესასვლელ კარზე შემდეგი ლექსი ჰქონდა გამოკრული: „წიგნს შევწირე მე ოჯახი,/ გამიჩინა გულს იარა — /მთხოვე, რაც გსურს, მთხოვე, რაც გსურს, /პერანგს მოგცემ, წიგნს კი — არა“.**

— იოსებ გრიშაშვილი.

— **ვისი ნაწარმოების მიხედვით შექმნა ოთარ თაქთაქიშვილმა ოპერა — „მინდია“?**

— არ მახსოვს.

— **ვაჟა-ფშაველას...**

— (*მაწყვეტინებს*) „გველის მჭამელის“ მიხედვითაა შექმნილი.

— **რამდენი პლანეტა მოძრაობს მზის გარშემო?**

— 9 პლანეტა.

— **ქაშუეთის ეკლესიაში დასვენებული რომელი მწერლის ცხედარს ეფარა შუბლზე მუხის ფოთოლი?**

— ილია ჭავჭავაძის.

— **ჰოლანდიის რომელ ქალაქშია რემბრანდტის სახლ-მუზეუმი?**

— (*ფიქრობს*) ვიცოდი, მაგრამ ქალაქის სახელს ვეღარ ვიხსენებ.

— **ამსტერდამში. ეს საზოგადო მოღვაწე 1843 წლის 27 სექტემბერს ქუთაისში დაიბადა. რომ წამოიზარდა, მშობლებმა გიმნაზიაში მოსამზადებელ კლასში მიიყვანეს. ფიზიკურად იმდენად პატარა იყო, სასწავლებელში ხელში აყვანილი დაჰყავდათ. მოგვიანებით პეტერბურგში გაემგზავრა. იგი 1873 წელს ბოგუმილა ზემიანსკაიაზე დაქორწინდა და მათ ერთად 7 წელი იცხოვრეს. მეორედ — 1883 წელს ოლღა გურამიშვილზე იქორწინა. ოლღა ილია ჭავჭავაძის მეუღლის ნათლული, მოსახელე და მოგვარე იყო. — რომელ საზოგადო მოღვაწეზეა ლაპარაკი?**

— ვერ გიპასუხებ.

— **ნიკო ნიკოლაძეზე. ვატიკანი, მალტა, ანდორა, სან-მარინო — ჩამოთვლილი ჯუჯა სახელმწიფოებიდან, რომელია ტერიტორიულად ყველაზე დიდი?**

— ალბათ ანდორა. გამოვიცანი?

— **ნამდვილად ასეა. ბოლოს ერთ ანეკდოტს არ მოგვიყვები?**

— ანეკდოტს კი არა, ნამდვილ ამბავს მოგიყვები. ჩემი მეგობრის მამა მაღაზიაში შევიდა და იკითხა: ტუალეტის ქაღალდი გაქვთო? გამყიდველმა თაროდან ქართული წარმოების ქაღალდი გადმოიღო. — არა, ეგ არ მინდა, უკეთესი ხარისხის არ გაქვთო? — ჩაეკითხა ზრდილობიანად. — ამას რას უწუნებთ? ამაზე უკეთესი ხარისხი რაღა გინდათ? არა, მითხარით, მაინც რატომ არ ყიდულობთო? — დააყარა კითხვები გაწიწმატებულმა გამყიდველმა. — რატომ, ქალბატონო, და... (მეგობრის მამა ცოტა ჩაფიქრდა) ბოლოს ძალიან ცუდ გემოს ტოვებსო (*იცინის*). გამყიდველს ხმა აღარ ამოუღია. ■

ერუდიტი +

1. ნაპოლეონ III-ის მმართველობის წლებს (1852-1870) ემილ ზოლამ სიშლეგისა და თავლაფდასხმის ხანა უწოდა.

2. ვერსალის ერთ-ერთ სახლს, სადაც ლუი XV-ის დროს ორგიებს მართავდნენ, „ირმის პარკი“ ერქვა. იქ სტუმრად ხშირად გი დე მოპასანიც დადიოდა.

3. ბელურას ყირაფზე მეტი კისრის მალა აქვს.

4. თავის დროზე ჯუზეპე ვერდი მილანის კონსერვატორიაში არ მიიღეს. იგი სათანადო მუსიკალური მონაცემების უქონლობის გამო დაიწუნეს.

5. ილია ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივი“ 1887 წელს დაწერა, რაზეც მოთხრობის ბოლოში, ავტორისეული მინაწერიც მოწმობს „6 ქრისტეშობისთვეს 1887 წელი“.

დასაწყისი იხ. გვ. 68

ვუყევი წინა ღამის შემთხვევა, მაგრამ ჩამოხრჩობის დამუქრებისა კი არა მითქვამს რა.

— კარგია, თუ ყოველ ღამეს მაგ შექცევებში იქენით, მაგრამ, რომ მეტი რამ დაგმართონ, რაღას იზამთ? ახლა ხომ დარწმუნებული ხართ, რომ არ ყოფილა ტყუილი, რასაც ამბობდნენ? შეიძლება, რომ მართლა გაწყინონ რამე!

— მაინც მპირდებიან ამაღამ დახრჩობას, თუ დღესვე არ გადავედი, და ვნახოთ!

— მიკვირს, ჭეშმარიტად, რომ თქვენ მაგრე სახუმროდ ეკიდებით მაგ საქმეს! გადადით სადმე.

— არ გადმოვსულიყავ, კარგი იყო, და აწ აღარ შემიძლია ამ სოფელს მოვშორდე; და რა გზა მაქვს, რომ იქვე არ დავრჩე, როდესაც სხვაგან ოთახი ვერსად მიშოვნია?

— ჭეშმარიტად გასაკვირვალი კაცი ყოფილხართ! რომ მართლა მოვიდნენ ამაღამ და ხელიც მოგავლონ, მაშინ რაღას იზამთ?

— დარწმუნებული გახლავარ, რომ აქ რაღაც სხვა ამბავია და არა ეშმაკები; და, თუ ვინმე თვალით დამენახვება, მაშინ მე ვიცი, რასაც ვიზამ: ექვსლულიან რევოლვერს მივახლი ზედიზედ გულზე.

— მერე სადა გაქვთ ის რევოლვერი, — შეშინებით მითხრა, — რომ ველარ მოასწროთ ჩემადნიდან ან სტოლიდან გამოღება? — მკითხა გამოცდით.

— ჩემადანში კი არ მიძევს, თავქვეშ მაქვს მზად ამოდებული.

— ჰო, ეგ სხვა არის! მაშ ღმერთმა ხელი მოგიმართოს, უშიშარო! — აქ ლიდია ივანოვნამ მუსაიფი სხვა საგნებზე გადაიტანა: ბევრი ვიმუსაიფეთ, ცისებურის თუ მთისებურის, და მერე გამოვბრუნდით სოფლისაკენ. ლიდია ივანოვნა ბევრს ეცადა, რომ ჩემი გარემოება შეეტყო, მაგრამ ვერა დამაცდენია რა და მით ცოტა გაბუტული გამეყარა.

იმ ღამეს ბალიშის ქვეშ რევოლვერი მოვიმზადე და მე კი უდარდელად დავიძინე... პირველ საათზე ვიღაცამ ფეხებზე მომავლო ხელი და გამომაღვიძა. რომ წამოვვარდი ზეზე, წინ ერთი ვიღაც ეშმაკის მსგავსი დამიხვდა. მისი მორთულობა სწორედ, ეშმაკის ნახატზე რო მენახა, იმას ჰგავდა; მრისხანედ მანიშნა თითით, რომ გავსულიყავი კარში. მე რევოლვერი მივაშვირე, ის არც განძრეულა. „ვინა ხარ, ამოიღე ხმა, თორემ გესვრი-თქო“, შევჰყვირე; იმან ყურიც არ გააპანტურა. სამი შეყვირების შემდეგ ვესროლე, მაგრამ იმან ხარხარით ცივი ტყვია ჩემ წინ დასცა და თანაც მეორე ხელით თოკი მიჩვენა. ექვსჯერ ვესროლე და იმან ექვსივე ტყვია წინ დამიგორა გაცივებული და ბოლოს წამოიწია ჩემსკენ თოკიანა. მე შიშით ხმა ჩამივარდა, რადგანაც მხოლოდ დამბაჩის იმედი მქონდა. მოჩვენებამ კარები გააღო და მანიშნა კიდევ, რომ წავსულიყავ. მე შიშით მაინც აღარ ვიცოდი, რა მექნა... ბოლოს მოვიდა მოჩვენება და მომავლო ხელი მკლავში ისე ძალუმად, რომ ძვლებმა წაწკა-წუწკი დამიწყეს; სადღაც უნდოდა წავეთრიე, მაგრამ მე მომაგონდა ძველებური ფანტონო, — მიპასუხა შეშინებულმა. — სახლის დასაგველად რომ შემოვედი, ასე დამხვდა ეს სისხლი! უთუოდ ეშმაკებს დაუქცევია, ბატონო!..

— კარგია, ნუღა სულელობ! მე წამვარდა სისხლი წუხელის ცხვირიდან, შე სულელო! გასწმინდე და წადი შენთვის! — ეს მიტომ ვუთხარი, დამემშვიდებინა მინდოდა, თორემ ის მისი სისულელით სოფელში გაამხელდა ამ ხმას და, ვინ იცის, რამდენს კუდს გამოაბამდნენ ჩემს საქმეს.

იქ დაქცეულმა სისხლმა მეტად გამახარა, რადგანაც ვიცოდი, რომ ის სისხლი უთუოდ ეშმაკის იყო და მოჩვენებას გავადინე დაცემის დროს; მაგრამ მე კი მაინც იმ დღეს აღარც ფერი მომსვლია და აღარც ძილი მომკიდებია; უნდა გამოგიტყდეთ, რომ მადაც დამეკარგა.

საღამოს ლიდია ივანოვნა ჩვეულებრივად ალეიაში დამიხვდა და სიამოვნებით მომაძახა: „საღამო მშვიდობისა, უშიშარო რაინდო! ჭეშმარიტად საკვირველი კაცი ყოფილხარ!“

— რაზე მიბრძანებთ მაგას? — ვუპასუხე მე მდაბალის თავისდაკვრით.

— როგორ თუ რაზე? მთელი სოფელი კი შესძარით და... წუხელის რევოლვერი გისროლიათ მოჩვენებისათვის — და კიდეც დაგიჭრიათ. დღეს თქვენს ოთახში სისხლი გუბედ მდგარა!..

მე ყოველივე დაწვრილებით ვუამბე ლიდია ივანოვნას, რაც გადამხდა, და მანაც გაკვირვებით მითხრა:

— სწორედ ღმერთს დაუფარავხარ! კარგია, რომ იმას არაფერი იარაღი ჰქონია და თქვენც ალალბედზე გადარჩენილხართ! ეშმაკი არის თუ კაცი, ხომ კი, თქვენც ნახეთ, არის რაღაცა და აწ ეჭვი აღარ არის, რომ გულდაჯავრიანებული დაგიშავებთ რასმე, და ერიდეთ, დამიჯერეთ! რას ჩასციებიხართ მაინცდამაინც იმ ოხერ ქოხს?

— ამ სოფელს ხომ მაინც ვერ მოვშორდები და მაშ მინდვრად ვიცხოვრო?

— რატომ არ შეგიძლიათ მოშორდეთ ამ სოფელს და სხვა სოფელში გადახვიდეთ?

— მისთვის, რომ თქვენი მოშორება აღარ შემიძლია, თქვენ ხართ მიზეზი ჩემი აქ დარჩენის.

— როგორ თუ მე? მე თქვენთვის რა მიზეზი მომიცია, რომ თქვენ მაგას მეუბნებით? მე ისე გიყურებთ თქვენ, როგორც ჩემს ძმას, და ისე მონაწილეობას ვიღებ, როგორც დედა შვილში, დი, ჭიდაობაში რომ იციან, ვთქვი: „თუ სადმე სამართალია, ვცდი: ეგება ახლა გამომადგეს-თქო“, ვკარი ჩემს მოჩვენებას მარდად მოგვერდი, დავაკვრევინე ძალუმად თავი პოლზე და რუმბივით გავაკოტრიალე საწყალი; მე კი საღი თავი მისი ხელიდან დავიძრე და რწყილივით გამოვხტი კარში, უკან აღარ მიმიხედია... იმ ღამეს ალეიაში ვიყავი, შინ აღარ შემოვბრუნებულვარ. რომ გათენდა კარგად, მაშინ კი დავბრუნდი; სახლის კარები ისევ ისე დამიხვდა და ჩემ საწოლ ოთახში სისხლის გუბე იდგა; ზედ ივანე ტირილით დაჰყურებდა.

— ეს სისხლი რათ დაგიქცევია? — ვკითხე ივანეს მრისხანედ.

— მე რათ დავაქცევდი! რა ვიცი, ვის დაუქცევია? მე თქვენი მეგონა, ბა-

და თქვენგან კი მაგისთანები მესმის!..

— დარწმუნდით, რომ ისე გიყურებთ, როგორც ჩემს დედას და დას, მაგრამ რა ვქნა? თქვენ, გეტყობათ, არ გამოგიცდიათ სიყვარული?

— ყურს გიგდებთ და არ მესმის კი, რა სიყვარულზე მელაპარაკებით?

— ეს სიყვარული, ოთხი წელიწადია, ჩემს გულში იყო დამალული, მაგრამ, რადგანაც თქვენ იმას, ესე იგი ვინც მე მიყვარდა, ჰგავხართ ყველაფერში: თვალად, ტანად, მიხვრა-მოხვრით, სიცილით და შემოხედვითაც, თქვენ ძალაუნებურად დამიმონეთ, ამიშალეთ ძველი დარდები და მეც მზადა ვარ შემოგჩივლოთ ჩემი უბედური სიყვარული, როგორც დედას და მეგობარს, თუ თქვენი ნებაც დამერთვება.

ქალები საზოგადოდ ცნობისმოყვარულნი არიან, განსაკუთრებით სიყვარულის ამბებს გულმოდგინედ დაუგდებენ ხოლმე ყურს და ამ მიზეზით ლიდია ივანოვნაც კმაყოფილი დამირჩა და დიდი სიხარულით დამიგდო ყური; მაგრამ მე ძალად შევუმოკლე ჩემი სიყვარულის ამბავი და მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ამ ოთხი წლის წინათ ერთი ქალი შემიყვარდა, რომელიც ქმრის ხელში უბედური იყო, რადგანაც მისდა უნებურად გაათხოვეს-თქო.

— იმასაც ხომ უყვარდით? — უცბად მკითხა ლიდიამ.

— თუ იმასაც არ ვყვარებოდი, მაშინ ასე უბედურიც აღარ ვიქნებოდი. ორივეს გაგიჟებით გვიყვარდა ერთმანეთი და ვტკბებოდით ნეტარებით, სანამ მისმა ქმარმა არ გაგვიგო.

— მერე რა ქნა მისმა ქმარმა?

— მეტს რაღას იზამდა? ის საზღვარგარეთ გაიყვანა და მე კი დავრჩი რუსეთში და მის შემდეგ მისი აღარა ვიცი რა, მოკვდა თუ ცოცხალია.

— მერე, ოთხი წელიწადია და მისთანას ვერავის შეხვდით, რომ მისი სიყვარული დაევიწყებინა თქვენთვის?

— რას მიბრძანებთ? მე მის სიყვარულს საფლავში ჩავიტან! მისმა მოშორებამ საზოგადოდ ქალები შემაძულა; ეს ოთხი წელიწადია ქალისთვის სწორედ ხმა არ გამიცია; მხოლოდ თქვენა ხართ პირველი, და ესეც მისთვის, რომ მეტად მოჰგევხართ იმ ჩემს საყვარელს.

რა გვარი იყო და რა ერქვა იმ ქალს?

— მაგის გამხელა არ შემიძლია!.. საკვირველია, — განვაგრძე მე, — იმას მხოლოდ ერთი და ჰყოლია და ისიც თურმე იმასავით უბედურია სიყვარულში.

— როგორ თუ უბედური, და რას გაუუბედურებია? — მკითხა ლიდია ივანოვნამ რაღაცა სიჩქარით.

— იმ დას ჰყვარებია გაგიჟებით ვიღაც ღარიბი სტუდენტი, მაგრამ მამას სწყენია და ვიღაც ბებერი ღენერლისათვის მიუცია მისი ქალი და ამგვარად საუკუნოდ გაუუბედურებია.

ამ მუსაიფში რომ ვიყავით, სიჩქარით ჩამოუვიდა ლიდია ივანოვნას მსახური და მოახსენა: „პეტერბურღიდან თქვენი და გიახლათო“. ლიდია ივანოვნა სიჩქარით გამომეთხოვა და სიხარულით გასწია შინისაკენ.

იმ ღამეს ისევ იმ ოთახში დავწექ, მაგრამ თადარიგს კი შევუდექი: ამოღებული ხანჯალი არ მომიშორებია, თავქვეშ მედვა ერთად რევოლვერთან, გარეთ ათი ყარაული დავაყენე: „ხმაურობა რომ გაიგონოთ, შემოცვივდით შინ-თქო და მე ღამისთევა დავაპირე; ორჯერ თუ სამჯერ გამოვედი და დავათვალიერე ყარაულები, თუ ბეჯითობენ-თქო, და ვნახე, რომ ისინი შორიახლოს მიმალულიყვნენ ერთად ტყეში, მზად იყვნენ ცულებით შეიარაღებულები და ელოდნენ მხოლოდ ჩემგან ხმის მიცემას. მეორედ რომ შემოვბრუნდი ჩემს საწოლ ოთახში, ვიღაც შავიანი ქალი დამიხვდა პირბადემოდებული; მე მისი ვინაობა ვკითხე და მან პასუხი არ გამცა; გავექანე მისკენ ხანჯალამოღებული და მინდოდა წამომეგო ხანჯალზე უცნაური მოჩვენება, მაგრამ იმან შემომკივლა: „გაჩერდიო!“ ამ ხმას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ხანჯალი ხელიდან გამვარდა და მე თრთოლა ამივარდა, რადგანაც იმ ხმამ ჩემი საყვარლის ხმა მომაგონა.

— დღეს მოვიდა შენი აღსასრული, — მითხრა მრისხანედ, — თუ არ მითხარ, ვინც გიყვარს!

— ვინც მიყვარს, იმის სახელს შენ ვერ მათქმევინებ, მაგრამ, რადგანაც მისი ხმით მელაპარაკები, თუნდ ეშმაკიც იყო, აღარ გერჩი; ეგ კარგი საშვალება მოგიგონებია!.. მეჩვენე მაინც, ვინა ხარ!..

— არა, მოჩვენება ნუ გგონივარ! ადამიანი ვარ, ხორცშესხმული, მაგრამ დღეს კი მოვსულვარ შენთან შურისსაძიებლად: ან უნდა შემომფიცო სიყვარულზე, რადგანაც, ეს ოთხი წელიწადია, შენი სიყვარულითა ვგიჟდები, ანდა უნდა ჩამოგკიდო!..

— მე ვერ ვუღალატებ ჩემს საყვარელს! — წავიბუტბუტე არევით.

— რატომ ვერა! ვფიცავ ღმერთსა, რომ იმას ჩემზე უფრო არ უყვარდე და არც ჩემზე ულამაზესი იყოს შენი საყვარელი. მე იმას, ეს ოცდახუთი წელიწადია, რაც ძალიან დაახლოებით ვიცნობ. შემომფიცე სიყვარულზე, მერე პირსაც გიჩვენებ.

— არ შემიძლია! რაც გერჩიოს, ის მიყავ! გინდ მომკალ! მისთვის სიკვდილი ჩემთვის სიცოცხლეზე უტკბესი იქნება!

— მაშ კარგი! მე ავიხსნი პირბადეს, გიჩვენებ ჩემს სახესაც, მაგრამ ვფიცავ კი ყოვლის შემძლებელს, რომ შენ ამაღამ ჩამოუკიდებელს არ დაგაყენებ!..

ეს სიტყვები რომ გაათავა, აიხადა პირბადე და შემომცინა გაწითლებულმა. ჩემს წინ იდგა ჩემი სიცოცხლე, ჩემი საყვარელი; მე, გონებადაფანტული, გიჟივით გავექანე და დავეცი მის წინ მუხლისთავებზე ამ სიტყვებით: „გინდა მოჩვენებაც იყო, კურთხეულ იყავ, მშვენიერო, ერთი მაკოცნინე შენს მუხლზე და მერე კი აასრულე შენი ფიცი და ჩამომკიდე, სადაც გერჩიოს!“

— დიახაც უნდა ჩამოგკიდო, მაგრამ, იცი სადა? აი, აქ!.. — მითხრა და მომიშვირა კისერი: — შენისთანა ავაზაკებს ამისთანა საძირკველზე ჩამოჰკიდებენ ხოლმე! — მე თითქმის ჭკუაშეშლილი, სიხარულისაგან ვეღარ ვინძრეოდი, მაგრამ ჩემმა საყვარელმა ძალაუნებურად ჩამომიკიდა კისერზე! ოჰ, ღმერთო, რა საშინლად დამსაჯა! ნუ მოუშალოს ღმერთმა ამისთანა სასჯელი ყოველ საყვარელს!

იმ ღამეს, სიყვარულის ეშხით მთვრალს, რაღა გამეგებოდა, მაგრამ მეორე დღეს კი შევიტყვე ეშმაკების ამბავი:

ლიდია ივანოვნა თურმე ჩემი საყვარლის და ყოფილიყო, რომელსაც ქმარი მოჰკვდომოდა, დაბრუნებულიყო უცხო ქვეყნებიდან და, დასთან რომ მოსულიყო, მოულოდნელად გაეგო ლიდიასაგან ჩემი ამბავი; მიმხვდარიყო, ვინც ვიყავი, და ის-იყო კიდევაც, რომ მოჩვენებასავით გამომეცხადა! ის შავწვერებიანი კაცი, მე რომ პირველად პეტერბურღიდან მომავალს შემხვდა, ლიდია ივანოვნას საყვარელი ყოფილიყო; ამ ათის წლის წინათ, ლიდია რომ გაეთხოვებინათ, ის სტუდენტი ყოფილიყო მაშინ, დაენებებინა ყველაფრისათვის თავი, ჯავრით გადავარდნილიყო უცხო ქვეყანაში და იქ თვალთმაქცობა ესწავლა, და ახლა ეს ოთხი წელიწადია, რაც დაბრუნებულიყო ისევ პეტერბურღში. ზაფხულობით ისიც იქ გადადიოდა, სადაც ლიდია ივანოვნა ცხოვრობდა ხოლმე.

სახალხოდ ერთმანეთს ეს საყვარლები ხმას არა სცემდნენ, ვითომც არც კი იცნობდნენ, და ჩუმად კი მთელ ღამეს ერთად ატარებდნენ იმ სახლში, სადაც ერთხელ ვიღაც ნემეცი ენახათ ჩამომხრჩვალი. იცოდა ამ ყმაწვილმა სოფლელების ამაოდმორწმუნეობა და აშინებდა ყოველ კაცს თავისის თვალთმაქცობით, რომ საკუთრად დარჩენოდათ ის სახლი იმას და მის საყვარელს, ლიდია ივანოვნას, და თავისუფლად დროება გაეტარებინათ!.. მეც, თურმე, ამ განზრახვით მაშინებდნენ, მაგრამ, როგორც შევიტყვე, ძვირად დასჯდომოდა იმ ყმაწვილს ჩემი შეშინება: თურმე, იმ უკანასკნელ ღამეს რომ დავცი, თავი გასტეხოდა, დიდხანს გულშემოყრილიც ყოფილიყო და, მე რომ თვითონ არ შემშინებოდა, ეგების კიდევაც შემომკვდომოდა საწყალი. რა ეს ამბები შევიტყვე, მე მაშინვე გადავედი იმ სახლიდან, ქირაში შევუდექი იმ ქიმიკს და მასთან დავბინავდი, რადგანაც ისიც უცოლო იყო და მარტო იდგა; ხალხი კი დავარწმუნე, რომ ეშმაკებმა გამომაგდეს-თქო. ხალხი დარწმუნდა უფრო მეტად ადრინდელზე და თან ამასაც ამბობდა, რომ ეშმაკები მიემატნენ და ადრინდელზე უფრო მეტი ხმაურობა გვესმის გამვლელ-გამომვლელებსო.

1868 წ.

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქცეთ თვალი

1. რა ერქვა ჰემინგუეის?
2. დაასახელეთ ფიზიკოსი, რომელსაც საბჭოთა სამეცნიერო წრეებში ხუმრობით, „ადნაკამუშკინს“ ეძახდნენ.
3. რა შეარქვეს თბილისელებმა სპეცრაზმს, რომელსაც თემურ მღებრიშვილი ხელმძღვანელობდა?
4. ვის შესახებ ამბობდა უინსტონ ჩერჩილი: „პირველი ტრაგედია რუსეთისთვის მისი დაბადება იყო, მეორე ტრაგედია — მისი სიკვდილი“?
5. რატომ ვერ ჩავიდა სოლჟენიცინი შვეციაში, ნობელის პრემიის მისაღებად?
6. დაასრულეთ მიხაილ ჟვანეცკის სამოცი წლის საიუბილეო საღამოზე იუბილარის მიერ წარმოთქმული სევდანარევი ხუმრობა: „გასპადა, ია უშოლ იზ ბალშოვა...“
7. ძველ რომში, მზიან დღეებში, ზღვაში ჩასვლისას მყვინთავებს თან მიჰქონდათ ზეთით სავსე ჭურჭელი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში, წყალქვეშ თავს ხდიდნენ. რისთვის?
8. დიზაინის მსოფლიო დედაქალაქად რომელი ქალაქია აღიარებული?
9. კრეისერ „ავრორაზე“, რომელსაც ათიოდე წლის წინ რესტავრაცია ჩაუტარდა, კინოკამერით აღარავის უშვებენ. რის შემდეგ შემოიღეს ეს აკრძალვა?
10. დაასრულეთ პაბლო პიკასოს სიტყვები: „ჩემთვის მხოლოდ ორი ტიპის ქალი არსებობს — ქალღმერთი და...“
11. რა სიტყვა ჩაწერა იგორ გუბერმანმა ანკეტის შევსებისას გრაფაში — „ოჯახური მდგომარეობა“?
12. საბერძნეთში შეჭრისათვის ქსერქსეს თავისი უზარმაზარი არმია ჰელესპონტის (დღევანდელი დარდანელის) სრუტეზე უნდა გადაეყვანა. სპარსეთის მეფის ბრძანებით, წყლის ამ უზარმაზარ სივრცეზე გემები ჩაამწკრივეს და ზედ უგრძესი ხიდი გადეს. ჯარი უკვე გადასასვლელად ემზადებოდა, როცა საშინელმა ქარიშხალმა ეს უზარმაზარი ნაგებობა ნამტვრევებად აქცია. გაცეცხლებულმა ქსერქსემ „სასტიკად დასაჯა“ ჰელესპონტი. რაში გამოიხატებოდა ეს სასჯელი?

* * *

ნიკამ შვილი სასწავლებლად მოსკოვში, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში გაგზავნა. პატარა ნიკა სახლში ხუთი წლის შემდეგ დაბრუნდა. მამა ეკითხება:

— რა ისწავლე, შვილო?

— რა ვისწავლე და, ცხოველების ენა ვისწავლე.

— მართლა?! — არ სჯერა ნიკას.

— აი, ის ქათამი რომ კაკანებს, ამბობს: სამგულიანი კვერცხი დავდეო, — მივიდნენ, აიღეს კვერცხი, გატეხეს და მართლაც, სამგულიანი აღმოჩნდა.

— აი, ის ძროხა რომ ბღავის, ამბობს: დიასახლისმა მომწველა და 2 ლიტრი რძე შიგ დამიტოვაო.

მოწველეს ძროხა და მართლაც, 2 ლიტრი გამოვიდა. ამ დროს თავლაში ვირი აყროყინდა.

— მაგას არ დაუჯერო, შვილო, გატყუებს! — იყვირა ნიკამ.

* * *

— რას მირჩევ, — ეკითხება ძმაკაცი ძმაკაცს. — მდიდარი, ბინიანი, ფულიანი ქვრივი შევირთო თუ ღარიბი, მაგრამ ახალგაზრდა და ლამაზი გოგო?

— რა თქმა უნდა, ქვრივს ლამაზი და ახალგაზრდა ქალი სჯობია!.. რაო, რა თქვი, სად ცხოვრობს ის ქვრივი?..

* * *

ჭიჭიკიამ გოგონა გაიცნო და საღამოს შინ მიიპატიჟა, საღამომდე კი მეგობარ ექიმ-სექსოპათოლოგს მიაკითხა.

— საღამოს გოგონა მყავს დაბარებული და იქნებ, რაიმე სტიმულატორი მომცე, თავი რომ გამოვიჩინო.

მეგობარმა მისცა წამალი. ერთმანეთს მეორე დღეს შეხვდებიან.

— ჰა, ხომ არ შემარცხვინე?! მოჰყევი, სადამდე ახვედი?!

— შვიდამდე!

— ის?!

— ის საერთოდ არ მოვიდა.

* * *

— მიტო, გიყვარვარ?

— არა!

— მა, ჩემთან რათ წვები?

— რო არ მიყვარხარ, სწორედ მაგიტომა. მა, ბალღებს რათ არ ვერჩი?!

* * *

გურულს ბოშა გადაეკიდა:

— მოდი, უნდა გიმკითხაო. შენ მაღალი, ლამაზი, ახალგაზრდა და მდიდარი გოგო გამოგყვება ცოლად.

— რას გეტყვი, იცი? შენ ის მითხარი, დაბალი, ბებერი და ღატაკი ცოლი რომ მელოდება სახლში, ის სად წავა?!

* * *

— ალო, კოწია ხარ?

— დიახ, ბატონო.

— შენი ცოლი გავიტაცეთ, ჯერ კიდევ ცოცხალია.

— გასაგებია, რა არის საჭირო?

— სამი ათასი დოლარი საღამომდე, თორემ ხვალ დილით უკან დაგიბრუნებთ.

* * *

რაჭველს დათვი იმდენ ხანს ჰყავდა მიზანში ამოღებული, რომ ბოლოს, შეუყვარდა.

* * *

სასამართლო პროცესზე მოსამართლე ქალი ბრალდებულს ეკითხება:

— რატომ გააუპატიურეთ თექვსმეტი წლის გოგონა?

— მე ის მომწონდა.

— ოცდაათი წლის ქალი რატომღა გააუპატიურეთ?

— ისიც მომწონდა.

— ასე ეშმაკურად რატომ იცინით?

— მე თქვენც მომწონხართ.

* * *

მატარებლის კუპეში დედა და თექვსმეტი წლის ქალიშვილი სხედან. მათთან ერთად სომეხი და აზერბაიჯანელი მგზავრობენ. მატარებელი გვირაბში შევიდა და უცებ, სიბნელეში ლაწანი გაისმა — ვიღაცამ ვიღაცას სილა გააწნა!

ქალი ფიქრობს: მე ჩემი გოგონა ჯერ ბავშვი მეგონა, ის კი უკვე ქალიშვილია და თანაც, როგორი პატიოსანი, თავმოყვარე — ალბათ, ამ მუტრუკებიდან რომელიღაცამ ხელი მოუფათურა და ალიყურიც მიიღო.

ქალიშვილი ფიქრობს: მე დედაჩემი უკვე ხანში შესული მგონია, ის კი ჯერ კიდევ მოსწონთ მამაკაცებს. აუ, როგორი პატიოსანი და პრინციპულია — ალბათ, რომელიმეს ხელი წასცდა და დედიკომაც სილა გააწნა.

აზერბაიჯანელი ფიქრობს: უხ, ეს დამპალი სომეხი! დაუწყო ქალებს სიბნელეში ხელის ფათური, იმათ კი ეტყობა, მე ვეგონე და მაგის მაგივრად მომხვდა.

სომეხი ფიქრობს: უჰ, როდის შევალთ კიდევ გვირაბში, რომ ამ აზერბაიჯანელს ერთხელაც ვხიო ყბაში?!

* * *

ქორწინების სასახლიდან გამოსულ წყვილებს ჟურნალისტი ეკითხება — ანგარებით ქორწინდებიან თუ სიყვარულით? ყველა პასუხობს: „სიყვარულით!“ ბოლოს, ჯერი ზორბა პატარძალზე მიდგა, რომელსაც გვერდით ტანმორჩილი სასიძო ედგა. ქალმა ამრეზით განაცხადა:

— მიმიფურთხებია სიყვარულისათვის და არც ფულის გამო ვთხოვდები. უბრალოდ, ვიცი, რომ ყველა მამაკაცი ნაგავია და რაც შეიძლებოდა პატარა გროვა ამოვარჩიე.

* * *

გარდაქმნის პერიოდია. მიხოს ბინაში უბნის ინსპექტორმა არყის სახდელი აპარატი იპოვა და ოქმის წერას შეუდგა:

— აი, ახლა დიდ ჯარიმას რომ გადაგახდევინებ, ჭკუას ისწავლი.

— რატომ ვითომ, მე ხომ არაყი არ გამომიხდია?!

— მერე რა, აპარატი ხომ გაქვს?!

— მაშინ, მარო ბროწეულაშვილის გაუპატიურებაც მე დამაბრალეთ!

— შენ რა, მარო ბროწეულაშვილი გააუპატიურე?!

— არა, მაგრამ აპარატი ხომ მაქვს.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ერნესტი.
2. ალბერტ აინშტაინი.
3. „თემური და მისი რაზმი“ (არკადი გაიდარის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით).
4. ლენინის შესახებ.
5. საბჭოთა მთავრობამ ვიზა არ მისცა.
6. „...სექსა“.
7. ზეთი იღვრებოდა და წყლის ზედაპირზე ჩნდებოდა მოზრდილი ლაქა, რის გამოც, ფსკერი მზის სხივებს აღარ ირეკლავდა და მყვინთავებს საძიებელი ნივთების გარჩევა უადვილდებოდათ.
8. ნიუ-იორკი.
9. მას შემდეგ, რაც რეჟისორმა სერგეი პრიანიშნიკოვმა კრეისერზე ფარულად, პორნოგრაფიული ფილმი გადაიღო.
10. „...ფეხის საწმენდი ტილო“.
11. „გამოუვალი“.
12. ქსერქსემ მათრახითა და რკინის კვერთხით „სცემა“ ზღვის ტალღებს. მეორე ხიდი სპარსელებმა ერთ თვეში ააგეს, მისი მეშვეობით ჯარი მეორე ნაპირზე გადაიყვანეს და საბერძნეთში შეიჭრნენ.

ჩვენი ფოტო მაღვრეა

ჰოროსკოპი

15-21 აპრილი

ვაზი:
მთელი დღეები სამსახურის საქმეების მოგვარებით იქნებით დაკავებული. გელით საქმიანი შეხვედრები და მოლაპარაკებები. კვირის ბოლოს საყვარელ ადამიანს რომანტიკული ვახშამი მოუწყვეთ.

ჯუჯი:
ჩამოყალიბდით, რა გსურთ და შეადგინეთ სამოქმედო გეგმა. თუ ყველაფერს მარტო ვერ გაუმკლავდებით, ახლობლები და კოლეგები დაიხმარეთ. კვირის ბოლოს, დასვენების მიზნით, ბუნებაში გაისეირნეთ.

ტყუპი:
დატვირთული და დაძაბული სამუშაო კვირის შემდეგ, უქმე დღეებში ოჯახის წევრებთან ერთად, ქალაქგარეთ გაემგზავრეთ. ნუ გასცემთ სხვათა საიდუმლოებებს.

ჯიგრგხლიტი:
ნუ იქნებით ზედმეტად აგრესიული და მომთხოვნი, თორემ შესაძლოა, ამით გარშემო მყოფებს გული ატკინოთ. კარგი იქნება, თუ კვირის ბოლოს საყვარელ ადამიანთან ერთად, სამოგზაუროდ წახვალთ.

ლომი:
თუ საკუთარ ძალებში დარწმუნებული არ ხართ, არ გარისკოთ და ამ კვირაში ახალი იდეების განხორციელებას არ შეუდგეთ. კვირის ბოლოს პირად ცხოვრებაში უამრავი სასიამოვნო სიურპრიზი გელით.

ეტლგწუდი:
ამ კვირაში ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ და დროს ძალზე მხიარულად, უდარდელად გაატარებთ. კვირის ბოლოს გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. კარგი იქნება, თუ ბუნებაში ხშირ-ხშირად გაისეირნებთ.

სასწორი:
ეს პერიოდი საოჯახო საქმეების მოგვარებას დაუთმეთ. თუ სამსახურში კონფლიქტების თავიდან აცილება გსურთ, გადაწყვეტილებები სწრაფად უნდა მიიღოთ. კვირის ბოლოს ახალი ნაცნობობა გელით.

ღორღიმედი:
ოჯახის წევრებთან ურთიერთობა გამოსწორდება. ეცადეთ, ახალი პრობლემები არ შეიქმნათ. განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ შვილების მიმართ. კვირის მეორე ნახევარი სპორტსა და მოგზაურობას დაუთმეთ.

ეფვიდდოსტეფი:
საქმიანი შეხვედრებით დატვირთული კვირა გელით. კარგი პერიოდია ახალი საქმის წამოსაწყებად, მაგრამ ფრთხილად იყავით, ზოგიერთი ადამიანი შეიძლება, გამორჩენის მიზნით დაგიახლოვდეთ.

ოხიდ რეჟ:
სამსახურში თამამად განახორციელეთ ახალი პროექტები. ახლობლების მიმართ ნუ იქნებით კრიტიკული და მოერიდეთ მათთან კონფლიქტებს. კვირის ბოლოს საყვარელი ადამიანი სიურპრიზს მოგიწყობთ.

ეღრწყუდი:
სამსახურში დაგროვილი საქმეების გამო, ოჯახის წევრებს ყურადღებას ნუ მოაკლებთ. კარგია, თუ უქმე დღეებში ენერგიის აღდგენაზე იზრუნებთ და საყვარელ ადამიანებთან ერთად, ბუნებაში დაისვენებთ.

ოდეზეტი:
ნათესავებთან და ახლობლებთან შეხვედრები სასიამოვნო განწყობილებას შეგიქმნით, მაგრამ ნურც საყვარელ ადამიანს დაივიწყებთ. კარგი იქნება, თუ მასთან ერთად, რამდენიმე დღით სადმე გაემგზავრებით.

პატარები გენიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

გიორგი ელიაშვილმა დიდხანს უყურა ბებიას, რომელიც ხორცს ატარებდა და უთხრა:
— მომეცი, ეთო ბებო, ახლა მე დავქოქო!

5 წლის ეთო ჭოლოკავა დედას ეუბნება:
— დედიკო, იცი, რა მიყიდე? კარტოფილივით რომ არის, გაჭრი და შიგნით კიტრია.
ეთოს თურმე, კივი უნდოდა.

5 წლის დათუნა მესხიძის დედა ქათამს ასუფთავებს და თან, ბიჭს ეუბნება, — ეს ფილტვებიაო. დათუნას გაგონილი ჰქონდა „ფილტვების ანთება“ და გაკვირვებული დედას ეკითხება:
— დედი, აბა, მაჩვენე, საიდან ინთება ფილტვები.

5 თვის ანა ძუძუს წოვს. მისი 4 წლის დაიკო, თაკო ბეგლარიშვილი პაწიას ეუბნება:
— მართლა შენი დედიკო კი არაა, მარტო ძუძუ გათხოვე.

2 წლის შალვა უერთაშვილის მამას ბიჭთან თამაშის დროს ჩაეძინა. შალვა ჯერ შეშინდა, მერე კი დედას დაუძახა:
— დედიკო, დედიკო, მამიკოს თვალები გაუფუჭდა.

5 წლის ჯუბიკო გუბელაძეს დედა თითების სახელწოდებებს ასწავლის. ჯუბიკოც მონდომებით იმეორებს, მაგრამ ცერის სახელი ავიწყდება. უცებ, „მოაგონდა“ და სიხარულით წამოიძახა:
— ნაცარა!

3 წლის გიორგი ნაბიჯაშვილი დედას ეუბნება:
— დედა, ლამპას ხმამაღლა აუწიე, რა!..

ქარიანი დღეა. პატარა მაკა და დედამისი ქუჩაში მიდიან. უცებ, მაკა ამბობს:
— დედა, თმა მაყალზე (უნდოდა, ეთქვა, — ყალყზე) მიდგას.



1. გერმანიის ფეხბურთის გუნდი
2. ორგანის კლავიატურა
3. სიყვარულის ღმერთი რომ. მით.
4. მდინარე საქართველოში
5. ვენეციური ნავი
6. პარაგვაის დედაქალაქი
7. შოტლანდიური ნაგაზი
8. ქართული ლიტერატურული პრემია
9. სასიმინდე
10. მინირესტორანი
11. კურკოვანი ხილი
12. ქართული ჟურნალი
13. ზედა ქვედა ვბა ერთად
14. ქვეყანა აფრიკაში
15. გარეული ვირი
16. მუდმივი მყიდველი, მუშტარი
17. უბანი თბილისში
18. იტალიური ავტომობილი
19. ანდამატი
20. გაუშლელი ყლორტი
21. მხარე იმერეთში
22. ანტილოპის სახეობა
23. სისველე, ნესტი
24. ჩანთოსანი დათვი
25. იმერული სახლი
26. დაქირავებული პროფესიონალი მმართველი
27. მუსლიმანთა სულიერი წინამძღოლი
28. მიწის თხილი
29. ექსპერიმენტი
30. მასობრივი კრება პოლიტიკურ საკითხებზე
31. ბრაზილიელი მწერალი
32. ფენა
33. მამათა დიდი მონასტერი
34. ქრისტიანული დღესასწაული
35. ვულკანური მასა
36. სრული მარცხი, კრახი
37. სალბუნი
38. ლექსთან შეწყობილი მუს. ნაწარმოები
39. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
40. პარიზის აეროპორტი



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. მაცხოვარი; 2. ცირიკი; 3. კვარტალი; 4. რუბლი; 5. სირინოზი; 6. გარდეროби; 7. როკი; 8. პეჟო; 9. ფილატელია; 10. დეფისი; 11. კალო; 12. ფინდიხი; 13. გვარდია; 14. კალია; 15. სიმდი; 16. სპირტი; 17. მეანობა; 18. ეფა; 19. პა; 20. ლეგა; 21. ლეიტენანტი; 22. მერი; 23. ტირე; 24. მაჯა; 25. ნეო; 26. რუპია; 27. რიგა; 28. ტაქსა; 29. ირემი; 30. ჯემი; 312. ბიბლია; 32. მზე; 33. ჰამაკი; 34. კაპელა; 35. რემა; 36. ექიმი; 37. ერისიონი; 38. პარაგვაი; 39. აბი; 40. ნიველირი; 41. ფია.

სურათებზე: 1. მეგ რაიანი; 2. ჰიუ ჯეკმანი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე; **ზ**. მთიდან დიდ გროვად წამოსული, ჩამორღვეული თოვლი; **ა**. ჩვილი ბავშვის სარწევი საწოლი; **გ**. შავი ფერის ქვა, რომელსაც ავი თვალისგან დასაცავად ატარებენ; **ზ**. უზენაესი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, ჭექა-ქუხილის ღვთაება; **ი**. ნაწარმოები, სადაც ტროას ომის ბოლო 54 დღეა აღწერილი; **ს*. ყველაზე დიდი ქალაქი ავსტრალიაში; **თ*. მუცლის ღრუდან წვრილი ნაწლავის კანქვეშ გამოვარდნა; **ვ*. რა ერქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან მჟავანაძეს; **ი*. ფაშიზმის სამშობლო; **ს*. რელიგიური ჯგუფი, რომელიც განდგომილია გაბატონებული ეკლესიისგან; **ა*. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ქალი; **ო*. რა ერქვა ჰამლეტის საცოლეს; **ბ*. ესპანეთის დედაქალაქი; **კ*. საგვარეულო გაერთიანება ირლანდიასა და შოტლანდიაში; **ი*. მონასტრის წინამძღვარი; **თ*. მხურვალე, მცხუნვარე (მზე); **ხ*. რქიანი საქონლის ზოგადი სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **ვ*. შურისძიების სიცილიურ-კორსიკული წესი; **ე*. მდინარე დასავლეთ საქართველოში; **ლ*. რა მდინარე ჩამოედინება ცხინვალსა და გორში; **ი*. უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ს*. ინგლისელი მწერალი, „რობ როისა“ და „აივენჰოს“ ავტორი; **თ*. დაასახელეთ პატარა ცხოველი, რომელსაც დასავლეთ საქართველოში მუდოს ეძახიან; **ვ*. თენგიზ აბულაძის ფილმი, რომელმაც „ნატვრის ხესთან“ და „მონანიებასთან“ ერთად ტრილოგია შეადგინა; **ი*. ის, რაც გამოთქმის თანახმად „ყველაზე ბოლოს კვდება“; **ს*. ღონე, ილაჯი, არაქათი; **ა*. „დათა თუთაშხიას“ ამ პერსონაჟს რომანში ტოფანა ჰქვია, რა ჰქვია მას ფილმში; **ო*. ნიშნის მოგების გამომხატველი შორისდებული, რომელიც იხმარება პირის ნაცვალსახელთან ერთად (ხმარობდა ლუარსაბ თათქარიძე).

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ*. გივი; **ა*. ალიონი; **ე*. ერნესტო; **რ*. რეცეპტი; **თ*. თხა; **ე*. ესკიმო; **დ*. დრაკონი; **ა*. ანკარა; **დ*. დიურერი; **ა*. აგნესა; **ი*. იმედი; **ს*. სიბილა; **ვ*. ვასილი; **ე*. ესკადრა; **ნ*. ნიანგი; **ე*. ეგრისი; **გ*. გესტაპო; **ზ*. ზვიგენი; **ა*. ასმათი; **ს*. სლალომი; **თ*. თასმა; **ა*. აგუტინი; **ნ*. ნიღაბი; **ე*. ელენე; **რ*. რაბინი; **თ*. თხემი; **ა*. აზნაური; **დ*. დიოგენე.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ვინც აკაკუნებს, კარს იმას ულებენო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

5	9	8	1	7	4	2	3	6
3	7	1	2	8	6	4	9	5
6	2	4	5	3	9	1	7	8
7	4	9	8	1	2	6	5	3
1	8	5	9	6	3	7	4	2
2	6	3	4	5	7	9	8	1
4	1	2	3	9	8	5	6	7
8	5	6	7	4	1	3	2	9
9	3	7	6	2	5	8	1	4

3	8	9	7	4	6	2	1	5
7	4	1	5	2	8	6	3	9
6	2	5	3	9	1	4	8	7
8	5	6	4	7	3	9	2	1
4	1	3	9	6	2	5	7	8
9	7	2	8	1	5	3	4	6
5	9	4	1	3	7	8	6	2
2	3	7	6	8	9	1	5	4
1	6	8	2	5	4	7	9	3

7	3	8	6	4	9	2	1	5
9	2	4	5	1	8	6	3	7
6	1	5	7	3	2	9	4	8
1	6	9	4	8	7	5	2	3
3	5	7	1	2	6	8	9	4
8	4	2	3	9	5	7	6	1
2	7	1	9	5	4	3	8	6
5	9	3	8	6	1	4	7	2
4	8	6	2	7	3	1	5	9

* მარტივი

	5			6			1	8
		8			4		2	
		1		3			4	
7			6		1			2
	2			7			5	
5				8				4
	1			9		4		
	6		5			2		
8	4			2			9	

** საშუალო

1	4		9				7	
		8	7				5	
		6		4				1
		9				3		
8		5		7		6		4
		2		3		8		
2				1		5		
	6				8	1		
	8				6		4	2

*** რთული

	3			2				8
				5				4
		4	3			6		
	6			7			2	
		8	9			3		
	5		6	3			4	
		5			1	7		
4				8				
2				6			9	

ფოტოკუჩიოზები







„კვირის პალიტრის“ კოლექცია
„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

წიგნი VI

დეგა

12-დან –19 აპრილამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

ყურადღება: I. II. III. IV და V ტომი. წიგნის მაღაზიებში გაყიდვაშია!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები
დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

6107/44